



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი ზენესქიტიანი-ტატიანიანი



სამეგრელო-ზემო
სვანეთში

ქართული

ენისათვის



I

„მეცნიერება“

საქართველოს საბჭოთავო მწიგნობრობის ეკლესიის სასულიერო განათლების უმაღლესი სასწავლებელი



საეკლესიო წიგნი ჩრახტინი

ტომი პირველი

ტექსტი მოაწვდა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და
ლექსიკონი დაურთო

პროფ. მიხეილ შენგელია



„მეცნიერება“
თბილისი
1986

615 ფ²
616.282—02
ზ 292



„სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ წინამდებარე ორტომეული, მისი ავტორის, ზ. ფანასკერტელი-ციციშვილის, დაბადების 550-წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი, ის შესაბამე გამოცემაა, პირველად, 1950, 1959 წლებში იქნა გამოცემული (ცალკე ტომებად), მეორედ — 1978 წ. (ერთ ტომად). I ტომში მოცემულია მედიცინის ზოგადი საკითხები: ჰიგიენა, დაავადებათა გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის მეთოდები, სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის პროცესები. II ტომი კერძო ნაწილია — აქ განხილულია პათოლოგიისა და თერაპიის ძირითადი საკითხები, ცალკეულ ორგანოთა დაავადებები და მათი ნიშნები, ვრცლადაა გადმოცემული მკურნალობის მეთოდები, სამკურნალოწამლო საშუალებათა სხვადასხვა ფორმები. იგი მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს და ცალკეული ორგანოს დაავადებათა აღწერას და მკურნალობას, ცხადია იმ ფარგლებში, როგორც შესაძლებელი იყო მეცნიერების განვითარების იმ ეტაპზე. გარდა შინაარსობრივი ანალიზისა და გამოკვლევებისა ტექსტს თან ერთვის: სარჩევ-საძიებელი, საგნობრივი, დაავადებათა და პირთა საძიებლები, შენიშვნები და ლექსიკონი.

4101010000
ფ 1607 (06)—86

რეზ. 86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986



کتابخانه ملی و اسناد ایران
کتابخانه ملی و اسناد ایران



ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი“

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი ქართული მედიცინის ისტორიაში. ის ჯერჯერობით ძველი დროის ერთადერთი ქართველი ექიმი-მეცნიერია, რომლის ავტორობა „სამკურნალო წიგნზე“ და ბიოგრაფიული მონაცემები ეჭვს არ იწვევს. იგივე არ შეიძლება ითქვას „უსწორო კარაბადინისა“ და „წიგნი სააქიმოსის“ ავტორებზე ქანანელსა და ხოჯაყოფილზე. მათ შესახებ ჯერჯერობით თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ზაზას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კი ბევრი რამ ცნობილია. შემონახულია აგრეთვე მისი პორტრეტი, რომელიც ფრესკის სახით დაცულია ყინწვისის ტაძარში.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ტრაქტატები სხვა სახის ლიტერატურულ ძეგლებთან შედარებით უფრო დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. თუ მხატვრული ხელნაწერი წიგნი წაკითხვის შემდეგ ოჯახში ინახებოდა როგორც ძვირფასი ნივთი და თაობიდან თაობაში გადადიოდა მზითვისა და მემკვიდრეობის სახით, სამედიცინო წიგნები ყოველდღიურ პრაქტიკულ გამოყენებაში იყო — ხელიდან ხელში გადადიოდა მკურნალთა და ავადმყოფების ჭირისუფალთა შორის, რის გამოც ის სხვა სახის ხელნაწერებთან შედარებით უფრო ზიანდებოდა და ადრე გამოდიოდა ხმარებიდან. ამიტომ ჩვენამდე მოღწეული ძველი სამედიცინო ხელნაწერი წიგნები, რომლებიც ჩვენს მუზეუმებში ინახება, ოდნავაც ვერ ასახავს სამედიცინო წიგნების გავრცელების მასშტაბებს. ცხადია, ასეთი წიგნები გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ბევრი დაზიანდა და ვერ მოაღწია ჩვენამდე, ბევრი კი გატანილ იქნა, ნაწილი, უდავოდ გამუდმებულმა ომიანობამ და სარწმუნოებრივმა ბრძოლებმა იმსხვერპლა. მოღწეულ სამედიცინო ძეგლებშიც, ჩვენი აზრით, სხვა სახის ძეგლებთან შედარებით, ერთი გარემოება შეინიშნება — იშვიათად იხსენიება ავტორი. შესაძლებელია გაურბოდნენ თანამედროვე ავტორის დასახელებას მკითხველზე თუ ავადმყოფზე მეტი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, უცხოურობით თუ საიდუმლოებით მოსავენდნენ მის პიროვნებას. ამ მხრივ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“, შეიძლება ითქვას, გამოჩალის წარმოადგენს. აქ თვით ტექსტი იძლევა იმის საშუა-



ლებას, რომ გაირკვეს ავტორისა და გადამწერის ვინაობა ორიგინალობისა თუ კომპილაციურობის საკითხი.


ეს წიგნიც, როგორც ჩანს, 300 წლის წინ გატანილ იქნა საქართველოდან და მხოლოდ შემთხვევის წყალობით მოაღწია ჩვენამდე. აღსანიშნავია, რომ ერთმორწმუნე რუსეთში გატანილი ქართული ეროვნული ძეგლები კარგ თავშესაფარს პოულობდა, განსაკუთრებით იმ კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგად, რომელიც დამყარდა საქართველოსა და რუსეთს შორის XVIII საუკუნის შემდეგ. ასეთი თავშესაფარი უპოვნია, როგორც ჩანს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნს“.

წინამდებარე წიგნში მოტანილი ტექსტი წარმოადგენს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის იმ ხელნაწერი წიგნის ორივე ნაწილს, რომელიც 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის, პირადად ფილოლოგ მეცნიერებათა დოქტორის თ. ჭყონიას, მიერ აღმოჩენილ იქნა ქ. გორკის (ყოფ. ნიჟნი-ნოვგოროდი) სახელმწიფო არქივში. ამჟამად ის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება (Q ფონდი, № 877 ხელნაწერი). ამ ხელნაწერის მეორე ნაწილი (175 დან 684 ფურცლამდე) 1950 წელს საქართველოს სსრ სამედიცინო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ იქნა გამოცემული პროფ. მ. სააკაშვილის საერთო რედაქციით. კვლევითი ხასიათის შრომა (შესავლის სახით) და ლექსიკონი დაურთეს პროფ. ილ. აბულაძემ და დოც. კ. გრიგოლიამ. მათ მიერ გამოკვლეულ და დადგენილ იქნა მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომლებიც ხელნაწერის ორივე ნაწილისათვის საერთოა (ხელნაწერის ისტორია, გადამწერისა და ავტორის ვინაობა, დათარიღება, ზაზას ბიოგრაფიული ცნობები და სხვ.). ამიტომ აღნიშნულ კომპენტენტურ ავტორთა შემოხსენებული შრომიდან¹ ჩვენ ისინი მეტ-ნაკლები სისრულით უშუალოდ გადმოვიტანეთ წინამდებარე შრომაში. გორკის სახელმწიფო არქივში ფანასკერტელ-ციციშვილის წიგნის ხელნაწერის მოხვედრის ისტორია შემოხსენებულ ავტორებს შემდეგნაირად აქვთ წარმოდგენილი: ამ საკითხს უუქს ჰფენს ხელნაწერის 62—63 ფურცლებს შორის ჩადებული ერთი ფურცელ-ქაღალდი, რომელშიც ვახტანგ VI-ის ხელით ჩაწერილი ყოფილა შემდეგი სიტყვები:

„ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინე და შევაკვრევინე საქსრად და სასარგებლოდ კაცთათვის და საქსრად ყოველთა, ქ-კს ტჳზ“.

ვახტანგის აღნიშნული ჩანაწერი ამ ხელნაწერის შეკრებასთან, განახლებასთან და აკინძვასთან დაკავშირებული ანდერძია.

¹ ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, საქმედგამი, თბილისი, 1950 წ., V—XXIII.



როგორც ხელნაწერის გარეგნული შესწავლით ირკვევა, ვახტანგ ძეგლის მიმართ შემდეგი სამუშაოები ჩატარებია:

1. ფურცელ-ფურცელ დაშლილი კარაბადინი აუწყვია, შეუკრავს და აუქინძავს ძვირფას ყდაში.

2. ფურცელთა დაკლებულობა გამოურკვევია და აღუნიშნავს საკუთარი ხელით სათანადო ადგილას შემდეგი სიტყვებით:

[„აქ ფურცელი აკლია ერთი“; „აქაც აკლია“ და ა. შ. (სულ 17 ადგილას)].

3. შეკრული ხელნაწერისათვის მიუცია ახალი პავინაცია.

4. აშეობზე ზოგან მოუთავსებია შენიშვნები და განმარტებანი.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, ვახტანგს დიდი მონდომებით ჩატარებია ხელნაწერის აღდგენის სამუშაოები და, როგორც ზემოხსენებული ავტორები ფიქრობენ, რუსეთში მისი გატანაც ვახტანგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული: „კარაბადინის ეს ძვირფასი ხელნაწერი თავის დროზე ვახტანგის საკუთრება უნდა ყოფილიყო და რუსეთშიაც ის მის მიერ უნდა იყოს გატანილი სამეფო სახლის ევაკუაციის გამო 1724 წელს, ხოლო ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (1737 წ.) ის მის მემკვიდრეთა ხელში გადასულა და კერძოდ ეს ხელნაწერი ვახტანგის უფროს ვაჟს ბაქარს მიუღია. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის კარაბადინი უკვე ბაქარის შვილიშვილის გიორგი ალექსანდრეს ძის ხელში ყოფილა. როგორც ცნობილია, გიორგი ალექსანდრეს ძე სოფ. ლისკოვოში ცხოვრობდა. ხოლო 1852 წლის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი უძეოდ გარდაიცვალა, საფიქრებელია ამ ხელნაწერის სხვა პირთა ხელში და კერძოდ აღნიშნული არქივის განკარგულებაში გადასვლა.“¹

როგორც ირკვევა, ვახტანგ VI-მ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მედიცინასაც, მან შეჰკრიბა, ტექსტის აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა და შთამომავლობას შემოუნახა არა მარტო ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“,² ქანანელის „უსწორო კარაბადინიც“ მისი ზრუნვის წყალობით შერჩა ქართულ კულტურას.

ხელნაწერის აღწერილობა

ხელნაწერის აღწერილობა მოგვყავს ისე, როგორც მის პირველ მკვლევარებსა აქვთ მოცემული თავიანთ შრომაში².

„ხელნაწერი დიდტიანიანია: მასში ასამდე რვეული ან 684 ფურცელია აღრიცხული; 36×23; წიგნი აკინძულია და ჩასმულია ტყავგადაკრულ მაგარ ხის ყდაში. რვეულთა სათვალავი აქ აღნიშნულია პირვე-

¹ ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, საქმედგამი, თბილისი, 1950, გვ. VI—VII.

² იქვე, გვ. VII—VIII.

მეტი ფურცლის დინაკლისი აქვს აღნუსხული (და იქ, ტექსტი მართლაც ნაკლულია). გარდა ამისა, 51-ე რვეულში დღეს ათი ფურცელია, თუმცა იქ სამი ფურცლის ნაკლოვანებაა აღნიშნული.

საყურადღებოა, რომ ხელნაწერში ზემოაღნიშნული ჩვეულებრივი სათვალავის გვერდით, ფურცელთა სათვალავიც მოიპოვება. როგორც ჩანს, ხელნაწერის „ფურცელ-ფურცელ“ დაშლისა და ზოგიერთი ფურცლის დაკარგვის გამო თავდაპირველი ჩვეულებრივი სათვალავი მოთხოვნილებებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა და ფურცელთა აღნუსხვაც აუცილებელი გამხდარა. თავის დროზე ესეც ვახტანგს გაუჩეთებია. ფურცელთა სათვალავი მას ქართული ანბანით აქვს აღნიშნული, ყოველი ფურცლის პირისა და ზურგის მხარის ქვედა აშიაზე, მაგრამ ამ წესის მხოლოდ „141“-მდე იცავს. აქედან მოკიდებული კი სათვალავი მხოლოდ პირის მხარეს მოსდევს და ზურგზე არ მეორდება. უფრო გვიან ფურცელთა სათვალავი ციფრებითაც გაუმეორებია. ეს უკანასკნელი კი დასმულია ყოველი ფურცლის პირის მხარეზე, ზედა აშიის მარჯვენა კუთხეში და ხელის მიხედვით შესაძლებელია ის ალ. ხაზანაშვილსაც ეკუთვნოდეს... XVIII საუკუნის დამდეგისათვის ის უკვე ძლიერ დაზიანებული, „ფურცელ-ფურცელ“ დაშლილი ყოფილა, ალაგ-ალაგ ცალკეული ფურცლები და რვეულებიც ჰკლებია. მხოლოდ ვახტანგის საგანგებო ღონისძიებათა შედეგად შესაძლებლობის ფარგლებში მას ადრინდელი სახე მიუღია. ვახტანგის შემდეგაც განუცდია მას დაზიანება. ამჟამად ორივე ყდა გატეხილია. ზედას ქვემო ნაწილიც მოტეხილი და დაკარგული აქვს, ყდაზე გადაკრული ტყავიც კიდევებზე გახეულ გაცვეთილია, ხოლო წიგნის ყუის ნაწილში ის სრულიად მოგლეჩილია. ხელნაწერი ახლა თავნაკლულია. ის მეოთხე რვეულით იწყება. ამ რვეულის მხოლოდ ექვსი ფურცელია შემონახული. ამგვარად, მას აქ სამი რვეული მთლიანად და მომდევნოს ორი ფურცელი (ე. ი. სულ 26 ფურცელი) აკლია. განსაკუთრებით დაზიანებულია ხელნაწერის თავი და ბოლო (2—37; 663 — 684 ფურცლები). ფურცლები აქ თითქმის მთლიანად ლაქმოდებულია. მრავალი მათგანი დაფლეთილი და ამოცვენილია. ხელნაწერის მთელ სიგრძეზე მრავალი ფურცლის აშია და ძირია შეკეთებული¹. წიგნში შესამჩნევია სხვა დაზიანებანიც, მაგალითად, 63—68 ფურცლები ნაპერწკლითაა გამომწვარი. სინოტივის ნაკვალავიც ბევრგან თვალსაჩინოა. განსაკუთრებით, თავსა და ბოლოში და საერთოდ მისი აკინძულობა საგრძნობლად დაზიანებულია. წიგნი მოსქოთეთრ ქაღალდზეა დაწერილი. დიდად საყურადღებოა, რომ ხელნაწერის მთელ სიგრძეზე ქაღალდის ჰვირნიშანი არსად არ ჩანს. ეს გარემოება

¹ იხ. ფურცლები: 14, 27, 28, 30, 37, 48, 60, 78, 92, 103, 139, 140, 148, 150, 160, 168, 214, 252, 259, 344, 350, 351, 367, 368, 383, 399, 435, 437, 439, 443, 465, 470, 485, 540, 552, 3—6, 566; 576, 589, 614, 622, 671—675, 578.



კი იმაზე მიუთითებს, რომ ქალღმერთი ევროპული არ არის. შესაძლებელია ის ადგილობრივი, საქართველოშიც, იყოს დამზადებული.

წიგნი დაწერილია in folio. თითოეულ გვერდზე (უმეტესად) 22 სტრიქონია, დაწერილია მხედრულთ, შავი მელნით, სათაურები და ხშირად აბზაცის დასაწყისი სიტყვები — წითლით. ხელის მიხედვით ეს წიგნი რამდენიმე გადამწერის ნახელავი ჩანს. აქ სულ ცოტა ორი სხვადასხვა ხელი გამოირჩევა

- ა. მსხვილი, მომრგვალო ლამაზი ხელი.¹
- ბ. შედარებით წვრილი და საშუალო სილამაზის ხელი².

ხელნაწერი ორ ნაწილად არის წარმოდგენილი, პირველი ნაწილი, რომელიც 1959 წ. გამოიცა (ზ. ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, გამოცემა „საბჭოთა საქართველო“, ტექსტი დაამუშავა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ) მოთავსებულია 1—174 ფურცელზე. 177-ე ფურცელზე თითქოს სრულიად ახალი სათაურით იწყება ტექსტის მეორე ნაწილი და, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირველი ნაწილი მექანიკურად იყოს აკინძული, შეერთებული მეორე ნაწილთან, როგორც სხვადასხვა კარაბადინების კრებული, მაგრამ თუ დავუკვირდებით, პირველი ნაწილი მეორესთან ორგანულადაა დაკავშირებული. ასე ფიქრობდა ალბათ ვახტანგიც, როდესაც ერთ წიგნად აკინძა ის და საერთო პაგინაცია გაუქვია. თვით ხელნაწერის პირველ ნაწილსა და მეორე ნაწილში გადამწერების ხელთა მონაცვლეობა საერთოა, რაც იმას მიუთითებს, რომ გადამწერებმაც ის ერთ მთლიან წიგნად გადასწერეს. გარდა ამისა, სტრუქტურული და ლექსიკოლოგიური შესწავლა გვანიშნებს, რომ ორივე ნაწილის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა. შინაარსობრივადაც წიგნის მთლიანი არქიტექტონიკა ნაკლოვანი იქნებოდა პირველი ნაწილის გარეშე, რადგან ის (I ნაწილი), მედიცინის ზოგად ნაწილს წარმოადგენს. აქ განხილულია დიაგნოსტიკის, პიგიენის ძირითადი საკითხები, აღწერილია სამკურნალო საშუალებათა ძირითადი სახეები და მათი ტექნოლოგია. მეორე ნაწილი კი წარმოადგენს მედიცინის კერძო ნაწილს. ამიტომ არის ის წიგნში სრულიად ახალი სათაურით მკვეთრად განცალკევებული პირველისაგან.

ხელნაწერის თარიღისათვის

ხელნაწერი აკინძული და განახლებულია ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის გაცილებით უფრო ადრინდელი უნდა იყოს. პროფ. ილ. აბულაძე და კ. გრიგოლია, რომელთაც შეისწავლეს ხელნაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წერენ: „პალეოგრა-

¹ ამ ხელით დაწერილია: 1—24, 117—254, 259—268.
² ამ ხელით დაწერილია: 263—351, 445-დან ბოლომდე.

ფიული თვალსაზრისით იქ საყურადღებოა ა-ნი; ბ-ანი; ო-ნი; პ-ანი; ჟ-ანი და ჩ-ინი. აღნიშნულ ასოებს ადრინდელი მოხაზულობა თვალსაჩინოდ აქვთ შენარჩუნებული. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე, ა-ნი თავისი ჩვეულებრივი, ნამგლისებური მოხაზულობის გვერდით უფრო ადრინდელი სახითაც გვხვდება. ეს უქანასყნელი უფრო წინამავალი ან მომდევნო ასოებთან გადაბმის შემთხვევაში გვევლინება.

ბ-ანი აქ ძველებურად დიდი ტანისაა. რაც მთავარია, ის ყველგან ხაზქვევით იწერება, ხაზზევით ბ-ანის მხოლოდ თავია აწეული. ო-ნი ბევრგან ტალღისებური სახითაა მარტივად მოცემული, მაგრამ საკმაოდ ხშირად ის ძველებურად ორკბილიანი „გადაბრუნებული“ სახითაც გვხვდება. პ-არი ყველგან თავისი ადრინდელი სახით იწერება, ასევეა აგრეთვე ჟ-ანიც.

ჩ-ინი ყველგან თავისი ადრინდელი მოხაზულობით გვევლინება. ასოს ბუნი ჩვეულებრივ დახრილი და გადატეხილია, მაგრამ მას თავი არსად შეკრული არა აქვს

ყველაფერი ეს მხედრული დამწერლობის ადრინდელი საფეხურის დამახასიათებელია და დაახლოებით XV საუკუნისათვის სრულიად ბუნებრივია.“¹

მაშასადამე, პალეოგრაფიული მონაცემებით, ხელნაწერი XV საუკუნისად შეიძლება მივიჩნიოთ ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ წიგნის ავტორი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი გადამწერთა მიერ ცოცხალთა შორის იხსენიება.

„ქ. ქრისტე ღმერთო, აღიდგე ორთავე შინა ცხოვრებათა ბრძენთ-მთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“.

მაშასადამე, ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი პირველადი, ავტორისეული ტექსტი უნდა იყოს. ის გადაწერილია თვით ზაზას სიცოცხლეშივე, ალბათ, მისივე ხელმძღვანელობით, ზაზა კი XV საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

ხელნაწერის დათარიღების საკითხის გარჩევისას, შემოხსენებულ ავტორები ყურადღებას მიაქცევენ აგრეთვე შემდეგ გარემოებას; ხელნაწერის 222 რ ფურცლის ზედა აშიაზე მარჯვენა კუთხეში ნუსხურით შემდეგი მინაწერი იკითხება:

„ქრისტე ღმერთო, აღიდგე დავითი, ძე მეფეთა მეფისა კონსტანტინისი“.

ამ მინაწერში ხსენებულ მეფე კონსტანტინეს საქართველოს სამეფო ტახტი ეკავა 1479 — 1505 წწ. და მის შვილს დავითს კი 1505 — 1525 წლებში, მაგრამ მინაწერის მიხედვით დავითი ჯერ კიდევ არ იხსენიება მეფედ, და კონსტანტინეს ხსენებაც ტექსტში ისეა ფორმულირებული, როგორც ჯერ კიდევ ცოცხლისა. როგორც ჩანს, მინაწერი ხელნაწერის

¹ ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, საქმედგამი, თბილისი, 1950, გვ. IX.

აშიაზე გაკეთებულია 1479 — 1505 წლებში, რაც თვით ხელნაწერის
დათარიღების საშუალებასაც იძლევა.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავას-
კვნათ, რომ ხელნაწერი უეჭველად XV საუკუნის მეორე ნახევარს მიე-
კუთვნება, უფრო ზუსტად, ამ საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებს.

ხელნაწერის გადამწერი

ტექსტი მხოლოდ ერთ-ერთი გადამწერის დადგენის საშუალებას
იძლევა. ის ორჯერ არის მოხსენებული მახარებლის სახელით, 177 r
ფურცლის აშიაზე, ქარავით მიწერილია სიტყვები, რომლებიც ასე წაი-
კითხება:

„ქრისტე შეიწყალე მჩხრეკელი ამისა უღირსი მახარებელი, ამინ“.

219 V ფურცლის აშიაზე მინაწერი კი ასოდაკლებულობის აღდგენის
შემდეგ ასე იკითხება:

„მშრომლისა მახარებლისათვის შენდობა ყავთ“.

მაშასადამე, გადამწერი ტექსტისა მახარებელია. მახარებლის ვინაო-
ბის დასადგენად პროფ. ილ. აბულაძესა და კ. გრიგოლიას მოჰყავთ
1482 წ. ჭარმაულთა მიერ მირთმეული ანდერძის წიგნი. ამ წიგნის ბო-
ლოს იკითხება: „დაიწერა ქ-კს რო კელითა მალალაძის მცხეთის ქადაგის
მახარებლისათა და მოწამეც არის“.

1492 წელს კი მახარებელს კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთის კათა-
ლიკოსისათვის მიცემული სიმტიციის წიგნიც გადაუწერია:

„დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ინდიკტიონსა

მეფობისა ჩუენისასა მეთათმეტესა ქ-ქნსა რჳ კელითა

ივანიას ძისა მცხეთის ქადაგისა მახარებელისათა“.

ამ საბუთთა შემდგენი მახარებელი და ძველის გადამწერი უსათუ-
ოდ ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს საბუთი კი საშუალებას იძლევა და-
მატებითი ცნობები გაირკვეს მახარებლის ვინაობის შესახებ, კერძოდ,
ირკვევა, რომ ის კონსტანტინე მეფის კარზე მდივან-
მწიგნობრის როლს ასრულებდა, მისი გვარია
მალალაძე, მამის სახელი ივანია, თანამდებობით
მცხეთის ქადაგი.

აპტორი — ზაზა ფანასკერტელი-ციციოვილი

ხელნაწერი თანაკლულია, მაგრამ მისი მეორე ნაწილის დასაწყისი
აშკარად მოუთითებს ავტორის ვინაობაზე. გარდა ამისა, თვით ტექსტში
რამდენიმეჯერ არის განმეორებული ზაზას სახელი „მკურნალისა“ და
„ბრძენთმთავრის“ ეპითეტით.

ტექსტის მეორე ნაწილი ზაზასადმი მიმართული სიტყვით იწყება:
„ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი
ფანასკერტელი ზაზა, ამინ“ (177 r).

ტექსტის სხვა ადგილებში ის შემდეგნაირად არის მოხსენიებული: „ქრისტე ღმერთო, ადიდე შენმერთოა ფანასკერტელი ზაზა“ (217 r); „ქრისტე ღმერთო, ადიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი“ (339 V); „ქრისტე ღმერთო, ადიდე ფანასკერტელი ზაზა“ (385 V); „ქრისტე, ადიდე პატრონი ზაზა ფანასკერტელი“ (39 r).

ამგვარად, ამ ხელნაწერმა, გარდა იმ დროის დრმა მეცნიერული სამედიცინო ტრაქტატისა, შემოგვინახა დიდი ქართველი ექიმის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელიც.

პროფ. ილ. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ საკმაო სიზუსტით გამოარკვეეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ ფანასკერტელთა გვარეულობა ადრინდენვე ცნობილია ძველ ქართულ წყაროებში — ისინი სამხრეთ საქართველოს — ტაოს მკვიდრნი იყვნენ და ფლობდნენ ფანასკერტის ციხეს, რომელიც მდებარეობდა მდინარე ბანა-ფანასკერტის ნაპირზე, რომელიც ზმირად საქართველოს სახელმწიფო საზღვრად ითვლებოდა. ამის გამო ფანასკერტელის ციხე მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და მათი მფლობელი ფანასკერტელები კი, ალბათ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ როგორც საქართველოს სამხედრო ძლიერებისა და თავდაცვის საქმეებში, ისე მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით ფანასკერტელთა გვარეულობის ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელი ყოფილა მიქელ ხუცესი, რომელსაც X საუკუნის მეორე ნახევარში სინას მთაზე უმოღვაწნია და გარკვეული ლიტერატურული მუშაობაც ჩაუტარებია. კერძოდ, მისი დავალებითა და ალბათ ხელმძღვანელობით ივანე საფარელს დაუწერია „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ამ დროისათვის ფანასკერტის ციხის მფლობელად ჯერ კიდევ არ სჩანან ფანასკერტელები. X — XI საუკუნეებში ეს ციხე მეფის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა. ხოლო იოანე ბატონიშვილისა და თამარის ისტორიკოსის მოწმობით, თამარს ომში წარმატებისათვის მხედართმთავარ ზაქარიასათვის უბოძებია ფანასკერტის ციხე და, როგორც ჩანს, აქედან წარმომდგარა ფანასკერტელის გვარეულობაც. „ამ დროიდან მოკიდებული, ისტორიის ასპარეზზე ფანასკერტელებიც ჩანან ისტორიულად ისინი ტაოს ერისთავები არიან და საქართველოს მეფის ძლიერებისათვის თავგამოდებით იბრძვიან.“¹

ფანასკერტელთა გვარეულობიდან სხვადასხვა დროს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ამ გვარის შემდეგი წარმომადგენლები: თაყა ფანასკერტელი (XIII საუკუნე), თაყა და ციცი ფანასკერტელები (XV საუკუნის პირველი ნახევარი).

¹ ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, საქმედგამი, თბილისი, 1950, გვ. 15.

ვახტანგ IV-ს ცოლად ჰყავდა თაყას და დედოფალ-დედოფალი სითიხათუნ.

ზემოხსენებული ციციშვილი უნდა იყოს ზაზა. თვით ზაზას ნუთი ვაჟიშვილი ჰყოლია: ქაიხოსრო, გიორგი, სიამში, მერაბი და ზაქარია. ზაზას შვილის მერაბის მიერ 1520 წელს გაცემულ ერთ-ერთ საბუთში ზაზა მოხსენებულია ციციშვილად და „დიდ ფანასკერტელად“:

„ქემან დიდისა ფანასკერტელისა ციციშვილისა პატრონისა ზაზას ქემან ცოდვილმან მერაბ“.

ამგვარად, ზაზა უკანასკნელი წარმომადგენელია ფანასკერტელთა გვარისა და პირველი ციციშვილი. ზაზამ, როგორც ჩანს, ეს გვარი მამის (ციცის) სახელიდან მიიღო, ალბათ, სამხრეთ საქართველოდან (კერძოდ, ფანასკერტიდან) შიდა ქართლში გადმოსახლების შემდეგ. ზაზა ფანასკერტელი ესმარებოდა გიორგი VIII-ს (1446—1476 წწ.) სამცხის ათაბაგ ყვარყვარესთან ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ის დამარცხებულია და იძულებული გამხდარა შიდა ქართლში გადმოსახლებულიყო. აქ მისთვის დიდძალი მამული უბოძებია კონსტანტინეს. მისი წყალობის წიგნში, რომლის პირი ჩვენ დრომდე შემონახული, ნაბოძარ მამულთა ჩამოთვლის გარდა, აღნიშნულია წყალობისა და ჯილდოს მიზეზებიც:

„თქუნ ჩუენისა ამოდყოფისა მეცადე მომჭირნესა და სახლისა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა... ოდეს ჩუენისა სიყუარულისათვის შავშეთს თქუენი მკვდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით“.

ზაზა, როგორც ჩანს, იმ დროისათვის უსათუოდ სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პიროვნებაა, ის ებრძვის თავისავე მთავარს, რომელიც მეფეს ლაღატობს. ის ამით სამეფოს ძლიერების მომხრედ, ქართული ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლის როლში გამოდის. კონსტანტინეს სიტყვით რომ ვთქვათ, ზაზა ქართველი სამეფოს „ამოდყოფისა მეცადეა“, რომელმაც მისი „სიყუარულისათვის შავშეთს“ მკვიდრი მამული დასთმო, დასტოვა და სამეფო კარის სამსახურად და „საერთგულოდ“ მოვიდა შიდა ქართლს, სადაც მისთვის უხვ მატერიალურ წყალობასთან ერთად სამეფოს ვაზირის — „მეჭურჭლეუხუცესის“ საპატიო ადგილი უბოძებიათ.

ზაზა ფანასკერტელი საბოლოოდ ძამას ხეობაში დაუსახლება მეფეს. ზემოხსენებული ბოძების სიგელი გაცემულია კონსტანტინეს მიერ 1467 წელს. მართალია, კონსტანტინე II (დემეტრეს ძე) მხოლოდ 1478 წელს ხდება მეფედ, მაგრამ, როგორც პროფ. დ. გვრიტიშვილი ფიქრობს¹, ძამას ხეობა და საერთოდ მტკვრის მარჯვენა სანაპირო კონსტანტინეს საუფლისწულოში შედიოდა და ამიტომ, ბუნებრივია, მეფის სურვილისამებრ კონსტანტინეს გაეცეს ბოძების სიგელი. ზაზა კონსტანტინეს

¹ დ. გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, სახელგამი, 1955 წ., გვ. 122, 123.

საუფლისწულოს თავადი უნდა იყოს. ზაზას პირდაპირი მემკვიდრეები „ზემო ციციშვილებად“ იწოდებოდნენ და ქართლის უწარჩინებულეს თავადებად ითვლებოდნენ შემდეგში. ამის შესახებ ვახუშტი თავის წიგნში (თავში „წარჩინებულთათვის“) წერს:

„გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულენი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი“.¹

ზაზა და მისი მემკვიდრეები რომ „ზემო ციციშვილებად“ ითვლებოდნენ, ამას იოანე ბაგრატიონი ადასტურებს:

„ზაზა ფანასკერტელი... გარდმოსახლა საქართველოსა შინა და მიუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფთა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი და დაასახლა მუნ“... „ზემო ციციანნი არიან, რომელნიც მძოვრეთის ხეობის მცხოვრები არიან. ხოლო ქვემო ციციანნი ნიჩბისის ხეობაში სახლობენ“.

ზაზას დასახლება ძამას ხეობაში, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ძამას ხეობა შიდა ქართლში შემოსასვლელი კარი იყო ქართლის მეფეებისადმი მტრულად განწყობილი ათაბაგებისა და ოსმალთა სამფლობელოებიდან და მეფემ სწორედ ათაბაგების ამ მძვინვარე მტერს ჩააბარა ქართლის ეს თავისებური ჭიშკარი. ზაზაც, როგორც ჩანს, თავგამოდებით იცავდა მეფის უფლებებსა და ქართლის სამეფოს სუვერენიტეტს. ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობენ ერთ ეპიზოდს: ყვარყვარე ათაბაგმა არეშელი ვაჭრის დასასჯელად, რომელსაც აუგად უსხენებია თვით ათაბაგი ახალციხელ ვაჭართან დავის დროს, 500 მებრძოლით ნებადაურთველად „შემოვლო კახეთი“. შეუტარცხყოფელი ვაჭარი ყურით მიაჭედა თავისი დუქნის კარებზე, შინ მიმავალ ყვარყვარეს ძამას ხეობა უნდა გაეგლო, მაგრამ „დახუდნენ ციციანნი და შიდა ქართველნი, იძლივნენ ქართველნი და წარვიდა ათაბაგი მშვიდობით“². ეს ამბავი მომხდარა „მეფისა კონსტანტინეს ჟამსა, ქ-ს ჩუჟდ ქრ რბგ“ (ე. ი. 1494 წ.).

ბერი ეგნატაშვილი ამავე ამბავს ასე აღწერს:

„შეიყარნეს გაღმართელნი და გამოღმართელნი ციციშვილები და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა, მაშინ დაუხდნენ ათაბაგსა და აუწყეს ქართველთა გაუშვებლობა...“³ დიდი ბრძოლა გაჩაღებულა, ორივე მხარე ძლიერ დაზარალებულა.

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1914, გვ. 25.

² ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ცხოვრება“, 1469 — 1800 წ. მღვ. გ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 23.

³ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1940 გვ. 44.

როგორც ჩანს, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი მეტად პრინციპული და ერთგული დამცველი ყოფილა მეფის უფლებებისა. მან ყველაფერს არ აბატია ქართლის სამეფოში დაუკითხავად გავლაც კი, მან ეს სამეფოს სუვერენიტეტის შელახვად ჩათვალა და სწორედ ამიტომ გაუმართა ბრძოლა შინ მიმავალ ყვარყვარეს.

ასეთივე სულისკვეთებით აღუზრდია ზაზას თავისი შვილები, მისი უფროსი ვაჟიშვილი ქაიხოსრო რამდენიმეჯერ არის ნახსენები ქართულ წყაროებში, სამშობლოს დასაცავად მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

„ხოლო წელსა ქ-ს ჩუბჭ ქრ როვ (1488 წ.—მ. შ.) წარმოვლინა იაყუბ ყეენმა სპასპეტი თვის ხალილბეგ სპითა... ამისი მსმენელი მეფე კონსტანტინე წარმოვიდა იმერეთიდან და წარმოავლინა წინარე ქაიხოსრო ციცი-შვილი და ჯავახიშვილი ჯავახი... ქაიხოსრო, ჯავახი და ბარათიანი და დაესხნენ ჭინდარს მდგომთა თათართა, მოსცათ ღმერთმან ძლევა და მოსრნეს სრულად.“¹

ეს ამბავი გაუგიათ თბილისში მყოფ თათრებს, რომლებიც შიშით გაქცეულან, მაგრამ:

„გარდაუსწვრეს კუმისის ბოლოს ქაიხოსრო ციციშვილმან და ბარათიანთა და იქნა ბრძოლა ძლიერი“.

მაგრამ ისინი ალყაშემორტყმულნი აღმოჩნდნენ თათრების მიერ. მემბტიანენი ქაიხოსროსა და მის თანამებრძოლთ ამ ბრძოლაში გმირებად სახავენ:

„მაშინ განხმნენ ბარათაშვილი სულხან, ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახიშვილი ჯავახი, ვითარცა წინითი გმირნი რომელნიმე და გამოვლნეს ბრძოლითა თათარნი ყოვლისა სპითა თვისითა.“²

1490 წელს „კვლავ ყეენმა წარმოავლინა ჯარი საქართველოში“. კონსტანტინე მეფის წინადადება, რომ საერთო ძალით ებრძოლათ თათრების წინააღმდეგ, ათაბაგმა და კახეთის მეფემ უარყვეს, დარჩა ქართლი მარტოდმარტო მტრის პირისპირ. თათრებმა იწყეს მორბევა „ორბეთის გარემოთა“. ქაიხოსროს ამ ბრძოლაშიც უსახელებია თავი.

„ესე ყოველი მოესმით ბარათიანთა ენავეთს მდგომთა და მათთანა ქაიხოსრო ციციშვილსა. თურმანის ძეს ქაიხოსროს და თავსა მათსა სულხან ბარათაშვილსა: ესენი წავიდნენ მსწრაფლად და მიეწივნენ თათართა მისვლასა და კვეთებასავე წარიქცივნეს ამით თათარნი და შესჯარნეს ღრატე კლდოვანთა და ლედოვანთა შინა და მოსვრიდნენ და სწყვეტდნენ, ვითარცა ქათამთა, რამეთუ დიოდთან სისხლი მათნი რულ.“³

გარდა იმისა, რომ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი საინტერესო პიროვნებაა თავისი პოლიტიკური ორიენტაციით, იგი ყურადღებას იქ-

1 ვახუშტი, ზემოდასახელებული შრომა, გვ. 20.

2 იქვე, გვ. 21.

3 იქვე, გვ. 22.

ეცეს აგრეთვე იმ საამშენებლო-კულტურული ღონისძიებებთან, რომლებიც მას ჩაუტარებია თავის საფეოდალოში.

მომავალი საციციანოს იმ სოფლებიდან, რომლებიც ფანასკერტელის ოჯახმა მიიღო შიდა ქართლში, ზაზას თავის რეზიდენციად მზორეთი აურჩევია. მზორეთი (ამჟამად ქარელის რაიონის სოფელი ორთუბანი), ძამას ხეობის შუა ადგილას მდებარეობს და, პლატონ იოსელიანის გადმოცემით, უძველეს ციხე-ქალაქს წარმოადგენდა:

„Мдзорети в нижней Карталинни, на Дзаме, притоке Кура, построен царем Мирдатом, в 113 году по р. х. В цветущее время, имел много жителей: но в половине VII века, разорен Мурваном Абдул-Казимом“¹, — წერს პლატონ იოსელიანი.

დაუდგენელია რა პირველად წყაროებს ემყარებოდა ავტორი ამ ცნობების გადმოცემისას და რამდენად სწორი და ზუსტია ყოველივე ეს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მზორეთი უძველესი ქალაქია, რასაც დღემდე შემორჩენილი ძველ ნაგებობათა ნანგრევები ადასტურებს. ეს უძველესი ციხე-ქალაქი გაუხდია ზაზას თავის რეზიდენციად და განუახლებია კიდევ აქ ქალაქური ცხოვრება. მოსახლეობა ახლაც მიუთითებს ქარვასლის ნანგრევებზე და სხვ.² მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია აბანოს არსებობა აქ, რაც უეჭველად ქალაქის დაწინაურებისა და მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა ღონის მიჩვენებელია. ეს აბანო ცნობილია როგორც ზაზას მიერ აშენებული. აბანო თითქმის დაუზიანებელია. ის მკვიდრად და საფუძვლიანად ნაგები შენობაა.³

ზაზას არჩევანს მზორეთში დასახლებაზე, ალბათ, ისიც უწყობდა ხელს, რომ აქ, მთაზე, ძნელად მისასვლელ ციცაბო კლდეზე აშენებული

¹ Города существовавшие и существующие в Грузии. — Сочин. Платона Иоселиани, 1850 г., Тифлис, гв. 52.

² 1958 წლის ოქტომბერში ვიმოგზაურეთ ძამას ხეობაში, მივაკვლიეთ და ადგილზე გავეცანით ზაზა ციციშვილის სახელთან დაკავშირებულ შემორჩალებულ ძეგლებს მზორეთში (ს. ორთუბანი), რომელთა მოკლე აღწერილობასაც ვიძლევეთ აქ.

³ აბანო ამჟამად იმყოფება კოლმეურნე სევერიან მელიქის ძე ჯაფიევის ეზოში. შენობა სიგრძით 15 მეტრამდეა, სიგანით, 7 მეტრი. მასში ორი მოზრდილი საბანაო ოთახია ცალ-ცალკე (ქალთა და მამაკაცთა განყოფილება?), შუაში ვიწრო დერაფენით. დამატებითი მომცრო ოთახებით, აუზით, რომლის კედლებშიც ოთხი (?) თიხის მილია ჩატანებული. საბანაო ოთახები თაღოვანია, თითოეულს საკუთარი გუმბათოვანი სახურავი აქვს, რომელსაც ცენტრში სარკმელი აქვს დატანებული, ალბათ, ჰაერისა და ორთქლის ცირკულაციისათვის. აბანო იმდენად სრულყოფილად არის შემონახული, რომ მიწაყრილისაგან გაწმენდისა და გასუფთავების შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი საცდელი ამუშავებაც კი გათბობისა და ექსპლოატაციის სისტემის დასადგენად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შემონახული უძველესი აბანოებიდან იშვიათთა დაუზიანებლად შემორჩენილი, და მათი გათბობისა და ექსპლოატაციის სისტემის დადგენაც მხოლოდ ვარაუდზეა დაყრდნობილი. ვფიქრობთ, ზაზას სახელთან დაკავშირებული მზორეთის აბანო ამ მხრივ მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს.



იყო ძველი ციხე, რომელიც საიმედო სიმაგრესა და საფარს წარმოადგენდა ძველთაგანვე. ის VII საუკუნის ნაგებობად ითვლება. ალუდგენია და შეუკეთებია ზაზა ფანასკერტელს, მის კედლებს ამჟამად ეტყობა შეკეთებისა და რესტავრაციის კვალი. აღსანიშნავია, რომ ზაზას შორეული შთამომავალი ნოდარ ციციშვილი XVII საუკუნეში შეთქმულების მოწყობისა და აჯანყების გამო როსტომ მეფისაგან დევნილი, ზაზას მიერ რესტავრირებულ ამ ციხეში ჩაკეტილა. დიდხანს ყოფილა როსტომის მიერ გარემოცული ციხე, მაგრამ ვერ მოუხერხებია მისი აღება. ბოლოს ზარბაზნები მოუტანიათ და ყუმბარები დაუშენიათ ციხისათვის, მაგრამ მაგარი კედლებისათვის მაინც ვერაფერი დაუკლიათ. მისი ნანგრევები დღესაც მეტად გრანდიოზული ნაგებობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ასეთი საიმედო ციხე-სიმაგრის ახლოს, ოდნავ ქვემოთ, მზორეთის მთის დავაკებაზე გაუშენებია ზაზას თავისი სასახლე დამხმარე და დამატებით ნაგებობებთან ერთად.¹

„იმერხევის დასავლით. ქამაზედ, არს მძორეთი. მცირე ქალაქი

¹ სასახლე და კარ-მიდამო, რომელიც ზაზას სახელთან დაკავშირებულ ძვირფას მემორიალურ ძეგლს წარმოადგენს, იმდენად შემონახულია, რომ მასში აშკარად გაირკვევა ცალკეულ ნაგებობათა სახე, დანიშნულება, ასე რომ შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ ზაზას კარ-მიდამოს მთლიანი სურათი. სასახლე გადასცქერის ქამას ხეობას. ამჟამად ის გზის პირას მდებარეობს. სასახლე საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა (40×15 მ). შემორჩენილი კედლების მიხედვით, სასახლე ორსართულიანი ყოფილა. თითოეულ სართულს „ჭიწინა სამი დარბაზი. რამდენიმე ოთახი და დერეფანიც (ს. მაკალათია). კედლები ნაშენია ქვიტიკრით (მრგვალი რიყის ქვები), კუთხეებში, კარ-ფანჯრებისა და ბუხრის ადგილზე ნახარია ბრტყელი გამომწვარი აგურიც. სასახლის უკან ოდნავ მარჯვნივ 30—40 მ დაშორებით ამართულია კოშკი, რომელიც მეტად მკვირვსა და რთულ ნაგებობას წარმოადგენს. ის შვიდსართულიანია, კედლებში შიგნიდან დატანებული აქვს კიბეები და სათოფურები. სასახლის მარჯვნივ შეიმჩნევა ჯერ კიდევ დაუდგენელი დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მარჯვნივ და მოშორებით კი ეზოს ბოლოს შემორჩენილია მცირე ზომის კარის ეკლესია. მთლიანად კარ-მიდამო გალავანშემოვლებულია. მისი ნაშთი დღემდე შემორჩენილია (დაახლოებით 250—300 მეტრზე). გალავანი სასახლის წინ (ჩრდილოეთით) და გვერდებზეა მხოლოდ, უკან (სამხრეთით) კი ეზო მზორეთის მთით მოისაზღვრება. კარ-მიდამო დაახლოებით ერთ ჰექტარამდე ფართობზეა განლაგებული.

ამრიგად, ზაზასეული სასახლის, მისი კოშკის, კარის ეკლესიის, სხვა ნაგებობათა ნაშთებისა და გალავანშემოვლებული ეზოს სახით შემორჩენილი გვაქვს საშუალო საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწის კარ-მიდამო. მიწანყარისა და საუკუნებრივი დანაფინებისაგან გაწმენდის, შესწავლისა და ერთგვარი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გვქნება მეტად საინტერესო თავისებური „მუზეუმი“ ღია ცის ქვეშ — XV საუკუნის საკარმიდამო ნაგებობათა მდიდრული კომპლექსით, რომელიც ფეოდალური ყოფის ცოცხალ სურათს აღადგენს.

მოსახლენი სომეხნი, ურიანი, ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენნი. ესე არს ძამის ციხე¹, ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა.“²

ციციშვილებს თავიანთ სამფლობელოში კიდევ სხვა საამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ. „ძამის შენაკადები გაუმავრებია საყარაულო კოშკებით, ძამის მტკვრის შესართავთან ციციანთ აუგიათ სამწვერისი დიდი ციხე... რომელიც გადასცქერის მტკვრის ხეობას თავისი სამფლობელოს კულტურულად დაწინაურების მიზნით ზაზას განუახლებია ყინცვისის მონასტერი, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ავტოცვლებდნენ სწავლა-განათლებას. ყინცვისის ტაძრის ეკვდერში დაცულია თვით ზაზას ფრესკული პორტრეტი მშენებლის პოზაში.“³

ყინცვისის განახლების სხვა სამუშაოებთან ერთად თვით ეკვდერი ზაზას მიერ ყოფილა მიშენებული.

ზაზას უაღრესად დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და სამეურნეო საქმიანობასთან ერთად მშენებრივად შეუთავსებია მეცნიერული მოღვაწეობაც, რადგან ის თვით ტექსტში იხსენიება როგორც „მკურნალი“ და „ბრძენთმთავარი“. ეს კი იმ დროისათვის მხოლოდ დიდი მეცნიერისათვის განკუთვნილი ეპითეტი იყო.

ზაზას გარკვეული ლიტერატურული მუშაობაც ჰქონია ჩატარებული, კერძოდ, მან იოანე ოქროპირის სწავლანი „შემოპკირბა“ თურმე და გადააწერინა, რაც მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონის მაჩვენებელია. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, მას ვიცნობთ უმთავრესად როგორც „მკურნალ ბრძენთმთავარს“ — „სამკურნალო წიგნის“ ავტორს.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის, მისი სამხედრო, პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მეტად დამახასიათებელია ციციშვილთა საგვარეულო ღერბი. ღერბის სურათი აღწერილობით 1873 წ. გამოქვეყნებულ იქნა „Всемирная иллюстрация“-ში. აღწერილობაში ნათქვამია:


„...თავად ციციშვილების ღერბი... წარმოადგენს ფარს, დაყოფილს 4 ნაწილად, პირველში ლაყვარდისფერ ველზე დიაგონალურად მარჯვენა ზედა კუთხიდან მარცხენა ქვედა კუთხემდე გამოსახულია დახვეული წითელი დროშა, მის ზევით — აბჯარასხმული მხედარი შემართული შუბლით, მარჯვნივსავე გაჭენებულ თეთრ ცხენზე. ღერბის ფარის მეორე

¹ როგორც პროფ. ს. მაკალათიამ გარკვევა, ვახუშტი შეცდომით უწოდებს მას ძამის ციხეს. ძამის ციხის ნანგრევები მდინარე ძამის სათავეს მიდამოებშია. ვახუშტის მიერ „ძამის ციხედ“ ნახსენები ციხე მზორეთის ციხეა (იხ. პროფ. ს. მაკალათიას „ძამის ხეობა — ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“).

ესარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდით პროფ. ს. მაკალათიას, რომელმაც ხელნაწერში გამაცნო ჭერ კიდევ დაუსტამბავი ხსენებული შრომა, რომელიც გამოვეყენე ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის.

² ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 58.

³ პროფ. ს. მაკალათია, ზემოდასახლებული შრომა, გვ. 10—12.



ნაწილში — ოქროსფერ ველზე — ფარი. მესამე ნაწილში — ფერსავე ველზე დიაგონალურად, დროშისავე მიმართულებით სვებულა ლაქვარდისფერი ზოლი, რომლის შუაშია ლათინური ლიტერა S, მეოთხე ნაწილში ლაქვარდისფერ ველზე გამოხატულია სიუხვის ოქროს რქა, რქა გადმოპირქვევებულია და მისგან ცვივა ყვავილები. ღერბის ფარი მოთავსებულია გაშლილ სათავადო მანტიანზე, რომელზედაც დადგმულია რუსეთის იმპერიის სათავადო გვირგვინი.¹

როგორც ჩანს, ღერბი ამ დროისათვის უკვე რუსიფიცირებულია. „რუსული სათავადო გვირგვინი“ და მანტია უთუოდ შემდეგში შეტანილი, გამაფორმებელი ელემენტებია და დიდ ფარზე გამოხატული საგვარეულო გამოსახულებანი კი ქართული წარმოშობის, ციციშვილების (ზაზას თუ მისი მემკვიდრეების) ადრინდელი ღერბის წამყვანი დეტალები უნდა იყოს.

ძნელი სათქმელია ამ ღერბის შექმნაში თვით ზაზა მრნაწილეობდა და საკუთარი სულერი სწრაფვანი ჩააქსოვა ღერბში და ამით განსაზღვრა მისი შთამომავლობის მომავალი ფუნქციები ერისა და სამშობლოს წინაშე როგორც გვარის დამწყებმა და მამამთავარმა, თუ მისმა მემკვიდრეებმა განასახიერეს მასში დიდი წინაპრის საქმიანობა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ღერბის სიმბოლური გამოსახულებანი საოცრად ეხმაურება ზაზას მრავალმხრივ მოღვაწეობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ღერბის ზემოხსენებული აღწერილობა არ უნდა იყოს ზუსტი. მარჯვენა ზემო კუთხეში გამოსახული „შუბოსანი აბჯარასხმული მხედარი — თეთრ ცხენზე მჯდომი“ ცხენის ფეხებთან „დახვეული დროშით“ არ უნდა იყოს ჩვეულებრივი მებრძოლი. ვფიქრობთ, ის წმინდა გიორგია ცხენის ფეხქვეშ განგმირული გველეშაბით და არა დროშით. აზრობრივადაც გაუგებარია: ცხენზე შემართული მებრძოლი და ფარი ორივე სამშობლოს დაცვის სიმბოლური გამოსახულებაა და არა გვეგონია ერთი იდეის ორი სხვადასხვა გამოსახულება ერთ ღერბში მოეთავსებიათ.

წმინდა გიორგის გამოსახვა ღერბზე გამართლებულია, მასში საერთოდ ბოროტებაზე გამარჯვების იდეა ჩაქსოვილი და არა მარტო სამშობლოს მტრისაგან დაცვისა (ფარი), და წ-ა გიორგი ხომ ქართული ქრისტიანული სარწმუნოებით ბოროტებასთან ბრძოლას განასახიერებს.

ღერბის აღმწერელს ვერ დავეთანხმებით აგრეთვე მესამე გამოსახულების განმარტებაში. ამ გამოსახულებას იგი „ლათინურ ლიტერა S-ად“ მიიჩნევს. ღერბზე კი აშკარად გველის გამოსახულებაა სტილიზებული თავით, რომლის მსგავსს ხშირად ვხვდებით ძველ ქართულ ძეგლებსა და ორნამენტებში. ასეთივე სტილიზებული თავით გველის გა-

¹ ციციშვილთა საგვარეულო ღერბის სურათი მოგვაწოდა დოც. გ. ციციშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით.

მოსახულება გვაქვს ბრინჯაოს უძველეს კოლხურ ცულზე¹ და საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ყელსაბამზე (ეშერის არქეოლოგიურ მუზეუმში აღმოჩენილი) სურ. 8 და 9 შეადარეთ ლერბის მესამე გამოსახულებას), აღწერილობაში ასეთ შესწორებათა შეტანის შემდეგ, ვფიქრობთ, ლერბის თავდაპირველი გამოსახულებანი საბოლოოდ ასე ამოიკითხება: წაგიორგი — ბოროტებასთან ბრძოლისა და გამარჯვების გამოსახულება, ფარი — სამშობლოს მტრისაგან დაცვის სიმბოლო, გველი — სიბრძნის (უმთავრესად საექიმო ცოდნის ემბლემა), რქა კი სიმდიდრის, დოვლათისა და სიუხვის მაჩვენებელი.

„ბრძენთმთავარსა“ და მკურნალ ზაზას, სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულსა, უდიდეს ფეოდალსა და მდიდარ მემამულეს სწორედ ასეთი ლერბი შეეფერებოდა.

ქართული ჰერალდიკა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, ის თავის მკვლევარს მოელის და, ვფიქრობთ, ბევრ საინტერესო სიტყვას იტყვის მათი შესწავლა ჩვენი ისტორიის ზოგიერთ საკითხზე. დღემდე გამოცემულ ძველ სამკურნალო ქართულ ძეგლთა შორის ზ. ფანასკერტელ-ციციშვილს „სამკურნალო წიგნი“ მეოთხეა. ადრე გამოცემული ძეგლები, გარდა იადიგარ დაუდისა“ (XVI საუკუნე) ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებს მას: „უსწორო კარაბადინი“ XI საუკუნის ძეგლია, „წიგნი სააქიმოა“ — XII საუკუნისა. ზაზას „სამკურნალო წიგნი“ კი, როგორც მტკიცდება, XV საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის.

ქართული კულტურის საგანძურში ამ ძეგლებს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. „წიგნი სააქიმოა“ კი შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებად ჩაითვალოს. თუ „წიგნი სააქიმოა“ ძველი ქართული კულტურის აღორძინების ძეგლია, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“ ისეთ პერიოდშია დაწერილი, როდესაც საქართველომ დაჰკარგა სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, როდესაც დაეცა ქართული კულტურა. „წიგნი სააქიმოა“-დან „სამკურნალო წიგნს“ სამასი წელი ამორებს. ეს პერიოდი უარესად მძიმე ეპოქას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში. ჯერ იყო და ჯალალედინის მეთაურობით ხვარაზმელები შემოესივნ საქართველოს (1225 წ.), შემდეგ ხან უზუნ-პასანი და ხან შაჰ-ისმაილი ანადგურებდა საქართველოს. თემურლენგის ხუთმა შემოსევამ კი წელში გასწყვიტა საქართველოს ძლიერება და კულტურა. XV საუკუნის ბოლოსათვის კი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მოღვაწეობის დროს, ერთიანი საქართველოს რღვევის პროცესი უფრო მწვავედ იგრძნობა. თუკი მანამდე საქართველო კიდევ ახერხებდა დროდადრო ფეხზე წამოდგომას (გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე I დიდი და სხვ), ახლა განსაკუთრებით იჩინა თავი

¹ ცული ინახება ცაგერის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში (ინვენტ. № 4).

შინაურმა რღვევამ. განკერძოებისადმი მიდრეკილებით სამცხე-საათაბაგოს მეთაურები ადრიდანვე იყვნენ ცნობილნი, ახლა მათ სწვენიერ თაგროებმაც მიჰბაძეს და ერთიანი საქართველოს სამეფო იმ დროისათვის საბოლოოდ დაირღვა. სწორედ ამ დროს, როგორც ზემოთაც ვთქვი, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისათვის მეზობლთა შორის შეიძლება ვიგულისხმოთ „სამკურნალო წიგნის“ ავტორი.

თავისი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით (ქართული ეროვნული ერთიანობისადმი ორიენტაციით) ზაზა ფანასკერტელი თავისი დროისათვის უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა. XV საუკუნის მეორე ნახევარში — პოლიტიკური და კულტურული დაკნინების ხანაში — ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს როგორც მეცნიერს და ამავე დროს სახელმწიფო მოღვაწეს, უდავოდ გარკვეული წონა ექნებოდა

* * *

1986 წელს განზრახულია ფართოდ აღინიშნოს ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დაბადების 550 წლისთავი. წინამდებარე „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემაა.

მთელ რიგ საიუბილეო ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია ის ახალი გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობასთან, ჩვენ ამ თარიღს მიუძღვენით მცირე გამოკვლევები ამ დიდი ქართველი მოღვაწისა ცხოვრებისა და შექვიდრების შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია: „ზაზას ნაკვალევზე“, „სისხლის ჯვარი“, „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის საფლავის საკითხისათვის“, „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ლექსიკლოგიური ნაშრომი“, „შვილები, სიაუშ“ და სხვ. მათ გარკვეული შუქი მოჰფინეს დღემდე უცნობ ფაქტებს. ამიტომ საიუბილეო გამოცემაზე დართულ გამოკვლევას სასურველია მოკლედ დაემატოს ეს ახლად დადგენილი ფაქტები ამ დიდი ქართველი მოღვაწის ცხოვრებიდან.

1751 წელს ყინწვისის მონასტრისადმი მიძღვნილ ხატზე, რომელიც ზაზას ერთ-ერთი შვილიშვილის შვილთაგანს უნდა ეკუთვნოდეს, იკითხება წარწერა, სადაც ყინწვისი აღიარებულია ციციშვილთა საგვარეულო სასაფლაოდ. ამ წარწერის შეჯერებამ მთელ რიგ მოკვლევებთან, კერძოდ, ყინწვისის მონასტერში ზაზას მიერ ეგვტერის მიწვნების ფაქტი, თვით ეგვტერის ფუნქციური მნიშვნელობა — ეგვტერი წარმოადგენს „ეკლესიასთან მიდგმულ საგვარეულო სასაფლაოს; საგვარეულო საძვალეს“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“), მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი დასაფლავებულია ყინწვისის მონასტრის ეგვტერში, იქ, სადაც მისივე ფრესკაა გამოხატული.

საიუბილეოდ განზრახულია დაწესდეს საექსკურსიო ტურისტული მარშრუტები, ზაზას სახელთან დაკავშირებული სოფლების, ~~ადგილების~~ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების, ეკლესიების, მონასტრების, აბანოს, სასახლისა და მათი დამხმარე ნაგებობის (კარის ეკლესია, საყარაულო კოშკი, წყალსადენი და სხვ.) ჩვენებით. ზემოთ ჩვენ მოკლედ აღწერეთ ეს ძეგლები, ამჟამად კი უკვე გამოვლენილია და მათ რიცხვს შეემატა კიდევ ერთი ტობონიმური ძეგლი „სისხლის ჯვრის“ სახელწოდებით, რომელიც ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ყვარყვარე ათაბაგისა და ზაზას ზემოხსენებული ინციდენტი, რომელიც სისხლისღვრით დამთავრდა, მოხდა სოფ. არადეთთან, ერთ-ერთ გორაზე. „ქართლის ცხოვრებას“ ზუსტად შემოუწინავეს ამ ბრძოლის თარიღი: წელი, თვე რიცხვი და ადგილი: „ქრისტეს აქეთ ჩუბდ, თუესა აგვისტოსა იბ, არადეთს“, ე. ი. 1484 წლის 12 აგვისტოს სოფ. არადეთის (ქარელის რაიონი, საციციანო) გორაზე. „რომელსა გორასა, — აგრძელებს მემათიანე; — მას მიერ დღიდან ეწოდების სისხლის ჭუარი და ვიდრე დღეინდელად დღემდე სისხლის ჭუარად სახელ-სდებენ“.

ამგვარად, სოფ. არადეთთან „სისხლის ჭუარად“ წოდებული გორა მნიშვნელოვანი მემორიალური და, ასე ვთქვათ, „ტობონიმური ძეგლია“. მასთან დაკავშირებული ინციდენტი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელია. საფიქრებელია, რომ ამ გორაზე დაღუპულთა პატივსაცემად თვით ზაზას ან მის მემკვიდრეთა მიერ, უთუოდ, აღმართული იყო ჯვარი და ეს ტობონიმიც ამ ჯვარიდან უნდა მიმდინარეობდეს („სისხლის ჯვარი“).

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ და მოკლედ შევეხეთ ზაზას შვილების ქაიხოსროსა და მერაბის შესახებ შემონახულ ცნობებს. ზაზას ხუთი ვაჟი-შვილიდან მესამედ სიაოში იხსენიება 1467 წელს კონსტანტინე მეფის მიერ ზაზასადმი მიცემულ წყალობის სიგელში. სიაოში არსად არ ჩანს ქართულ წყაროებში, არც „ქართლის ცხოვრებაში“, არც ეპიგრაფიულ მასალებში. ჩვენ ერთ-ერთ ზემოხსენებულ გამოკვლევაში (იხ. „შვილები, სიაოში“), გამოვთქვით მოსაზრება სიაოშ ზაზას ძე ფანასკერტელ-ციციშვილისა და სპარსეთში მოღვაწე სახელგანთქმული მხატვრის სიაოშ-ბეგ ქართველის იდენტურობის შესახებ. როგორც ცნობილია, ზაზას თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობას წინსვლა-წარმატების დიდი შესაძლებლობა ჰქონდა ირანის სამხედრო თუ სახელმწიფოებრივ სარბიელზე, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ბევრი მათგანი ბედს ცდიდა ირანის შაჰის კარზე. ჩვენი ყურადღება მიიქცია ის-ქანდერ მუნშის ცნობებმა სიაოშ-ბეგ ქართველზე, რომელიც ირანის შაჰის კარზე მოღვაწეობდა როგორც მხატვარი და თვით შაჰთან დაახლოებული პირი; მეგობარი, მისი „ლოლამი“ ყოფილა, სიაოში ქართვე-



ლად იხსენიება წყაროებში, ხოლო ბეგად იწოდება. ისეთი ქართველი რომელიც შაჰის კარზე თვით შაჰის პირად მეგობრად და ბეგის ტიტულით იხსენიება, უსათუოდ, დიდგვაროვან მთავრებში უნდა გვეძებნა. ქართულ ანტროპონიმებში უცნობმა და, საერთოდ, „უნიკალურმა“ სახელმა სიაოშმა, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ვაჟიშვილზე მიგვანიშნა. აღსანიშნავია, რომ არც მომდევნო პერიოდშიც არსად არაა სახელი სიაოში დამოწმებული, გარდა საქართველოს იმ ტერიტორიისა, სადაც სწორედ ციციშვილთა გავლენა ვრცელდებოდა. ამ მოსაზრების მთელ რიგ ისტორიულ ფაქტებთან შეჯერებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ გამოჩენილი ირანელი მხატვარი სიაოშ-ბეგი ქართველი, ზაზას მესამე შვილი სიაოში უნდა იყოს. ზაზა — (თუ მისი ოჯახი) მხატვრობით უნდა ყოფილიყო გატაცებული. მისი პატარა ეგვიპტური მთლიანად მოხატულია შესანიშნავი ფერწერული ფრესკებით, აქ, გარდა პორტრეტებისა, წარმოდგენილია კომპოზიციური მხატვრობის საუცხოო ნიმუშები, შრომისა და ბრძოლის ეპიზოდებით, ცნობილი ყინწვისის ანგლოზთაგან განსხვავებით პატარა, უმშვენიერესი ანგლოზებით და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზაზას ეგვიპტის ეს მხატვრობა, რომლის ნაწილი უკვე წაშლილია, ნაწილი კი კარგად არის შემონახული, ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ჩვენი ცნობილია სიაოშ-ბეგ ქართველის „შევარდენი“, ევროპის ერთ-ერთ მუზეუმში შემონახულად მიიჩნევენ აგრეთვე მის ერთ სურათს. ირანში მისი შემოქმედება მთლიანად ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ზაზასეული ეგვიპტის მას მოეხატოს. ზაზასეული ეგვიპტის ფრესკული მხატვრობის შესწავლამ და „შევარდენთან“ შედარებამ, შესაძლოა, ერთგვარი შუქი შეიტანოს ამ მოსაზრების გარკვევაში.

ზაზას შვილების გარდა, მათი შორეული შთამომავლობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი და უძვირფასესი ხელნაწერის შემკვეთი და გადამწერი „სარდარ სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილია“, რომლის ლიტერატურული საქმიანობა და ქართული კულტურისადმი მეცნაობა შემთხვევითი არაა. მისი ახლო ნათესავები, ოჯახი, თანამედროვენი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ლიტერატურულ ტრადიციებთან; კერძოდ, მის ძმას ზაალს 1661 წელს გადაუწერინებია და მდიდრულად „უნაკლო და ყოვლითურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატულითა“ მოურთავს წიგნი „ჟამგულანი“, ზაზასა და ზაალის ახლო ნათესავია ნოდარ ციციშვილი, ცნობილი პოეტი 1650-იანი წლებისა, „ბარამ-გურის“ მთარგმნელი, აგრეთვე პოეტი ნანუჩა ციციშვილი და სხვ.¹

¹ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გამოც. „საბჭოთა მწერალი“, 1958, „ვეფხისტყაოსნის ერთი ხელნაწერი“, გვ. 200.




„სამკურნალო წიგნი“, როგორც უკვე ვთქვით, საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომია. მასში საკმაო სიზუსტითაა მოცემული მედიცინის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების განხილვა.

ზაზას „სამკურნალო წიგნი“ არ წარმოადგენს მხოლოდ კომპილაციას, მის ძირითად ლიტერატურულ წყაროდ ძველი ქართული სამედიცინო ძეგლები უნდა მივიჩნიოთ.

ცალკეული საკითხების განხილვისას ავტორი სარგებლობს ადრინდელი ქართული სამკურნალო ძეგლებით, რაც აშკარად შეინიშნება ცალკეული თავების არათანმიმდევრული (პირველადი წყაროებიდან მოყოლილი) დანომვრით (იხ. შენიშვნა გვ. 74-ზე), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზაზას მექანიკურად კი არა აქვს გადაწერილი ტექსტი პირველადი წყაროებიდან, მას თავის საკუთარ შემოქმედებითს ლაბორატორიაში აქვს გატარებული თითოეული საკითხი. ამას ისიც გვიჩვენებს, რომ მთელი წიგნი ძირითადად ერთგვაროვანია სტილისტურად. დაცულია ერთობლიობა ლექსიკური მასალისა, ტერმინოლოგიისა, სამკურნალწამლო საშუალებათა ქართული სახელწოდებებისა, სპარსულ-არაბულ ტერმინთა ქართული ტრანსკრიპციისა. ამდენად ზაზას წიგნი ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, თუმცა მასში, რასაკვირველია, ბერძნულთან და რომაულთან ერთად უხვად არის გამოყენებული აღმოსავლური ტერმინოლოგია და აღმოსავლური სამედიცინო პრინციპები, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ყველა ქვეყნისა და ერის იმდროინდელ სამედიცინო ლიტერატურაში.

„სამკურნალო წიგნის“ I წიგნი, როგორც ზემოთ ვთქვით, ორგანულადაა დაკავშირებული ტექსტის მეორე (1950 წ. გამოცემულ) ნაწილთან. კერძოდ, პირველ ნაწილში განხილულია ჰიგიენისა და დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები, სამკურნალწამლო საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის ზოგადი საკითხები (ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სისრულითაა წარმოდგენილი).

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი წიგნი განსხვავდება დღემდე გამოცემული სხვა სამედიცინო ძეგლებისაგან. შინაარსობრივად ის არსებითადაა განსხვავებული ადრე გამოქვეყნებული ტექსტებისაგან. განსაკუთრებით ეს ითქმის ტექსტის ძირითად ნაწილზე (24 v — 170r), სადაც სამკურნალწამლო საშუალებათა ძირითადი ფორმები და მათი სახეები შედარებით ვრცლად და სისტემატიზირებულად არის განხილული. ამ მხრივ წინამდებარე გამოცემაში მოყვანილი ტექსტი, უთუოდ, უნიკალურია. ძველ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ფორმებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების ასეთი ვრცელი და სისტემატიზირებული აღწერილობა არც ერთ გამოცემულ თუ გამოუცემელ ძეგლში არ შეგვხვედრია. ჭერჭერობით.



პირველი წიგნის ტექსტი თავის მხრივ, შინაარსის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად დაყვით: პირველ ნაწილში (1 დან 24 რამდე) განხილულია შემდეგი საკითხები: ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები, პათოლოგია, დიაგნოსტიკისა და ზოგადი ჰიგიენის ზოგადი და ძირითადი საკითხები. მეორე ნაწილში კი (24 V—170 რ) განხილულია სამკურნალ-წამლო საშუალებათა ძირითადი ფორმები და მათში შემავალი ცალკეული ნაერთები.


პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს შემდეგ ცალკეულ საკითხებს: სნეულის გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის ხერხებს: „ველთა დაბანითა“ (ხელის ნაბანი წყლით), მაჯის გასინჯვით, შარდისა და განავლის გამოკვლევებით, ავადმყოფის ასაკის დადგენით, წელიწადის დროთა და კლიმატური პირობების გავალისწინებით, ინსპექციითა და ანამნეზური ცნობების შეკრებით. აქვე აღწერილია ჰუმორულ კომპონენტთა აღრევით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობის ძირითადი ნიშნები, ძილისა და ტანსაცმლის ჰიგიენის საკითხები, კლიმატოლოგიური მონაცემები იმდროინდელი გავებით, და ბოლოს ცალკე თავად არის მოცემული („აწ ჩუეულობის დაწეროთ“) ადამიანის ორგანიზმზე კლიმატის, ცხოვრების პირობების, გარემოს ზემოქმედების მეტად საინტერესო საკითხები.

როგორც წიგნის პირველი ნაწილის ტექსტიდან ირკვევა, ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ძირითად ფორმებად იმ დროისათვის ითვლებოდა შემდეგი სახელწოდების რთული ნაერთები:

მაჯუნები (მათ შემადგენლობაში ითვლება თრიაყებიც), გუარიშნი, იარაჯი, მატბუხი, შესამარცხლებელნი და შაიფნი (?), ლუოკნი (სალოკელნი), აკრასთასა, ანუ კუერნი შესაქნელნი, ლიდიმედი (გარე შესაცხებელნი), ზეთები, სიქანქუბინი, შარბათები, მწნილნი, ეს ფორმები კლასიფიცირებულია, დაჯგუფებულია არა მოქმედებათა მიხედვით, არამედ ამ წამლეულთა გარეგნული ფიზიკური მდგომარეობისა და ფორმის მიხედვით. თითოეულ ფორმათაგან ათეულობით არის წარმოდგენილი წამლეულთა სხვადასხვა სახეები, რომლებიც უმთავრესად სახელდებულია ძირითადი, წამყვანი სამკურნალწამლო ნივთიერებების მიხედვით. მაგალითად, გუარიშნი ქარვისა, გუარიშნი ტიბისა და სხვ. აქ ძირითადი ნივთიერებაა, პირველ შემთხვევაში ქარვა დარჩეული, მეორეში სუმბული ტიბი. ისინი პირველ რიგში იწერება სამკურნალ ნივთიერებათა შორის. ხშირია რთული შემადგენლობის წამალთათვის ალბათ ავტორისეულ სახელთა მიკუთვნებაც, მაგალითად, იარაჯი თიადორიტოსისა, იარაჯი ვალიანოზისა, დემოკრატეს შარბათი და სხვ.

ამათგან მთავარ ფორმებს წარმოადგენს მაჯუნები, გუარიშნი და იარაჯი.

ტექსტის მიხედვით ვერ ხერხდება ამ სამი ფორმის ურთიერთისაგან განსხვავება. მედიკამენტის შემადგენლობის ფორმის მიმცემი ნივ-



თიერების ტექნოლოგიური პროცესების, თუ წამლის მიღების წესებზე მხრივ ისინი ერთმანეთისაგან თითქოს არ განსხვავდებიან.

მაჯუნს პროფ. ილ. აბულაძე განმარტავს როგორც „წამლებისაგან შემზადებულ სამკურნალო ფაფას“. ექ. ლ. კოტეტიშვილის აზრით კი, მაჯუნი არის „წამლის შემადგენლობა, შენაერთობა, შეზავებულობა კონფორტატივი“.

მართლაც, თითქმის ყველა მაჯუნში მედიკამენტები შეზეულია თაფლში, ალბათ თხელი „ფაფის“ სახით, რათა ისინი „შეისმონ“ შიგნით მიღების დროს. ექ. ლ. კოტეტიშვილის განმარტება არ უნდა იყოს სწორი, რადგან საერთოდ წამლის „შედგენილობის“ აღმნიშვნელი რომ იყოს მაჯუნი, ის გამოყოფილი არ იქნებოდა სხვა ფორმებისაგან, რადგან სხვა ფორმებიც წამალთა „შედგენილობასა და შენაერთობას“ წარმოადგენს.

მაჯუნთა კარშია განხილული თრიაყებიც, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესები განსხვავდება ერთმანეთისაგან, თრიაყი, თერია, ანუ თერიაყი საბასაც აქვს განმარტებული: „თერიაყი — სამსალის მკურნებელი“. ს. ჰსალა კი, მისივე განმარტებით, „მომაკუნდებელი“ წამალია. საბას ეს განმარტება შეესაბამება ზაზას განმარტებას:

„არგებს ყოველსა მოწამულსა, ღრიანკელ ნაკბენსა უშუელის და ცოფნაკბენსა ძაღლისა უშუელის და ყოველსა ცოფნაკბენსა და ბრაზიანსა უშუელის“. მამასადაძე. ის მოწამულთა სამკურნალო საშუალებაა. თერიაყი მეტად რთული შემადგენლობის წამალია. ის შედგება: 3 სახის, აგრეთვე რთული შემადგენლობის „კუერთაგან“: ასკილის კუერი, გველის კორცის კუერი და აღრომიზინის კუერი, რომელთაც მიერთვის 60-მდე სხვადასხვა სამკურნალო საშუალება. მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესებიც რთულია ჩვეულებრივ მაჯუნთან შედარებით; მთელი ნაერთი თავსდება ღვინოში ერთი ღამის განმავლობაში, შემდეგ უნდა დადნეს ის „ვითა მალამო“. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი შერევა თაფლთან. წამალი უნდა შემზადდეს მხოლოდ გაზაფხულზე („ესე წამალნი შეკაზმენ გაზაფხულ“). ზემოხსენებულ ნაერთს „დიდი თერიაყი“ ეწოდება. არსებობს პატარა თერიაყიც, რომელიც მხოლოდ ოთხი შენაერთისაგან მზადდება.

თრიაყთა და მაჯუნთა საერთო სახელწოდების ქვეშ სულ განხილულია 73 სახის რთული შემადგენლობის წამლები. თითოეული წამლის აღწერისას მოკლედ ჩამოთვლილია დაავადებები, რომელთა წინააღმდეგაც იხმარება ის.

გუარისვნებში განხილულია 42 სახის წამალი, იარაჯთა შორის კი — 21.

ტექსტში ნათქვამია მ ა ტ ბ უ ხ თ ა შესახებ. ის უდავოდ გამოწინახარშია. თითქმის ყველა მატბუხის შემზადების წესი ასეა წარმოდგენილი:

„შეპკობინე ესე წამალნი და ქვისა ქოთანსა შიგა ჩასდვა, ანუ თან-
გირაგთა წმიდათა და ზედა ბაღდადური ექუსი ლიტრა წყალი დასნი
წმიდა და აგბო, ვირე მისგან ორი ნაწილი წავიდეს და ერთი ნაწილი
დარჩეს“.

არსებობს მატბუხთა ერთი ფორმა, რომელსაც მოღულაბი, ანუ
მუღულაბი (მუღლაბი — არაბ. მუყალობ — ლ. კოტეტიშვილი) ეწო-
დება. მატბუხისაგან განსხვავებით ის პერმეტულად დახურულ ჭურ-
ჭელში იხარშება.

„ყუელაი კოჭობშიგა ჩაყარე, წყლითა აავსე, ცომითა პირი მოუგ-
ლისე თა მოადღუე ასრე, რომ მესამედად ჩაიყაროს და იმა წყლისაგან
თუითოსა თასსა გამოსწურევი“. მოღულაბი არის „მატბუხების წინათ
მისაცემელი“ წამალი. ის უნდა მიეცეს „ერთითა დღითა წინათ“.

მატბუხები ორგვარია — „გასახსნელნი“ (საფაღარათონი) და „არა
გასახსნელნი“.

მარცვლები, ანუ აბების შემზადების წესი ასეა აღ-
წერილი:

„შეპკობინე ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კალნაბისა წყლითა
შეზილენ, ანუ წყლითა ნელტფილითა და მარცულად დაქნენ და ჩრდი-
ლსა გააქმო“, ან ასე:

„ეგე ყოველი სწორი წონი დანაყე კიდისკიდე და დასცრენე და
კამისა წყლითა შეზილენე და დიდრონად მარცულად დაქნა ერვანდისა
ზომად და ჩრდილსა გააქმო. შესმა, წონი დრამისა, ვირე ორ დრამამდე
და ნახევრამდე“.

მაშასადამე, აღებული სამკურნალწამლო საშუალებანი უნდა დაინა-
ყოს კარგად, გულდასმით („კიდისკიდე“) გაიცრას, შემდეგ უნდა შეიზი-
ლოს კამის, კალნაბის ან ნელთბილი წყლით, გაკეთდეს („დაქნა“) მუხუ-
დოს ზომის მარცვლებად, გახმეს ჩრდილში, მარცვლები მზადდება შიგ-
ნით მისადებად („რომელ არიან... პირსა ასახუმელნი“).

ლოკონი სალოკელი წამლებია („რომელ არიან სა-
ლოკელნი“).

„თაფლითა შეზილენე და ჭურჭელსა ჩასდვა და ლოკოს მისგან
დილა მწუხრისა, სარგებლისა არს“.

„...ჭურჭელსა ჩასდვა და ლოკო მისგანი დილა მწუხრი“.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წამლების „ლოკით“ მიღებას, შიგნით
მისადები წამლეულის სხვა ფორმათაგან განსხვავებით, ტექსტის მიხედ-
ვით ამის დადგენა არ ხერხდება. სულ აღწერილია 13 სახის სალოკო
წამალი.

კვერები — „აკრასთასა“, ანუ „კუერნი შესაქნელნი“ — ცალკე
ფორმას წარმოადგენს მარცვლებისაგან, აბებისაგან განსხვავებულს
გარეგანი ფორმისა და სიდიდის გარდა. სხვა განსხვავება მათ შორის არ
უნდა იყოს. მათი შემზადების წესი ერთი და იგივეა.

„დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და წყლითა შეზილნე და კუერიდ დაჰქმნა და ყოველი კუერი დრამისა წონი ჰყო და როდესა გინდეს წინ იკმარე“, ან კიდევ:

„დანაყენ წამალნი, დასცრენ და ბახარკატონასა ლაბითა შეზილო და კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააკმო, შესუმა, კუერი ერთი, წყლითა ვრილითა“.

დანაყვა, ვაცრა, წყლითა ან ლაბითა შეზელვა, „დაჰქმნა“ (კვერებად ან მარცვლებად) და ჩრდილში გახმობა — ზუსტად ერთნაირი პროცედურაა ორივე ფორმისათვის, მხოლოდ მარცვლები მრგვალი ფორმისა უნდა იყოს და „კუერები“ კი — კვერის ფორმისა.

გ ა რ ე შ ე ს ა ც ხ ე ბ ე ლ ნ ი — ლდიმედი, ანუ ლიდიმედი „რომელ არიან გარე შესაცხებელნი წამალნი... აგრე იკურნას ზედაშედეგით“. ეს წამლები კეთდება წყალში (ვარდის წყალი, კალნაბის წყალი და სხვ.), ზეთებში (ვარდის ზეთი, ნარდის ზეთი და სხვ.), ან თაფლში.

„რომელ დასანაყელია, დანაყე და რომელი გასადნობელია, გადნევე ლიტრისა ნახევრითა საროსა თაფლითა და ზედა შეიდვა“. შეცხების გარდა, მას იღებდნენ მატყლით:

„იცხოს გარეგნით და მატყლითა ქუედაღმით შეიდვას“,


„როდეს ვიკმდეს, მატყლი დაასოვლო და მტკიანსა ფერკსა ზედა დასდვა, შეუხუიო“.

„და კაცი, რომელი ფუშსხმული იყოს, პირადმართით დააწვინე და წელნი შედმართ შეუკრვინე და ესე წამალ ზედა სცხო და ბანბა ზედა დააკრა და მუნამდე წევს, ვირემ წამალი ზედა შეჰკმეს და ესე წამალი მუნამდე არა აკადო, ვირემ თუით არა უკადოს“.

როგორც ჩანს, „გარეშესაცხებელი“ წამლით თიაქარსაც კი მკურნალობდნენ.

ტ ლ ე. გარეგანად სახმარი წამლის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ადგილობრივ ხმარობენ სიმხურვალისა და საერთო მაღალი ტემპერატურის დროსაც. მას საბაც ასე განმარტავს: „ტლე — სიცხიანის სადები წამალი“. ზაზაც წერს: „არგებს მკურვალსა ვარამსა, რომე კაცსა კელისა სწუვენ“. იქვე სქოლიოში ტექსტისეული ხელით მიწერილია „სიცხისათუის კარგია“ (ე. ი. საერთოდ მაღალი ტემპერატურის დროს). აღსანიშნავია, რომ ქართლში დღემდე შემორჩენილია ასეთი გამოთქმა: „ტლედ დაგედებო“. ე. ი. საამოდ, დამამშვიდებელ მაღამოდ დაგედებო. ჩანს, ტლეს უაღრესად კეთილსასურველი გავლენის მოხდენა შეეძლო ავადმყოფზე.

შ ე ს ა ქ მ ა რ ი ზ ე თ ი. წამლები კეთდებოდა აგრეთვე ზეთებში. ზეთებში გაკეთებული წამლები ცალკე ჯგუფად არის ტექსტში აღწერილი. ზეთებს იყენებდნენ ფორმის მიმცემ ნივთიერებად, ისინი იხმარებოდა აგრეთვე როგორც შემადგენელი ნაწილი წამლის შემზადების პროცესში: ჯგუფი წამლებისა იხარშება ზეთებში, ნაწილი კი უნდა მოთავს-



დეს ზეთთან ერთად „მწუანესა კოკისა“... „ზედა მოაკრა და მზესა დას-
დგა ორმოცსა დღესა და იკმარო“. სახელწოდებანი წამალს წამკვანძვენი
ძირითადი წამლეულის მიხედვით ეძლეოდა მაგალითად, კოკინა, მწუანესა, მწუანესა
ზეთი, ბაბუნაჯისა ზეთი, ცერეცოსა ზეთი. ეს წამლები ზოგი შიგნით
მისაღებია, ზოგი საცხებელნი. სულ განხილულია 22 რთული შემად-
გენლობის წამალი — „შესაქმარი“ ზეთში შემზადებული.

ს ი ქ ა ნ ქ უ ბ ი ნ ი. არიან ესენი „სასუმელნი შესაქმართასა“,
მზადდება ღვინოში (ან ძმარში). სამკურნალწამლო საშუალებათა ნაერ-
თებს უნდა „დაასხა ზედა ათი ლიტრა ძმარი თეთრისა „ლუინისა უკე-
თისი“. ძმარში ამყოფებენ ერთი დღე-ღამე, შემდეგ ადულებენ, „ვირემ
წავიდეს მესამედი“. შემდეგ კი უნდა გადაიწუროს. ნაწურს ურთავენ 8
ლიტრ პერულმოხდილ თაფლს, კვლავ ადულებენ, „ვირემ შესქელდეს“.
თაფლის ნაცვლად ხშირად ხმარობენ შაქარს.

სიქანქუბინები შიგნით მისაღები წამლებია.

შ ა რ ბ ა თ ი. სულ განხილულია 41 შარბათი, შარბათი უმთავრესად
ხილეულისაგან მზადდება, გარჩეულ, დანაყილ ხილს გამოსწურავენ
წვეს, რომელსაც ჩაუმატებენ სასურველ სამკურნალო საშუალებაში
და ადულებენ შესქელებამდე. ხშირ შემთხვევაში მას ურევენ შაქარს,
თაფლს.


ამგვარად, შარბათების ფორმის მიმცემ ძირითად ნივთიერებას
წარმოადგენს ხილეულთა წვენი. შარბათები მხოლოდ შიგნით მისაღები
წამლებია.

მ წ ნ ი ლ ნ ი, გ ა მ ო ზ რ დ ი ლ ნ ი. მწნილი სამკურნალო საშუა-
ლებათა ისეთი ფორმაა, რომელიც „გამოიზრდება თაფლითა და იკმა-
რება სნებათა შინა“, მათი „გამოზრდა“ შაქარშიც შეიძლება. თუ საბას
დავემოწმებით, „გამოზრდილი, შაქრით შენახული ხილები, რომელსა
ნარაჯსა და ჭულანგუბინს უწოდენ თურქთა მკურნალნი“.

ხილი თუ რომელიმე სხვა სამკურნალო საშუალება გარკვეული
დროის განმავლობაში ინახება შაქარში ან თაფლში, რომელიც უნდა
„უღლიმო კვლითა და ქუევერსა ჩასდვა და მზესა დასდგა ცხელსა და
თხელითა მიჰრითა მოჰკრა ზედა და მოურივდე ყოველსა დღესა,
რომელ არა დამჟავდეს“. ხშირად მათ წინასწარი შემზადება სჭირდებათ.

ყოველნი, რომელნი გამოიზრდებიან თაფლითა, კმანან დაღობა
მარილწყალითა, რომელ შემწიფდენ და მერმე გვრე, როდეს გამოიღო
მარილწყალისაგან და ჩასხნე წყალსა წმიდასა, რომელ არა იყოს მარილი
მას შინა და, მერმე ჩასდვა თაფლსა და სცნა, ვითარმედ ერავის მარილ-
წყალისა გამოღებისასა უკანას ამათ გამოსაზრდელთასა უწინა ჩასხენ
შაბსა შინა, რომელ არს დანასკუდისა, დაამებენ მითა და მერმე ჩასდ-
ბენ თაფლსა შიგან“.

ტექსტში მწნილის, ანუ გამოზრდილის სულ 16 სახეობაა განხი-
ლული.



ამგვარად, ტექსტში განხილულია სამკურნალო საშუალებათა 14 ძირითადი ფორმა და მათი 405 სახეობა. ზაზას წიგნში გაშუქებულია იმდროინდელი ფარმაცოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ტექსტის გაცნობით საშუალება გვეძლევა გარკვეული წარმოდგენა მივიღოთ ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალწამლო საშუალებათა დამზადებისა და გამოყენების, ფარმაცოქიმიის განვითარების იმდროინდელ დონეზე. ჩვენ მხოლოდ მოკლედ, ზოგადად, ვეხებით ამ საკითხს.

ფანასკერტელ-ციციშვილის წიგნში მოყვანილ სამკურნალო საშუალებათა ნამდვილი მეცნიერული შესწავლა, ცხადია, მომავლის საქმეა. ვფიქრობთ, წიგნში მითითებული, თითოეული სამკურნალწამლო საშუალება შესწავლილ უნდა იქნეს სპეციალისტ-ფარმაცოლოგთა მიერ ფარმაცოქიმიურ ლაბორატორიებში და მათი ეფექტურობის დადგენის მიზნით შესაძლებლობის მიხედვით გამოიცადოს ექსპერიმენტულ თუ კლინიკის პირობებში. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ასეთი შესწავლა, გამოცდა, შედეგების მიხედვით, გასცდეს ისტორიული ინტერესების ფარგლებს და ზოგიერთი ამ სამკურნალო ნივთიერებათაგანი ახალ (თუ განახლებულ) საშუალებად შევიდეს ფარმაცოლოგიის ახლანდელ არსენალში, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ჩინეთის სინამდვილეში, სადაც ხალხური წამლები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

უკანასკნელ, ცალკე თავად არის გამოყოფილი მოწამვლები, მათი კლინიკა და ანტიდოტები.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ იმდროინდელი სამედიცინო მეცნიერების სისტემაში მოწამვლები შედიოდა როგორც ცალკე თავი, როგორც გამოყოფილი და ჩამოყალიბებული ერთ-ერთი დარგი.

მოწამვლები, როგორც ავტორი ამბობს, სამკურნალო საშუალებათა ზედმეტი დოზებისა და საკვები პროდუქტების მიღების შედეგად ვითარდება.

„კაცმან რომე ზომისაგან ნამეტნავი წამალი ჭამოს და აწყინოს და ანუ მოწამლულ იყოს კაცი, ამა ნიშნითა შეიტყუების“.

დამუშავებული და დადგენილი იყო ცალკეული მომწამვლელი ნივთიერებებით გამოწვეულ დაავადებათა კლინიკური სურათი, მაგალითად:

„იუბსი ჰილპილი რომე კაცსა კაცისათუის ეჭმევინოს, მისი ნიშანი ესე არის: რომე კაცი დაეცეს და პირსა წყალი მისდიოდეს და პირშიგაენა გაუსივდეს და ბევრი იტიროს და თუალები წამოუსივდეს, მერმე უძლებად შეიქნას“.

კლინიკურ ნიშანთა აღწერას მოსდევს მომწამვლელ ნივთიერებათა გამანეიტრალებელ (სამკურნალო) საშუალებათა, ანუ ანტიდოტთა აღწერა („ამისი წამალი ესე იყოს...“).

როგორც ჩანს, იმ დროს იცნობდნენ 43 მომწამვლელ ნივთიერებას.

„მოჰმად და ზაქქარია აქიმი ამას იტყუის, ვითა ორმოცდასამი წამალი არის, რომე შხამი აქუს და კაცსა აწყენს“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოწამელის კლინიკური სურათი და მოწამლულის მკურნალობა დღემდე გამოცემულ არც ერთ ძველ ქართულ სამკურნალო ძეგლში არაა აღწერილი ასეთი სისრულით, ზაზას წიგნი ამ მხრივ უნიკალურია.

ზაზას „სამკურნალო წიგნში“ საინტერესოააა გამოცემული აგრეთვე სადი აგნოზო საშუალებანი, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავადმყოფთა ობიექტური გასინჯვის მეთოდები და სხვ.

მოცემულია უაღრესად რაციონალური სქემა ავადმყოფთა გამოკვლევისა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი გონებამახვილობით. ავადმყოფობისადმი მეცნიერი „აქიმის“ დამოკიდებულებაში ავტორი გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს სნეულის „გამოკითხვას“, რასაც დღეს ანამნეზს ვუწოდებთ.

„და აქიმი მეცნიერი უნდა, რომე შეიტყუას გუნება კაცისა სიმრთელესა ზედან და აგრეთვე სნეულისა გამოარჩიოს გუნება, და კარგად გასინჯოს შექმნა და წაკიდება სნებისა, და შეიტყუას სიდიდე და სიმცრო სენისა და გამოიკითხოს სნებისაგან, და მერმე ვკითხოთ მას უკნის და შეუტყოთ, რომელი შესულიყოს გულსა ზედან სნებისაგანი, ანუ წაკიდებისაგანი.“¹

ჩანს, რომ გამოკითხვა აქ შემთხვევით მოტანილი სიტყვა არაა. ავადმყოფის გამოკვლევის სისტემაში „გამოკითხვა“ შედის როგორც დიაგნოსტიკის ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეოხებითაც „აქიმ-მეცნიერმა“ უნდა გაიგოს დაავადების ხასიათი, „შექმნა და წაკიდება სენისა“ (დღევანდელი გაგებით დაავადების ეტიო-პათოგენეზი). სიდიდე და სიმცრო სენისა (დაავადების სიმძიმე) და სხვ.

ავადმყოფის გასინჯვისა და გამოკვლევების ჩატარების დროს ექიმი სარგებლობს წინასწარ შემუშავებული სქემით. სქემა შეიცავს 9 ძირითად „ნიშანს“, რომელთაც უნდა მიაქციოს ექიმმა ყურადღება. ზაზას ასე აქვს ჩამოყალიბებული ეს „ნიშნები“:

„იცოდით ესეცა, რომე ცხრა ნიშანი უნდა იცოდეს მკურნალმან და მით ცნას სნება და სენი, რომელ აშფოთებულ იყოს და დამატებულ იყოს მათ საზღვართაგან: პირველად¹ მაჯასისა შეტყუებითა: მეორედ — ფსლისა ნახვითა ჭიქითა, მესამედ — თუ რათა დღეთა იყოს კაცი იგი, ყრმა იყოს თუ მოწიფული, ანუ შუააკაცი, ანუ ბერი: მეოთხედ — თუეთაგან წელიწადისათა; მეხუთედ — განავლისაგან; მექუთხედ — ბურანისა შეტყუებითა; მეშუდიდედ — ჰაერთაგან, და თემისა და ქუეყნისა ჰაერთაგან — თუ ცივიაქუეყანა, ანუ

¹ ზაზასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია (მ. შ).

ცხელია, მერვედ — შესახედავისა, პირისა ფერისა და გუამისათა,
ლა მეცხრედ — მოკითხვა სწეულისა“². აქვე გვ.

მაშასადამე, დიაგნოზის დასმისათვის ექიმმა უნდა გასინჯოს ავად-
მყოფის მაჯა, გამოიკვილოს განავალი, შარდი, დაადგინოს დაავადების
დრო, ხანგრძლიობა, გარკვევის კრიზისი (ბურანი). ამასთან მხედველო-
ბაში უნდა მიიღოს კლიმატური პირობები, რომელშიც უხდება ავად-
მყოფს ცხოვრება (სამხარეო პათოლოგიის გათვალისწინების მიზნით),
უნდა დააკვირდეს ავადმყოფის გამომეტყველებას, სახესა და ტანს, შეჰკ-
რიბოს ცნობები დაავადების დაწყების, განვითარებისა და მიმდინარეო-
ბის შესახებ.

განვიხილოთ რაში მდგომარეობს თითოეული ამ „ნიშნის“ არსი. და
გავეცნოთ პრაქტიკულად როგორ ახორციელებენ ამ გამოკვლევას.

მაჯის გასინჯვა. მაჯის გასინჯვა ერთ-ერთ ძირითად მეთოდად ითვლე-
ბოდა დიაგნოზის დასმისა, დაავადების მიმდინარეობისა და სიმძიმის გან-
საზღვრისათვის.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ძველ ქართულ სამე-
დიცინო ძეგლშია აღნიშნული მაჯის გასინჯვა.

მაჯის გასინჯვისას მხედველობაში იღებდნენ პულსის ფიზიოლოგი-
ურ ლაბილობას აღელებების, შიშის, ფიზიკური დატვირთვის და სხვა
შემთხვევებში.

„ოდეს ნახო ძარღუი თითთა შენთა ქუეშე... გამოკითხე ყოფა და
დგომა და ჯდომა, ჰამა და წოლა. და თუ ანაზღად ერბინოს, გინა შეძრულ
იყოს ცხენითა, იყოს ძარღუის ცემა ფიცხლად და სავსედ“.

აღსანიშნავია, რომ მხედველობაშია მიღებული ქალის გასინჯვის
დროს მისი სიმორცხვისაგან და აღელებებისაგან გამოწვეული აჩქარებუ-
ლი პულსაციაც კი.

„ოდეს კელსა დედაკაცსა უნახვიდე გრძლად, ნუ გაუტეობ, ვირე
ბუნება არ დასწყნარდეს, უცხოსა კელისა შეხებითა ბუნება შეეშლების
და ძარღუი აშფოთდების, შეახე კელი, დააცალე დაწყნარებად, რათა
სცნა და არას იტყოდის სიძცხუილითა“.

შემოხსენებული 9 ნიშანი ზაზას წიგნის კერძო ნაწილში მხოლოდ
ჩამოთვლილია. ამ ნიშნების ცალ-ცალკე განხილვა მოცემულია პირველი
ნაწილის ტექსტში და ეს გასაგებიცაა, რადგან ის ზაზას წიგნის ზოგად,
ასე ვთქვათ, პროპედევტიკულ ნაწილს წარმოადგენს.

ზაზას მიხედვით, პათოლოგიური პულსის ნაირსახეობა დამოკიდე-
ბულია ჰუმორალურ ელემენტთა თანასწორობის აღრევისაგან.

„...ოდეს შეიპყრა ნესტუი კაცისა კელისა მარჯუენისა და გცემდეს
თითთა შენთა ქუეშე მსწრაფლ და ფიცხლად და ნესტუი იგი სავსე და
სხუილ იყოს, ცან რამეთუ გაძლიერებულ იყოს სიფიცხლე და ფსწრაფლ
ფეთქა“, ე. ი. ჩქარი, ფიცხელი, სავსე და „სხუილი“ მაჯა დამახასიათე-

ბელია ნისხლის სიჭარბისათვის. ყვითელი ნალველის სიჭარბისათვის და მახასიათებელია ჩქარი და ერთობ წვრილი პულსი.

შავი ნალველის მომატებისას — გვიანი (ნელი) სუსტი და „წულილი და მსრიდ იყოს“.

თელგმის სიჭარბისათვის ნიშანდობლივია „სხუილი და სასვე“... „ნელად და უსუსურად“ მოძრავი პულსი. ჰუმორალურ ელემენტთა აღრევის სხვადასხვა სახეობის (მაგალითად, ყვითელი ნალველისა და თელგმის ერთდროული სიჭარბე, ან სისხლისა და თელგმის ერთდროული სიჭარბე და სხვ.) პულსის პათოლოგიის თავისებური ფორმებია აღწერილი. გარდა ამისა, აღწერილია აგრეთვე პულსის დარღვევის, არითმიის შემდეგი სახეები: ქურციკისა ხლდომა, ზიში ან, ჭიანჭველის ძვრა (ჭინჭუელისა ძურაი) და ე. წ. „მარტო“.

„ოდეს შეიპყრა ნესტუი მარჯუნისა კელისა და მალე ფეთქდეს და წურილად იყოს და დასცბრეს, ფეთქდეს განა მცირედ და კუალად, ფეთქდეს დიდსა ჟამსა, მას ქურციკისა ხლდომა ჰქუიან“. მაშასადამე, არითმიის ისეთ სახეს, როდესაც მაჯა აჩქარებულია, სუსტია, აკეთებს პაუზას, კვლავ აჩქარდება და ა. შ., ავტორი „ქურციკის ხლდომა“ უწოდებს მეორე სახის არითმიას ზიშიან. აქ იგივე სურათია, მხოლოდ „წურილის“ ნაცვლად პულსი „სხუილია“ — „თუ სხუილი იყოს და ესრე სახედ ფეთქდეს ვითა ზემო სწერია“. ორივე სახის არითმიას პროგნოზულად მძიმე მდგომარეობად თვლის ავტორია. „ესე ორნივე სიკვდილისა ნიშანსა ასწავებენ“.

არითმიის მესამე სახეა „მარტო“, რომელიც ავრეთვე სიკვდილის მომასწავებელია. „თუ ღრმად და ძარღუთა ქუეშე ფეთქით ამალდებოდეს და ვითა ზეამოვიდეს დასცბრეს და კუალად ესრე სახედ ფეთქდეს“.

საინტერესოა არითმიის ის სახე, რომელსაც „ჭინჭუელისა ძურას“ უწოდებენ, რომელიც, როგორც ჩანს, არითმიის სხვა სახეთა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობის მომასწავებელია, რადგან მას თვლიან „მსწრაფლი“ სიკვდილის ნიშნად.

„თუ ნესტუი ვითარცა ჭია ანაც ვითარცა ჭინჭუელი, ძურებოდეს, ესე სიკუდილისა ნიშანია მსწრაფლ. ამას ჭინჭუელისა ძურაი ჰქუიან“.

არითმიის ეს უკანასკნელი სახე, ვფიქრობთ, შეეფარდება დღეისათვის კლინიკაში ცნობილ „მაფისებურ პულს“, რომელიც მართლაც პროგნოზულად მძიმე მდგომარეობის მომასწავებლად ითვლება დღესაც.

შარდის გამოკვლევა. შარდის გამოკვლევა უმთავრესად ჰუმორალურ ელემენტთა აღრევის ნაირსახეობაზეა დამყარებული: თუ სისხლი ჭარბობს და ამით არის პათოლოგიური მდგომარეობა გამოწვეული, შარდი წითელი, სქელი და მღვრია, ყვითელი ნალველის მოჭარბებისას — წითელი, თხელი და წმინდაა, შავი ნალველის სიჭარბისას — თეთრი, თხელი და წმინდაა, თელგმისას — შარდი თეთრი, სქელი

და მღვრიეა. შარდის თვისებები თითოეულ შემთხვევაში ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორიის საფუძვლებით არის განმარტებული.

მაგალითად, შარდის წითელი ფერი სიმხურვალეზე მიუთითებს, სისქე და სიმღვრიე კი — სინოტივეზე და ა. შ. გარდა ამისა, ორი ჰუმორალური ელემენტის შეერთება („ორთა ბუნებათა შეერთება“) თავისებურ პათოლოგიას იწვევს და შარდიც თავისებურ სურათს იძლევა, მაგალითად, როდესაც შეზავებულია, შეერთებულია ყვითელი ნალველი და შავი ნალველი (ე. ი. ორივე ჰუმორალური ელემენტის ერთდროული სიჭარბე), მაშინ შარდი თხელი და წმინდაა ის მოყვითალო ფერისაა („შორის სითეთრესა და სიწითლესა“) და ა. შ. გარდა ამისა, შარდის სურათს ხშირად დაავადების სიმძიმისა და პროგნოზის განსაზღვრისათვის იყენებენ:

„ფსელი თეთრი, ვითარცა წყალი, ყრმათა ჩუილთა, და ბერთა გარდასრულთა სიკუდილისა ნიშანია“, ე. ი. წყალივით თეთრი შარდი ბავშვებსა და ღრმა მოხუცებში სიკვდილის ნიშნად ითვლება.

სიკვდილის მომასწავებელია აგრეთვე „ფსელი მწუანე, სქელი და ხშირი და მყრალი“. მაგრამ საინტერესო გაფრთხილებას იძლევა ავტორი, როდესაც ამბობს, რომ სიკვდილის პროგნოზს ნუ დავამ („გაბრძობ“) ერთითა მოწმითა“, ე. ი. სანამ ზემოხსენებულ ყველა ცხრა ნიშანს არ გაითვალისწინებო („ვიდრე ცხრანივე ესე არა იმოწმე“).

ასაკობრივი ნიშნების გათვალისწინება. ავადმყოფის გამოკვლევის დადგენილი სისტემის მესამე „ნიშანთაგანია“ „თუ რათა დღეთა იყოს კაცი იგი“, ანუ „ცნობისათვის და შეტყუებისა დღეთა კაცისათა“. ამ მეთოდით დაავადების გარკვევაში ხაზგასმულია ადამიანის ასაკის გათვალისწინება. „სამკურნალო წიგნის“ ავტორის განმარტებით, ადამიანი დაბადებიდან 17 წლამდე სისხლის ბუნებისაა („სისხლი უფლებს მის ზედა“), 17-დან 35-მდე — ყვითელი ნალვლის ბუნებისაა, 35-დან 55 წლამდე — შავი ნალვლის ბუნების, 55 წლის ზევით კი — თელგმის (ბალღამის) ბუნებისა. რადგანაც ჰუმორალურ ელემენტთა ასეთი „სიჭარბე“ (რომელიც თავისებურ „ბუნებას“ ქმნის) ასაკობრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, ის, ალბათ, ერთგვარ ფიზიოლოგიურ ვარიაციებად ითვლებოდა. სწორედ ასეთი წარმოდგენის შედეგად ექიმს ავადმყოფის გასინჯვისას მხედველობაში უნდა მიეღო ჰუმორალურ ელემენტთა ასაკობრივი სიჭარბენი. ახალგაზრდა (17 წლამდე ასაკის) ავადმყოფი, რომელიც „სისხლის ბუნებისაა“ ფიზიოლოგიურად, ექიმს არ უნდა ჩაეთვალა „სისხლის მოჭარბებით“ დაავადებულად, და ა. შ. მაშასადამე, დიაგნოზის დასმასა და დაავადების გარკვევაში ასაკს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

„თუეთაგან წელიწდისათა“. იმ დროისათვის ავადმყოფის გამოკვლევის უაღრესად რაციონალურ სქემაში მეოთხე ნიშნად, გამოკვლევის მეოთხე მეთოდად შეტანილია მეტად არარაციონალური მუხლი — და-

ავადების განსაზღვრის ასტროლოგიური ხერხი: მარტი, აპრილი, მაისი ითვლებოდა მხურვალედ, სისხლის ბუნების მქონედ; ივნისი, ივლისი, აგვისტო — მხურვალედ და ხმელად — ყვითელი ნაღვლის ბუნებისა; დეკემბერი, იანვარი, თებერვალი — გრილ და ნოტიოდ — თელგმის ბუნებისა. ასევე თვის ცალკეულ დღეებს თავისი „ბუნება“ ახასიათებს: თვის პირველი 7 1/2 დღე — სისხლის ბუნებისა არის, თვის მე-7 1/2-დან მე-14 დღემდე — ყვითელი ნაღვლის ბუნების, 14-დან 22-მდე შავი ნაღვლის ბუნების, 22-დან 30-მდე — თელგმის ბუნების. ასეთივე თვალსაზრისით თვით დღე-ღამეც დაყოფილი იყო საათებად, დამახასიათებელი „ბუნების“ მიხედვით. პირველი სამი საათი „დილისანი“ სისხლს ბუნების იყო და ა. შ.


მაშასადამე, ექიმი ვალდებული იყო დაავადების დადგენისას გაეთვალისწინებინა წელიწადის დრო, თვე, თვის რიცხვი და საათიც კი, რადგან მაშინდელი წარმოდგენით, ეს მომენტი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ერთ-ერთი ჰუმორალური კომპონენტის სიჭარბისათვის.

განავლის გამოკვლევა. განავლის ფიზიკური თვისებების შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაავადებათა და კერძოდ კუჭ-ნაწლავთა დაავადების დიაგნოსტიკაში. ადამიანის ჯანმრთელობისა და „ბუნებათა სწორობის“ მაჩვენებელია კუჭ-ნაწლავის დროული და პერიოდული მოქმედება („გაზოგებულად ჯდომა“). მაგრამ თუ „წუთ-წუთად გავიდოდეს“, ეს დაავადების ნიშანია. ყურადღებას აქცევენ აგრეთვე განავლის ფერს, სუნს, კონსისტენციას, მინარევებს (სისხლისა და ლორწოს). კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს ექიმი ვალდებულია განავალი ყოველდღე ნახოს: „და აქიმათა ასრე მართებს, ყოველთა დღეთა ნავალსა და ახედვიდენ“ (გვ.). როგორც ჩანს, ამით განსაზღვრავდნენ დაავადების სიმძიმეს და პროგნოზს. კუჭ-ნაწლავის მოქმედების პერიოდულობა არა მარტო განსაზღვრავს პათოლოგიურობას, არამედ დაავადების ლოკალიზაციის დასადგენადაც იხმარება. სხვათა შორის დღეს კლინიკაში მიღებული ტერმინის „ჭინთვის“ შესატყვისად ავტორი ხმარობს „ზიდვებს“.

„თუ აღრე-აღრე და გაურჯელად იყვანდეს, ესე სენი ზემოთა ნაწლევჩიგან იყოს, თუ ცოტად აზიდვებდეს და ჯდომაშიგან რჯიდეს, შუასა ნაწლევჩიგან იყოს და თუ მწოედ აზიდვებდეს და მწოედ რჯიდეს; ქუემოთა¹ ნაწლევჩიგან იყოს“.

მაშასადამე, თუ კუჭ-ნაწლავის ხშირი მოქმედება არაა დაკავშირებული ჭინთვებთან და დეფეკაციის სიძნელეებთან, პათოლოგიური პროცესი ნაწლავების ზემო ნაწილშია, საშუალო ზომის ჭინთვებისას — ნაწლავის შუა ნაწილშია, ხშირი მოქმედებისა, ძლიერი ჭინთვებისა და სიძნელეებული დეფეკაციის დროს კი — ნაწლავების ქვემო ნაწილში. არა მარტო „ზიდვებითა“ და კუჭ-ნაწლავის მოქმედების სიხშირით, არამედ

¹ ტიქსტში შეცდომით წერია „ზემოთა“.



თვით განავალში არსებული ლორწოიანი მინარევებით ცდილობენ ნაწილად
 ლავეებში პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის დადგენას.

„ნაწლავი სამი არს: ერთი ზემო, ერთი ქვემო და ერთი შუა. თუ ესე სენი ქუემოსა ნაწლავშიგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ესე წელისა ნახუეწი სხუილ-სხუილი გამოვიდოდეს. თუ ეს სატკივარი შუათა ნაწლავთა შიგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს: წელთა ნახუეწი წებოვითა იყოს. თუ ზემოსა ნაწლავსა შიგან იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე წელთა ნახუეწი წურილი იყოს“. (გვ. ...).

ავტორის მოსაზრებით, სენი თუ ქვემო ნაწლავშია, „წელისა ნახუეწი“, ანუ ლორწო, მსხვილ-მსხვილია; თუ შუა ნაწლავშია — ლორწო წებოსავით იქნება. დაავადების ზემო ნაწლავში ლოკალიზაციისას კი „წელთა ნახუეწი“ წვრილია. ამგვარად, დაავადების ლოკალიზაციის განსაზღვრას ცდილობენ განავალში მინარევების მიხედვით.

ნაწლავთა შიგთავსზე ნაღვლის წვენი მოქმედებას რომ იცნობდნენ, ამაზე მიუთითებს შემდეგი განმარტება: განავალი, რომელიც ყვითელია და „არა ყროდის“, კარგია, რადგან ეს ნიშანია იმისა, რომ ყვითელი ნაღველი ნაწლავებში ჩასულა და, როგორც ჩანს, საჭიროდ უმოქმედია განავალზე. განავლის ფიზიკური თვისებების შესწავლას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ პირველ სამ დღეს წამალს არ აძლევდნენ, რათა სურათი არ წაშლილიყო და დიაგნოზის დასმის საშუალება არ დაკარგულიყო.

„აწ ამა სენშიგან აქმისა ასრე მართებს, რომე სამ დღემდის წამალსა ნურას აჭმევს, ამისთვის რომე წამლისა უჭმელობა მრთელზედან დააყენებს... ვეღარ შეივებს, თუ რისგან არს და მრავალი ზიანი ეცემის.“ (გვ. ...).

განავლის ფერს გარკვეულ დიაგნოსტიკურ ღირებულებას აძლევდნენ „განავალი მცირედი თეთრი იყოს მგლინარე და შიგან სიმწუანისა ეღვარობა ერთოს, ურვილისა ნიშანია“.

„იყვანდეს ფერადფერადსა და ზედან ქაფივითა ადგეს და კორცისა ნახარშივითა“... განავალი იქნება „რომე ნახარშისა ქაფი არისო.“ (გვ. ...)

იციან აგრეთვე, რომ ხშირად „ყვანა“, ანუ დღევანდელი გაგებით, ენტეროკოლიტები, გასტროგენული წარმოშობისაა, რადგან „დიდი განავალი წყლის მგზავსი გუითხრობს ვითარმედ არა შეუგბია სტომაქი სნეულისასა.“ (გვ. ...).

ან კიდევ: „საჭმელსა ჭამდეს და ისეთსავე უდნობსა გავიდოდეს... ნავალი მოყვითანო იყოს და ანუ მოწითანო“, ე. ი. განავლის არანორმალური კონსისტენცია (წყლისმაგვარი) და „მოუდნობელ“ ნივთიერებათა მინარევები გამოწვეულია კუჭის არანორმალური მუშაობით. გარდა განავლის კონსისტენციისა, ფერისა და სუნისა აკვირდებიან მის მინარევებს ლორწოსა და სისხლის სახით „ერთი ფერი ყვანა მისი ნიშანია... უწინა იყვანდეს წყალსვითა, და მერმე სისხლად გარდაეჭ“.

ცეს. უკნის განავალსა რომე დახუნდეს, წელთა ნახუწივითა რომე გავიდოდეს.“ (გვ. ...).

ან კიდევ:

„პირველად ყვანა დაუწყოს, მერმე წელთა ნახუწივითა დაუწყოს ყვანა, ისი ნახუწი თეთრი იყოს და ან სისხლად გარდაექცეს. მერმე ყვანა მის უკნის კიდევ ნაცრის ფერად გარდაექცეს“.

„...ნავალი მწუანე კალიბი იყოს და წელთა ნახუწი სხუილ-სხუილი იყოს. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ნამეტნავისა სიცხისაგან სჭირდეს“.

ეს „წელთა ნახუწი“ ცუდი მდგომარეობისა და დაავადების გართულების მაჩვენებელია, რადგან „თუ წელთა ნახუწმან ყოველთა დღეთა უფრო და უფრო იმატოს, ავი ნიშანი არის.“

განავლის საშუალებით მეტად სერიოზული პროგნოზული დასკვნები გამოჰყავთ:

„ამით ყოველთა უვადრესი განავალი, რომელი სიკუდილისა გუთხრობს, წმიდა და შავი, ანუ ვითარცა სისხლი მყრალ დიდად.“ (გვ. ...).

ან კიდევ:

„განავალი ვითარცა ნახლი მგლინვარე, ანუ მწუანე, გინა ვითა სისხლი, ესე თუ აღრეულად გამოვიდეს სიკუდილისა ნიშანია.“

მეექვსედ — ბურანისა შეტყუებითა. ექიმი ვალდებულია ზემოხსენებული სქემის მიხედვით გაარკვიოს ბურანი, ე. ი. იმყოფება თუ არა ავადმყოფი ბურანის მდგომარეობაში ან როდისაა ბურანის დრო ამა თუ იმ ავადმყოფობისათვის.

რას ნიშნავს ბურანი? ამ კითხვაზე უფრო ვრცელ და უფრო გარკვეულ განმარტებას იძლევა აღრინდელი ძეგლი „წიგნი სააქიმოა“. ირკვევა, რომ ბურანი არის მანკის (დაავადების) და ბუნების (ორგანიზმის) ურთიერთ გადაწყვეტი შებრძოლება, რომლის დროსაც ავადმყოფი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდება. მაშინდელი გაგებით ეს არის მომენტი, როდესაც ან მანკმა უნდა გაიმარჯვოს და დაიღუპოს ავადმყოფი, ანდა გართულდეს დაავადება. თუ „ბუნება“ იმარჯვებს, ავადმყოფი გაუმჯობესების გზას დაადგება. ჩანს, ეს ის მომენტია, რომელსაც ჩვენ დღეს დაავადებათა კლინიკაში „კრიზისის“ ვუწოდებთ, რასაკვირველია, სულ სხვა გაგებით.

ბურანი „მაშინ იქნების, რომელ ბუნებაჲ ჰავსა ხილტსა კარგისაგან გაყაროს და გააკიდგნოს, და მერმე თუ შეეძლოს ჰავსა მანკსა ტანისაგან კიდე გაუყენებს, და მაშინ მას ჟამსა რომელ ბუნებაჲ მანკსა ებრძოდეს სხეულსა აშფოთებდეს, და შეცვლის და გაუძნელდების სნებაჲ“¹.

ბურანის განმარტებისათვის ხოჯაყოფილს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებანი მოჰყავს:

„სინაჲს ძე იტყვის: ბუჰრანი ასორულითა ენითა ჰქვიან და მისი თარგმანი შებმა არს ბუნებათაჲ და მანკთა საძირკუელთა ერთაგან“².

¹ „წიგნი სააქიმოა“. თბილისი, 1936, გვ. 43;

² იქვე, გვ. 44.

იქვე, სხვა ავტორის მოსაზრებათა სახით, მხატვრული შედარებების მეშვეობით არის აღწერილი ბურანის არსი:

„მესია იტყვის: ვითა რომელ ტანი ქალაქსა ჰგავს და ბუნებაჲ მისი ხელმწიფე არს და მანკისა სათაენოჲ არაკივითა მტერი არს რომელ ამას ქალაქსა მოსრულ იყოს, ბუნებაჲ მტერსა მისსა შეებმის გასაძებლად თუ შეძლებულ იყოს ერთხელ, თუ არ ძალი ჰქონდეს ორჯერ, სამჯერ, და თუ არ შეეძლოს და მტერი უმძლესი იყოს, ვითარცა მანკისა საძირ-ქუელი და სათაენოჲ ბუნებაჲ შესწორდების და უსუსურობაჲ გაიქცევის, მაშინ კაცი მოკუდების და ოდესცა რომელი ბუნებაჲ და მანკი შეიბნენ მას უამსა სნეული დია გასუსთდების და გამძიმდების, ამა ყოფასა აქიმინი ბუჰრანად იტყვიან.“

ამონაწერის მიხედვით ბურანი შემდეგნაირად არის მხატვრულად გააზრებული ავტორის მიერ:

ადამიანის ტანი ქალაქია, „ბუნება“ მისი კი — ხელმწიფე. ქალაქში (ადამიანის ორგანიზმში) შემოსულია მტერი (მანკი, დაავადება), ხელმწიფე შეებმის მტერს (ბუნება — მანკს) გასაძევებლად. თუ შესძლებს, პირველი შეებმისთანავე გააძევებს მას, ან არადა მქორედ, მესამედ და ა. შ. თუ მანკი ძლიერია და ბუნება სუსტი, „კაცი მოკუდების“. თვით ბუნებისა და მანკის შეებმის დროს ავადმყოფი ძლიერ სუსტდება, მდგომარეობა მძიმდება.

თუ მანკი სტომაქშია, ბურანი „რწყევით იქნების“, თუ ღვიძლსა და თირკმელშია, „ბურანი მას ფსლითა გააყენებს“, თუ „ძარღუთა შუა“ არის მანკი, ბურანი „ცხვირთაგან სისხლთა მოღენით“ იქნება და ა. შ. ბურანის ასეთივე განმარტებას იძლევა ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, მხოლოდ უფრო მოკლედ: „რამეთუ ბუნება და სენი ირკინებიან და ბუნებამან აჯობოს ამით ნიშნთაგან.“

ექიმი უნდა იცოდეს, რომ ბურანი „თუ ოთხსა დღესა არ იყოს... მეშუიდესა დღესა ველოდით ამასვე ბურანსა. თუ მეშუიდესა დღესა არ იყოს, მეათერთმეტესა არ იყოს, მეათორმეტესა, მეათოთხმეტესა“. შესაძლებელია ბურანის ნიშნები შევამჩნიოთ მეოთხე დღესაც, მეშვიდესაც მეათერთმეტესაც და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება და მანკი რამდენიმეჯერ შეერკინენ ერთმანეთს და ბუნებამ აჯობა.

„მესამესა, და ანუ მეექვსესა, ანუ მეცამეტესა დღესა ამა ნიშნთაგან ნახო, მაშა საღმობასა უჯობნია.“

მეშვიდე „ნიშანი“ — ჰაერთაგან და თემისა და ქუეყნისა ჰაერთაგან, თუ ცივია ქუეყანა, ანუ ცხელი“ ამ ნიშნით ექიმს ავადმყოფის გასინჯვისას უნდა გაეთვალისწინებინა კლიმატური ფაქტორებით გაპირობებული „ბუნება“ ავადმყოფისა.

ქვეყნიერება „ოთხთა კიდეთაგან არის დაყოფილი: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი“. თითოეული ეს მხარე ხასიათდება თავისებური კლიმატური ფაქტორებით (სივრილის, სინოტივის,

ქარების და სხვათა სახით), რაც განაპირობებს თავისებურ „ბუნებას“ იქ მცხოვრებ ადამიანებში როგორც ჰუმორალურ კომპონენტთა განაწილების, ისე სხვა თვისებების მხრივ (კანის ფერი, თმის სიგრძე, სიღბო და სხვ.).

მერვე „ნიშანი“ — „შესახედავისა პირისა ფერისა და გუამისათა“. ამ „ნიშნის“ ქვეშ იგულისხმება დაავადების გამოკვლევა ინსპექციით; ჰაბიტუსით, ლორწოვანი გარსების, სახისა და ტანის კანის დათვალიერებით. ჰაბიტუსით თითქოს შესაძლებელი ხდება რომელიმე ჰუმორალური კომპონენტის სიჭარბის დადგენა. მაგალითად, „ოდეს შეხედნე პირსა კაცისასა შავ და ძლიერ იყოს და ფერი ბრწყინვალე და სხუილ გუამითა, ესე უცი სისხლისა ბუნებასა ზედა დანერგულ არს“.

როგორც ჩანს, ჰაბიტუსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაავადების დიაგნოსტიკაში, რადგან ზაზას აზრით:

„რაცა ტანსა შინა გამოჩნდების, ხატსა ზედა უფრო გამოჩნდების“. ჰაბიტუსით, სიკვდილის აშკარა ნიშნებს ამოკითხავენ ხოლმე. სათაურის ქვეშ — „სიკუდილისა ნიშანი პირსა შეხედვითა“ აღწერილია ე. წ. პიპოკრატეს სახე.

„ცხუირთა დაწლობა სნეულისა არა კარგია. თუალნი უკუყრილნი და საფეთქელნი და ყურნი ჩადრეკილნი, ცივნი, დამჟკნარნი, ლბილნი, ყურნი გამოქცეულნი და შუბლის ტყავი გარდასხიარპული და ფერი მწუანე და მოშავე სიკუდილისა ნიშანი არის“.

ავადმყოფის საწოლში მდებარეობასაც კი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

„ოდეს სნეული პირ აღმართ იდვას, კელნი და ფერკნი გაიწუანდეს, ესე მცირედრე კეთილ არს. სნეული თუ კელთა კერძ მოდრკებოდის და ფერკთა კერძო ჩაწურვიდეს, ურვილი არის“.

„მეტხრე — მოკითხვა სნეულისა“. სნეულის მოკითხვის ქვეშ დაავადების ანამნეზური ცნობების შეგროვება იგულისხმება.

„ოდეს ნახო სნეული, ჰკითხე: ოდეს დასნეულდი-თქუა. თუ გარქუას, ადრიდგან, ჰკითხე, ზამთრის სჯობს ანუ ზაფხულის; და თუ გარქუას, ამათ უამთა დავსნეულდიო, ჰრქუ დღისით სჯობ, ანუ ღამით. ცისკრად, ანუ მიმწუხრ...“ ამას მოსდევს რიგი კითხვებისა: ძილი უფრო რგებს თუ ღვიძილი, შიმშილი თუ ჭამა, ჯდომა თუ წოლა, საჭმელი თუ სასმელი და სხვ ანამნეზური ცნობებით ცდილობენ დაჭარბებულ ჰუმორალურ კომპონენტთა ნიშნების გარკვევას. ავტორი ამბობს, რომ ამ ცხრა ნიშანთაგან 5 მაინც უნდა იყოს თანხედენილი, ე. ი. 5 ნიშანი მაინც უნდა იძლეოდეს ერთი რომელიმე დაავადების გარკვეულ ნიშნებს, რომ დიაგნოზი დაისვას: „ვიდრე ხუთი ესე ნიშანი არა იწამო“, დიაგნოზი საეჭვოა, დაავადება გაურკვეველია და ალბათ გამოკვლევები უფრო დაკვირვებები უნდა გაგრძელდეს. ამ 9 ნიშანთაგან 5 აღიარებულია უთავარ ნიშნად: შარდის, მაჯის, განავალის გამოკვლევები, ასაკის დად-

გენა, ინსპექცია — ჰაბიტუსი. მაგრამ ამ ხუთი ნიშნიდან წამყვანი მანქანა შარდის, განავლისა და მაჯის გამოკვლევაა, რადგან:

„ოდენ ფსელმან, განავალმან ან ნესტუმან ერთი იწამონ, დაიჯერე“-ო — ამბობს ავტორი. გარდა ზემოხსენებული სქემით გათვალისწინებულ გამოკვლევათა „ნიშნებისა“, სადაიგნოზო საშუალებათა სხვა ხერხებიც არსებობდა, მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე ნახველის გამოკვლევას. „ფირტუსის ტკივილის“ განხილვისას ავტორი მიუთითებს ამ დაავადების დროს სისხლიანი ნახველის არსებობაზე.

„რომე ნამეტნავად ატუელდეს, და სისხლსა და ბაღლამსა ამოიღებდეს“. აქვე ყურადღებას იქცევს ნახველში აღმოჩენილი სისხლის დიფერენცირება:

„ქუელა ნამეტნავად იყოს და ბაღლამსა ამოიღებდეს სისხლიანსა, ისი სისხლი ერთობ წითელი არ იყოს წყალივითა იყოს. თუ ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე ფირტუი დაშავებული არის.“

როგორც ჩანს, სცოდნიათ, რომ ნახველში „ერთობ წითელი სისხლი“ ფილტვებიდან არ იქნება, ის ხორხიდან ან პირის ღრუდან მინარევიან, ხოლო ფილტვის დაზიანების დროს ნახველში სისხლი „წყალივითა იქნება“. ზოგიერთ დაავადებათა დროს კი ნახველი შეიძლება „შავი ან ერთობ ყვითელი იყოს. რა ეს ნიშანი ნახო კაცვიგან, იცოდი, რომე ფირტუზედან მჯდომი არის“. არა იშვიათად იყენებდნენ აგრეთვე გამოკვლევის პალპატორულ მეთოდებს. იქ, სადაც ლაპარაკია გულის დაავადების, ე. წ. ხაფაყანის გამოკვლევაზე („რომელ არს გულის ძგერა“), ავტორი აღნიშნავს, „ხაფაყანისა ნიშანი იგი არის, გული ასრე უძგერდეს, ამას ჰგვანდეს — ქათამ ჰფეთქსო, რომე კელი დასდვა, და მწოედ უძგერდეს.“

ასევე ხდება ღვიძლის გამოკვლევაც. „თუ სიმსივნე იგი ფიცხელი იყოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე კელ დასდევ ღუიძლზედან, და რომელ იყოს ღუიძლსა შიგან, მრგული და მაგარი იქნების და თუ არა გამოჩნდეს მრგული და მაგარი, და არცა ტყავი მისი იყოს სქელი, მაშინ სიმსივნე ღვიძლისა მისისა ცოტა იყოს. თუ რამე სიმსივნე იყოს კუთსა შიგან ღუიძლსასა, იყოს მაშინ გრძელი.“

როგორც ჩანს, პალპაციით ირკვევენ ღვიძლის სიდიდეს (გადიდებას), კონსისტენციას, ხორკლიანობას. მეტად საინტერესოა პერკუტორული გამოკვლევის მეთოდების გამოყენება და პათოლოგიური ხმიანობის მოსმენა ორგანიზმის ღრუებიდან. სწეულება „სისხას“ და მისი ფორმების განხილვისას ზაზა წერს: „და იქნას მისგან წყალი ყუითელი და სახელი ჰქუიან ტაბლი, და ბერძულად ტონის... და რა კელი დაჰკრა მუცელსა, ტაბლისა ჯმა გამოვიდეს.“

ან კიდევ:

„და იქმნას წყალი ყუითელი... მაშინ შეიძრვის წყალი და დაუწყებს

მუცელი ჭყუირილსა, სახელი ჰქუიან ტიკი.“¹ ტაბლი ქვემოთ დაზუსტებულად არის განმარტებული და მისი პერკუტორული და აუსკულტატორული გამოკვლევა უფრო მკაფიოდაა აღწერილი.

„ტაბლი რომე ქუიან, ისი არის, რომე მუცელი გაუდიდდეს და ჭიბი გამოექცეს, და ული რომე დაკრა, ტაბლივითა ჯმა გამოიღოს და თუ ყური დასდვა წყალსავით ჯმა გამოვიდეს მოცლით“. [ალბათ მუცლით].

პერკუტორულ თუ აუსკულტაციურ ხმიანობას, როგორც ჩანს. ისეთ დიაგნოსტიკურ ღირებულებას ანიჭებდნენ, რომ თვით დაავადებისათვის ქართულად ამ ხმიანობის გამომხატველი საგნის სახელი შეურქმევიათ. მაგალითად: დაავადებას „ზიყის“, რომლის დროსაც წყლის შეძვრასა და „ჭყუირილს“ ვისმენთ, უწოდებენ ტიკის („სახელი ჰქუიან ტიკი“), რომლის ბერძნული სახელწოდებაა „ტოვნი“ და რომელიც „ტაბლივით“ ხმას გამოიღებს ხელის დაკვრით — ქართულად ტაბლი ჰქუიან. ტაბლი, სულხან-საბას განმარტებით, იგივე ნაღარაა, ანუ ღუმბული — თავისებური ხმიანობის გამომცემელი საგანი (ინსტრუმენტი).

საინტერესოა აგრეთვე შეშუპების დადგენის მეთოდი, რომელიც დღესაც უცვლელად იხმარება კლინიკაში:

„ოდეს გასივდეს ტანი კაცისა და ოდეს თითი დააჭირო, დაეფლას და თითზედა შემოჯდეს სიმსიენე ზედათ.“ (გვ. ...).

შემჩნეული ყოფილა, რომ პირველად სწორედ ქვედა კიდურებში გამოჩნდება ზოგადი შეშუპების ნიშნები, ქვედა კიდურებზე თითის დაჭერით შეშუპების დადგენას კი, როგორც ცნობილია, დღესაც მიმართავენ კლინიკაში:

„პირველად ფერჯის ჩონჩხნი (!) გაუსივდებიან და ქუქუთონი, და მერმე სრულად ტანი გაუსივდების, და რომე თითი დააჭირო დაეფლვის, და ზედ შემოჯდების სიმსიენე.“ (გვ. ...).

გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ქუთუთოს ლორწოვანი გარსის გასინჯვა — მისი გადმობრუნებით:

„თუალისა, რომე ტკივილი დაძულებულიყოს და ბევრი ხანი გამოსულიყოს და ქუქუთო დაწყულულებული იყოს და კაცმან იჩივლოს ერთობ მეტკივნებისო ქუქუთოსა დაწყულულებისათუისო; გაულე თვალი და ნახე, თუ ლელუის გულივითა რამე გამოჩენილიყოს.“ (გვ. ...) აღწერილობა მიგვითითებს ტრაქომაზე: „ლელუის გულივით“ ლორწოვანი გარსი ტრაქომული ფოლიკულებია. მართლაც, ტრაქომის დიაგნოზის დადგენისათვის აუცილებელია ქუთუთოების გადმობრუნება და ლორწოვანი გარსის ინსპექცია.

ნევროპათოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევათაგან მეტად საინტერესოა ტვინში სისხლჩაქცევის (აპოპლექსისის) შედეგად განვითარე-

¹ აღსანიშნავია რომ სულხან-საბაც თავის ლექსიკონში „ტაბლის“ ასე განმარტავს: „ტაბლი — სენისაგან რა მუცელში წყალი შეიქმნების, რომელსაც ბერძულად ტოვანის ეწოდების.“

ბული დამბლის, გასინჯვის მეთოდი — მგრძობელობის გამოკვლევით ეს დაავადება ზაზას აღწერილი აქვს როგორც „სექდა“: „მისი გასინჯვა ესე არის, სნეულსა უჩქთიმე ან ნემსითა უჩხულოცე, თუ შეიტყუოს და პირნი ქნეს, იცოდი რომე სუბუქი სენი არის და ეშუელებს; და თუ ვერა შეიტყოს რა მძიმე სენი არის, და არ ეშუელებს“. (გვ. ...).

დაავადების გამოკვლევათა ყველა ზემოაღნიშნულ მეთოდი, რომელიც ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს აუწერია თავის წიგნში, თუმცა მოკლედ და გაკვრით (წიგნის თავისებური ხასიათის გამო) მაინც მკაფიოდ ადასტურებს მედიცინის განვითარების მაღალ დონეს იმ დროისათვის.

მეორე წიგნი ძეგლის ძირითადი, კერძო ნაწილია. მასში მოკლედაა განხილული ცალკეულ ორგანოთა დაავადებანი და მათი ნიშნები, შედარებით ვრცლად არის მოცემული მკურნალობის მეთოდები, სამკურნალწამლო საშუალებათა სხვადასხვა სახეები.

წიგნი მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს და თითქმის ყველა ორგანოს დაავადებათა აღწერასა და მკურნალობას.

ცხადია, იმ ფარგლებში, როგორც ეს შესაძლებელი იყო მეცნიერების განვითარების იმ ეტაპზე. ყოველი ცალკეული დაავადების განხილვისას მოცემულია დაავადების „ნიშანი“, ეტიოპათოგენეზური მონაცემები, ხშირად დიაგნოსტიკური საშუალებანი და მეთოდებიც. მოკლედ, მაგრამ ხშირად ძალზე საინტერესოდაა აღწერილი ცალკეული ორგანოების ანატომიური და ფიზიოლოგიური მონაცემები, ყველაზე მეტი სისრულით მოცემულია მკურნალობის მეთოდები, სამკურნალწამლო საშუალებათა ნაირსახეობანი, რთული შემადგენლობის სხვადასხვა სახის ნაერთები.

როგორც ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“, ისე აღრინდელი თუ მომდევნო პერიოდის ქართული სამკურნალო ძეგლები ზუსტად იცავენ ჰუმორალურ-პათოლოგიურ თეორიას პათოლოგიის, დაავადების არსის ახსნაში. ჰიპოკრატეს მიერ ჩამოყალიბებული ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორია, როგორც ცნობილია, შემდგომში მდგომარეობს. ყოველი არსი შედგება ოთხი ელემენტისაგან: ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი. ამათში ცეცხლი და ჰაერი მსუბუქია, მიწა და წყალი — მძიმე. სიცოცხლის შექმნას, მცენარისა თუ ქსოვილის ზრდა-განვითარებას ეს ოთხი ელემენტი უდევს საფუძვლად. მათი ბუნებაც ოთხგვარია: ცეცხლი მსურვალე ბუნებისაა, ჰაერი — გრილის, წყალი — ნედლის, მიწა — ხმელის. შესაძლებელია კიდევ ოთხი სახის გარევა:

1. მსურვალე და ნედლი (მეტია ცეცხლი და წყალი).
2. მსურვალე და ხმელი (მეტია ცეცხლი და მიწა).
3. გრილი და ნედლი (მეტია ჰაერი და წყალი).
4. გრილი და ხმელი (მეტია ჰაერი და მიწა).



ამის შესაბამისად ადამიანის ორგანიზმის ბუნებაც ოთხგვარად
 მსგავსად ცეცხლისა, ჰაერისა, მიწისა და წყლისა, კერძოდ: სისხლი,
 ბალღამი, ზაფრა და სევდა.

თუ სწორ-სწორი (თანასწორი) გარევა იქნება ოთხივე ამ ელემენტებისა, ჯანმრთელობაა, თუ ფერფერი (არათანასწორი) გარევა, ვღებულობთ პათოლოგიას, დაავადებას. არათანასწორი გარევის სხვადასხვა სახეები არსებობს, სისხლის არათანასწორი გარევა შეიძლება შეიდი სახისა იყოს. ბალღამისა — ოთხის, ზაფრისა — ოთხი, სევდისა — სამი.

ასეთ იდეურ ფილოსოფიურ კონცეფციაზეა დამყარებული თითოეული ორგანოს პათოლოგია ზაზას „სამკურნალო წიგნშიც“.

„შექმნა ღმერთმან მოწყალემან კაცი ოთხითა ბუნებისაგან, ქარისაგან, ცეცხლისაგან, მიწისაგან და წყლისაგან. ესე ერთმანეთსა არ გარივნა, ცალკე-ცალკე არიან სიმკურვალითა და სიკმელითა, სიგრილითა და სინოტიითა.

დაჰბადა ღმერთმან მოწყალემან ცეცხლისაგან კუერცხის გული, ნავდელი, რომელ არს ზაფრა და არს იგი მკურვალი და კმელი და ბოროტი; და არს გემო მისი მწარე და ფერი მისი კუერცხის გულივითა ყუითელი.

შექმნა მოწყალემან ღმერთმან ქარისაგან სისხლი, და არს იგი მკურვალი და კმელი; გემო მისი — მწარე და ფერი — წითელი.

და შექმნა ღმერთმან მოწყალემან მიწისაგან შავი ნადველი, რომელ არს სევდა და არს იგი კმელი; და გრილი და არს გემო მისი მკავე და ფერი მისი მწუანე.

და შექმნა ღმერთმან მოწყალემან წყლისაგან თელგმა, რომელ არს ბალღამი. და არს გრილი და ნოტიო; და არს გემო მისი მლაშე და ფერი მისი თეთრი“

„საყოფელნი“ ამ ოთხი ბუნებისა არის შემდეგი:

„კუერცხის გულისა არს სანადღე“.

„სისხლისა ღუიძლი“

„შავისა ნავდლისა ტყირბი“.

„თელგმისა ფირტუი არის“.

ჩვენ არ შევუდგებით, რასაკვირველია, ზაზას წიგნის კერძო ნაწილის ცალკეული თავების განხილვას, მაგრამ მოვიყვანთ ზოგადი ხასიათის რამდენიმე მაგალითს, რომელთაც ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ იმდროინდელი სამედიცინო აზროვნების დონის განსაზღვრისათვის.

„წიგნი სააქიმოჲსთან“ შედარებით ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ცნობებს ზაზას „სამკურნალო წიგნი“ ნაკლებად შეიცავს წიგნის სპეციალური დანიშნულებისა გამო. ზაზას წიგნის კერძო ნაწილი, ჩანს, გამიზნულია პრაქტიკულად მომუშავე ექიმებისათვის ან თვით ავადმყოფთათვის სახელმძღვანელოდ. ამიტომ მასში მოკლედ არის განხილული მედიცინის ზოგადი საკითხები, დიაგნოსტიკური მეთოდები, ანა-

ტომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები. მოცემულია უმთავრესად უშუალოდ მკურნალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები: სამაგიეროდ უხვადაა აღწერილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამკურნალო საშუალებათა სხვადასხვა სახეები. „წიგნი სააქიმოი“ ამ მხრივ აშკარად განსხვავდება მისგან, ის გათვალისწინებულია უმთავრესად არა მარტო პრაქტიკოს ექიმთათვის, არამედ სახელმძღვანელოდ საექიმო ხელოვნების შემსწავლელთათვის. მასში დეტალურად არის განხილული მედიცინის ზოგადი საკითხები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები, დიაგნოსტიკის მეთოდები მკურნალობა, სხვადასხვა ცნობილ ავტორთა შეხედულებანი ცალკეულ საკითხებზე და სხვ. მაგრამ ზაზას „სამკურნალო წიგნში“ მოცემული მედიცინის ზოგადი ხასიათის ცნობები მინც ზაყურადღებოა, თუმცა ისინი ბევრად არ განსხვავდება „უსწორო კარბადინისა“ და „წიგნი სააქიმოს“ ავტორთა განსაზღვრებებისაგან. მეტად საინტერესოა ჩამოყალიბებული თავისა და ტვინის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზოგიერთი საკითხი წიგნის პირველსავე კარში:

„დაჰბადა მოწყალემან ღმერთმან თავი ცისა შესაფერად და შიგან ტუინი ჩადვა, და იგი არს კელმწიფედ სრულად ტანისა. ცნობა და ჭკუა კაცისა ტუინსა შიგან არს. ტუინშიგან ოთხი ხასიათი და საქმე არს: ერთი — ჭკუა, ერთი — ცნობა, ერთი — გაგონება, ერთი — სინათლე თუალთა. იცოდით, რომე ტუინი შუიდსა ფარდავ შიგან არს ნახუეული: პირველად — თმაშიგან, მეორედ — ტყავშიგან, მესამედ — კორცსა შიგან, მეოთხედ — ძუალი, მეხუთე — რომე ძუალსა აფსკა აკრავს მეექუსე — ლაბა, რომე არის აფსკასა და ტუინისა საბურავსა შუა, მეშუიდე ისი არის, რომე ტუინსა გარეშემო ახუევია და ტუინი შიგან ძეს.“
მაშასადამე, ზაზა არჩევს თავის ტვინის შვიდ გარსს: თმა, კანი, კანქვეშა ქსოვილი, თავის ქალა, ძვლისაზრდელა, მაგარი გარსი და რბილი გარსი.


ტვინი აღიარებულია ცნობიერების ცენტრად, „გვამის ხელმწიფედ“.

„ღმერთმან ტუინი გუამის ხელმწიფედ დაჰბადა და ცნობა ყუელა მისგან არის“... თუ ტუინი სრულ არს, კაცისა ჭკუა სრული იქნების, და თუ კაცი ტუინ-ნაკლები არს, კაცი ჭკუა ნაკლები იქნების... ყოველი ცნობა და ჭკუა კაცისა ტუინშიგან არის“. (გვ. ...).

„ტუინი, რომელთა შიგან არის ჭკუა და მეცნიერობა, შეტყობა ტანისა ძრვისა და ცნობა მისი“. (გვ. ...).

მეტ-ნაკლები სისწორით ყოფილა ცნობილი სხვა შინაგანი ორგანოების ანატომია და მათი ფუნქციები, ხშირად ეს საკითხები მეტად პრიმიტიულად და გულუბრყვილოდაა გადმოცემული, მაგრამ არაიშვიათად განცვიფრებას იწვევს იმ დროისათვის საკითხის ღრმა ცოდნა.

ავტორისათვის ცნობილია შინაგანი ორგანოების ტვინისმხრივი ინერვაცია ტვინიდან გამომავალი 14 ნერვიდან (!), ორი თვალს ანერვიანებს: (მხედველობის ნერვი) „თუალისა სინათლე იქიდალმა იქნების



და თუალისა გუგათა დაჭუხვა და ახილვა იმა ძარღუებისაგან იქნების“
 გუგის სინათლეზე რეაქციის ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან დაკავშირება მნიშვნელოვანი ფაქტია იმ დროისათვის.

ორი ნერვი — „ყურშიგა ჩავლენ“ (სმენის ნერვები), ორი ნერვი — „ყბაშიგა ჩავლენ და ოცდათორმეტ შტოდ გაიყოფის“, ერთი ნერვი — „ცხვირჩიგან ჩავა და ორად გაიყოფის“, „ტუინი ავსა და კარგსა სულსა იქიდალმა შეიტყოზს“.

ერთი ნერვი — „ენაშიგა ჩამოვა“;

ერთი ნერვი — „ბაგეჩიგან და საუბარსა ის ათქმევინებს“;

ერთი ნერვი — „სტომაქშიგან ჩავა“;

ერთი ნერვი — „გულშიგან ჩავა“.

ერთი ნერვი — „თირკუმელთა შიგან ჩავა“.

ერთი ნერვი — „კელშიგა ჩავა და დამკრისა შესაყარსა ორად გაიყოფის:

ერთი — მარჯუენასა მკარსა წავა, და ერთი — მარცხენასა, და მერმე ათად გაიყოფის და ათსავე თითშიგან გავა და ჭელის ძრვა მით იქნების“.

ერთი ნერვი — „ლუილშიგან ჩავა“;

ერთი ნერვი — „ფერკჩიგან ჩავა და თეძოჩიგან გაიყოფის: ერთი ერთსა მკარსა წავა და ერთი ერთსა და მერმე რასთენიცა თითი არის, ყულაა შიგან გაიყოფის და სიარული მით იქნების“.

ნერვის დაზიანების შემთხვევაში ზიანდება მისი საინერვაციო ორგანოც: „რომლისაცა ასოსა არის, ისი ასო დაშავდებისო“ — ამბობს ავტორი.

მთავარ ორგანოთაგან „ს ტ ო მ ა ქ ი ს“ ანატომია შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: სტომაქი შედგება „ძარღუისა კმელისაგან და კუთისაგან, შიგნით კერძი არის კბილედი და მომკიდებელი“. (გვ. ...). მისი „ზედა კერძი“ არის ფართო, რომელიც შედგმულია. „სასულესა (!) და ქორკსა“ ადგილი სტომაქისა არის „მკერდსა ქუეშე“ „სტომაქზე მიდგმულია და ჩამოკიდებულია პირველი ნაწლევი“, რომელსაც ჰქვია „თორმეტითი ნაწლევი“ მას მიედგმის ნაწლევი „მამარხუელი“. მას მეორე სახელწოდებაც ჰქონა, ზოგნი მკურნალნი მას ეძახიან „ნაწლევისა თეთრსა“. ამ ნაწლევის გაგრძელებაა „ნაწლევი წულილი“ (წვრილი ნაწლევი), მისი გაგრძელებაა ნაწლევი „ფართე და მოკლე... რომელსა სახელს ჰქუიან აჟარი“.

აღწერილობის მახედვით, იგი ბრმა ნაწლევი უნდა იყოს, რადგან „მას ერთი პირი აქვს არ გამოძეველი“. მსხვილი ნაწლევის დანიშნულებაა, რომ „შეიპყროს“ შიგთავსი კუნთის მეშვეობით, რომელიც „ახლავს მას“, „თანაც „გამოუღოს მას იგი სკორე და ჩამოუტეოს იგი ნაწლევთა კერძო, რომელნი არიან მის ქუეშე და სახელი ჰქუიან მას ნაწლევისა კოლენი“.

გარკვეულია მისი მდებარეობა — „მოეფინების ესე ნაწლავი ქუეშე მუცელსა და იქცევის მარჯუენით და მარცხენით, წინათ მუცელსა და უკანით, ზურგით კერძით და ყოველთა ადგილთა ფერდისათა“. კოლინჯს ქვემოთ კი მოთავსებულია „ნაწლავი გამართული“ (სწორი ნაწლავი), რომლის მეშვეობით ხდება დეფეკაცია. ამგვარად, ავტორი სულ 6 ნაწლავს ასახელებს. მათ ორ ჯგუფად ყოფს: 1) ზემო, ანუ წვრილი ნაწლავები (თორმეტგოჯა „მამარხუელი“ და საკუთრივ წვრილი ნაწლავი), რომლებიც მოთავსებულია მუცლის ზემო ნაწილში „უბემდის“, და მსხვილი, ანუ სქელი ნაწლავები (ბრმა ნაწლავი, კოლინჯი და სწორი ნაწლავი). ისინი განლაგებული არიან „უბესა ქუეშეთ საგურკლემდის“

საჭმლის მონელება ხდება კუჭში — „საჭმელი სტომაქშიგან აღულდების და დადნების, და გამოიწურვის საჭამადი სტომაქისაგან იგი ნაწლავის კერძით, რომელსა სახელი ჰქუიან ნაწლავი თორმეტითი“. თორმეტითა ნაწლავიდან მონელებული საჭმელი გადადის „მამარხუელსა თანა“, აქედან კი ჩადის „ძარღუთა შიგან“, რომელიც შედგმულია „ღვიძლსა თანა“, რომელსაც სახელი „ჰქუიან მასრიკა“¹ ავტორის აზრით, ღვიძლში მოხვედრილი საჭმლისაგან „გამოწურვილი“, რომელიც გავს „ქაშქის წყალსა“ და რომელსაც „ჰქუიან ქაოლოსი“. უნდა აღუღოს ღვიძლმან მეორედ და დაამწიფოს, გამოუშუას, შეიქნას იგი სისხლად და მერმე გამოგზავნის ძარღუთა შიგან ტანისათა“.

კუჭ-ნაწლავის მუშაობის რეგულაცია უზრუნველყოფილია „ოთხთა ძალთა“ მოქმედების შედეგად — „ძალნი ესე არიან: ძალი შემკრებელი, დამჭირველი მადნობელი და გამცემელი. თუ ეს ოთხნი ძალნი თუითო შიგან სწოლად არიან, კაცი უსენოდ იქნების, და თუ მოუსუსტრდების, მუცლისა კბნილობა შეექმნების“. ასეა წარმოდგენილი საჭმლის მონელების სისტემა და პროცესი. ტვინის შემდეგ ორგანიზმის ყველაზე დიდ ორგანოდ აღიარებულია გული. „რომელსა შინა არს ქარი სიცოცხლისა და სიმჭურვალე ბუნებისა“. გული შედგება „ჯორცისაგან, ვითა კუთისა და ძარღვისა კმელისაგან“, მისი „ადგილი არის მარცხენით კერძსა და ჩამოკიდებული ფირტუთა და საბურავი ადის ზედა“ ფორმით მას ამსგავსებენ მუხუდოს თესლს: — „არის აგებულება მისი, ქუეშეთ სქელი და ზედათა წურილი“ (ფუძე და მწვერვალი გულისა). მისი კიდური მობრუნებულია „მარცხენით კერძო ტყირბისა პირისპირ“, კიდევები გულის „დასერილია“ (იგულისხმება ხვრელები აორტისა, ფილტვის არტერიისა და ვენების).

„მას შინა ასონი არიან და გუარნი არიან — ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით... მარჯუენით სისხლი დვას და მარცხენით ქარი სიცოცხლისა.“ მარჯენივ გულს მიედგმის „ძარღუი ღვიძლისაგან“, საიდანაც

¹ „მასარიკა — ესე არს ნაწლავი მმარხუელი საზარღუელისა, ძარღოვანი, შედგმული, ღვიძლთა, რომელსა ბერძულად ქაოლოსია ჰქვან“ (საბა).

ღებულობს გული სისხლს, მარცხნივ — „იარების ქარი სიცოცხლისა, რომლისაგან არის ფეთქა და ძრვა ძარღუთა“. უფრო დეტალურ ცნობებს გულის აღნაგობის შესახებ ავტორი არ იძლევა. ასევე ძუნწი ცნობებია ფილტვის შესახებ:

„მოწყალემან ღმერთმან დაბადა ფირტუი სუბუქისა რასაგანმე კორცისა და სისხლისა, წყლისაგან, ძარღუისაგან და არის საბურავი გულისა ამისთუის, რომე გულსა საზიანო არა მიახლდეს რა, და ბალღმისა და სინედლისა ალაგი არს. როგორაცა ღუიძლი სისხლისა სახლი არს და ტყირბი სევდისა სახლი არს, აგრევე ფირტუი ბალღმისა და სინედლისა სახლი ხრს, ამისთუის რომე, გულსა და ღუიძლსა ავრილებდეს. ფირტუი-ღაღმან ორნი ძარღუნი გამოვლენ: ერთი გულსა შეედგმის და ერთი ღუიძლსა, და იქიდაღმან სიგრილე და სინედლე მისდის გულსა და ღუიძლსა უგრილებს და იძრვის. თუმცა ფირტუი არა იყო, გულისა და ღუიძლისა სიმჭურვალე სრულად ტანსა დასწყუავს, მაგრამ ისი უგრილებს“.

ღვიძლი. „ღუიძლი ასოი არს მთავარი ტანისა შიგან, ვითვე ტუინი და გული“. ღვიძლი არის „სახლი სისხლისა და იგი არს საზრდელი ყოვლისა ტანისა და მით იზრდების ყოველი ტანი“.

„აგებულება ღუიძლისა“ შემდეგნაირადაა აღწერილი: ის „სისხლისაგან და ძარღუთაგან არის: სისხლი — სქელი, გაყინული მრავალთა ძარღუთა შერეულა სქელთა. და არს ღუიძლი სახლი სისხლისა და არს შიგან სიმჭურვალე ბოროტი სისქესა თანა, და არიან შიგან მზღუარნი და არიან კიდურნი სამნი: ერთი ღუიძლისა ზედათ და ორნი ქუეშეთ. და კიდური, რომელ ზემოთ არის შემოკრებული და ადგილი მისი მარჯუენით კერძო — შუა სტომაქსა და ფერცხალთა, პირისპირ გულისა ეზოთა და მუცლისა ფერთხელსა ზემოთ. და არს დადებულ სტომაქსა ზედა და ასხენ ორნი პირნი: ერთი კორცთა და ტყავთა კერძო და ერთი სტომაქით კერძო შიგნით, და იგი გაახურვებს სტომაქსა სიმჭურვალითა მისითა. და უკეთესა საქმე ღუიძლისა ისი არის, რომე მიზიდავს საჭამადისა სიწმიდესა მისკენ, რომელ არს სტომაქსა შიგან“. (გვ. ...).

მამასაღამე, ღვიძლს როგორც ჩანს, ავტორი ჰყოფს წილაკებად, კერძოდ 3 წილაკად: ერთია ზემო წილში და ორი — ქვემო წილში.

ზემო წილი მდებარეობს მარჯვნივ, კუჭის შუა ღონეზე, გულის არეს პირისპირ და დიაფრაგმის ზემოთ (1), ის პირდაპირ მიდებულა კუჭზე. როგორც ზემოთაც ითქვა, კუჭი „აადულებს და დაადნობს“ საჭმელსა და მისცემს ნაწლავსა, რომელსა „მამარხუელ ჰქუიან“. აქედან კი ღვიძლი მიიზიდავს მას იმ ძარღვის საშუალებით, რომლითაც ის „შედგმულია“ მამარხუელს და რომელსაც „მასარიკას“ უწოდებენ. ღვიძლი მას მეორედ აადულებს, დაამწიფებს, აქცევს სისხლად და გააგზავნის „ძარღუთა შიგან ტანისათა“. მსგავსად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მამოდრავებელი ძალისა, აქაც ოთხი ძალი, ანუ „ღარიზი“ მოქმედებს:



„მამკრებელი, დამჭირველი, მადნობელი და გამცემელი.“ ავტორის აზრით, ხსენებული ძალით მოქმედებს ადამიანის „ყოველი მსოფლიო განსაკუთრებით „მაგრა სტომაქსა და ლუიძლშიგან უფრო არს“.

ნაღვლის ბუშტი „სახლია წითლისა ნავლისა“, თვით ნაღვლის წვენი შემქმნელად, გამომუშავებლად ღვიძლი ითვლება — „ნაღვლისა სახლი ღვიძლი არის“, ნაღვლის ბუშტი კი მხოლოდ რეზერვუარია მისთვის, ავტორს ღვიძლის „საკიდათ“ აქვს ის დასახელებული — „მისი საკიდი ნავლეი ამისათვის შექმნა ღმერთმან, რომე აკრიბოს ნავლეი ღვიძლისაგან.“ ავტორს მშვენივრად აქვს აღწერილი ნაღვლის ბუშტის ერთი პათოლოგიური მდგომარეობა და მისი ძირითადი ნიშნები, რომლებიც დღესაც კარდინალურ სიმპტომებად ითვლება სიყვითლის კლინიკაში, რაც მიუთითებს ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის წვენი ორგანიზმზე შემოქმედების ძირითადი საკითხების ცოდნაზე. თუ დაიხურა ნაღვლის ბუშტის გასავალი, მაშინ „მისი ნიშნები ესე იყოს... მისისა უფლისა ფსელი იყოს, ვითა წითელი თიჯა და უცემდეს შავად და გაუყვითლდეს განავალი“, რაც გამოწვეულია იმით, რომ „ვეღარ იარებოდეს ნავლეი მისისა გზისგან. დაიფანჩოს ყუითელი ტანსაშიგან და გაუთეთრდეს მისგან ნავლეი და ფსელი.“ მაშასადამე სკოდნიათ სამი ძირითადი ნიშანი ნაღვლის სადინარის მექანიკური დახშობისა: სიყვითლე, აქილიური განავალი, შარდის ლუდისფერი შეფერადება. ელ ენთა, ანუ ტყირბი ითვლება ორგანიზმის ოთხ ძირითად შემადგენელთაგან ერთ-ერთის, შავი ნაღვლის წარმომშობ ორგანოდ და „არის მკერდსა ქუეშე მარცხენით, პირისპირ ღვიძლისა, და არს შედგმული მუტელსა“. მას „ორნი საქმენი აქუან თანა: ერთი, რომე შემოკრებს სისხლსა ღვიძლისაგან მრლუიესა, რომელ ჩადის მისკენ და იზარდების მისგან, და დაასუბუქებს სიმრლუიესა და სიმძიმესა სისხლისასა...“ ღვიძლი წარმოდგენილია საკვებიდან მიღებულ სასარგებლო ნივთიერებათა საბოლოო გადამმუშავებლად და დამამწიფებლად, მაგრამ ღვიძლიდან რაც გადარჩება, „რაცა ავი და ნაწურავი არის, ამას ტყირბივიგან გაგზავნის“. (გვ. ...).

თირკმელი. „აგებულება თირკმელთა. კორცისაგან არის შერეული ძარლუთა რათმე კმელთა, და მას შიგან სისხლი არს მგზავსი წყლისა სითხითა“. (გვ. ...).

ჩანს, ცალკე ჰქონიათ გამოყოფილი და შემჩნეული პარენქიმულ ორგანოთა ქსოვილის თავისებურებანი, რადგან ავტორი აღნიშნავს თირკმლის ქსოვილის განსაკუთრებულობას და მას გულის კუნთის ქსოვილს ადარებს:

„და ორცი მისი არა მჭურავალი არის, ვითა გული, და არს კორცი მისი ფოლხუი“. ლოკალიზაცია შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

„ადგილი თირკმლისა შიგნით-კერძო და ზურგით კერძო კრავს“.

პირის პირ უბესა ქუეშეთ — ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით და ზურგის ძუალსა“.

მაშასადამე, თირკმლები მოთავსებულია ღრმად, შიგნით ზურგის მხრივ — ზურგისსავე ძვალთან, მარჯენივ და მარცხენივ ჭიპის ქვემოთ ურთიერთის პირისპირ... თირკმლებზე „შედგმული“ არის „ძარღუნი იგი... რომელსაშიგან ფსელი იარების“ — ლაპარაკია შარდსაწვეთებზე, რომელიც შემდეგ „ქანთელს“ (შარდის ბუშტს) მიერთვის, ქანთელიდან კი შარდი „გამოვალს სარცხუენალისაგან ფსლად“.

შარდის ბუშტს ზაზა უწოდებს ქანთელს, ადრინდელი ავტორები კი — „პარკი ფსლისას“ „და სახელს სდებენ პირველნი მკურნალნი ქანთელსა — პარკი ფსლისა, და სახელს სდებენ ნავლელსა — პარკი ნავლისა წითლისა. და აგებულობა ქანთლისა სადა იგი თხელი ძარღუი კმელსა წურილისაგან და ბუნებასა მისსა შევალს, ზოგი სიგრილე და ადგილი მისი ქუემო თირკმელთაგან, და იგი ძარღუები შედგმულია მის თანავე და მას აქუს პირი კიდურისა სავალი. არის ერთი ზეით, რომელი ჩამოვალს ფსელი, და ერთი ქუევით არს, რომელსა შიგა ვასდის ფსელი.“ მისი ადგილი განსაზღვრულია თირკმელთა ქვემოთ. მას ორი ხერგელი („სავალი“) აქვს. ერთი — ზემოთ, საიდანაც შარდსაწვეთებიდან ჩამოვა შარდის ბუშტში და მეორე — ქვემო კიდებზე, საიდანაც გადის შარდი ბუშტიდან. საინტერესოა, რომ ავტორმა იცის კუნთის არსებობა, რომელიც მონაწილეობს როგორც სწორი ნაწლავის ისე საშარდე სისტემის სფინქტერის მუშაობაში. „კუთი იგი შედგმული საგურკლითა, და არს იგი, რომელ შედგმულ არს ქანთელსა და საგურკლესა, ერთი კუთი ერთმანერთისა შემწე არის სიმრთელისა ჟამსა.“

ასეთია ის მოკლე ცნობები, რომლებიც მოცემულია ზაზას „სამკურნალო წიგნი“ ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზოგიერთ საკითხზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით ვრცლად და ღრმად ეს საკითხები განხილულია უფრო ადრინდელ ქართულ სამედიცინო ძეგლებში, მაგრამ, ვიმეორებთ, ზაზას წიგნი სპეციალური „სამკურნალო“ დანიშნულებიდან და ამიტომ მასში აღნიშნული საკითხები ძალიან მოკლედ განხილული.

მედიცინის ცალკეული დარგები, რასაკვირველია, გამოუყოფელი იყო ერთმანეთისაგან (გარდა „აქიმობისა“ და „დოსტაქრობისა“), მაგრამ არსებობდა მასალის განლაგების, დაავადებათა განხილვის ერთგვარი თანმიმდევრული სისტემა, რითაც თანამედროვე მედიცინის ცალკეული ძირითადი დარგები მაინც თითქმის ცალკე თავებად, ცალკე განყოფილებებად იყო წარმოდგენილი.

მაგალითად, თვალის სნეულებანი, ყურის სნეულებანი, შინაგანი ორგანოების (გულის, ღვიძლის, კუჭის, ნაწლავების, ელენთის, თირკმლების, შარდის ბუშტის და სხვ.) დაავადებანი. ის დაავადებები, რომ-



ლებიც ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის ნოზოლოგიური სახეობების ითვლება დღეს, თანმიმდევრულად არის აღწერილი, როგორც: მსკვანეს დაავადებათა ცალკეული ჯგუფები და სხვ. ფსიქიკურ და ნერვულ სნეულებათაგან აღწერილია ფილენჯი, ლაყუა, რაშა, თასნუჯი, გზა, ხადირი, მანახულია, სარა, სექდა, სექდასთან ახლომდგომი დაავადებები, ასბაუბსარი, ასვაურარყი, შიხუსი, სუბათი.

ზემოჩამოთვლილ დაავადებათა შესახებ ავტორი წერს: „ესე რაცა სენები დავწერეთ, გუარად ყუელა ერთი არის და ამათი წამალიც ერთი არის“. თვალის დაავადებათა განხილვისას მოცემულია თვალის ანატომიისა და ფიზიოლოგიის მოკლე აღწერილობანი, კონიუნქტივიტები, პანუსი (სახელ), პტერიგიუმი (ნახუნა) ცრემლდენა, ტრაქომა (ჯარბა), ტრიქიაზი, ჯიბლიბო (შადირა) ქუთუთოების ფლეგმონა (ღარბა), რქოვანას ანთება, უცხო სხეულები თვალში, ჰემერალოპია, თვალის კაკლის დაბეჭობა, სუბკონიუნქტივალური სისხლჩაქცევები, რქოვანას ლეუკომა, ნუბეკულა, ბლევარიტი, თვალის პედიკულოზი, პრესბიოპია, მხედველობის დაქვეითება, თვალის მუნი, თვალის მღიერი და სხვ. თვალის ენდოგენურ დაავადებათა უმრავლესობა განხილულია ცალკეულ ჰუმორალურ კომპონენტთა აღრევის ქვეშ.

ასეთივე მოცულობითა და სისტემითაა წარმოდგენილი მედიცინის სხვა დარგებიც, რომელთა ანალოზს ხელი უნდა მოჰყიდონ მედიცინის ცალკეული დარგების ისტორიის შემსწავლელებმა.

მიუხედავად იმისა, რომ დაავადებათა დიაგნოსტიკა და კლინიკა ზაზას წიგნში ძალზე მოკლედ არის აღწერილი, მაინც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ დაავადებათა ურთიერთ შედარების და დიფერენცირების მამინდელი უნარისა და დონის შესახებ.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“ ვხვდებით დიფერენციული დიაგნოზის საუკეთესო მაგალითებს. მაგალითად, თირკმლისა და კოლინჯის დაავადებათა დიფერენცირებისათვის ავტორი წერს „აწ გამოვარჩიოთ მათ შუა ნიშანი კოლინჯისა და თირკმელთა ტკივილი არ იძრვის და თვისა ალაგსა სტიკვის და კოლინჯისა, ტკივილი იარების და ბრუნავს ზე — ქუე წად — უკუ და მუცელშიგან“. (გვ. 595).

გარდა ამისა, ორივე დაავადება იწვევს პირღებინებას, მაგრამ პირნაღები მასის სხვადასხვანაირობით თითქოს შესაძლებელია ამ ორი დაავადების დიფერენცირება. ასევე კარგად არის დიფერენციული დიაგნოსტიკა მოცემული ქვემოთყვანილ ტექსტში.

„და თუ იყოს ტკივილი ჭიპს ზემოთ სტომაქისაკენ, იცოდი, რომე ტკივილი და სნება წელთა ზემოთ ნაწლევთა შინა არის.

და თუ იყო ტკივილი ჭიპსა ქუეშეთ, იცოდი, რომ ტკივილი და სნება ქუეშეთა ნაწლევთა შიგან არის... და დიდი ტკივილი დამეტებისგან ნამეტნავისა იქნების... რომე წულილნი ნაწლევნი ასტიკვდებიან. და თუ წაე-



კიდოს ყვანა, ყვანასა წინით ერთითა ჟამითა, მერმე იყვანდეს, იცოდეს, რომე ისი სენი ზემოთ ნაწლევათა შიგან არის. და თუ სისხლი ვაძრე-
დეს, წმიდა იყოს ქუემოსა ნაწლევათა სისხლისაგან, ზემოსა უწმიდე
იქნების. და გამოვალს არეული ნავდელსა თანა, და თუ იყოს ყვანა
ქუემოთა ნაწლევათა, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ასტიკედების ერთსა
წამსა, დაუწყებს ყვანასა და გამოყვების თანა სისხლი და ბალღამი, და
თანა დარეული და ქონიცა გამოყვების, და არა იყოს მის თანა სკორე.
და იქნების, რომე გამოვიდეს სკორე მარტოდ, ანუ სისხლსა თანა. ამისა-
თუის, რომე სკორე შეისწრაფებს და გამოვა სისხლსა თანა, და უფრო
სჯერცა გამოვა სისხლი მარტოდ. და იცოდით, რომე ნაწლევათა წულილ-
თა არა უც ქონი. და თუ გამოვიდეს სისხლი სქელი და ქონი გამოყვეს
თანა და ქონსა თანა ნავდელივითა, რომე ტყავსა ვვანდეს, იცოდი, რომე
ქუემოთა ნაწლევათა შიგან არის წყლული“. (გვ. 553).

მადიფერენცირებელი ნიშნების ასეთი სისტემატიზირება და
ცოდნა უთუოდ დიდი დაკვირვებებისა და ფართო კლინიკური დიაპაზო-
ნის მაჩვენებელია.

მკურნალობის საკითხები ძეგლში, როგორც ვთქვით, ვრცლადაა
წარმოდგენილი.

ზემოთ განვიხილეთ პირველ წიგნში მოცემული ფარმაკო-
ლოგიური საშუალებანი, რაც მთელი წიგნის, შეიძლება ასე ვთქვათ,
ფარმაკოლოგიური ნაწილია. ზაზას წიგნის მეორე ნაწილშიც ყოველი
ორგანოსა და ცალკეული დაავადების აღწერას მოსდევს სამკურნალო
საშუალებათა ვრცელი აღწერილობანი, საჭირო ნაერთთა სხვადასხვა
ვარიანტები. ამასთან, სამკურნალწამლო საშუალებებად უხვად არის
გამოყენებული როგორც ცხოველური და მცენარეული, ისე მინერა-
ლური ნედლეული. გარდა მედიკამენტურისა, გამოყენებულია სხვადასხვა
სამკურნალო მანიპულაციები, როგორცაა, მაგალითად, სისხლის გამო-
შვება, სამკურნალო წურბელი, კოტომები, ოყნა, კათეტერი.

სისხლის გაღებას ძველ ქართულ მედიცინაში ხშირად მიმართავ-
დნენ როგორც სამკურნალო საშუალებას. ზაზას წიგნში აღწერილია არა
მარტო სისხლის გამოშვება, არამედ მითითებულია აგრეთვე ის სისხლ-
ძარღვები, საიდანაც ხდებოდა სისხლის გაღება, პათოლოგიის ცალკეულ
შემთხვევებში, რაც ავტორს აღწერილი აქვს ცალკე თავში („კარი სისხ-
ლისა დენისა“) როგორც ირკვევა, სისხლის გაღების მიზნით შემდეგ
სისხლძარღვთა „გახსნა“ ხდებოდა: კეფალისა, ბასალიკისა, კათოლი-
კისა¹, „ძარღვი... რომელ არს მარჯუენასა კელსა საშუალო ნექსა და
ნეკისა შედეგსა თითსა გამომავალსა“, მარცხენა ხელის მტევნის იმავე
ადგილზე გამომავალი ძარღვი, ქვედა კიდურებზე კი — მუხლქვეშა

¹ ამ ძარღვს საბა ასე განმარტავს: „კათოლიკე ძარღვ, მკლავშუა ძარღვ, რომელსა
თურქნი ბედენს უკმობენ“.



სისხლძარღვი. და ძარღვი „რომელ არს კოჭითა სხუილთა ზედა და ჰქუიან საფინი“ და ერკნისი. კეფალის გახსნა ხდებოდა თავის დაავადების დროს. ბასილიკის გახსნა — სისხლის მოჭარბებისა და ღვიძლის და ელენთის დაავადებისას; კათოლიკის გახსნა რგებდა „ყოველთა სნებათა, რაცა კაცსა ტანსა შიგან შედების“, მარჯვენა ხელის მტევნის გახსნა — ღვიძლის ტკივილსა და სიმსივნეს და ტანის მარჯვენა მხრივ დაავადებებს, მარცხენა ხელის მტევნის გახსნა — ელენთის ტკივილსა და სიმსივნეს და „დამპლობასა სისხლისასა“, მუხლქვეშა სისხლძარღვის გახსნა — ელენთის სიმსივნესა და „გარყუნილობას“, მენსტრუაციის მოშლას და სნეულებებს, რომლებიც ვითარდება „ბარკალთა და წუივთა შიგან“. „კოჭთა სხუილთა ზედა“ ძარღვის გახსნა — მენსტრუაციის მოშლას და დაავადებებს, რომელნიც შეიქმნებიან „ბარკალთა და წელთა შიგან“, ერკნისის გახსნა კი — სისხლის მოჭარბებით გამოწვეულ დაავადებებს, თქმოს, ბარკლის, კუჭის და სხვა დაავადებებს.

გარდა სისხლძარღვთა გახსნისა, მიღებული იყო „სისხლის ღენა ჭიქითა“. ამ დროს დანით („საჭრელითა“) ხდებოდა გაჭრა ქსოვილის შერჩეულ ადგილებზე და ჭიქის მოკიდება მათზე. სისხლის გაღება არ იყო მიღებული „ყრმათათვის“ 13 წლამდე და მოხუცთათვის 60 წელზე უფროს ასაკში. მაგრამ სისხლის გაღება განისაზღვრებოდა აგრეთვე თვით ავადმყოფის მდგომარეობით. საერთო სისუსტის შემთხვევებში თავს იკავებდნენ სისხლის გაღებისაგან — „თუ ძალი ჭონდეს“, კელი გაუხსნენ, თუ ძალი არ ჭონდეს, ასეთი შარბათი შეუწყევით, რომე სისხლი დააწყნაროს.“ სისხლის გაღების ეს წესები იმიტომ კი არ მოგვყავს, რომ რაიმე პრაქტიკული ღირებულება ან ახლა ჰქონდეს ან ოდესმე ჰქონდა მას. საკითხი საინტერესოა მასალის დალაგების მხრივ, სისხლძარღვთა ლოკალიზაციისა და საერთოდ სისტემატიზირების თვალსაზრისით.

საინტერესოა აგრეთვე აღწერილი წურბლის მოკიდებისა და აბანოთი სარგებლობის წესები.

„სამკურნალო წიგნი“ თავისი ხასიათით ქირურგიული ძეგლი არაა და ამიტომ ქირურგიულ ოპერაციებსა თუ მანიპულაციებს სპეციალურად არ აღწერს. მაგრამ ტექსტში რამდენიმე ადგილას არის ნახსენები ქირურგიულ ჩარევათა შესახებ, რაც საშუალებას იძლევა დაახლოებით მაინც წარმოდგენა ვიქონიოთ ქირურგიის განვითარების მაშინდელი დონის შესახებ. ჭრილობათა მკურნალობისათვის მედიკამენტთა მეტად მდიდარი არსენალია გამოყენებული, მაგრამ თუ „დაკოდილი დიდი იყოს, — ამბობს ავტორი, — შეკერე ნემსითა და აბრეშუმითა და ესე წამლები შიგან ჩაუყარე და ძუელი ბამბა დასდევ და შეუხუე და უშუელის“. (გვ. 651).

მცირე ქირურგიული მანიპულაციებიდან საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ადგილები: ავტორი იხილავს ქირურგიულ დაავადებას „თიას“

— „თია იმას ქუიან, რომე ტყავსა და ხორცს შუა იყოს მრგვალი და გორვიდეს... თუ ტყავსა და კორცს შუა იყოს, მისი უკეთესი, დასტაქრობა არის, რომე გამოიღოს“ — (გვ. 630). ცხადია, ამ აღწერილობით იგი ლიბომაა, აღსანიშნავია, რომ გურიაში კანქვეშა მოძრავ, უმტკივნეული სიმსივნეს დღესაც თიას ეძახიან, როგორც ტექსტიდან ირკვევა, მისი მკურნალობა ქირურგული იყო: ლიბომის, ანუ „თიას გამოღება“ დასტაქრის შემწეობით.

ნაჩვენებია აგრეთვე ჭრილობის პირველადი დამუშავების რაციონალური მეთოდი, ისრით მიყენებულ ჭრილობათა კიდეების მოკვეთის გზით: როგორც „ისარი გამოიღოს მისი ალაგი მოკუეთე და გააგდე“ (გვ. 652), წერს ავტორი. ცხადია, აქ ნაგულისხმევია ჭრილობის ინფიცირებული კიდეების მოკვეთა, რის შემდეგაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნემსითა და აბრეშუმის ძაფით იკერებოდა ასეთი ჭრილობა.

შხამიანი ისრით დაკოდლი ჭრილობის „მკურნალობაში“ ერთი ფრიად საინტერესო ჩარევა აღწერილი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს სუბოქციპიტალურ მანიპულაციას ცერებრო-სპინალური არხის გაკვეთისა თუ ინექციის სახით.

„რა კაცი შხამიანი ისრითა დაკოდონ, ესე წამალი ქენ გამოცდილია“... კაცისა კისერი, რომ დაიღვეს, ორი ძუალია იქი—მაღლა კისერსა და ზურგისა ძუალსა შუა: ყოველსა კაცსა მაღლად ეჩვენების ისი ძუალი. მაღალსა ძუალსა ქუემოთ და ზურგის ძუალსა ზემოთ რომე თითი დასდვა ჩაჯდების შიგა. ერთი ნიშანი ესე არის, რომე ორსავე ძუალსა შუა არის ისი ადგილი, ფრჩხილის ოდენი სიგრძე და განი — მოკუეთე. და ერთი ნიშანი ესე არის, რომე, დაკოდლისა პირი გააბერვინე და გამოჩნდების ისი ალაგი. რა გაკუეთო, ამოსწოვე რომე მისი სენი და შხამი იქით ამოიღოს და ყუითელი წყალი; თუ არა ტუინშიგა ვავა და კაცსა მოკლავს. ვირე ტუინშიგან არ ვავა, ვერ მოკლავს, რა ნახო ამოწონილი ადგილი რომე გათედრდეს, სხვა შხამი აღარ ამოდიოდეს, ესე წამალი შექენ, რომე თრითის ქუიან, და დაკოდელზე და მოაყარე“ (გვ. 651—652).

ცხადია, აქ ლაპარაკია ცერებრო-სპინალური არხის გაკვეთაზე, „მაღალი ძუალი“, რომელიც იქ მდებარეობს, სადაც „კაცისა კისერი დაიღვეს“, „ზურგის ძუალს“ ზემოთ, სუბოქციპიტალური ბორცვია, „ზურგის ძუალი“ კი ხერხემლის სვეტის კისრის წარზიდული მაღაა, მათ შორის მოთავსებული ჩანაქდვეი ის ადგილია, საიდანაც კლინიკაში დღესაც კეთდება სუბოქციპიტალური ინექციები.

დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის თვალსაზრისით, ეს მანიპულაცია დღესაც საკმაოდ რთულად ითვლება და მოითხოვს განსაკუთრებულ გამოცდილებასა და სიფრთხილეს. აღსანიშნავია, რომ ეს ჩარევა კეთდება სწორედ ისეთი პათოლოგიური მდგომარეობის დროს (შხამიანი ისრით მოწამელა), როდესაც მოსალოდნელია ცენტრალური ნერვული

სისტემის — ტვინის ინტოქსიკაცია. როგორც თვით ტექსტიდანაც ჩანს, ამ მანიპულაციის აზრიც ტვინის დაცვაა, მისკენ მიმავალი გზის გაუფრთხილებლობა მომწამლავ ნივთიერებათაგან. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად ეფექტური იყო მკურნალობისა თუ პროფილაქტიკის ეს მეთოდი, მაგრამ თავისთავად ასეთი რთული მანიპულაციისა და მეთოდის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია და ქირურგიულ ჩარევათა მაღალი დონის მაჩვენებელია.

ყურადსაღებია მაგნიტის ფხვნილის გამოყენება ორგანიზმიდან (კუჭ-ნაწლავიდან) რკინის წილის გამოსადევნად რკინისწილა (წილა-ხენჯი რკინისა და სხვათა მეტალთა გარდაღობისაგან ანუ გამოკვერისაგან დანარჩენი რიოში ანუ ნაცარი — ნ. ჩუბინაშვილი) მომწავლელ („საკვლავთა“) ნივთიერებათა შორის არის განხილული: „მათთვის, რომელთა რკინისა წილა ექვამოს და მუცელსა შიგა და რკინოდეს. კურნება მითი ესე არს — აიღე ქვა მაღნიტისა რომელი რკინასა აიღებს“ — ნახევრად მუტყალი, დანაყე კარგად და შეასუი ღუინითა ანუ ტფილითა წყლითა, ვირე შეკრიბოს წილა იგი ერდგან“ (გვ. 668).

მაგნიტის ფხვნილის მიცემა უთუოდ მიზნად ისახავს რკინის წილის გამოდევნას მაგნიტთან ერთად კუჭ-ნაწლავიდან, ვიდრე წილის მომწამლელი ნივთიერება გაიხსნებოდეს და შეისრუტებოდეს ორგანიზმში. ამ შემთხვევაშიც ძნელია რაიმე ითქვას მისი ეფექტურობის შესახებ, მაგრამ უთუოდ რაღაც საინტერესოდ გააზრებულ ქმედებასთან გვაქვს საქმე.

რთული და სერიოზული ოპერაციებიდან ნახსენებია აგრეთვე საშარდე სისტემიდან „ქვის გამოღება“. ტექსტში საუცხოოდ არის აღწერილი კენჭოვანი დაავადების კლინიკა, მედიკამენტური მკურნალობის მრავალნაირი მეთოდი: „თუ ქვა დიდი იყოს, შირიმი, და არა დადნებოდეს ამით წამლებითა, და დაეკმას სავალი ფსელსა, მაშინ ჩაყავ მილი, რომელსა სახელი ჰქუიან ვანტირი, სარცხუინელსა შიგა და უკუძალე, რომე გამოვიდეს ფსელი, გაუპოს და გამოუღოს ქვა, თუ შეეძლოს“ (გვ. 610). მაშასადამე, აქ მოცემულია შეკავებული შარდის კათეტერით (მილი, ვანტირი) გამოღების მეტად რაციონალური, თანამედროვე მეთოდი და ამავე მეთოდით საშარდე მილიდან „ქვის გაპობის“ და გამოღების ტექნიკა („გაუპოს და გამოუღოს ქვა თუ შეეძლოს“).

ყურადსაღებია აგრეთვე გამოყენებული ქირურგიული თუ სხვა საექიმო ინსტრუმენტები: ზემოხსენებული მილი, ანუ ვანტირი, „სტურიი“, რომლითაც საშარდე მილში სამკურნალო საშუალებებს აწვეთებენ („სტურიითა ამოდ-ამოდ სარცხუენელშიგან ჩაასხით, რომე დააღბოს“ გვ. 612), თვალის მილი — პიპეტი („თუალისა მილითა ჩაუწთევ“ გვ. 629) და სხვ. მაგრამ ქირურგიულ-უროლოგიურ ჩარევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შარდის ბუშტიდან ქვის ამოღების ოპერაცია:



„თუ ამა წამალმან ვერ უშუელოს, და ესე ქვა ქუემო ბუშტეგან იყოს და ვერ უშუელოს, მეშირიმემან ამოართუას“. (გვ. 612).

„მეშირიმეობა“ ექიმ-დასტაქრის ცალკე პროფესიას წარმოადგენდა. მეშირიმე დახელოვნებული იყო მხოლოდ შარდის ბუშტიდან ქვის ამოღების (ლითოტომია) ოპერაციებში. ეს ოპერაცია ზაზას „სამკურნალო წიგნზე“ 400 წლით აღრინდელ ძეგლშიც („უსწორო კარაბადინი“) არის ნახსენები. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში გაცილებით უფრო გვიან — XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც, თანამედროვე მეცნიერული მედიცინის დამკვიდრების შემდეგაც კი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქართველი „მეშირიმეები“ (ძმები იაშვილები, ძმები იაგულაშვილები, ზაქარია ლომიძე). მათ მეფის მთავრობის მიერ ოფიციალურად ჰქონდათ მიღებული ნებართვა ეწარმოებინათ ეს ოპერაციები. მათ შორის ძმები იაგულაშვილები ვერცხლის მედლითაც კი დააჯილდოვა მთავრობამ „საექიმო მმართველობის“ წარდგენით. ზაქარია ლომიძეს კი, როგორც დახელოვნებულ დასტაქარს, მეზობელ აზერბაიჯანსა და ყარაბაღშიც კი იწვევდნენ ხსენებული ოპერაციის ჩასატარებლად.¹

XI და XV საუკუნეების ძეგლებში ამ ოპერაციის მოხსენება იმაზე მიუთითებს, რომ ის საკმაოდ ძველი და მეტად გავრცელებული ოპერაცია ყოფილა საქართველოში. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ზაზას წიგნში ნახსენები მუცლის ღრუს გახსნა — ლაპარატომია, რაც ქირურგიული ტექნიკის მეტად მაღალ დონეზე მიუთითებს. ტექსტში აღწერილია რა „ტყირბის“ (ელენთის) დაავადებანი და მათი მკურნალობანი, მრავალი სამკურნალო საშუალებაა ჩამოთვლილი, ერთ-ერთი „კუერის“ მიღების შემდეგ, რომელიც, როგორც ჩანს, ელენთის სიმსივნის (გადიდების) დროს არის ნახმარი, ამ წამლის მოქმედების შესახებ ავტორი ამბობს:

„შევასუი სამსა ღღესა წამალი ესეთელსა, და მაშინ გააპეს მუცელი მისი და არა ჰპოეს მას შიგან ტყირბი“. (გვ. 550).

რატომ „არა ჰპოეს მას შიგან ტყირბი“?

უნდა ვიფიქროთ, რომ გადიდებული „ტყირბის“ სიმსივნე მკურნალობით იმდენად შემცირებულა, რომ ის შარცხენა ფერდქვეშა მიდამოში იმალებოდა, ე. ი. მუცლის ღრუში აღარ ჩანდა. მუცლის „გაპობა“ კი აშკარად მუცლის ღრუს გახსნას ნიშნავს. მუცლის ღრუს კვეთას, საცდელ ლაპარატომიას, შეუძლებელია გავრცელება ჰქონოდა მისი არაეფექტურობისა ან ხშირ გართულებათა განვითარების გამო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქირურგიული ტექნიკა იმ დონეზე იდგა, რომ დასტაქარი საცდელ ლაპარატომიას უშიშრად აკეთებდა.

¹ ამ საკითხზე იხ. მ. შენგელია, „ზოგიერთი ცნობები ხალხური მედიცინიდან“. შურნ. „საბჭოთა მედიცინა“, 1957 წ., № 4.

მკურნალობის მეთოდთაგან უაღრესად მნიშვნელოვანია კლიმატური და ფიზიოფაქტორების გამოყენება, მით უმეტეს, რომ ისინი არც ერთ სხვა ადრინდელ ძეგლში არ გვხვდება. ერთ-ერთი დაავადების შესახებ ავტორი ამბობს, რომ მას „გრძელი მთა-ადგილი უნდაო“. (გვ. 464). ამით ავტორი აშკარად მიუთითებს მთის კლიმატური ფაქტორების გამოყენებაზე დაავადებათა მკურნალობაში. წიგნში ნათქვამია აგრეთვე ზოგიერთი დაავადების დროს ზღვის წყლისა და მარილიანი წყლის აბაზანების გამოყენებაზე.

„თუ კაცსა სნება მღიერისა სიგრილისაგან იყოს და ნიკრისი სჭირდეს და კაცი, რომე თრდოდეს და კელი და ფერჯი დაუშრუდდეს, და და სლიახაყა სჭირდეს, და რაცა ფერი მღიერო სჭირდეს, ამა ყოველსა სატკივარსა ისი ზღუისა წყალი ანუ მლაშე წყალი, რაცა იყოს ჩაჯდებოდეს და იბანდეს ისი კაცი. ვისცა ესე ყუალა სატკივარი სჭირდეს, მას არგებს. წყალი თუ ან ზღუისა და ან მლაშე არ იყოს, წმიდასა წყალშიგა მარილი ჩაყარონ, ანუ მზესა დაუდგან, ანუ მოადუღონ, მისივე ხასიათი არის, და ამა სატკივარსა ისიცა არგებს, მღიერსა და ფხანასა შეიქს“. გვ. 776. მაშასადამე, მღიერით, ნიკრისით და დამბლებით სნეულთ ავტორი უნიშნავს ზღვის წყლის აბაზანებს, თუ „ზღვის წყალი... არა იყოს“, მაშინ „წმიდასა წყალშიგა მარილი ჩაყარონ და იმისი აბაზანები მიიღოს.“

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ზემოხსენებული ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხების განმარტებები სცილდება საკუთრივ სამედიცინო ინტერესების ფარგლებს და, ვფიქრობთ, მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, სრულიად ბუნებრივია, რომ ძველი ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარმა ძველი სამედიცინო ძეგლებიც, და მათ შორის ზაზას „სამკურნალო წიგნიც“ მიიჩნიოს ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, რადგან ცნობილია, რომ სწორედ მედიცინა (ბუნებისმეტყველება) განუყოფელი იყო ფილოსოფიისაგან. „იცოდე რომელ აქიმნი და ფილოსოფოსნი ერთნია. მათ შორის საცილობელი არა არს“ — ხშირად ვხვდებით ასეთ ფრაზას ძველ სამედიცინო ძეგლებში.

ფეოდალური საქართველოს მსოფლმხედველობა ორ ძირითად მიმართულებად იყოფოდა, ერთი მათგანი საეკლესიო-ქრისტიანული დოგმატიზმის საფუძველზე იყო აღმოცენებული და მეორე საერო-ქრისტიანულ მოძღვრებასთან შერწყმულ ანტიკური მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველზე. ამ ორ მოპირდაპირე მსოფლმხედველობას შორის საუკუნეების მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლა წარმოებდა. მათ შორის პირველს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, როგორც გაბატონებული კლასის მსახურს და მეორეს — ოპოზიციური, რომელიც ხშირად დევნას განიცდიდა, მაგრამ უაღრესად პროგრესულ მსოფლმხედველობას წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს პირობებში.

საეკლესიო-იდეალისტური მსოფლმხედველობა აშკარა ბრძოლას უცხადებდა ყოველგვარ მატერიალისტურ გამოვლინებას ხელოვნებაში, მედიცინაში, ფილოსოფიაში და სხვ. ცნობილია, რომ 325 წ. ნიკეის საეკლესიო კრებამ მრგვალი პლასტიკა აკრძალა იმ მოსაზრებით, რომ ის ადამიანის სხეულს ასახავდა და არა სულს, საექიმო ხელოვნების ღმერთის ასკლეპიოსის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც იშვიათი გარეგნული სილამაზის კლინიოსის ვაჟის — ალკიბიადეს სახით იყო წარმოდგენილი, დანგრეულ იქნა!

საქართველოში ამ ორი მსოფლმხედველობის არსებობა და ურთიერთ ბრძოლა აშკარად ჩანს. საკმარისია დავასახელოთ ეკლესიის მესვეურთა მიერ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცხადება „ბილწ ქმნილება“ და იოანე პეტრიწის დევნა, რომელიც სწორედ ქართული ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენელი იყო. ცნობილია, რომ იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსი თარგმნა, როგორც მსოფლმხედველობით მასთან ახლომდგომმა და ორიგინალური კომენტარები დაურთო მას. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში პროკლეს ასეთ განმარტებას აძლევს:

„პორფირის შემდგომად მეორე მტერი დიდი ქრისტიანეთა“. პორფირზე კი, რომელსაც პროკლეს ადარებს, ამავე ლექსიკონში ნათქვამია: „ფილოსოფოსი იყო ტირიელი დიდებულის შვილი, ავრილიანოს კეისრისა უამსა, ქრისტიანეთა დიდათ მტერი ათხუთმეტი წიგნი დაწერა ქრისტიანობის წინააღმდეგ.“

თუ გავითვალისწინებთ პეტრიწისა და პროკლეს იდეოლოგიურ სიახლოეს, სულხან-საბას ზემოაღნიშნული შეფასება, თუმცა არაპირდაპირად, იოანე პეტრიწზედაც გრცელდება და მაშინ ის ეკლესიის მსახურთა მოპირდაპირე მსოფლმხედველობის, „მტერთა“ ბანაკის წარმომადგენლად გვევლინება.

ანტიკური მატერიალისტური ფილოსოფიის გავრცელებასა და ქრისტიანულ დოგმატიზმთან მისი შერწყმის ერთ-ერთი გამოვლინებაა უძველეს ქართულ წყაროებში გავრცელება მოძღვრებისა სამყაროს ოთხი ელემენტისაგან შედგენილობის შესახებ:

მატერიალისტურია ეს მოძღვრება იმდენად, რამდენადაც ბუნება. სამყარო მატერიალურადაა წარმოდგენილი. ის შედგება (როგორც ამას ზაზაც განმარტავს) ოთხი ელემენტისაგან (ჰაერი, წყალი, მიწა, ცეცხლი). ამავე დროს ეს თეორია შერწყმულია ქრისტიანულ დოგმატიზმთან, რამდენადაც ამ ოთხი ელემენტის უზენაეს შემოქმედად აღიარებულია ღმერთი.

1 შ. ხი და შ. ე. ლ. „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“, 1954.



აბიბოს ნეკრესელის მარტვილობაში თვით აბიბოსი ამბობს ცეცხლ-
თაყვანისმცემლებთან პაექრობაში, რომ ცეცხლი „სხუათა უტუნებთათგან“
არს ერთისა ნიეთისაგანი მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერ-
თმან სოფელი ესე, განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიოდ, ცივი,
კმელი, და ცეცხლი“. აბიბოს ნეკრესელის ამ სიტყვებს ხშირად ესებთან
მკვლევარები, მაგრამ აღნიშნული მოძღვრების უფრო სისტემატური,
ჩამოყალიბებული განმარტებანი, რომლებიც მოცემულია ქართულ სა-
მედიცინო ძეგლებში, არაა გამოყენებული ქართული საზოგადოებრივი
და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის კვლევაში.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მიხედვით, ბუნება ოთხი ელემენ-
ტისაგან შედგება და შესატყვისად ამისა ადამიანის ორგანიზმიც ოთხი
ელემენტისაგან წარმოსდგება.

„შექმნა ღმერთმან მოწყალემან კაცი ოთხთა ბუნებათაგან...“ და სხვ.

ტექსტში გარკვეულია მათი (სისხლის, ბალამის, შავი ნაღვლის,
ყვითელი ნაღვლის) გემო, ფერი, თვისებები, ანატომიური ლოკალიზა-
ცია და სხვ.

ავტორი ბოლოს დასძენს — „იციდი, რა კაცი დაიბადების ვიდრე
სიკუდილამდი ამა ოთხთა ბუნებათაგან იქცევის და ამითგან იზრდების
და ამითგან ცოცხალა კაცი“ (გვ. 264) ტვინი აღიარებულია „კელმწიფედ
სრულად ტანისა“, „ცნობა და ჭკუა კაცისა ტუინსა შიგან არს“.

თანამედროვე ერთი რომ ვთქვათ, ტვინი მიჩნეულია აზროვნების
ცენტრად, აზროვნების ორგანოდ.

„მერმე იცილით“, რომე ტუინდაღმა თოთხმეტნი ძარლუნი (იგულის-
ხმება ნერვები — მ. შ.) ჩამოვლენ ქუედა ტანშიგან და მათი თავები
ტუინსა აბია. ესე ძარლუნი მისცემენ ყოველსა ასოებსა საქრავსა და
ამითგან იძვრის ყოველი ასო“.

გარდა იმისა, რომ აქ იმ დროისათვის საკვირველი სიზუსტითა
წარმოდგენილი ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ძირითადი
საკითხები, მოცემულია არა მარტო სამყაროს, ბუნების აღიარება რო-
გორც ნიეთიერის, მატერიალურის, არამედ მოცემულია აგრეთვე ფსი-
ქიკის მატერიალისტური გაგების ელემენტებიც, რადგან ტვინი აღიარე-
ბულია, როგორც გარემოს შეცნობის ორგანო — „ცნობა და ჭკუა
კაცისა ტუინს შიგან არს“. ნახსენებია აგრეთვე თავის ტვინიდან გამომა-
ვალი ნერვები, რომელთა თავები „ტუინსა აბია“ და რომელთა საშუა-
ლებით ხდება ცალკეული ორგანოების მოძრაობა — „ამათგან იძვრის
ყოველი ასო“ ამ ნერვების საშუალებით ხდება გარემოს შეცნობა, აღქ-
მაო: „ავსა და კარგსა მიცემასა და აღებასა და დავარდნასა ყუალასა
ტუინი იმა ძირღუებიდაღმა შეიტყუებს.“ ცნობილია, რომ ფსიქიკურ
დაავადებათა წარმოშობას ყოველთვის „ავ სულებთან“, ბოროტ ძალებ-
თან აკავშირებდნენ. ამ მისტიციზმისა და იდეალიზმის ტყვეობაში დღე-
საც იმყოფებიან იდეალისტური ბანაკის წარმომადგენლები.



ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი კი გაბედული მატერიალისტის სითამამით ხსნის ამ მეტად რთულსა და ბევრისათვის დღესაც შეუცნობელ პროცესებს.

მაგალითად, ბნელად ის ხსნის, როგორც ტვინის პათოლოგიას:

„ისი სენი ტვინშიგა შეიქმნების და ტუინი დაბინდების, კაცსა რომელიმე ასო მოჰკუთვითო, ვერას შეიტყუებს, ამა ნიშნითა მეცნიერი და ჰქუიანი ტვინი არის“. (გვ. 266).

მაშასადამე, როდესაც „ტუინი დაბინდების“, კაცს ასო რომ მოჰკუთვითო, ვერაფერს გაიგებს, რადგან ასოზე შეხება ტვინმა უნდა აღიქვას, ხოლო რაკი ტვინს არ შეუძლია ამის აღქმა, მაშასადამე, ავადმყოფური პროცესი „თვით ტვინშიაო“. ზაზა აღწერს ერთ ფსიქიკურ დაავადებას, ე. წ. „მანახულიას“, რომელიც თავისი ნიშნებით შიზოფრენია თუ რეაქტიული ფსიქოზი უნდა იყოს.

„თუ ეს სენი დაემართოს კაცსა, რომელსა ჰქუიან მანახულია, იცოდით, რომე ტუინშიგა შეიქმნების“. გვ. 308.

აღსანიშნავია, რომ ზაზა პირდაპირ უარყოფს ამ დაავადების მისტიკურ ბუნებას.

„ზოგ-ზოგჯერ კაცსა ცნობა და ჰქუა შეეცულებოდეს და ამას იტყოდეს, ვითა არა მეშუელებს რაო, ასრე ეგონოს, ან მოწამლული ვარო და ან გრძნეულთაგან ვარ ავადო, და არას საქმესა არ დაუჯერებოდეს და არც არას წამალსა იქმოდეს“ გვ. 308.


ცხადია, ავტორი ამ დაავადებას განიხილავს როგორც არა „გრძნეულთაგან გ მოწვეულს“, არამედ დაავადებას, რომელიც „ტუინშიგა შეიქმნების“ და რომელიც საჭიროებს წამლებით მკურნალობას, მკურნალობის რაციონალურ მეთოდებს.

მეტად საინტერესოდ არის განხილული გარეგანი პირობების ზემოქმედება, გავლენა ადამიანზე — „ჩუეულება ბუნებასა ახლოს ახლავს“. ადამიანი კი არ წარმოადგენს რაღაც ერთხელ და სამუდამოდ შექმნილ ზეციურ არსებას, როგორც ამას ქრისტიანული დოგმატიკოსები ამბობდნენ, არამედ ისინი — ადამიანები, ბუნების შვილები არიან. ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის თუ დასავლეთის მცხოვრებნი ისეთივე „ბუნებისანი“ არიან, როგორც კლიმატია, გეოგრაფიული თუ სხვა ბუნებრივი პირობებია ქვეყნის ამ მხარეებში.

„და ვინცა სიცხესა დაჩუეული არს და აბაშნი და ზანგნი უკეთუ გასძლებენ სიცხესა და შშისა სიცხე არას აწყენსა... და თუ სიცივე ეცემის, ავად გავდების, და ვინცა სიცივესა ნაჩუევი არს, ვითა რუსნი და სიყალბელნი და ბორღალნი საზომისაგან უფროსა სიცივესა გასძლებენ, მაგრამ თუ ცხელ-ცხელი აერი ეცემის, ავად გახდებიან“. გვ. 91.

ან კიდევ:

„თბილსა წყალსა ნაჩუევესა ცივი წყალი დაახაშმებს და ავად გაჰდის და ცივსა წყალსა ნაჩუევესა თბილი წყალი აწყენს.“ გვ. 91.



ტექსტში ბევრი მაგალითია მოყვანილი აგრეთვე იმის საფუძველზე, რომ ციოდ, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა ვარჯიშით, განსაკუთრებით გარემო პირობების შექმნით შეიძინოს ახალ-ახალი თვისებები, თითქმის ჩვეულებრივი ადამიანისათვის უჩვეულონი და საკვირველნიც კი.

ავტორი იმოწმებს ბაგრატს (ჰიპოკრატეს) და ამბობს:

„ზოგნი კაცნი მიჭირვებასა და მძიმისა ტუირთისა აღებასა დაჩვეულნი იქნებიან... ვინცა მომჭირნებასა დაჩუყვის, რაზომცა დაბერდეს, გამოსუენებულსა ყმაწურილსა ეგრეცა აჯობებს“. (გვ. 91).

ავტორი „მიჭირვების“ ქვეშ გულისხმობს სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშს და აღნიშნავს მის კეთილსასურველ გავლენას ორგანიზმზე.

„მძიმისა ტვირთისა ამღებელნი, რაოდენცა დაბერდეს, ეგრეცა, მრავალთა ყმათა ოდენ შეუძლია.“


ავტორის მიერ განხილული აღნიშნული საკითხები ეხმაურება თანამედროვე მიჩურინულ ბიოლოგიურ-მოძღვრებას ბუნებრივი პირობების ზეგავლენით ახალ ბიოლოგიურ თვისებათა შექმნისა და გარდაქმნის საკითხებში. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი ღრმა ფიზიოლოგიური მოვლენის ცოდნა, როგორც არის, მაგალითად, შექმნილ თვისებათა მემკვიდრეობაში გადასვლა.

„ზოგთა კაცთაგან ვნახეთ, რომე ყმაწურილთა თავისა შეკრვითა გაგრძელდებოდეს და ბუნება მას ჩუეულობასა გაჰყვა და მათ რაცა შეილი მიეცემოდა, თავი გრძელი იქნებოდა“. (გვ. 90).

ავტორი აქ შემთხვევით კი არ აღწერს განავონსა, ან ნანახ მაგალითს, არამედ ის მას კონტექსტში განაზოგადებს მაგალითებთან ერთად როგორც რთულსა და კანონზომიერ ბუნებრივ მოვლენას, რომელიც გარემო პირობების შეცვლით შეიქმნა. ავტორის ეს მოსაზრება მშვენიერი მაგალითია ვეისმან-მორგანის მოძღვრების საწინააღმდეგოდ, და საკვირველად ეხმაურება პავლოვის ღრმა მეცნიერულ კონცეფციას პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობაში გადაცემის შესახებ.

ამგვარად, „სამკურნალო წიგნი“ (მასთან ერთად „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმოდა“) ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესასწავლად. ძეგლის ავტორი ზაზა ფანასკერტელიციციშვილი (და შესაბამისად ქანანელი, ხოჯაყოფილი) ბაკურთან, ეფრემ მცირესთან, იოანე პეტრიწონელთან და სხვებთან ერთად ფეოდალური საქართველოს ორ ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებათაგან იმ ბანაკის წარმომადგენელია, რომელიც ოპოზიციაში ედგა ქრისტიანულ დოგმატიზმს და იმ ღრმისათვის უაღრესად პროგრესულ მიმდინარეობას წარმოადგენდა.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართული ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარებმა აღნიშნული ძეგლები ამ თვალსაზრისითაც უნდა შეისწავლონ.



ასეთი იდეურ-ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველზე განხილული წიგნში პათოლოგიის არსი და თავის ტვინის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

გარდა ტექსტოლოგიური და შინაარსობრივი შესწავლისა, მსოფლმხედველობის ზოგადი საკითხებისა და იდეურ-ფილოსოფიური კონცეფციების დადგენისა, „სამკურნალო წიგნი“ და აღრინდელი თუ მომდევნო საუკუნეების სამკურნალო ძეგლები, ჯერ კიდევ მოითხოვს უფრო ღრმად შესწავლას თანამედროვე თეორიული და კლინიკური მედიცინის ცალკეული დარგების ისტორიის თვალსაზრისით, რადგან ქართულ სამკურნალო ძეგლებში და მათ შორის ზ. ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“ მოცემულია ზემოხსენებული ცალკეული დარგების ისტორიული საწყისები, სადაც დაავადებათა არსის თუ კლინიკურ მიმდინარეობათა საკითხები, დაავადებათა მკურნალობის მეთოდები განხილულია არა რელიგიურ-მისტაჟური ან ჰუმორალურ-პათოლოგიური თეორიის პოზიციებიდან, არამედ იმდროისათვის სწორი მატერიალისტური (ემპირიული მატერიალიზმის სახით) პოზიციებიდან, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ აღრეული და შუასაუკუნეების ქართული მედიცინის ისტორიის პრობლემები უფრო ღრმად და შინაარსიანად იქნას შესწავლილი.

მედიცინის ისტორიის კათედრისა და ქართული მედიცინის ისტორიისა და სამედიცინო ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ხაზით უკვე დაწყებულია ამ მიმართულებით კვლევითი სამუშაოები. თეორიული და კლინიკური მედიცინის ცალკეულ წარმომადგენლებთან კომპლექსური. ამ მხრივ უკვე დამუშავებულია: „გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია და მისი მკურნალობის მეთოდები ძველ ქართულ სამკურნალო ძეგლებსა და ხალხურ მედიცინაში“, სადაც ღრმად არის გაანალიზებული გულსისხლძარღვთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხები, პათოლოგიის, დიაგნოსტიკისა და დაავადებათა კლასიფიკაციის მაშინდელი დონე. რითაც ირკვევა, რომ შუასაუკუნეების ქართულ სამკურნალო ძეგლებში და მათ შორის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინში“ — კლასიფიცირებული იყო გულის იშემიური დაავადებები (სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი), სხვადასხვა სახის არითმიები, პერიკარდიტები, სხვადასხვა ხარისხის გულის უკმარისობა, მიოკარდიუმის ჰიპერტროფიისა და ვეგეტოდისტროფიის ზოგიერთი გამოვლინებანი და ა. შ. შესწავლილია, აგრეთვე გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობის მეთოდები და გამოყენებული სამკურნალო-წამლო საშუალებები, რაც საშუალებას იძლევა მათი შემდგომი კლინიკურ-ექსპერიმენტული შესწავლისათვის. „სამკურნალო წიგნი-კარაბადინში“ გულსისხლძარღვთა დაავადების მკურნალობისათვის მოცემულია რთული შემადგენლობის 33 რეცეპტი მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ინგრედიენტებით, რომლებიც გამოიყენებოდა თანამედროვე ტერმინოლოგიით.

ასეთი ადგილები გამოვევლინებო და ტექსტი ერთგვარად აღვედგინებ, ვაგვემართა, მისთვის რაც შეიძლება პირველადი თუ ბუნებრივი ხეობის მიხედვით გვეცა. ამ მიზნით ტექსტში შევიტანეთ შემდეგი ცვლილებები და გადაადგილებები:

1. ხელნაწერის გვერდები 189 და (1950 წ. ძველი გამოცემების გვ. 15-16) დასათაურებულაა „დ. კარი მეოთხე-უძილობისა“. 190v გვერდის სტრიქონიდან იწყებოდა კვლავ „თავის ტკივილის“ სხვადასხვა სახის განხილვა, რაც თავისი შინაარსით წინა მესამე „კარის“ გაგრძელებას წარმოადგენს, ამიტომ ჩვენ ის ტექსტი, რომელიც „უძილობას“ შეეხება, გამოვყავით ცალკე და მოვათავსეთ „დ. კარი მეოთხეს“ სახით, მეხუთე კარის წინ;

2. ხელნაწერის გვ. 249r-დან 253r-მდე განეკუთვნება კარს „ყურისა ტკივილს“, ხელნაწერისა და გამოცემული ტექსტის (გვ. 77-82) მიხედვით, ის გაგრძელებაა „იბ კარისა“, რაც თვალის სნეულებას განეკუთვნება. „კარი მეოცე“ კი („ნიშანი ბასლიკონისა დიდისა“), რომელშიც თვალის სამკურნალწამლო საშუალებებია მოცემული, მოთავსებულია ხელნაწერის 281v გვერდის შემდეგ (ძვ. გამოცემის 108—112, გვ.), ჩვენ ხელნაწერის 281v—286r გვერდები (ძვ. გამოცემის 108—112 გვ.) გადავიტანეთ 248v გვერდზე და ვაქციეთ „იბ კარის“ თვალის სნეულებების გაგრძელებად. ის გვერდები კი, სადაც ყურის დაავადებები იყო განხილული (249r—253r). გამოვყავით ცალკე თავად და დედნისეული სარჩევის მიხედვით დავასათაურეთ (აღვადგინეთ): „იბ კარი ყურისა ტკივილისა“ (1978 წ. გამოც. გვ. 355);

3. ხელნაწერის გვ. 298r და 298v წარმოადგენს წინა 296r—296v გვერდის გაგრძელებას. მათ შორის მოთავსებული 297r და 297v გვერდები შემდგომი გვერდის გაგრძელებაა, როგორც ჩანს, არასწორად იყო აკინძული და გამოცემაშიც არასწორად დაიბეჭდა (იხ. ძვ. გამოც. გვ. 121—123). ჩვენ მიერ შენაცვლებულ იქნა ამ გვერდების ტექსტი, რითაც აღდგა ტექსტის მთლიანობა და თანმიმდევრობა;

4. ხელნაწერის გვ. 494r—და 494v და 495r—495v (იხ. გამოცემის გვ. 306—307) შეეხება „თავის თმისა და წუერთა“ მკურნალობას, იგი შეცდომით შარდის ბუშტის დაავადებათათვის განკუთვნილი თავის გაგრძელებას წარმოადგენდა, ეს გვერდები გადატანილია თავში „მგ“ (კარი სამეოცდამესამე) თავისა თმისა და წუერისა სენთა კურნებაში“ (გვ. 733).

5. ხელნაწერის გვ. 502v, 503r—503v; 504r—504v; 505v, 506r—506v; 507r (ძვ. გამოც. 313—317 გვ.) „კარი ყუავილისა“ მოქცეული იყო „ორმეოცდამეერთე“ კარის („კეთრი, სურსელისა და მღიერის“) ფურცლებს შორის და ტექსტს ჰყოფდა შუაში, არღვევდა 41-ე კარის თანმიმდევრობას, რის გამოც „კარი ყუავილისა“ გადატანილ იქნა ამ კარის ბოლოში.



6. ხელნაწერის ფურცლის 619r—619v და 620r-ს დასაწყისში ახალი ცის ტექსტი სათაურებით: „ნიშანი წამლისა ქართლისათვის“, „ნიშანი სხუისა წამლისა, ერგების სნებასა, რომელსა ჰრქუიან დალილაი, რომელ არს სნება გუელისა და მელისა“ (ძვ. გამოც. გვ. 403—404) შეცდომით მოხვედრილია „კარში“, რომელიც „ცხროთა“ მეტად ვრცელ განხილვას მოიცავს. ჩვენ იგი გადავიტანეთ, თავში „ჯგ—კარი სამეოცდამესამეში“ „თავის თმისა და წუერის სენთა კურნებაში“ (იხ. გვ. 727).

7. „ნ ზ. კარი და ნიშანი ყოვლისა ფერისა სიმსივნის“ საკმაოდ დიდი და ვრცელი თავია, იგი ხელნაწერის 537V-გვერდიდან იწყება (ძვ. გამოც. გვ. 342) და განიხილავს სიმსივნურ დაავადებათა ნიშანს, მკურნალობასა და სხვ. ხელნაწერის 549 r გვერდიდან ეს თავი სულ სხვა შინაარსის შემცველი ტექსტით გრძელდება (გვ. 350) ამ ტექსტის შინაარსისა და ხელნაწერისეული სარჩევის თანმიმდევრობის მიხედვით გამოვყავით ტექსტი „ნზ-კარისაგან“ და მივეციტ მას ხელნაწერის სარჩევისეული ცალკე სათაური: „ნზ-კარი საკლავთა წამალთა, მკურნალობა გუელისა ბრაზისა და ცოფიანისა ყუალასი“ (იხ. გვ. 664);

8. თვით ის ტექსტი, რომელიც ამ ახალი აღდგენილი სათაურის ქვეშ არის მოქცეული, არეულია: ტექსტი იწყება „საკლავთა წამალთა“ (მომწამვლელთა) მიმოხილვით, წყდება იგი გველისა და ცოფიანთა ნაკბენის აღწერითა და მკურნალობით, მერე კვლავ გრძელდება „საკლავთა წამალთა აღწერითა“ და ა. შ. ჩვენ მოვახდინეთ მათი გადაადგილება: „საკლავთა წამალთას“ დასაწყისი აბზაცი მოთავსებული იყო ხელნაწერის 552V გვერდზე სრულიად უადგილოდ (გამოც. გვ. 353, სტრიქონი 20-31) ფუტკრის კბენისა და „ცოფისა ძაღლისა“ ნიშანს შორის. იგი გადავიტანეთ ახალი სათაურის შემდეგ, დასაწყის აბზაცად. „საკლავთა წამალთას“ მეორე ნახევარი, რომელიც იწყება 556r გვერდიდან (ძვ. გამოც. გვ. 356), შევუერთეთ ახალი თავის პირველ ნახევარს. ტექსტის ის ნაწილი კი, რომელიც იწყება 549V გვერდიდან (ძვ. გამოც. გვ. 351) და განეკუთვნება „ქუემძრომელთა და ცოფიანთა“ ნაკბენის ნიშანთა და მკურნალობის გადმოცემას, შევუერთეთ და თანმიმდევრულად მოვითავსეთ ამ ახალი კარის ბოლოს (ახ. გამოც. გვ. 668).

9. ერთი შინაარსის ტექსტის სხვადასხვა თავში გაბნეულობამ და შემდეგში „კარი ჯგ (სამეოცდამესამეში) წინა თავებიდან ტექსტის გადმოტანამ (გვ. 306—407) გვაჩვენა რიგი ქვეთავებში ზუსტი განმეორებანი“ რომლებიც ამოღებულ იქნა:

ა. ხელნაწერის 622 გვერდის აბზაცის („აიღე ვაზი...“) 6 სტრიქონს (ძვ. გამოც. გვ. 406) ზუსტად იმეორებს ხელნაწერის 682V გვერდის ბოლო სტრიქონებს (ძვ. გამოც. გვ. 456, 15-20 სტრიქონი). იგი ამოღებულ იქნა 622r გვერდიდან.



ბ. ხელნაწერის 682r და 682v გვერდის ქვეთავი, რომელიც იწყება „ნიშანი სხუისა წამლისა... სნება გუელისა და მელისა“ თითქმის მთელი ფურცელი განმეორება ხელნაწერის 619r და 619v გვერდებისა (ძვ. გამოც. გვ. 404) ამიტომ იგი ამოღებულია მოლიანად ხელნაწერის 619-ე ფურცლიდან.

10. კარაბადინის ბოლოს (ხელნაწერის გვ. 680r—680v; 681r—681v; 682r—682v; 683r—683v; 684r—684v) მოთავსებული იყო ცალკე თავად „თავის თმისა და წუერისა სენთა კურნება და წამალნი“ და „თმისა საღებავები“ (ძვ. გამოც. გვ. 454—457); რომელიც წარმოადგენს ერთი საერთო საკითხის ფრაგმენტს და ამიტომ გადავიტანეთ თავში „მ თავის თმისა და წუერის სენთა კურნება“ (ახ. გამოც. (გვ. 727). ამგვარად, ამ „კარში“ თავი მოიყარა სამ სხვადასხვა ადგილას გაბნეულმა ფრაგმენტებმა;

11. ხელნაწერის 620r—620v ფურცელი და 621r, ფურცლის დასაწყისი (ძვ. გამოც. გვ. 404—405) ყურის სნეულებათა შინაარსის შემცველი ტექსტია და წარმოადგენს „ცხროთა“ (ა-სამეოცდამეერთე) კარის გაგრძელებას. ჩვენ ვცადეთ მისი გადატანა და შეერთება ახლად აღდგენილ კარში („იგ. კარი ყურისა ტკივილისა“), მაგრამ იგი ზუსტი გამეორება აღმოჩნდა ადრინდელი, ხელნაწერის 252r—252v-სა და 253r ფურცლების ტექსტისა (ძვ. გამოც. გვ. 81-82), რის გამოც სრულიად ამოღებულ იქნა 620—621 ფურცლიდან (ძვ. გამოც. 404—405 გვერდიდან);

12. ხელნაწერის გვ. 633v-ს მომდევნო სტრიქონიდან, რომელიც იწყება სატყვებით: „წამალი მძოვირისა“ — ხელნაწერის 634r-ს „აე-კარამდე“ 31-სტრიქონი გადატანილია „მგ-კარში“, ე. ი. ძვ. გამოცემის 416 გვერდიდან 406 გვერდზე (ახალი გამოცემის 731—გვერდზე).

13. ხელნაწერის 198r — ფურცელზე (ძვ. გამოც. გვ. 23, 20-24 სტრიქონი) მოცემულია „ნიშანი სოოტისა ერგების ვის პირი გაუწითლდეს“ და „ნიშანი სოოტისა ერგების ვისდა ტუინი გამკმარ იყოს“ იგივე ტექსტი ზუსტად მეორდება ხელნაწერის 203r ფურცელზე (ძვ. გამოცემის გვ. 28, სტრიქონი 14-27) ამ უკანასკნელიდან ის სრულიად ამოვიღეთ;

14. ტექსტის გამართვისა და დახვეწაზე მუშაობა როგორც ვნახეთ, გამოავლინა მთელი რიგი გადაადგილებანი ტექსტის ცალკეული თავებისა. როგორც ჩანს, ეს გამოწვეული იყო იმ ხელნაწერი ფურცლების დაკარგვით, რომელთანაც ერთად ზოგიერთი კარის სათაურებიც დაიკარგა. ტექსტზე ამ მხრივ დაკვირვებისა და მისი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ხელნაწერისეულ სარჩევთან შეჯერებით, ზოგიერთი კარი აღგვედგინა თავისი დასათაურებით და ამის მიხედვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, შეგვეკისო ისინი ტექსტში უადგი-



ლოდ მიმოხილული ზოგიერთი ფრაგმენტით. ასეთი აღდგენილი „კარები“ სათაურებითურთ:

- „კარი — იგ. (მეცამეტე) — ყურისა ტყვილისა“ (გვ. 355).
- „კარი — იგ. (მეთხუთმეტე) — პირისა, ბაგეთა და კბილთა“ გვ. 369;
- „კარი — ნზ (ორმეოცდა მეთორმეტე) დაკოდლისა“ (გვ. 646);
- „კარი — ნწ (ორმეოცდა მეთვრამეტე) საკლავთა წამალთა, მკურნალობა გუელისა, ბრაზისა და ცოფიანისა ყულასი“ (გვ. 664);
- „კარი — ჯზ (სამეოცდამეშვიდე), სადაც განხილულია „ყოველთა ცხოველთა ხასიათი“, სათაური მივეციტ ხელნაწერისეული სარჩევის მიხედვით: „კაცისა და ყოვლისა პირუტყუსა და ფრინველისა და იძრვითისა ხასიათი“ (გვ. 750).

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილებები, გადაადგილებები, ტექსტის გამართვის სამუშაოები უმთავრესად „მეორე წიგნს“ შეეხო. მაგრამ ძირითადად მაინც პუნქტუაციის, ასოდაკლებულობათა აღდგენის, შენიშვნებისა და მთელი რიგი სიტყვების განმარტებების მხრივ ორივე წიგნის პირველ გამოცემათა ტექსტს დავეყრდენით. მეორე წიგნის პირველი გამოცემის ტექსტი კი, როგორც ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ „პროფ. ილ. აბულაძის და პროფ. კ. გრიგოლიას მიერ არის უშუალოდ ხელნაწერიდან დამუშავებული.

პროფესორი მის. შენგელია.

1. I ტომის მეცნიერული აპარატურა თან ერთვის,

II ტომს: შენიშვნები — იხ. გვ. 793—797,

ლექსიკონი — გვ. 810—848,

სარჩევ-საძიებელი — გვ. 891—900,

საძიებლები: საგნობრივი — გვ. 922—993,

დაავადებათა — გვ. 994—1006,

პირთა — გვ. 1007.

ტ ე მ ს ტ ი

ნიშანი¹. კელთა დაბანითა შეტყუება სნეულისა სიცოცხლისა და სიკუდილისა. რა ჟამ სნეული ცისკრისა ნახო კელნი და[ა]ბანინენ და ჭიქაშიგან ჩა[ა]სხი და მეორესა დღეს ნახე. თუ რუსუბა თეთრი და ყუითლის ფერად სცემდეს, იცოდი, დარჩეს სნეული იგი, და თუ თეთრად იყოს წყ[ა]ლი წმიდა და შიგ[ა]ნ თმა ვითა იყოს, სიკუდილისა ნიშანია. 5

თუ სისხლივითა წყალშიგან გამოჩნდეს, სიკუდილისა ნიშანია. მერმე წყალი შ[ა]ლსა ძ[ა]ლსა გარდაუსხი, თუ გ[ა]იბერტყოს, დარჩეს სნეული. თუ არა, მოკუდეს.

ხოლო კელდაბნისა ნიშანი სნეულისა ყუელასაგან უკეთესი ისი არის, რომე წმიდა იყოს და ცოტა ყუითელი. თუ არა ერთობ ყუითელი არ უნდა, რ[ა]გუარცა წესია, არცა მეტი უნდა, არცა ნაკლები. მერმე ისი სიყუითლე რომე მეტი იყოს და უკანა კარი ეწოდეს, ისი ზაფრისა ნიშანია. ზაფრა სჭარბობს მას და რომელი სტომაქი შეკრას და გარე ნაკლებად გავიდოდეს, იმისგან არის, 10

რომე ტანისა სინედლე მოკლებოდეს და სიცხე მომატებოდეს მუცელშიგან. || თუ ასრე მოიაროს, რომე ს[ა]ჭმელი კარგად ვერ მოედნოს, სტომაქისა უძლებობითა წაეკიდებს. და თუ ერთობ რბილად მოიაროს, იცოდი, რომე ტანშიგან დამპალი სენი არის. 15

და თუ მოიაროს და მწოედ ქარი გავიდოდეს, ესე, მისგან იქნების, რომე ისი სიმკურვალე საჭმელსა რომე დნობა დაკლებია ტ[ა]ნშიგან და იმისთვის არის. V

და თუ ნ[ა]ვალი მწუხანე იყოს ანუ შავი ანუ ჭურჭურჭლის ფერი, სიკუდილისა ნიშანი არის. და ისეთი ნავალი, რომე ფერი არა ქონდეს, ამისგან იქნების, [რო]მე ზაფრა ნაწლევისა გზ[ა]შიგან არ ჩ[ა]მოსულიყოს და ნ[ა]ვლისა გზა შეკრულიყოს. 25

და თუ ნ[ა]ვალი ქონსავითა მოსდიოდეს, ნიშანია, რომე შიგნით ქონი დამდნარა.

და თუ კაცმან ცოტა ჭამოს და ნავალი დიდი იყოს, იცოდი, რომე შიგნით კაცსა რამე ჰკლებოდეს. 30

და ოდეს ბაგრატ ფილოსოფოსუმ[ა]ნ შეიტყო სიკუდილი თავისა თუისასა, ანდერძი ყო თავისა მისისა და უბრძანა თ[ა]ვისა



მსახურთა: ოდეს მოკვლედ, აღიღეთ ესე წიგნი და სპილენძის მისი
 შიგან ჩადევით და ჩემთანა სამქარესა ჩამოდევით, რამეთუ ვინცა
 განძინ ჩემსა უკანის არა ნახოს.

5-2 r და ინება კეისარმან, რათა ნახოს სამარე ბაგრატ ფილოსოფო-
 სისა, || მივიდა, ნახა სამარე ძელი, დარღუეული და ბრძანა თხრა
 სამარისა, უკეთო მრთელნი იყუნენ და ასონი მისნი თანა წავიტან-
 ნე, თუ არა ახლად აგეთ და შეკაზმეთ კარგად. ოდეს დათხარეს
 სქამარე, პოეს წიგნი და მოართუეს კეისარსა. გახსნა წიგნი ესე
 და მისცა მეთოდორესა დასტურსა მისა. გარდასწერეს და იგი
 10 მუნვე ჩაუღვეს.

**და აწ სხუათა დავიწყოთ შეტყუებათა
 და ცნობათა კაცისათა**

ცნობა ოთხთა ბუნებათა და კაცისა აგებულე-
 ბისათჳის.

15 და შექმნა ღმერთმან კაცი ოთხთაგან ბუნებათა: ცეცხლისაგან,
 ქარისაგან, მიწისაგან და წყლისა. და ესე შეუმგზავსებულ
 არიან და განწვალეზულნი და სიმკურვალე და სიგრილე, სიკმე-
 ლე და სინოტიე და შექმნა ცეცხლისაგან კუერცხის გული
 ნავლედი და არს იგი მკურვალი და გემო მისი მწარე და ფერი
 კუერცხის გული.

20 შექმნა ღმერთმან ქარისაგან სისხლი და არს მკურვალი და
 ნოტია და გემო მის ტკბილ და ფერი წითელი.

V შექმნა ღმერთმან შავი ნავლედი მიწისაგან და არს იგი
 გრილ და კმელ და გემო მისი მყავე || და ფერი მწუანე.

შექმნა ღმერთმან წყლისაგან თელგმა და არს იგი გრილ და
 ნოტია და გემო მისი მლაშე და ფერი თეთრი.

25 და საყოფელი კუერცხის გულისა არს სანავლედე და კიდავს
 იგი ლუიძლსა და უფლება მისი სტომაქსა ზედა.

სახლი სისხლისა ლუიძლი არის და უფლება მისი ჯორცთა
 და ნესტუთა ზედა არს.

30 სახლი შავისა ნავლელისა ტყირბი არის და უფლება მისი
 არს თირკმელთა და ბუშუტსა და წურილთა ნაწლევთა შიგან.

სახლი თელგმისა ფირტუი არის და უფლება მისი არის თქავსა,
 მკერდსა და ჯორცთა შიგან.

35 უკეთუ¹ ბუნებანი ესე შეზავებულ იყუნენ სწორად, მრთელად
 არს გული კაცისა. უკეთუ² ერთი ამათგანი განძაძლიერდეს, ანუ
 მოუძღურდეს, შეიქმნების სენი კაცისა, მაშინ მიზეზი შემატების
 და დაკლების.



ბუნებათა რაოდენთაგან შემოსრულ არს შემდგომად შორესკენ წინა
 კაცისა და მას შინა იქცევის, ვირე სიკუდილამდის: საზრდელი
 კირი. სიხარული და აერი ურვილი, შრომა და განსუენება.

ამათ მიერ შემატების ბუნებასა და ამისგან დაკლებების ამათ
 ბუნებათა შემატება და დაკლება.

5

ცხრათა ნიშანთაგან გუწყოს, რა სენი იყოს, ანუ რომლისა
 მიერ აღძრულ იყოს, არამედ ამას ყოველსა თანა სიბრძნე იგმარე,
 რამეთუ თქვენი ყოველისა კეთილისა სიბრძნეა პირველად ნეს-
 ტუთაგან, მეორედ ფსელთაგან, რათა მესამედ 4 დღეთა იყოს
 კაცი ყრმა გინა ჭაბუკი, ანუ თუ ბერი. || მეოთხედ თუეთა წელი-10-3 r
 წადისაგან, მეხუთედ განავალისა, მეექვსე ბურანისაგან მეშუ-
 იდე შაქრთაგან, მერვე შეხედვასა პირისა ფერისა, მეცხრე სნე-
 ულთა მოკითხვითა.

ცნობისა და შეტყობისათვის ნესტუსა კაცისასა. ოდეს შეიბ-
 ყრა ნესტუი კაცისა კელისა მარჯუენისა და გცემდეს თითთა შენთა
 ქუეშე მსწრაფლ და ფიცხლად და ნესტუი იგი სქაცსე და სხუილ
 იყოს, ცან რამეთუ გაძლიერებულ იყოს სიფიცხელე და მსწრაფლ
 ფეთქა, სიმჭურვალესა გუითხრობენ სისხლ და სქაცსება მისი სი-
 ნოტიესა მოგუასწავებენ.

15

ოდეს ფეთქდეს ნესტუი თითთა შენთა ქუეშე ძლიერად და
 მალედ და წურილი იყოს ერთობ, იცოდე. [ვითარამედ კუერცხის
 გული ნავლეი გაძლიერებულა, სიფიცხე და მსწრაფლ ფეთქა
 სიმჭურვლესა მისა მოგუასწავებენ].

20

ოდეს ფეთქდეს ნესტუი თითთა შენთა ქუეშე გუიანად და
 სუსტად წულილ და მსრიდ იყოს, ცან ვითარამედ შქაცი ნავლეი
 გაძლიერებულა, სისუსტე და გუიანად ფეთქა სიგრილესა მოგუა-
 სწავებს, სიწლო და სიმსრიდე მისი, სიკმელესა.

25

ოდეს ფეთქდეს ნესტუი თითთა შენთა ქუეშე ნელად და უსუ-
 სურად სხუილი და სქაცსე იყოს, ცან ვითა თელგმა გაძლიერე-
 ბულა მის ზედა უსუსურად და ნელად ფეთქა სიგრილესა მო-
 გუასწავებს, სინოტიე და სავსება სინოტიესა და თელგმას. ||

30

V

ესე ოდეს მარტოდ შეუზავებლად ერთმანეთისგან აღძრას,
 თუ კულა სისხლი კუერცხის გულსა ნავლელსა შექეზაოს, გინა
 თუ თელგმა შქაცსა ნავლელსა, გინა თუ შქაცი ნავლელი ვუერ-
 ცხის გულსა, მქათი ფრთხილად გაგონება უნდა, ვითა ზემო სწე-
 რია ნესტუისა შეტყუება, მათგან ნახე.

35

და გაზომილებამან შეზავებამან სისხოსა და სიწლოსამან
 უსუსურად მალე ფეთქამან მათმან შეზავებამან გაზოგებამან
 მოგუასწავოს შეზავებულ თუ იყუნენ და რომლითა აღძრულიყო
 სენი.

თუ კუერცხის გული ნავლეი და თელგმა შეიერთნენ, მაშა

40

71



ფეთქა ძარღუსა მის განზოგებულად და ამოდ იყოს, **ექიმრფეული**
ლისა ნიშანი არის

კუერცხის გული ნ[ა]ვლედი მჭურვალი და კმელი. თელგმა
გრილი და ნოტია არის.

5 თუ სისხლი დ[ა] შავი ნავლედი შეზავნენ, იგივე ნიშანი არის.
ვითა კუერცხის გულისა ნ[ა]ვლდისა.

ესე ორნივე მტერნია და არა შეიზავებიან გარეშე ოთხთა ბუ-
ნებათა გასწორებისა და სიმრთ[ე]ლის[ა]გ[ა]ნ და ნიშანია სიკუდი-
ლისა ნესტუთა შეტყუებითა.

10 ოდეს შეიპყრა ნესტუი მარჯუნისა კელისა და მალე ფეთქდეს
41 და წურილად იყოს და დასცხრეს, ფეთქდეს განა || მცირედ და-
კულ[ა]დ ფეთქდეს დიდსა ე[ა]მსა მას, ქურციკისა ხლდობა ჰქუიან.

თუ სხუილი იყოს და ესრე სახედ ფეთქდეს, ვითა ზემო სწე-
რიან, ზიშინ ქუიან და ესე ორნივე სიკუდილისა ნიშანსა ასწ[ა]ვე-
15 ბენ.

თუ ღრმად და ძარღუთა ქუეშე ფეთქით ამალდებოდეს და
ვითა ზემოვიდეს, დასცხრეს და კულად ესრე სახედ ფეთქდეს,
ნესტუსა მას ეწოდების მარტო, სიკუდილისა ნიშანი არის.

20 თუა ნესტუი ვითარცა ჭია ანაც ვითარცა ჯინჭუელი ძურებო-
დეს, ესე სიკუდილისა ნიშანია მსწრაფლ, ამას ჯინჭუელისა ძურაი
ქუიან.

**3. შეტყოზა
კაციხა***

25 ცნობა¹ და შეტყოზა ფსელისა კაციხასა. ოდეს ნახო ფსელი
წმიდა შამიავსა კარულასა და თხელსა შიგ[ა]ნ იყოს წითელი და
სქელ და მრღუე და უწყოდე ვითარმედ სისხლი გაძლიერდა, რა-
მეთუ სიწითლე მისი სიმჭურვალესა მოგუასწ[ა]ვებს, სისქე და სიმ-
რღუე სინოტიესა.

30 ოდეს ფსელი წითელი და თხელი იყოს და წმიდა, იცოდე ვითა
კუერცხის გულისა ნავლელსა უჯობნია. სიწითლე სიმჭურვალესა
მოგუასწ[ა]ვებს, სიწმიდე და სითხე მისი სიკმელესა, და ეგრეთვე
კუერცხის გული ნ[ა]ვლედი კმელი და მჭურვ[ა]ლია.

30 ოდეს ფსელი თეთრი, თხელი და წმიდა იყოს, იცოდი ვითა
შ[ა]ვისა ნ[ა]ვლდისა არს, სითეთრე მისი სიგრილესა მოგუასწ[ა]ვებს,
სითხე და სიწითლე სიმჭურვალესა, შ[ა]ვი ნ[ა]ვლედი გრილი და
ხმელია. ||².

* პეტიტის მთავრულით აწყობილი ეს სათაურები ხელნაწერ დედანში არებზევა
მიწერილი, აქ და შემდგომაც, ტექნიკური მოსაზრებებით, ისინი ტექსტშია შეტანილი
და გამოყოფილი.



თუ ფსელი თეთრი, სქელი და მრლუიე იყოს, თელგამსა მიგუჯარენული ასწავებს. სითეთრე მისი სიგრილესა, სიჭმო და სიმრლუიე სინოტიისა არის ესე ტიესა იტყუის და ეგრეთვე თელგმა გრილი და ნოტია არის ესე ოდეს თუითოს თუითო აღიძროდის.

ბუნებათა ნიშანთა შეზავებასა ვიწყით და გაუწყით ფსლისა მიერ. ოდეს ნახო ფსელი წითელი და შორის სითხეს და სისქესა და სიწმინდესა და სიმრლუიესა, ესე მიგუასწავებენ ორთა ბუნებათა შეერთებასა კუერცხის გულისა წაკვლისა და სისხლისასა წამებენ, სიწითლე მისი სიმკურვლესა შეაზავებს სიჭმო და სითხე სიწმიდე სიმრლუიე გქანზოგებულად სიმკურვლისა და სინოტიისა შეზავებისა იტყუიან.

5
10

ოდეს ნახო ფსელი კუერცხის გული შორის სითეთრესა და სიწითლესა თხელი და წმიდა ესე შეზავებულობასა შქავისა წაკვლისასა და კუერცხის გულისა მიგუასწავებენ სითხე და სიწმიდე მისი სიმკურვქალესა ორთქვე ბუნებათასა მოგუასწავებენ.

15

ოდეს ნახო ფსელი თეთრი შორის სითხესა და სისქესა სიწმიდესა და სიმრლუიესა, ესე შავისა წაკვლისა და თელგმისა შეზავებასა მოგუასწავებენ, სითეთრე მისი სიგრილესა გქანზოგებულად სიჭმო და სიწმიდე და სიმრლუიე სინოტიესა და სისხმელესა.

|| ოდეს ნახო ფსელი კუერცხის გული შორის თეთრისა [და 5r 20 წითელისა, კშირი და მრლუიე იყოს, იცოდე, ვითა თელგმა] და სისხლი შეზავებულ არიან. განზოგება სიწითლისა და [თეთრისა გუითხრობს სიმკურვქალესა ერთისასა და სიგრილესა ერთისასა. სიჭმო და სიგრილე ამათი გუითხრობს შეზავებასა ნესტუისასა.

ოდეს ნახო ფსელი კუერცხის გული თეთრად სცემდეს განზოგებულად, სითხე და სიჭმო ესე შქავისა წაკვლისა და სისხლისა შეზავებასა და სიმრთელესა მოგუასწავებს.

25

ოდეს ნახო ფსელი შემგზავსებულად ამისა, ვითარცა ზემო დაგუიწერია და მცირედ უფრო მომჭირნე იყოს კუერცხის გული, ცან, ვითარმედ კუერცხის გულსა წაკვლელი და თელგმა შეზავებულ არს და სიმრთელისა ნიშანია.

30

ამისთვის, რამეთუ სისხლი მჭურვალი არის და ნოტია, შავი წაკვლელი გრილი არის და კმელი. ოდეს ესე ორნი შეიზავენ გქანზოგებულად, ოდენ მოვლენ, ეგრევე კუერცხის გული წაკვლელი მელი არის და მჭურვალი, თელგმა გრილი არის და ნოტია და ორნივე ესე განზოგებულად იყვნენ, სიმრთელე არს.

35

ფსელი თეთრი, ვითარცა წყალი, ყრმქათა ჩუილთა და ბერთა გარდასრულთა სიკუდილისა ნიშანია.

ფსელი შავი, სქელი და მრლუიე და მრყრქალი სიკუდილისა ნიშანია.

40
73



V

|| ფსელი მწუანე, სქელი და ხშირი და მყარალი ნიშანია. სიყუდილსა და სიჭარბისა

5

თუ შერეულება რამე ნახო, ანუ სითეთრე შავასა თანა, ნუ გაბრჭობ მასზედა სიკუდილსა. ორთა შინა არს საქმე მისი და გაბრჭობა მის ზედა ღმერთი არს და ერთითა მოწმითა ნუ დაიჯერებ, ვირე ცხრანივე ესე არა იმოწმენ. და ნუმცა მოგაცთუნებს ქანთიელი, რამეთუ ქანთიელსა ოდენ რამე ელმოდის და ფსელ-მ[ა]ნ ყუელა ტანისა ვნება ვითხრას, ამისთვის გიკმს სხუათაცა მოწამეთა შეწვენა. ორისა და სამისა მოწამისა არს ფსელისა და ნესტულისა პირისა ნიშანი.

10

ცნობისათვის და შეტყუებისა დღეთა კაცისათა¹. უწყოდეთ, რამეთუ ყრმა შობითგანვე ჩუიღმეტ წლამდე სისხლი უფლებს მის ზედა, მოწამე მისი არის დაუცხრომლობა მისი და დიდად, ჭამადთა სიმცირე და გაუგონელობა. ესე სისხლისა ბუნებანი არიან და შემდგომ[ა]დ ჩუიღმეტისა წლისა, კუერცხის გულისა ბუნებასა შედგების, ვირე [ოცდა]თხუთმეტ წლამდის და არს მოწამედ მისა მექსიერობა, სიფრთხილე, გულმოწყალებობა და მოჭირნეობა და სიგუიანე სიმკუთრელ[ი]სა.

15

6 r

20

|| კუერცხის გულისა ნ[ა]კვლელისა უფალი იყოს და შემდგომად [ოცდა]თხუთმეტისა წლისა შ[ა]კვისა ნ[ა]კვლელისა ბუნებ[ა]სა შევარდეს, ვირე ორმოცდაათოთხმეტ წლამდის და [მო]წამე მისი არის მკცისა² შერვენა. მშუიღობის მოყუარ[ეობა], სიბრძნე და მეცნიერობა, მკურვალეობა, სიმშვიდე [...ნა]კვლელისა სიგრილესა წამებს.

25

და შემდგომ[ა]დ ორმოცდაათოთხმეტისა წლისა თელგმისა ბუნებასა შევარდების, ვირე სიკუდილამდის. მოწამედ მისა არის მცირედ ჭამა და ცნობისა სისუსტე და უსუსურობა და შვილიერობისა მოწყუედა, ყ[უ]რთა მძიმედ სმენა და თუალთა ბუუტად ხედვა, ესე თელგმისა ნიშანი არის.

30

ერთითა

v და ტკივილსა ღუიძლისასა მარცუალი ერთი თეთ-
რისა ვარდისა || წყლითა და თაფლითა თეთრითა და წყლითა გრი-
10 ლითა

და ვისდა გუელსა ეცეს, ანუ დრიანკალსა
მარცუალი ერთი ოსპნისა წყლითა თეთრისათა ტფილითა

15 და ვის საურავი და შეჭირვება სჭირდეს და
შიში ეშმასა მაგიერი, ანუ ცნობისა წასულა,
ანუ ვასვასა მარცუალი ერთი უძოვარისა წყლითა შემგბარისათა
და დაიძინო მას ზედა და იცხოს თავსა და ტანსა და ვის თუხმა
იყოს, მარცუალი ტპილისა ბროწეულისა წყლითა და ვის გაქაფ-
ნებდეს, ალავერტის შემგბრისა წყლითა და ბარზაკატონაითა

20 და ვის არა ძალე დვას და დიად დაიძინე-
ბდეს, მარცუალი წყლითა ტფილითა

და დიაცსა, ოდეს შობოს და წელნი მოექ-
რებოდინ და სისხლი გაუდიადდეს, მარცუალი

25 თეთრისა შამბალითისა წყლითა შემგბრითა ხურეტიითა ერთითა და
ვის ეჭირვებოდეს წყლითა გრილითა და ორითა მითკლითა ბაზარ-
კატონაითა და ვარდის ზეთითა და ქუნჯიტის ზეთითა. ესე ყოველი
ერთგან შესუას და ვის ბავასირი იყოს, მარცუალი ბრასიის წყლითა
შუიდ დღემდე შესუმდეს ამას და ვის ენასა შიგა სიმძიმე იყოს, მარ-
ცუალი ალატროისა წყლითა და ვის შავასა იყოს მარცუალი
წყლითა ტფილითა და იცხოს ზაფრანისა წყლითა შეგარე და თელ-
30 გმასა მარცუალი ძირასა წყლითა

და ქუელასურდოსა მარცუალი ერვანდისა წყლითა
ლიტრისა ზომითა და ნიკრისისა მარცუალი ტგანისა წყლითა და

51r ყისა || ტკივილსა მარცუალი წყლითა უზმამან, ანუ დაწოლისა
უამსა და ვის კეშანი იყოს წყლითა ტფილითა, ოდეს დაწვეს უზმა-
35 მან და ვინ დაეცემოდეს, მარცუალი გაადგინოს ბერძულითა ზე-
თით და ენასა ქუეშე დაიდვას და ცხროსა მარცუალი ქინძისა
წყლითა ხურეტიითა ერთითა, ანუ თარანგაბისა წყლითა, ანუ ძირასა
წყლითა.

40 და ყრმათა, რომელთა ქარი სცემოდეს შე-
ჭირვებასა და სნეკუასა ყრმათასა, მარცუალი მარ-
ვისა თეთრისა წყლითა და შესუმა სრული, ამისგან მითკლისა



ნახევარი და თუ არა ჰპოვო ამათ წყალთაგანი მაშა ტფილითა წყლითა და ვინცა ვინ სუას ამის წამლისაგანი, დაიდვას თავსა ზედა იისა ზეთი და შეხურიტოს წყალი გრილი სამი ხურეტა სარგებელისა, ნებითა ღმრთისათა და შესუარა შეზელისა უწინა ბალანისა ზეთითა და იყოს თაფლი მისი ყოველთა წამალთა წონი და რაზომცა დაძუელდეს, სჯობს ესრე გაიგონე.

5

ცხროთათუის

ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს წუნწუბისა, ერგების ცხროთა ძუელთა ქამგარდასრულთა ვითა ცხრო მეოთხისასა, რომელ მოუვა წელიწდამდე და გაძნელდების მისი კურნება — და ვითა ცხრონი, რომელნი მოუვლენ სიცივითა ყოველთა ღღეთა და ერგების სტომაქსა გაგრილებულსა, რომელსა შინა გამრავლდენ ქარნი და ვერა აღნობდეს საჭამადსა და ვის ტანი მოუსუსურებულებო სალმო || ბათაგან სიგრილისა.

10
15
V

აი დო: ბილბილი თეთრი, წონი ექუსისა დრამისა და ლემისა თესლი და კორღმანაი და გუნდრუკი თეთრი და მური არაბი, ამათგანი წონი თორმეტ-თორმეტისა დრამისა, აფიონი და წუმწუბა, კუერცხის გული, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ზაფრანი და დარქაფილფილი და ქუშტიბარი და ზარევიანი გრძელი და თივა კაცის ძირისა ქერქი და აფარბიონი, ამათგან წონი სამ-სამისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი კმელნი, დანაყენ, დაცრენ შარითა, და დაალბენ გომიზ მური და გუნდრუკი და აფიონი ღუინითა ძუელითა და შეზილნე და პერულმოჭდილითა თაფლითა შეჰკრიენ და ჰიქისა ჰურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იგმარე. შესუმა მითკალი ერთი კამას ძირისა წყლითა, სარგებელია, ნებითა ღმრთისათა.

20
25
30

მტარიანთათუის

ნიშანი მაჯუნისა, რომელსა ჰქუიან შილთა დიდი. ახლაით იცნობების დეველ და ჰაბდა. არს ესე წამალი საჩინო, ერგების ყოველთა სენთა შედებულთა შავისა ნაველისათა და თელგმისაგან და გაცოფებასა შემთხუეულსა ქაჯთა და ეშმაკთასა და სულთა უწრფელოთაგან და ყოველსა, ვისდა ცნობა წარსულიყოს მანახ- [ო]ლიასა უფალთა და ფალმასიასათა და წარევენასა და რომელი ნადირთა თანა გარევენილიყოს და რომელი დაეცემოდეს ყოველთა მთუარეთა დაჯდომასა და რომელთა გულსა შეაღებდეს და ცნობასა || წაუღებდეს და ქართა კელმწიფებულთა ტანსა შიგან და გაძნელებულებო მისი კურნება და ვის თრთოლა ედვას და

35
52r
40
121



ძრწოლა და ვინ ფელიჯიანი იყოს და ძარღუთა მოფიქრებულსა და ვის ლაკუა იყოს, რომელ არს პირისა მომრუდება და დედანა რომელნი ივნებდენ ყრმასა, და დედათა, რომელნი არა უძლებ იქნებიან ქართა სსუილთა გზითა, რომელ საშოსა შინ შეიქმნებიან და რომელთა მუცელსა შიგან ყრმა მოუკუდების და რომელ გაუმრავლდეს გორცთა მღერა, ვირე კელი და ფერჯნი გაუმრუდნეს და ვის გაუმრავლდეს საურავი და შეჭირება საჩინოდ და უმიზეზოდ და ვის გულსა ძგერა იყოს და გულსა შეაღებდეს და რომელნი ჭრტინვიდენ ბრუისა დასხმასა თავსა შიგან და ვის ტკივილი იყოს თავსა შიგან შაკიკა ჰელი და ვის უნდეს მარტოდ ყოფისა და კაცთა განეცეოდეს და ვის სტიოდენ შენადგამნი და ნიკრისსა და კის თირკმელთა შიგან და ბუშტსა შიგან ქვა იყოს და ვინ მოწამლულიყოს სასიკუდიხოდ და ყრმანი, რომელნი დაეცემოდინ და ჩუილთა, რომელთა ეცეს რაგდაი და გულსა შეაღებდეს და გაუმრუდნეს კელი და ფერჯნი, რომელ ზოგჯერ მოირჩევიებიან და მოკუდებიან და მიიცვალების. ესე წამალი საღმობათა მრავალთა და გაგრძე || ლდების ნიშნისა მიცემა და გუიქსენებიან წიგნთა შიგან სსუაგან, რომელი კურნებს საღმობათა მათ, რაოდენ მოგუეწყინა ყოვლისა ქსენება ამათ წიგნთა შიგან, და ვაკსენეთ ნიშნები წამალთა და არ გავაგრძელეთ სიტყუა.

ნიკრისნათუის და ვის ძვა სპირღის, მოწამლულინათუის.

შექმნა შილთასა. ა ი ლო: მუშვი ხალისი, უკეთესი ნოლო იყოს და ჰამამა და უძუარისა თესლი და აფარბიონი და აგშნარი ასურული და იშნა და ნიახურისა თესლი და ტეგნისა თესლი და ზროხისა სკორე და ვაცთა სკორე მთათა ძოვნილთა და წუნწუბა წითელი კეკელია და ქაფური და ჭარისძირა თეთრი და კუჭმბრა ბერძელი და მამირანისინი და იდენალლაია, რომელ არს მარსუნჯი და ასფანდა ფადისა ძირი და მელლაბი გაქურცნილი და უდალბალასანი და კობარაი და ფაშრაშათინი, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ორ-ორისა და მარგალიტი უხურეტელი და ზაფრანი და სადა ჯაინდი და ჯავზაბოვრაი და კასტორიონი, რომელ არს თახუისა ყუერი და ჯარჯირისა თესლი და ზოგფრას თესლი, ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და ოქრო წითელი კეკელა და ვსიცილი და ბავრუკი და მკალთა ფერკები და მასტაქი ბერძელი და არჯასპი საკოშკაკროი და სონიჯი და მელისა სკორე და ქაბრისა ძირისა ქერქი, ამათგანი წონა ნახევარ-ნახევარი დრამისა და აბრეშუმი ხამი დამწუარი და ზარუ || რუმბადი და დრონჯი და პილპილი თეთრი და ზანჯაბილისინი და ცერეცოსა თესლი და მისივე ძირი და

ჯანტიანე ბერძული და ლაბალბანი და ნანხუა და მარილი ინდოუ-
რი და აკარკარა და ბაზრაქონა და მარჯანა და მუკი ელუდი,
ამათგან წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და კარამფული და სუმბული
ტიბი და ქუშტიბარი და კაკული და ბარალჯაბარის ღერი, ამათ-
განი წონი რვა-რვისა დრამისა და ბასბასა და ირსა, ამათგან წო- 5
ნი თითო დრამისა და თივა კაცისა თუალეთ ოცი და სალიხასა
ღერი და სალიხასა ქერქი, ამათგანი წონი ნახევარ-ნახევარისა და
ფუკა ალაღს[არი] წონი ათისა დრამისა და კამას თესლი და ზოფფ-
ვა კმელი, ამათგანი წონი დრამისა ექუსისა, ქონდარი სპარსული,
წონი დრამისა ოთხისა და იდენალჰიზე და რევანდისინი და ბზის 10
მუკლი და სკორკლი, რომელი არს კედელთა ნაგოზისა შინა, ამათ-
განი წონი შუიდ-შუიდისა დრამისა და პილპილი თეთრი და პილ-
პილი შავი და აფიონი და ზარევანდი გრძელი და ზარევანდი
მრგვალი და ლემისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა ოც-ოცისა
და ქუთუმქუთი, რომელ არს თხილი ინდოური, წონი დრამისა ოთ- 15
ხისა და ოთხ დანგისა და აინდაბეგსა თესლი და მისივე ძირი და
შროშნისა გამოწურვილი და ავემაჰმუჩუსი და || დარა შაშლანი და
შავსარი, რომელი არს კასუმა, ამათგანი წონი თუითო დრამისა და
ანჯუდანისა თესლი, წონი ოთხისა დრამისა და ორისა დანგისა და
აქილაღმელქი, წონი ოთხისა დრამისა და ნახევრისა და ხარბუზაკი- 20
სა თესლი, წონი ოთხისა დრამისა და ორისა დანგისა. და შარალ-
ღული, რომელ არს კოშტბარკოშტ და ასაბელ დიფრი და უდმიფ-
თული, ამათგანი წონი დრამისა ოთხ[ი]სა და მიწა ჯუარედთა გზა-
თა, წონი ოთხისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ შარითა
მტკიცითა და ოქრო და ვეცხლი დაქლიბნე ქლ[ი]ბითა ლბილითა 25
და მოჰკლნე ავანთა შიგან მარგალიტსა და მარჯანასთანა და ეგრე
სხუათა წამალთა შეურთო და თეთრითა თაფლითა პერულმოჭდი-
ლითა შეზილე და ქურტულსა ჩასდვა, ანუ ოქროსასა, ანუ ვერცხლი-
სასა, ანუ ჰიქისასა, უმჯობეს არს მესთუის, ჯერ არს შექმნა ამის
წამლისა მას ჟამსა შინა, როდეს აღმოკდეს მასკულავი, რომელსა 30
პრქუიან ჯალბარ ჯაბალი და იგი მასკულავი ამოვალს თუესა ივლის-
სა ოცსა და მას ჟამსა ჯერ არს შექმნა მისი, ვითა უთქუამს მეც-
ნიერთა. რაზომცა დაძუელდეს სჯობს შესუმა მისგან ამით სალმო-
ბათათუის, რომელ გუითქუმან უწინა. ერვანდის ზომა წყლითა ტფი- 35
ლითა, ანუ ცერეცოსა წყლითა შემ || გბრითა და ლაკუასა და ფელი 54r
[ნ]ჯსა და სიცოფესა¹ ვასვასსა და ყოველთა სენთა თავისათა გა-
ადგინო მისგანი მარცულისა წონი, ვირე კერატისა წონაჩუე მარჯან-
გომისა წყლ[ი]თა, ანუ შაბაბკისა წყლითა და სიმენაისა ზეთითა და
შეისმის მისგან ნიახურის წყლითა და კამის წყლითა და არსმცა 40
ამის წამლისა სუმა სალმობისა შემსგავსებული და ვითარ ვის უქმ-
დეს კეკელია და გამოცდილი და ნებითა ღმრთისათა.

ღუმიჯის ტაძრისათვის
და მუცლისა

ნიშანი წამლისა რომელ არს ათანასია და შეიქმნების მგლის
ლუიძლითა. ერგების ყოველსა ტკივილსა ლუიძლისასა და ფაწალ
სასა და გარდასწყუეტს ქსნილობასა შერჩომილისა და დაუყუღებ
5 ტკივილსა კოლინჯისასა და აშუ[ნ]ს ტკივილსა მუცლისასა ძველის
და ახლისასა და მკრდოვანსა და ჭუელასა და ვინ ვერ დაიძინებ
დეს ღამით ტკივილთა სიფიცხლისაგან და ტკივილსა თირკმელთა
სა და ბუშტისასა და ყოველსა ტკივილსა შემთხუეულსა მუცელსა
შინა და გარდასწყუეტს სისხლსა წიდოვნობისასა შემთხუეულსა
10 რომელ შეემთხუევის დედათა და რომელთა ტანნი დაუჩუბრდენ
იცხონ ამისგან მარლამისა მსგავსად და ვის იყოს მკერდსა სიმსი
ნე და აეგზებოდეს, ვითა ალი და არს ესე წამალი, რომელ ერგ
ბის მუნ თქუესვე უწინასა, ხოლო შესმასა იქმს საქმესა საკუირვე
V ლსა და ამისთუის უწოდეს ესე სახელი ამას თარგმანებით ვითა
15 რად, ვითაცა მოვიდე, განკურნი ნებითა ღმრთისათა კეკელი
და გამოცდილი.

ა ი ღ ო: კრკო და მური, და აფსიზაჯი, რომელ არს სპეტი ეგუი
პტური და კანტორონი და ქუშტი და კორდმანა და მაიკონისა
თესლი და ნარდინი და აკლიტი და ღაფთისა ძირი და მგლისა
20 ლუიძლი და თხისა რქა დამწუარი. ამის ყოველისაგანი სწორი წო
დანაყენ, დაცრენ და პერულმოჯდილითა თაფლითა შეზილენ და
ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარე. შესუმა დანგისა წო
ნა, ვირე დრამისა წონამდე წყლითა ნელ ტფილითა კეკელი
ამის ყოველისათუის, რომელ გუიქსენებია სარგებლისა, რომე ნიშ
25 ნი მიგუიცივია და გამოცდილია და მიწვენულ არიან ამისსა საქმე
სა ზედა, ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი ათანასიასა სხუისა, რომელ არა ერთვის მგლისა ლუიძ
ლი, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: კუჭუმბრა და სალიხა და მური და აფსიზაჯი და კრკო
30 და იდენალ ბალასანი და ძირთაფლი. ამის ყოველისაგან სწორი წო
ნი დანაყენ, დაცრენ და პერულმოჯდილითა თაფლითა შეზილო
შესმა, ვითა უწინა ვთქუით, ერგების ყოველსა ტკივილსა ლუიძლი
სასა და ფაწალისასა და მუცლისასა და იქმს ნებათა შინა საქმესა
მიანლებით პირველისასა და უკუეთუ უკმდეს, აიღების მისგან
35 დაწოლისა ჟამსა აიღოს, ერგების ნებითა ღმრთისათა.

მაჯუნი კოლინჯისა

55r ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს თიაღუკ მკურნალისა, || ერგების
ტკივილსა კოლინჯისასა შემაჭირებელსა და დაცხნის სნებასა მუს



თქუესვე და ერგების რგებითა საჩინოთა, და არს ესე წამალი გამო-
ცდილი და საჩინო, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღო: ჰამამა და სადაჯი ჰინდი და სუმბული ტიბი და მური
და ქუშტი და პილპილი თეთრი და კორდმანა და ასარონი და
ტენცო კმელი და პიტნა და ნეძბისა თესლი შ[ა]ვისა, ამის ყოვლი-
საგან წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და საკამუნია ანტიოქური შემ-
წუარი, წონი სამისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ,
დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჰურჭელსა
ჩასდვა, შესმა სრული ორისა დრამისა. და ყოვლისა კაცისათვის
თავის თავისა ძალსა ზედა და შესუსა ტფილითა წყლითა და ესე
დაქსნის ტკივილსა მუსთქუესვე და გასწმედს ყოვლისა ურვილისა-
გან, რომელი იყოს სტომაქსა შიგან და მუცელსა კე[ქ]ელია და გა-
მოცდილი, ნებითა ღმრთისათ[ა].

5

10

ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს მაჯუნი სორინჯანისა, ერგების
ყოველსა ტკივილსა შენადგამთასა და ნიკრისისასა და ტეხისასა ფიც-
ხელსა, რომელი იყოს ასოთა შიგან, ბრძანებითა ღმრთისათა.

15

ა ი ღო: სურინჯანი, რომელ არს ლუბაი, წონი ექუსისა დრამისა
და პილპილი შავი, წონი ნახევარ დრამისა და ზანჯაბილი, წო-
ნი ხუთის დრამისა და ფურცელი ქაბრისა || და ფურცელი
წყლისა ტენცოსა და ფურცელი მთისა ტენცოსა, ამათგანი
წონი ორისა დრამისა და ქამუნი ქირმენი, წონი დრამისა და
ნახევრისა, შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყ[ენ], დაცრენ და
ჰურჭელსა ჩასდვა. შესუმა, მითკლისა წონი ტფილითა წყლითა,
ამის ყოვლისათვის, რომელ გუიქსენებთან ნები[თ]ა ღმრთისათა.

v 20

ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს წამ[ა]ლი თიადოკო მკურნალი-
სა, რომელსა ჰქუიან ღიათ ივლითა მას სახელი უც და ჩუენ ვაჭ-
სენებთ სარგებელნი მისნი, როდეს დავასრულოთ ნუსხა მისი, თუ
ღმერთსა უნდეს.

25

ა ი ღო: სუმბული ტიბი და კილამონი და არნჰავა და ვარდი
კმელი და კაკულა და ბასბასა, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა
და აფიონი და თაქუის ყუერი და ისნა და ქუშტი და ვარდი და
ნიახურის თესლი და ნეძბი თეთრი და აფრასიონი, ამათგანი ნა-
ხევარ-ნახევარი ნაწილი დოკო და კუქუმბრა და ჰამამა, ამათგანი
წონი მეოთხედ-მეოთხედი ნაწილისა, ზაფრანი და ყრდელისა თეს-
ლი, ამათგანი სამი ნაწილი. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ,
დაცრენ და შარითა და შესუარო დრამისა წონითა ბალასანისა
ზეთითა და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჰურჭელსა
ჩასდვა. და იმარო ამას ზედა, ვითა ნიშანი მიგუიციემია, თუ ღმერ-
[თ]სა [უნდეს]!

30

35

40

|| [...] შეასუ, ვისი სტომაქი გარყუნილ იყოს და საჭამადი
არა მოუნდებოდეს; წონი ორისა დანგისა პიტნასა წყლითა და

56r

ვის თუხმა იყოს, წონი ორისა დანგისა ნიახურისა წყლითა და ვის ქსნილობა იყოს ძუელი, წონი ნახევარი დრამისა ბაგსა წყლ[ი]თა და ვის თავი სტკიოდეს, ანუ შაკივი იყოს, წონი ორისა დანგისა წყლითა გრილითა, დილა მწუხრი და ვის კუელა იყოს ძუელი და შალალსა ამოპყრიდეს, წონი ნახევარ დრამისა ბაზრაქატოსა წყლითა და ვისდა გუელსა ეკბინოს, ანუ მორიელსა, წონა ნახევარ დრამისა ღვინითა ძუელითა და იცხოს ნაცემსა სიმენასა ზეთითა და აკრას ზედა, ვითა მარამი და ტკივილსა საოხნეთა და კბილთასა შიგა დაიდვას, კეკელია, თუ ღმერთსა [უნდეს].

10 **მაჯუნი სტომაქისა და ლუიქლისა**

ნიშანი აფსინდისა მაჯუნისა, ერგების ტკივილსა სტომაქისასა და ნესუტთა დაყოფილთა ღვიძლისათა და სიმსივნესა ფაწალისასა და გაუტსნის უფესადობასა და აგდებს ძუელთა ცხროთა ნოტიასა, რომელნი შეექნებიან შავისა ნავლელისა და თელგმისაგან, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ანისონი და ასარონი და კილამონი და წიახურის თესლი, ამათგან წონი ხუთისა დრამისა და აფსინდი, წონი ათისა დრამისა და ნუში მწარე, წონი ათისა დრამისა, მასტაქი ბერძული და გუნდრუკი, წონი |||სამისა დრამისა და ზაფრანი, წონი ორისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ, შესუმა ორისა დრამისა, წონი ღვინითა, ანუ წყლითა ტფილითა, კეკელია ყოველისათუის, რომე ნიშანი მოგუიციეშია, ნებითა [ღმრთისათა]†.

ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს რევანდისა. ერგების ყოველსა ტკივილსა ღვიძლისასა და ფაწალისასა და სიმსივნესა და გაყუთლებასა ფერისასა და ქართა შექმნილთა სტომაქსა შიგან და ცხროთა ძუელთა, ბრძანებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ვაჯი, წონი ათისა დრამისა და რევანდისინი, წონი რვისა დრამისა და თაჭუისა ყუერი, წონი თორმეტისა დრამისა და ჰამამა, წონი სამისა დრამისა და სალიხა, წონი რვისა დრამისა და ანისონი, წონი ექ[უ]სისა დრამისა და ვაშვი, წონი ათისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ. შესუმა მისგან მითკლისა წონი ღვინითა || ძუელითა, ანუ წყლითა ტფილითა. კეკელია და სარგებელი ნებ[ი]თა ღმრთისათა.



ნიშანი რევანდის მაჯუნისა სხუისა. ერგების ჩამოჭრილსა მაღლით ადგილით და ტკივილი დარჩომილიყოს ტანსა შინა გრძელთა უამთა და ვერა რა ეკურნოს და ვისთანა იყოს ტკივილი ფაწალისა და დაყოფილობა ლუიძლისა ნესუტთა და ვისთანა იყოს ტანსა შიგან სიგრილე ქუ[ე]მოსა მუცელსა, ნებითა ღმრთისათა.

5

აილო: რევანდისინი და სუმბული ბერძული და ზანჯაბილისინი და ვაჯი და ანჯუდანისა ძირი, ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და ნიახურისა თესლი და კამისა თესლი და ანისონისა თესლი და ნანხუა და კულმუხი კმელი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოცდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა მითკლისა წონი, ვირე დრამამდე წყლითა ტფილითა. სარგებელია ამის ყოვლისათუის, რომე ნიშანი მოგუიციებია, ნებითა ღმრთისათა.

10

მაჯუნე ტყირბისა

15

ნიშანი წამლისა, რომელ საჩინო წამალი სუმბულისა. ერგების ყოველსა ტკივილსა ფაწალისასა და ქართა, რომელი გასრულიყუნენ მისგან ტანად და ვის მუცელი გასივებულიყოს და ტანი დამჭლობილ და ფაწალა გადიდებულიყოს, კეკელია და გამოცდილია და საკუირველი, ნებითა ღმრთისათა. ||

20
v

აილო: ზაფრანი, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და ზ[ა]რევანდი მრგული, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და ვაშკი თეთრი, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა, სალიხა წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და აკარკარა, წონი თოთხმეტისა დრამისა და ნახევრისა და სუმბული, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა. გააღრო ვაშკი ძმრითა, დანაყენ სხუანი წამალნი, დაცრენ და პერულმოცდილითა თაფლითა შეზილენ. შესმა მითკლისა წყლითა ტფილითა, ანუ ლუინითა გამტფარითა, ერგების ყოველსა, რომელ გუიკსენებია ნებითა ღმრთისათა.

25

ნიშანი წამლისა სუმბულისა სხუისა. ერგების ყოველსა, რომელ პირველსა შიგან გუიკსენებია და ესე ერგების უწინათისა, ხოლო შესუმასა, ვინ შესუსას მისგანი და ესე წამალი გამოცდილი და უეჭველი თავისა საქმესა შიგან, თუ ღმერთსა უნდეს.

30

აილო: სუჯუმბრა ბერძული და სუმბული ბერძული და სალიხა და სადაჯა ინდი და აფიონი და ზაფრანი და კაკია და უდალ ბალსანი და ძირთაფლი: ამის ყოვლისაგანი სწორი წონი დანაყენ წამალნი, დაცრენ და თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა

35

ჩასდვა. შესუმა მითკლისა ნახევარი წყლითა ტფილითა, დაქსნის ტკივილსა მუსთქუესვე უწინასა შესუმასა.

ნიშანი წამლისა მაჯუნისა ერგების, ვინ სისხლისა ჰნერწყვიდეს

5 და ჭუელასა ძუელსა და არს ესე წამალი რჩეული და შეკრებულ
58r არიან ყოველნი მკურნალნი პირველნი ამისა || შექმნასა ზედა და
გამოუცდია ჟამისა ჩუქუნისათა და მიწქუნულ არიან ამისსა საქ-
მესა ზედა წინათსა, ხოლო შესუმასა ზედა ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: კუჭუმბრა ბერძელი და ზაფრანი და მასტაქი და აფიო-
ნი და ბუტმისა კევი და ლემისა თესლი და ჯულანარი და კაკია
10 და ნუშისა გომიზი! ამის ყოვლისა წონი ოთხ-ოთხისა დრამისა;
ქუშტიბარი და მური არაბი, ამათ განი წონი თუითო დრამისა და
ნიშასტაგი დიკისა, წონი ოთხისა დრამისა და ზიბბი ჭაჭისაგან
გამოსრული, წონი სამისა დრამისა, დანასკული გაჭურცნილი გურ-
კისაგან გამოღებული, წონი ორისა დრამისა, დანაყენ წამალნი
15 კმელნი და დაცრენ და ნედლნი ჰავანთა ჩასხენ და ზედა ღუინო
აპკურო და მერმე ყოველნი ერთად დანაყენ და პერულმოკდილი-
თა თაფლითა შეზილნე და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა მითკლისა
ნახევარი სარგებლისა და კექელია ამის ყოვლისათუის, რომელ
გუიკსენებია სნებანი და არა დაიწუნების ესე წამალი, რაოდენ სა-
20 კუირველი არს, თუ ღმერთსა უნებს.

მაჯუნი ნიკრისისა

ნიშანი მაჯუნისა, რომელ არს საცნაური წამალი ნიკრისისა.
ერგების ყოველსა ტკივილსა შენადგამთასა და ტკივილსა ნიკრი-
სისასა და ტეხასა, რომელი იყოს კელთა და ფერკთა შინა და ერ-
25 გების ესე წამალი, ვინ შექმნას რგებითა საჩინოთა ლხინებითა
ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ფაშრაშთინი, წონი დრამისა ერთისა და ნიორი ველუ-
v რი, რონი ზუთისა დრამისა და || ორისა დანგისა და ძირა ქირმე-
ნი, წონი დრამისა და დანგისა და კილაძონი სპარსული, წონი
დრამისა ერთისა და ზ[ა]რევანდი გრძელი და პილპილი შავი და
ზანჯაბილისინი და ქაბრისა ფურცელი და მერცხალთა ნაცარი,
ამის ყოვლისაგანი წონი თუითო დრამისა. ესე წამალნი დანაყენ
და ძუელთა ერბოთა ფურთათა შესუარნე და პერულმოკდილითა
თაფლითა შეზილნე და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა, წონი სამისა
35 დრამისა წყლითა ნელტფილითა, ანუ ცერეცოსა წყლითა. სარგე-
ბელია, ნებითა ღმრთისათა.



ნიშანი სორინჯანისა მაჯუნისა. ერგების ტკივილსა ნიკრისისასა და ტკივილსა შენადგამთასა, თუ ღმერთსა უნებს.

აიღო: სორინჯან, რომელ არს ლობაი, წონი ექუსისა დრამისა და პილბილი შავი, წონი ორისა დრამისა და ზანჯაბილისინი, წონი ერთისა დრამისა და ქაბრისა ფურცელი და წყლისა ტენცოსა ფურცელი და მთისა ტენცოსა ფურცელი, ამთვანი წონი სამსამისა დრამისა და ქამონი ქირმენი, წონი დრამისა ორისა. შეჰკერიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ. შესუმა ორისა მითკლისა წონი წყლითა ტფილითა, კეკელია და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

5

10

მაჯუნი ცოფაგენილისა ძაღლისა

ნიშანი წამლისა, რომელ საცნაური არს ძაღლისა განცოფებულისა წამლობით. ესე წამალი მისანდ || ობელია და სარგებლისა ნებითა ღმრთისათა.

59r

აიღო: საღისასა ქერქი და ჯავზა ბოვა და კარამფული და კუჭუმბრაი და ზარევეანი გრძელი და ზანჯაბილი, ამის ყოვლისაგან წონი ორ-ორისა დრამისა და ამის ყოვლისა ზომი არდისა ჭია გამორჩეული ფრთეთაგან. დანაყენ ყოველნი და შეზილენ ზეგნისა ღუინითა და მერმე დაასხ[ი] ზედა შროშანისა ზეთი, წონი დრამისა ორმოცდაათისა, ანუ ძუელი ერბო ფურთა და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასდვა. შექმნა ესე ნიშანი, როდეს გამოჩნდეს მასკულავი, რომელსა ჰრქუიან ქალბარ ჯაბალი და ურევდე ამას წამალსა ყოველთა დღეთა. შესუმა მისგან მომწუისებულთა დანგი და ნახევარი და ჭაბუკთა, წონი ორისა დანგისა და სხუათა ძაღლსა ზედა და უწინა ამის წამლისა აღებისა შეილბოს მუცელი სპედაბაგრისა ხარშოთა და ეგრევე წამლისა უკანას და სუას ღუინითა ზეგნურითა და ეკრძალოს სიცივესა და სინოტივესა და თუ შესცივივნეს ქუემო მუცელი მცირაი, ჩაჯდეს ცერეცოსა შემგბარსა წყალსა შიგან და თუ არა დაყუდდეს ტკივილი, შესუას ყრდელისა წყალი და ერბო ფურთა და თუ შეექმნას ჭირება, შესუას ოცდაათისა დრამისა წონა ერბო ფურთა ღუინისა ზეგნურსა თანა, შევიდეს აბანოსა და ესე წამალი გაქსნის მუცელსა და მოაფსმევს და გარენს მის || სენისაგან, კეკელია და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

15

20

25

30

v

მაჯუნი მტირალთა ვაჟთა. ნიშანი მ[ა]ჯუნისა, ერგ[ე]ბის ტკივილსა ყრმათასა ჩუილთასა, რომელნი ტიროდიან ნიადაგად და საჩინო მიზეზი არა უჩნდეს და ერგების, ახლად ვის ქსნილობა იყოს

35

9. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი



შერჩომელნი ძუელი და მაშურალი იყოს კურნებითა და სწავლათა
 საღმრთობათა მრავალთა, შეწვენითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ზაფრანი, წონი ხუთისა დრამისა და აფიონი და თივა
 5 კაცისა, ამათგან წონი ათისა დრამისა და სუმბული ტიბი და აკარ-
 კარა, წონი თუთიოსა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ,
 დაცრენ შარითა, თაფლითა, შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და
 ოდეს გინდეს, იკმარო ვითარ ჩუენ ნიშანსა მიგცემთ. თავად
 შეასუას ამისგან ყრმასა მცირესა, რომელ დღე და ღამე ტიროდეს
 10 სამისა მარცხლისა ოდენი თავისა დედისა სძითა. გადგენით ესე,
 დააყუდებს ტირილსა და დაადუმებს და ვის ქსნილობა იყოს,
 შერჩომილი, წონი დანგისა წყლითა გრილითა დაუყუდებს, ნებითა
 ღმრთისათა, და ვინ ტიროდის! || საოხნეთა და კბილთა ტკივი-
 ლისაგან, იდრისოს ამისგან ზედა და დაუყუდებს, თუ ღმერთსა
 უნებს და ცემულსა გუელისასა, ორისა დანგისა წონა ზეთითა, და
 15 ვის სჭირდეს შავასა შემაჭირვებელი, წონი ორისა დანგისა ქერისა
 60r წყლითა და ვის იყოს ჰირება და გამოექცეოდეს დასაჯმე || ლი[,
 წონი ნახევარ დრამისა წყლითა გრილითა, ანუ ალატროსა წყლი-
 თა დილა მწუხრი და ვის თავი სტიოდეს და შაკიკი იყოს, შეზი-
 ლო ამის წამლისაგან ძმარითა და საფეთქელთა ზედა დასდვა ლდი-
 20 მედისა მსგავსად დაუყუდებს ტკივილსა და არს ესე წამალი მცი-
 რედ მომაგინებელი დიდად მარგებელი, ნებითა ღმრთისათა.

მაჯუნნი
კბილთა ტკივილისა

ნიშანი მაჯუნისა ერგებს ტეხასა საოხნეთასა და ტკივილსა
 კბილთასა და ვინ ცნობასა მისრულიყოს ტკივილისა და ტეხისა
 25 სიფიცხისაგან, ბრძანებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: აკარკარა და პილპილი და მური და აფიონი და თაჭუის
 ყუერი და ზაფრანი, ამათგანი წონი სწორი დანაყენ, დაცრენ შა-
 რითა, ვითა კატრანი შამური, და შეურთო ამთ წამალთა და
 30 პერულმოჭდილითა თაფლითა შეზილე მათითა ზომითა და ჭურ-
 ჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, აილო ამის წამლისაგანი საოხნე-
 თათუის, რომელ მოჭმულიყოს და არა დასცხრებოდეს ტეხა, სტენ-
 დე კბილთა და საოხნეთა ზედა ადრესდე ზედა, კეკელია და გა-
 მოცდილი, თუ ღმერთსა უნდეს.

დასრულდა თქმული მაჯუნთათუის შესაქმართა ყოელისა სნე-
 35 ბისათუის და ყოველთა ტკივილთათუის შემთხუეულთა გუამთა ში-
 v ნა კაცთასა, ვითა ჭერ არს. ||



გუარჩხანი ყოველთა ხანთა

დავიწყით სახელითა ღმრთისათა თქუმაღ² ნიშნთა შესაქმარ-
თა გუარჩხნთასა, რომელნი ერგებიან საღმობათა მრავალთა და
ყოველთა ტყვილთა გუამისათა და შევქენით თქმულად ერთად 5
ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი პირველისა გუარჩხნისა, რომელ არს სამთა გუართა,
ერგების სიგრილესა სტომაქისასა და სინოტიესა მისსა და ვის
დაუმჟავდებოდის საჭამადი სტომაქშიგან და ესე გ[ა]სწორებს
შეზავებულობასა კაცისასა, ვა[კ]ურებს ტანსა და ვა[კ]ებს ქარ- 10
სა, თუ ღმერთსა უნებს. აილო პილპილი შავი და პილპილი თეთრი
და პილპილი გრძელი, ამათგანი წონისათისა დრამისა და უდალ-
ბალასანი, წონი ხუთისა დრამისა, სუმბული ტიბი და ამაჲ, ამათ-
განი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ზანჯაბილისინი და ნიახური- 15
სა თესლი და ზოფვრა და სალიხა და ასარონი და კულმუხი კმე-
ლი, ამათგან წონი ორ-ორისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი,
დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და
ჭურჭელსა ჩისდვა და იკმარო თავისა ყამსა ნებითა ღმრთისათა.

ცხროსათუის

ნიშანი საფლიტოსის გუარჩხნისა და არს ესე გუარჩხანი ქამუ- 20
ნისა. ერგების ბერთა და თელგმიანთა და ვის ცხრო იყოს თელგ-
მისა, რომელ მოუფა ყოელთა დღეთა სიცივეთა სთუ[ე]ლისა დღეთა
და სტომაქსა შინა საჭამადი დაუმჟავდებოდის და ვაასხამს ქართა
შექნილთა სტომაქსა შიგან და მუცელსა მოანებებს საჭამად[დ] || სა 611r
ნებითა ღმრთისათა. 25

აილო: ქამუნი, ქირმენი დარჩეული და დამბალი ძმრითა დღესა
და დამესა და გამოვიწოს და მზესა გააქმოს და მერმე მოჯალოს
თიკისა ჭურჭლითა და ტევანისა ფურცელი კმელი და პილპილი
შავი და ზანჯაბილისინი, ამის ყოვლისაგან წონი სამოც-სამოცისა 30
დრამისა და ბავრუკი სომხური, წონი ხუთისა დრამისა და ზოგნი
მკურნალნი ჩაურთვენ თანა თის დრამისა წონსა კილამონსა, გა-
ლიანოზ უარყო. შეპკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პე-
რულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩისდვა. შესუ-
მა, წონი ორისა დრამისა, ვირემ ხუთ დრამამდე და ვითაცა ვის 35
უკმდეს შესმისა უკანის ღუინო ძუელი სარგებლისა არის, თუ
ღმერთსა [უნდეს].

ნიშანი გუარიშნისა ფანდა დიკონისა. ერგების სიგრილესა
სტომაქისასა და დიადთა ქართა მას შიგან და ლუიძლისა ნესუტთა
დაყოფილობასა შემთხუეულისა და ტკივილსა ფაწალისასა და დე-
5 დათა, რომელნი ივნებდენ ყრმასა დიადისა სინოტიისაგ[ან], კეკე-
ლაა და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: ზანჯაბილისინი და პილპილი შავი და სუმბული ტიბი,
ამათგანი წონი ექუს-ექუსისა დრამისა, მასტაქი და ნანხუი, წონი
ოთხ-ოთხისა დრამისა და ნიახურისა თესლი და პიტნა კმელი, წონი
10 ხუთ-ხუთისა დრამისა და სალიხა და აბალბალასანი და აკარკარა
და ქამური ქირმენი, წონი დრამისა ორისა, სადაჯი აინდი, წონი
V დრამისა ერთისა, შეჰყრიბენ ესე წამალნი, დან || აყენ, დაცრენ და
პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ, შესუმ მისგან თხილის
ზომი.

15 ხსნილოზისა და ზავასიკისა

ნიშანი გუარიშნისა, რომელსა ჰქუიან ხუზი. ერგების, რომელ-
სა სტომაქი მოუსუსურებულეიყოს და გარყუნილიყოს და ნიადაგ
ქსნილობა იყოს და საჭამადი მრთელივე გავიდოდეს უდნობელისა
სტომაქისაგან ქარიანად და ჰყუირდით და ვერ იდნობდეს და ბა-
20 ვასიკისა ერგების და დასაჯდომლისა ტკივილსა და ქუეეთა სიგ-
რილეთა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: ქუშტი და სალიხა და სუმბული და აბალბალასანი,
ამათგანი ათ-ათისა დრამისა წონი და ჯოვზაბოვა თუალვით ხუთი
კაკულა და კარამფული და ანისონი და აქილალმელიქი და შიტ-
25 რაჯი ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ბასბასა, წონი დრა-
მისა სამისა და იბრინჯი, წონი დრამისა რვისა და ნაღაბაშდი, წო-
ნი დრამისა ოთხისა და რევანდისინი და ზარევანდი გრძელი და იშ-
ნა, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და სუდი და ზანჯაბილი,
ამათგანი წონი დრამისა ორმოცდაათ-ორმოცდაათისა და ხალილა-
30 ვი შავი, წონი დრამისა ოცისა და შავი პილპილი და დარაბილპი-
ლი, ამათგანი წონი დრამისა ათისა, ბალილაჯი და ნანხუა წონი
დრამისა თორმეტ-თორმეტისა და მურტისა მარცუალი, ლიტრა
ორი ბაღდადური და შაქ[არი] ტ[ა]პარზადი თავი ორი. ესე ყოველ-
ნი დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ,
35 ჰურჰელსა ჩასდვა და ორისა თუისა შემდგომად იკმარო. შესუმა
62r მისგანი ორისა || დრამისა წონა, ვიდრე ოთხისა დრამისა წონამდე
ვითა ვის უკმდეს, წყლითა გრილითა ერგების, თუ ღმერთსა
უნდეს.



ნიშანი ანჭუდანისა გუარიშნისა, რომელი ერგების ფიცხელა ქართა მავალთა მუცელსა შიგან, რომლისა კმა ისმოდის და გაბერვა წაევიდებოდის და სტომაქსა გაუჭურვებდეს ზუმსა გაჭურვებასა, ნებითა ღმრთისათა.

5

აილო: პილპილი შავი და დარაპილპილი, წონი დრამისა ათათისა და სუმბული და ზანჯაბილი, წონი დრამისა თორმეტ თორმეტისა და ანისონი და კამას თესლი, წონი დრამისა ხუთ-ხუთისა და ანჭუდანი შავი, წონი დრამისა ორმოცდდათისა ნანხუა და ნიახურის თესლი, წონი დრამისა შვიდ შვიდისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა მისგან თხილის ზომი, ერგების ნებითა ღმრთისათა.

10

მის ხაზამადი და სასუამადი
არა მოუნდამოდეს და გული. ეზღებოდეს

ნიშანი გუარიშნისა ხოლინჯანისა, რომელი ერგების სინოტიესა, რომელ სტომაქშიგან წებოვითა შეიქნების საჭამადთა ურვილთაგან და ვის საჭამადი და სასუამადი არა მოენებებოდეს და გული ეშალვოდის და დიდად ჰნერწყვიდეს თულგმასა, კეკელია, ძალითა ღმრთისათა.

15

აილო: ხალინჯანი, წონი დრამისა ათისა და ანისონისა თესლი და კაკული და პილპილი და ქარვა და ქონდარი ფერისი და ზანჯაბილისინი და ნალაბაზდი, ესე ყოველი წონი დრამისა ორ-ორისა და ნახევრისა და კულმუხი კმელი და დარაფილფილი, წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და შაქარი ტაბარზადი, წონი დრამისა ასისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, || იკმარენ სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

20

25

v

მოწაგულთა სასიკუდინად
და გუელცემულთა

ნიშანი გუარიშნისა საინდისა, რომელსა ჰქუიან ახარ სტიხი, თარგმანებით მჯობნელი ყოველსა ტკივილსა, ერგების, რომელსა სასიკუდინე წამალი ესუას და გუელცემულთა და ღრიანკალ[თა] და ვის სისხლსა აფსმევდეს, ოდეს სცეს და ყოვლისა ჭიისა ცემასა, რომელნი მომკლველნი არიან, ვითა ძალლი ცოფი და ვეფხი ამით ესე გუართა მსგავსთა შეასუას, ამის წამლისაგანი წონი ნახევარ

30



დრამისა დასცხოს ნაკბენსა და ნაცემსა ზედა მარამისა მსგავსად და ერგების, ვინ საჭამადსა ვერა მოიდნობდეს და ვის სწოლინჯი სჭირდეს და ვინ უფსმად იქნებოდეს და ყიისა ტკივილსა მარჩობელსა და გუერდთა ტკივილსა და მუცლისა და საშოისა ქარსა, 5 დუბელასა და დედათა, რომელნი ყრმასა ივინებდენ და ქარსა, რომელი საშოისა შიგა ვალს, ამისგანი წინათ აიღოს და დაუყუდებს.

მამისა მოვანისათვის.

აიღო: ქარვა ველური და ქაბრისა ძირისა ქერქი და ძირი 10 საცნაური, ბაზარნიკი ჰქუიან და შალი და ბალი და ფალი და პილბილი შავი და დარაფილფილი და ქუშტი თეთრი და ბანბასა ხისა ძირი და სუმბული და ალვა და ძირასა ლერწამი, ამათგანი თუითო სწორი აიღო, დანაყო, დაცრა შარითა და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჰურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს იკმარო. შესუმა მისგანი წონი დრამისა ერთისა, ანუ ვითა ნიშანი მიგუიციემა და ზოგნი მკურნალნი მარცულად შეიქმან და ოდეს დანაყონ და ეგრე იკმარონ, ერგების, თუ დმერთსა უნდეს.

თირკმელთა დღეგრძელობისა

63r || ნიშანი გუარიშნისა იტრიფალი უფროსი, რომელი ერგების 20 ტკივილსა თირკმელთასა და ბუშტისასა და გა[ა]ქურვებს ტანსა და დააშუენებს ტანსა ფერსა და გა[ა]სწორებს შეზავებულობასა კაცისასა და შეუმატებს ზურგსა წყალსა და მოანებებს საჭამადსა და გაკაზმავს სტომაქსა და გა[ა]ქებს ქარსა და გა[ა]ქარვებს, თუ ხმასა და მკცესა გამოსულად არა გასწყდების თავისაგან და წუერთაგან და უთქუამს ძუელთა მკურნალთა წინა პირველთა, ვითარად 25 ვინ იკმაროს იტრიფალი უფროსი ზამთრის და იტრიფალი უმცროსი ზაფხულის და ამას ზედა აბანოს შევიდოდის და სიქანქუბინსა სუმიდეს საწყურველად, არა ემატოს სხუა ბუნება ბუნებასა. და ურეველ იქმნას ყოვლისა სალმობისაგან და გაუგრძელდების მზე 30 და სიმრთელესა ზედა დარჩების მშვიდობით, ვირე სიკუდილამდე შემრგებია და კეკელია, ვინ ამას წამალსა იკმარებს, ნებითა ღმრთისათა.

აიღო: ხალილაგი, ქაბული შავი, კეკელია მსუქანი და ამლა- 35 იჯი გურკისაგან გამოწმენდილი და ბალილ[ა]ჯი გაწმენდილი და ქერქი ამლაჯისა და პილბილი შავი, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა დრამისა დარ[ა]ფილფილი, წონი დრამისა ოცდახუთისა და ზანჯაბილისინი და ბოვზი დანი და ბასბასა და შტრაჯი ჰინ-



დი და სუინტრისა ძირი, რომელ არს აშაკული, ესე ყოველი წონი დრამისა ათ-ათისა. ტადრიჯი წითელი და ტადრიჯი თეთრი, რომელი დიაცსა გაასუქებს და წამალი არს, რომელი ლისენთა საფინი ჰქუიან. აღარდენი მკავისა ბროწეულისა¹ და ქუნიჯითი გაქურცნილი, ესე ყოველი დრამისა ორმოც-ორმოცისა || და ბაამანი თეთრი და ბაამანი წითელი, ესე წონი დრამისა ხუთ ხუთისა. შეპკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ფურთა ერბოთა შესუარო, ანუ ნუშისა ზეთითა და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო, ქურჭელსა ჩასდვა და როდეს გინდეს, იკმარო. შესუმა მისგან წონი დრამისა ორისა სამ დრამამდე ნელტფილითა წყლითა. სარგებლისა არის ამის ყოველისათვის, რომელი გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

v
5
10

ნიშანი გუარიშნისა იტრიფალი უმცროსი, რომელი ერგების ქარსა ბოვასირისასა და შეულობს მუცელსა და გაკაზმავს სტომაქსა და დააშუენებს ფერსა და მოწამე არიან, რომელთა გამოუცლია პირველთა, ვითარად სიბერისა ბუნებისაგან კაცსა გარე შეაქცევს. ესე გუარიშანი და სიჭაბუკისა ბუნებასა ზედა დაადგენს და ერგების დედათა და ყრმათა წურილთა, რომელთადა ფერი მისრულიყოს და შეაქცევს ფერსა, ვითა პირველ სიმრთელესა ყოფილა და დაქაშუენებს კორცთა ნებითა ღმრთისათა.

15
20

აიღო: ხალილაგი, კუერცხისა გული და ბალილაჯი და ამლაჯი. ამათგანი სწორი წონი დანაყო, დაცრა და ნუშისა ზეთითა შესუარო და ამათგანისა ერთისა წამლისა წონი ყოს ნუშისა ზეთი და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ქურჭელსა ჩასდვა და ოდეს გიკმდეს, იკმარე შესმა მისგან თხილის ზომა წყლითა ტფილითა. ერგების, თუ ღმერთსა უნებს.

25

ნიშანი გუარიშნისა იტრიფალისა სხუისა დიდისავე, რომელი ერგების ქარსა ბოვასირისასა და ტკივილსა კოლინჯისასა. გასავსნელი არის შენელებული და განსწმედს სტომაქსა და გააღებს ნესუტთა და || ყოფილთა ღუიძლისათა და ფაწალისათა და ერგების თუ ზაფხულის შესუას, თუ ზამთრის; ბურისა უწინას და უკანას და გააგრილებს სტომაქსა და გაიღებს ქარსა წაკიდებულსა და დააშუენებს ფერსა და გააგრილებს თირკმელთა და ბუშტისა შეუმატებს ზურგისა წყალსა, თუ ღმერთსა უნებს.

64r
30

აიღო: ხალილაგი, შავი ქაბული გურკისაგან გამოღებული და ხალილაგი კუერცხისა გული, ქაბული გურკისაგან გამოღებული და ბალილაჯი და ამლაჯი და შიტრაჯა ჰინდი და ნიახურისა თესლი და ქონდარი ფერისი, ამის ყოველისაგან წონი დრამისა ექუს-ექუსისა, სურნელი ტიბი, წონი დრამისა ხუთისა, ვაჯი და ამამა, წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და კილამონი და შავი პილპილი და დარ[ა]ფილფილი და ნაღაბაშითი, თურბითი და აფთიმონი აკრიტი

35
40



და ნავთისა მარილი, ამათგანი წონი დრამისა ექუს-ექუსისა და მდოგუი თეთრი და ანუშადური, წონი თუითო დრამისა და თუინისა წიდა და ბასრი კექელია, წონი დრამისა ოცდაათისა. ესე ყუალაი შეკრიბო, დანაყო, დასცრა და ერბოთა ფურთათა შესუარო. ანუ ნუშისა ზეთითა და პერულმოკდილითა თავლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა მისგანი წონი დრამისა ორისა ორ მითკლამდე, ტფილითა წყლითა. ერგების, ნებითა ღმრთისათა.

გუამისა კართათვის

ნიშანი გუარიშნისა, რომელსა ჰრქუიან ფანჯანოში რკინისა
 10 წიდასა. ერგების სტომაქისა ქართა და სუშოსა ქარსა და ბოვასირისა ქარსა და ტანსა მოფოლხუებულსა და კუერცხისა გულსა ფერსა და გაჭურვებს საშუალად და გააკეთებს ურვილსა შეზავებულობასა ტანისასა, || რომელი გარყუნილიყოს ნებითა ღმრთისათა.
 ა ი ღ ო: ხალილაგი შავი და ბალილ[ა]ჯი და ამლაჯი და პილი
 15 პილი და დარ[ა]ფილფილი და სუდი შიტრაჯა ინდი და სუმბული ტიბი, ამათგანი წონი დრამისა ათ-ათისა და ცერეცოისა თესლი, წონი დრამისა ოთხისა და რკინისა წიდა ძმრითა დამბალი, მოკალული, წონი დრამისა ასისა. ესე წამალნი დანაყენ, დაცრენ და ფურთა ერბოთა შესუარო და თავლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარო. შესუმა, მისგანი წონი დრამისა ორისა, წყლითა ტფილითა და მისა უკანის მცირედი პური ჭამოს ქაბრისა ქამხლია და პრასითა და შუა დღემდე ელოდოს კექელია და სარგებლისა ნებითა ღმრთისათა.

ღიაღისა ხინისა

ნიშანი გუარიშნისა რკინისა წიდისა, რომელი ერგების სტომაქსა მოფოლხუებულსა და შეუმატებს ზურგისა წყალსა და ერგების, რომელსა ღიაცსა თანა მისულა გარდასწყუდოდეს და დედათა მსუქანთა, რომელნი არა უძლებ იქმნებოდინ ცემლისა სიდიადითა და ერგების ბოვასირისა ქარსა და ყოველსა ტკივილსა წაკიდებულსა სტომაქისასა. ზამთრისა დღეთა მრავალთა ზედასზედა სუას და ერგების, თუ ღმერთსა უნებს.
 ა ი ღ ო: რკინისა წიდა, ლიტრა ერთი ბაღდადური და სპანძლისა თესლი, თეთრი ისთარი, ექუსისა დრამისა წონი არის და ოთხი დანგი და პრასისა თესლი ასურული და ნიახურისა და ანისონი და კამა და ნანხუა და ანჯუდანი შავი. ამის ყოვლისაგანი წონი
 35 ორ-ორისა დრამისა და ხალილაგი შავი. ქაბული გურკისაგან || გამორჩეული და ბალილაჯი და ამლაჯი, ამის ყოვლისაგანი წონი
 65 ორ-ორისა სამ-სამისა და წნებევისა თესლი და ჯარჯირისა თესლი და ბოლოკისა თესლი და თაღმისა თესლი; ამათგანი წონი დრა-



მისა ორ-ორისა ხოლმეჯანი და კილამონი და სუმბული ტიბი და
ბასბასა. ამის ყოველისაგანი წონი დრამისა სამ-სამისა. შეჰკრიბენ
ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა
შეზილო დანგისა წონი მუშკი, დანაყო და ზედა გაურიო და დი-
დად მოურიო, რომელთანა კეკელიად შეერიოს და ორისა კუირისა
შემდგომად ამას სუმიდეს ყოველთა დღეთა სამ-სამისა დრამისა
წონასა ძუელითა ღუინითა და სამყამამდი ნურას ჭამს და მერმე
მწუარი ჭამოს და ზედა ძუელი ღუინო სუას, ერგების ნებითა
ღმრთისათა.

5

ბოვასირისა ძარისა

10

ნიშანი გუარიშნისა ერგების ბოვასირისა ქარსა მუცლისა ბე-
რვასა და ტკივილსა წაკიდებულსა და ქარსა, რომელი ზურგსა ში-
გან შეიქნების და სუკთა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ნანხუა და დარქაფილფილი და ქინძი და ალატროი და
ალარდენი მოკალული და ხალილაგი ჯაბული, გურკისაგან გამოღე-
ბული, აპანი და მარილი ნავთისა და ქამუნი ქირმენი და უდალ-
ბალასანი და შიტრაჯი ჰინდი და კულმუხი კმელი და ნიახურის
თესლი და ვაჯი და შალი და ბალი, ამის ყოველისაგან სწორი წო-
ნი. ესე ყოველი შეჰკრიბო, დანაყო, დაცრა და პერულმოკდილითა
თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს იკმარო.
შესმა მისგანი წონი დრამისა სამისა ძუელითა ღუინითა, ერგების
ნებითა ღმრთისათა. ||

15

20

v

სტომოქისა სიუსუსურისათუის

ნიშანი გუარიშნისა ერგების სიუსუსურესა სტომოქისასა და
დიადსა ქარსა, რომელ არიან სტომოქსა შიგან და ცხროსა მეოთხე-
სა, თუ ღმერთსა უნდეს.

25

ა ი ლ ო: უპანი დრამისა ერთისა და ნანხუა, წონი დრამისა ორი-
სა და ვაჯი, წონი დრამისა სამისა და ზანჯაბილი, წონი დრამისა
ოთხისა და მარილი ჰინდი, წონი დრამისა ხუთისა და ხალილაგი
შავი, ჯაბული გურკისაგან გამორჩეული, წონი დრამისა ექუსისა და
და შიტრაჯა ინდი, წონი დრამისა შუიდისა. შეჰკრიბენ ესე წამალ-
ნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ
და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარე. შესუმა მისგანი
წონი, დრამისა ორისა წყლითა ტფილითა, ერგოს ნებითა ღმრთი-
სათა.

30

35



ნიშანი გუარიშნისა, რომელ არს გუარიშანი სოლომონისა და-
ვითის ძისა, რომელი იქმოდა სწავლისათვის და ერგების სინოტიე-
სა სტომაქისასა და ყოველსა ქარსა შიგა შექნილსა თელგმისაგან
5 და აგზებს სტომაქსა შიგან სიმჭურვალესა და გაუკეთებს ფერსა და
შეუმატებს ცნობასა და გაქანათლებს გონებასა და დაქამტკიცებს
გონებასა და განსწმედ მეცნიერებასა, რაითა მითუალოს ყოვე-
ლი სწავლა მალე და დაქყენებს მკრცვსა, გააძრიალებს მკუი-
დღესა სიმჭურვალესა და დიდი წამალი არს და მათ უჭმს კურნება,
10 რომელნი დიდისა სიგრილისა და სინოტიქისა უფალნი არიან და
ეკრძალოს ვინ მჭურვალი იყოს და ზამთრის შეისმას, არა ზაფხუ-
ლის და მრავალნი წაუწყემედიან, რომელთა ვერა ურგია ამისი შე-
66r სუმა მეტისა სიმჭურვალისაგან და ერგების || გონჯთა და კეთრიან-
თა და ფელიჯენათა და ვის ლაკუა იყოს და რომელსა შენად-
15 გამანი მოფოლხუებულიყუნენ და თრთოლასა და ძრწოლასა ყო-
ველნი მეცნიერნი და ფილაფოზი იგმარებდეს ამას წამალსა, თუ
ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: პილბილი შავი და დარქაფილფილი და ხალილაგი ქაბუ-
რი გურკისაგან გამორჩეული და ბალილქაქი და ალაიჯი და თა-
20 ხუსის ყუერი, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და
მარცხალი ბალანსისა და ქუშტიბარი და შაქარი ტაბარზადი და
აბალღარი. ამის ყოვლისაგანი ისთარი სამი ექუსისა დრამისა წო-
ნი არის და ოთხი დანგი და სუდი გაქურცნილი ისთარი ორი და
უწინა ბალადურისა თაფლი გამოიღო და მერმე შეარიო. წამალთა
25 დანაყისა და დაცრისა უკანის და მერმე პერულმოცდილითა თაფლი-
თა შეზილო, ჭურჭელსა ჩასდვა, ქერსა შიგან ჩაფლა ექუს თუემ-
დი და მერმე გამოიღო ქერისაგან და ოდეს გინდეს იგმარო. შე-
სუმა მისგან წონი დრამისა ორისა ნიახურისა წყლითა კვქელია
და გამოცდილი, ნებითა ღმერთისათა.

30 სტომაქისათვის

გუარიშანი მეფეთა, რომელსა იქმოდა თავისა თუისისათვის
კახარ მეფე სიცოცხლესა მისსა და ერგების ტკივილსა სტომაქი-
სასა და მოანებებს საჭამადსა, თუ ღმერთსა უნებს.

ა ი ღ ო: ნიახურისა თესლი და ნანხუა და ფატრა სალიონი და
35 დოკო და კარამფული და ჰელი², რომელ არს კაქულია წურვილი
და სალიხა და კილაშონი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა,



ასარონი და სადაჯა ჰინდი, წონი ღრამისა ოთხ-ოთხისა და პილ-
პილი თეთრი და || უდალბალასანი, წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა,
დარ[ა]ფილფილი და პილპილი შავი, ღრამისა ხუთ-ხუთისა და
მუშვი, წონი ღრამისა ერთისა. ესე წამალნი დანაყენ, დაცრენ და
პერულმოკდილითა თაფლითა შეზილნე და ოდეს გინდეს, იკმარო.
შესუმა მისგან წონი ღრამისა და ნახევრისა წყლითა გრილითა. ერგე-
ბის რგებითა საჩინოთა, თუ ზაფხულს იქმოდე თაფლისა ადგილსა
შაქრითა შეჰქმნა და სინისა ფსკერსა ზედა გაფინო და დასჭრა რა
ზომად გინდეს და ერგევე ჰქმნა, ვითა პირველნი გუარიშნი დამიწე-
რიან ზემო და ერგების ნებითა ღმრთისათა.

5
10

ბოვასირისა

ნიშანი გუარიშნისა, რომელი ერგების ბოვასირისა ქარსა და
ვის საგურკველსა შიგან გაუმრავლდეს ქარი ნებითა ღმრთისათა.
აილო: ხალილაგი, ქაბული შავი გურკისაგან გამორჩეული,
მოკალული ერბოთა, წონი ღრამისა ოცდაათისა და შიტრაჯი და
ვაჯი და ფალფალმოი და უდალბალასანი და ავთ, რომელ არს კა-
კულია წურილი, ამის ყოვლისაგანი წონი ღრამისა ექუს-ექუსისა.
შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა
თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა, შესუმა მისგანი წონი
ორისა ღრამისა წყლითა ტფილითა, ერგოს ნებითა ღმრთისათა.

15
20

ვაჟის მოწუხებისათვის

ნიშანი გუარიშნისა, რომელი დამცველი არს ყრმისა დიაცისა
მუცელსა შიგან. უძლებთა დედათა ერგების, ვნებად არა გასწყ-
დების, თუნიერ საჩინოთა რათმე ვზითა და მიზეზითა, ვითა ქარ-
თა გრილთა და გააძლიერებს სტომაქსა და გულსა, თუ ღმერთსა
უნდეს. ||

25
67r

აილო: ზრუნბადი და დ[ა]რონაჯი და სუმბული ტიბი, ამათ-
განი წონი ღრამისა ოთხ-ოთხისა და ნანხუა და გუნდრუკი, წონი
ღრამისა სამ-სამისა და თაჯუის ყუერი, წონი ღრამისა და კამბლთა
მისივე წონი. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულ-
მოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა მის-
გან, წონი ღრამისა ორისა წყლითა ტფილითა. ერგოს ნებითა
ღმრთისათა.

30

**მუცლისა ტახისა
და ბოვასირისათვის**

ნიშანი გუარიშნისა, რომელსა ჰქუიან მკლათა, ერგების,
რომელი დიად ეკირებოდეს და მუცელსა სტეხდეს და სისხლსა

35
139

გაცხადებს და ტკივილსა დასაჯდომელისასა და ბავსირსა შექნილ-
სა და დასაჯდომელსა შიგან, რომელ მკურნალნი მოუხდინებდნენ,
ნებითა ღმრთისათა.

- 5 ა ი ლ ო: სპანძლის თესლი მოჯალული და აღარდენი მოჯალული,
ამათგანი სწორი წონი. ესე მოჯალენ, სწორი წონი აილო ამათგან
და ძირა ქირმენი და ძირა მეორე, ამათგანი წონი დრამისა სამისა
და კერატი ეკლისა და ალასტროი და ბერძული თიჯა, ამის ყოვლი-
საგანი წონი დრამისა სამ-სამისა და ქინძისა თესლი, წონი დრამისა
10 ათისა და სელისა თესლი მოჯალული, წონი დრამისა თხუთმეტისა და
ხალილაგი გურკისაგან გამორჩეული, მოჯალული ფურთა ერბოთა,
წონი დრამისა ოცდაათისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაც-
რენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჰურჭელსა
ჩასდგა. შესუმა მისგანი წონი ორისა დრამისა და ნახევრისა ბავსა
v წყლითა, ერგების თუ ღმერთს უნდეს. ||

15 **ვის სტომაქსა**
თელგა მიკროდუს

ნიშანი გუარიშნისა კერატისა, ერგების სტომაქსა შიგა თელგ-
მა იყოს მიქრული. ამისგან დიადი კსნილობა წაეკიდებოდის
სტომაქსა სინოტისაგან, ნებითა ღმრთისათა.

- 20 ა ი ლ ო: კერატი ეკლისა გამკმარი და ძირა ქირმენი ძმრითა
დამბალი დღესა და ღამესა, მოჯალული და [ა]ლასტროი და მურტი-
სა მარტული და ნაცარი ფშატისა. ფქუილი, ნაცარი ფშატი ესრე
ჰყო: თხელსა საცერსა შიგან ჩაასხა და კელი ზედა ადრისო, თუთ
ფქუილი ქუჩე გლ.] და რკო კმელი და ქინძი, ამათგანი სწორი წონი
ჰყო და უკუეთუ სტომაქი მეტად გაგრილებულ[ი]ყოს და განოტიე-
25 ბულიყოს, მასტაქი ამათ წამალთა ერთისა სწორი ჩაურთე, შეჰკრი-
ბენ ესე წამალნი ყოველნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილი-
თა თაფლითა შეზილენ და შესმა მისგანი წონი დრამისა ორისა,
მურტისა სასმლითა. ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

სტომაქისა სიბრილისა
და ძარისათუის

- 30 ნიშანი გუარიშნისა ამბროსი დიდი, ესე იგი გუარიშანი
არის, რომელსა ხუსრო მეფე იქმოდა თავისა ჟამსა შიგან. ერგე-
ბის ყოველთა მამათა და დედათა, რომელთა სტომაქი გაგრილე-
ბულიყოს ნებითა ღმრთისათა და ვის შეუიწრდებოდეს მკერდი და
35 შეშვირდებოდეს უმიზეზოდ და ვერ იცოდეს, თუ რასა მიზეზისა-
გან არს და გაძებს ქარსა სტომაქისაგან და მოანებებს საჭამადსა
და ბერვასა, გააქარვებს და ჰყუიროლსა და ნესუტთა დაყოფილთა



ლუიძლისათა გაახუამს და გაშლის ქართა სხუილთა მუცლისაგან და ტეხასა წაყიდებულსა, რომელ შავისა ნაველისაგან იყოს თელგმისა და გაუნათლებს გულსა და ძვერასა გულისასა დაუყუდებს, და გაცნის კოლინჯისა ქარსა || და კცოლასა დაუყუდებს და რომელი საესეებისაგან წაყიდებოდეს და ერგების წყლით მაკეთაცა, რომელთა ლუიძლი გაგრილებოდეს და მუცელი გაგრილებოდეს და ფაწალისა ქარსა აშუ[ნ]ს, რომელი ყოველსა ტანსა გასრულოყოს კაცისასა და დაუამებს გონებასა კაცისასა, თუ ღმერთსა უნებს.

ა ი ლ ო: კაკულა წურილი და კაკულა დიდროვანი, ამათგან წონი ღრამისა ოთხ-ოთხისა და დარ[ა]ფილფილ და ზანჯაბილისინი, ცხრა-ცხრისა ღრამისა, კილამონისინი, წონი ღრამისა სამისა და იშნა, წონი ღრამისა ორისა და ლემი თეთრი და უდალბალასანი-სა ქერქი და აფიონი, ამათგანი წონი თუითო ღრამისა და კარამფული და ზაფრანი, ათ-ათისა ღრამისა წონი და ჯოვზა ბოვა თუაღვით ხუთი და სუმბული და მასტაქი ბერძული და აბარი ხალისი, ამათგანი წონი ღრამისა ორისა და მუშვი თუბუთი ხალისი მითკალი ერთი და ბალასნის ზეთი ხალისი, წონი ღრამისა ექუსისა და ძუელი ღუინო, წონი ღრამისა ოცისა და თაფლი წმიდა თეთრი პერულმოკდილი.

რაზომ ეყოფოდეს ღუინო და თაფლი შერ[ი]ენე და ცეცხლითა შეასქელო და ცეცხლისაგან უკმოილო და წამალნი ეგრე შეურიენე და ამბარი ბალასნისა ზეთითა გაადგინო და მუშვი თანა შეპრივე და ეგრე სხუათა წამალთა ჩაურთო და მოურთო, რომე კეკელად შეერთო და ეგრე ქურტულსა ჩასდვა. შესუმა, მისგანი წონი ღრამისა ნახევრისა, ვირე ღრამისა წონამდე, ვითაცა ვის უკმდეს წყლითა ტფილითა, ანუ ღუინითა გამთბარითა. ამას ყოველსა ერგების, რომ[ლ]ისა || ნიშანი მოგუიციემა, ნებითა ღმრთისათა.

**ბოვასირისა და კუარცხის
ბულისა ფარისათუის**

ნიშანი შიტრაჯის გუარიშნისა, რომელი ერგების ბოვასირსა, რომელი საჩინოსა იყოს და რომელი უჩინარისა და ვის ფერი კუერცხის გულად ქცეოდეს დიადისა სისხლისა სლვისაგან და აკურვებს ქუჩესა სისხლსა და დასქელებულთა ქართა, რომელნი მუნ შინ იყუნენ, გაახუამს ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: ხალილაგი, ქაბული მსუქანი, ვაწმედილი გურკისაგან, გამორჩეული, მოჯალული ფურთა ერბოთა, წონი ღრამისა ათისა და ბალილაჯი და ამლაჯი ვაწმედილი, წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა და შიტრაჯი[ქ]ინდი და პრასის თესლი ასურული, ამათგანი წონი ღრამისა შვიდ-შვიდისა და ქუშტი მწარე და სუმბულიტიბი

და კილამონი და ნიახურისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა სამ-
სამისა და მუკლიაზარი, წონი დრამისა ერთისა და შაქარი სულე-
მანი, წონი დრამისა ოცისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დასაყენ,
დაცრენ და ფურთა ერბოთა შესუარო და მუკლი გაადგინო ავან-
5 თა შიგან ძუელითა ლუინითა და მერმე წამალთა შეპრიო და პერულ-
მოკდილითა თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს
გინდეს, იკმარო. შესუმა, მისგან წონი დრამისა ოთხისა, წყლითა
ტფილითა. ერგოს, თუ ღმერთსა უნებს.

კოლინჯისა ქარსა

10 ნიშანი გუარიშნისა, რომელი ითარგმანების შარავანი მეფე
გუარიშნთა. ერგების კოლინჯისა ქარსა და გაქსნის მუცელსა ზო-
მად, ერგების ტკივილსა ზურგისასა და თირკუმელთასა და
69r ტკივილსა შენადგამთასა და || გასწმედს გუამსა ყოვლისა სინოტისა-
გან, რომელი იყოს მასშიგან დიადისა დამპლობისაგან და ერგების
15 ტკივილსა სტომაქისასა და თავისასა და ერგების ზამთრის შესუას
ვინ, ანუ ზაფხულის და ყოველსა ჟამსა, როდესცა უნდეს და გაუ-
დვილებს მისი შესუმა, რომელნი ფიცხელთა წამალთაგან დაშინე-
ბულიყუნენ, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: ნიახურისა თესლი და ანისონისა თესლი და კამასა თეს-
20 ლი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და უდალბალასანი და აბალ-
ბალასანი და კირტიმიქინდი და კამბილი, ამათგანი წონი დრა-
მისა ორ-ორისა და ნახევრისა, კილამონი და ზაფრანი და მასტაქი,
ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და თურბითი თეთრი, გაწმე-
დილი, წონი დრამისა თორმეტისა და საკამუნია ანტაქი, შემწუა-
25 რი, წონი დრამისა შვიდისა და შაქარი სულემანი თეთრი, წონი
დრამისა ოცისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი და კიდეს კიდედ დანაყენ,
დაცრენ და შეპრიენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ. შე-
სუმა, მისგანი წონი დრამისა ოთხისა, ანუ უფრო, ანუ უმცრო, ვითაცა
ვის უკმდეს ძალსა ზედა წყლითა ტფილითა. ერგების, თუ ღმერთსა
30 უნდეს.

შენადგამთა

ნიშანი გუარიშნის ტალის ფარისა, რომელი ერგების ტკივილ-
სა შენადგამთასა და გაკაზმავს სტომაქსა შეწვენითა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: ტალის ფარი და ზანჯაბილისინი და პილპილი შავი და
35 დარ[ა]ფილფილი, ამათგანი წონი დრამისა ათ-ათისა და ფალფალ-
მოი, წონი დრამისა თორმეტისა და ტაბაშირი, წონი დრამისა
შვიდისა და ავთ, რომელ არს კაკულა წურბილი, წონი დრამისა

ორისა და ნახევრისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანა || ყენ და დასცრენ და ზაფხულის შეზილო ფანიდითა, ორასასა დრამისა წონითა და ზამთრის პერულომოჭდილითა თაფლითა შეზილო და შესუმა მისგან წონი დრამისა ორისა წყლითა გრილითა ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

5

წყლით მაკასათუის გასაცხნალო

ნიშანი გუარიშნისა ტალის ფარისა გასახსნელი[სა], გაქსნის ადვილად და ერგების, რომელი წყლითა მაკე იყოს და გამაძლიერებელი ღუიძლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ლ თ: ტალის ფარი, წონი დრამისა ოთხისა და კაკულა წურილი, წონი დრამისა ერთისა და ზანჯაბილი, წონი დრამისა ორისა და საკამუნია, წონი დრამისა ოთხისა და შაქარი სულემანი, წონი დრამისა ორმოცისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და შაქრის თაფლითა შეზილენ. შესმა, მისგან წონი დრამისა სამისა. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

10

15

სტომოქისაგან რაშნილსა

ნიშანი გუარიშნისა ვაშლისა, რომელი ერგების სტომოქსა გარეყუნილსა, რომელნი საჭამადსა ვერა ჰამდენ და ოდეს ნახონ, გული ემალოდეს და ვის საჭამადი არა მოსდნებოდის და დაუშეკავდებოდის სტომოქსა შიგან, ქარი შე[ე]ქნებოდის და ერგების ჰყუთრილსა მუცლისასა და გა[ა]სწორებს შეზავებულობასა კაცისასა და ერგების დედათა უძლებთა, რომელთა გული ემალოდეს და ვის საჭამადი სტომოქსა შიგან არა დაადგრეს და არა მისდნეს, ამისგანი შეჰჰამოს საჭამადსა უწინასცა და უკანისცა ზამთრის და ზაფხულის, როდესცა უნდეს კეკელია, თუ ღმერთსა უნდეს.

20

25

ა ი ლ თ: სუმბული და კარამფული და ჯოჯა ბოვა და ბასბასა, ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა და კილამონი და ხოლინჯანი, წონი || დრამისა ხუთისა და პილპილი შავი და პილპილი თეთრი და დარ[ა]ფილფილი და ზარძაჰუმი, ამათგან წონი დრამისა ორ-ორისა და ნახევრისა და იშნა და აპრვაი დამუშვი კეკელი[ა], წონი დანგისა ერთისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კიდეს კიდე დასდვა და მერმე ვაშლი ტკბილი კეკელია. თუალვით ასი დასტრა და გურკისაგან განსწმიდო, დანაყო და გამოსწურო წყალი, თანგირაგთა ჩა[ა]სხა იგი ვაშლისა წყალი და ადულო, ვირემ თაფლისა ზომად შესქელდეს და პერულომოჭდილი თაფლი თანა ჩაურთო. ამა წამალთა წონი ორი და ადუღე ვირემ კეკელიად შესქელდეს და მერმე წამალნი თანა ჩაართენ და კეკლად შეაერთენ რეგნითა და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარო. შესმა

70r

30

35

მისგან წონი ღრამისა ორის უმცრო და უფრო და უკანა ხმისა
შესუას ლუინო ანუ ტფილი წყალი, ერგების თუ ღმერთსა უნდეს.

**გასახსნელი ვაშლისა ვარგვის
ჰარისათუი და ბალღისა.**

- ნიშანი გუარიშნისა სხუისა ვაშლისა გასახსნელი, რომელი
5 ერგების ყოველთა ქართა სხუილთა, რომელნი სტომაქსა და მუცე-
ლსა შიგან შეექნებიან და ერგების ყოველსა კაცსა ჭაბუქსა და
ბერსა და ყრმასა მცირესა, და შეისმის ზამთრის და ზაფხულის,
პურისა უწინა და უკანას და გასწმედს ტანსა ყოველთა ურვათაგან,
რომელნი განრყუნილიყვნენ, გასწმედს განწმედითა ადვილითა
10 უჭირველად, თუ ღმერთსა უნებს.

- ა ი ლ ო: თურბითი თეთრი კექელია, წონი ღრამის თორმეტი-
სა, კილამონი და ზანჯაბილი და სუმბული და კაკულა წურილი და
დიდროვანი მასტიქი და ნიახურისა თესლი, || ანისონი და ნანხუა
v და ვარდი წითელი, ამის ყოვლისგანი წონი ღრამისა სამსამისა და
15 საკამუნია ანტაქი შემწუარი, წონი ღრამისა ხუთისა. შეჰკრიბენ
ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და მერმე ასი ვაშლი დიდროვანი,
ტკბილი დააბო და გურჯისაგან გასწმიდო და დანაყო და წყალი
მისი გამოსწურო და შეაგბო, ვირემ თაფლისა ზომად შეიშნას
სქლად და მერმე თაფლი ჩაურთე წამალთა, წონი ორი და კულა
20 შეასქელო და მერმე ესე სხუანი წამალნი ჩაურთნეს და მოურიო
დიდად. ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარე. შესმა, მის-
განი წონი ღრამისა ოთხისა და ათჯერ გაქსნის, ანუ უმეტე ამის-
სა ნაელელსა და რაცა პოვოს მეტი გამოცდილი არის და კექელია.
თუ ღმერთსა უნებს.

- 25 **ვაშლის ჰარისათუის, ვარგვის
და ვაშლილისათუის**

- ნიშანი გუარიშნისა თრუნჯისა, რომელი ერგების ძგერასა გუ-
ლისასა და მოუსუსურებულსა სტომაქსა და წაქიდებულსა ქარსა
ბერვასა და ჭყურილისა კექელია და გამოცდილი, ნებითა ღმრთი-
სათა.
30 ა ი ლ ო: თრუნჯი, რაზომი გინდეს და გაქურცნა ქერქი. მის კუერც-
ხის გული, რაზომ ხოლო თხელად ეგებოდეს და გააკმო ჩრდილ-
სა და აილო, მისგანი, წონი ღრამისა ათისა და კილამონი და
ზანჯაბილი და აშკაული, ამათგანი წონი ღრამისა ოთხ-ოთხისა
და რევანდისინი და მასტაქი და ზაფრანი და სუმბული ბერძული
35 და ქუშტიბარი, ამათგანი წონი ორ-ორისა ღრამისა და ნახევრი-



სა და ჯოჯაბოვა თუალვით ხუთი. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჰურჭელსა ჩასდგა და ოდეს გინდეს, იკმარო, შესმა, მისგანი წონი დრამისა 71r ორისა, წყლითა ტფილითა. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

ღუმიჯისა

5

ნიშანი გუარიშნისა ამბარბარსია, რომელ ერგების ტკივილსა ლუიძლისასა და დაყოფილთა ნესუტთა მისთა გახუამს და ერგების სტომაქსა გარყუნილსა და ლუიძლსა. შეზავებულობასა, ცვალებასა და ერგების ყოველთა ძუელთა ცხროთა და ვის გუამი გაღვეულიყოს საღმობისა სიგრილისაგან და გააჭურვებს სწორითა გაჭურვებითა ნებითა ღმრთისათა.

10

აიღო: ნანხუა და ალატრო გაწმედილი მისისა გურკისაგან, მარტულისაგან და ზანჯაბილასინი, აღარდენი მოკალუელი და ნაცარფშატისა ფქვილი, ამათგანი წონი დრამის ათ-ათისა და რევანდისინი კეკელა და ზაფრანი და სუმბული და ვარდი წითელი, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ოთხ ოთხისა და ამბარბარსი, წონი დრამისა ოცისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ჩაურთო მათ თანა შაქარი, წონი დრამისა ოცდაათისა და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო. ჰურჭელსა ჩასდგა და ოდეს გინდეს, იკმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

20

**ბასახსნელი
ადვილი და სუბუჯი**

ნიშანი გუარიშნისა გასახსნელი, საადვილოსა და სუბუჯისა შესახმელად, რომელ არს ჯაფარი და ერგების ყოველსა ქამსა შესმა მისი და გასწმედს გუამსა ყოვლისა ურვისა და კრებულობისაგან და გაიღებს კუერცხის გულსა, ჩაღველსა დამკუიდრებულსა ტანისაგან და ერგების მღიერსა და ქავილსა და თაფლისკბილასა და შეისმის საჭამადისა უწინა და უკანა კექელი არს და გამოცდილი, თუ ღმერთსა უნდეს.

25

აიღო: ნუში ტკბილი და ბასბასა და სუმბული და კილამონი და ზაფრანი, წონი დრამისა ოთხ-ოთხისა ქთირა და ვარდი წითელი, წონი დრამისა ხუთ-ხუთისა და ქურქუნჩობისა თესლისა გული, წონი დრამისა ათისა და თურბითი თეთრი კეკელა, წონი დრამისა თხუთმეტისა და ქუნჯითი გაჭურცნილი, წონი დრამისა ხუთისა და შაქარი სულემანი, წონი დრამისა ოცისა და ბასფაჰვი, წონი დრამისა ხუთისა და საკამუნია ანტაქი, წონი რვისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ საკამუნიასა გარეშე. საკამუნია

v

30

35

10. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი.

145



კიდედ დაინაყების და ეგრე შეერთვის და პერულმოკდელთა თაჲს
 5 ლითა შეზილო, ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, სესუმა, მისგანნი წონი დრამისა ორისა, ვირე ოთხ დრამადე, ძა-
 ლასა ზედა ვითაცა ვის უჭმდეს, კეკელია და გამოცდილი და საქ-
 მე მისი საკურველი და შეპქმნა ესე წამალი იოჰნა მასიოს ძემან
 ჯაფარ მუთავა ქავილისათუის და მისთვის ჰქუიან ჯაფარი საზრ-
 გებლისა, ნებითა ღმერთისათა.

ქართა სლოკინაზისათუის

ნიშანი გუარიშნისა პიტნისა ერგების ქართა შეკრებულთა
 10 სტომაქსა შიგან და ვის ცცოლა იყოს კშირი და იჭირვოდის დიდო-
 სა თუხმისაგან და ვერ დნობისაგან და ერგების, ვის გულისა შალ-
 ვა გაუმრავლდეს, ნებითა ღმერთისათა.

ა ი ლ ო: პიტნა ბოსტნისა და გააჰმო და თორინჯანი გამკმარი-
 15 ვე და ძირა ქირმენი ძმრითა დამბალი, მოკალული, ამათგანი წო-
 72v ნი დრამისა ათ-ათისა და კილამონი და კარამფული || და ბასბასა
 და ზაფრანი და ფუსტუქისა ქერქი, რომელ ხეჰეჰსა გარეგან არს,
 ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა. შეპკრიბენ ესე წამალნი, დანა-
 ყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურ-
 20 ჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარე. შესუმა, მისგანი წონი
 დრამისა ორისა, წყლითა ნელტფილითა, ანუ გაზავებულითა ღუი-
 ნითა. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

**ქარისა და არა
 ღმერთისათუის**

ნიშანი გუარიშნისა შაქრისა, რომელი ერგების ქარსა წაკიდე-
 25 ბულსა სტომაქსა შიგან და მოანებებს საჭამადსა და სუმასა ზედა
 თუ ჭამოს სარგებლისა არის და მოადნობს და დათრობად არა
 გასწყდების, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ლ ო: სუმბული და კარამფული და კილამონი და ზაფრანი
 და კაკულა დიდროვანი და ბასბასა, ამათგანი წონი დრამისა ორ-
 30 ორისა და პილპილი შავი და დარ[ა]ფილფილი, წონი დრამისა და
 ნახევრისა და ზანჯაბილისინი, წონი დრამისა ოთხისა და სუქი
 მუშკისა, წონი ნახევარ დრამისა. ესე წამალნი შეპკრიბენ, დანა-
 ყენ, დაცრენ შარითა და შაქარი კმელი თეთრი ბაღდაღურითა
 ლიტრითა ორი. თანგირაგთა ჩასდვა და ვარდის წყალი ასხა ზედა
 35 და გააღწო ცეცხლითა და ეგდომად ადუღე, რომელ შესქელდეს
 და უკმოიღო ცეცხლთაგან და მერმე ესე წამალნი ჩაუბრუნე და მოუ-

როო და სინისა ფსკერსა ზედა გაფინო და დასჭრა ვითა || გინდეს და ოდეს სინასა ზედა გაფენდე, ზეთი სცხე სინასა და დანათ, რომლითა დასჭრდეს, მასცა სცხე, რომელ არა დაედკრას და გასწყედ, რომელ გაქმეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასდვა და სინოტიესა აკრძალე და ესრეთ ჰქმენი, ვითა ნიშანი მიგუიციემია. ერგების ნე-ბითა ღმრთისათა.

5

გულისა ზღაპრისათვის

ნიშანი გუარიშნისა ამბარითა და მუშკითა. ერგების გულისა შეღებასა და შეჭირვებასა შეკრებულსა სტომაქსა შიგან და მოანებებს საჭამადსა და მოადნობს და ვის ესე საჭამადი გამოუცდია, ყოველსა უქია, თუ ღმერთსა უნდეს.

10

ა ი ღ ო: სადაჯა ინდი და კილამონი და ზანჯაბილი და ზრუნბადი და სუმბული, ტიბი და კარამფული და ზაფრანი და ჰელი, რომელ არს კაკულა წურილი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და დრონაჯი, წონი დრამისა სამისა და ამბარი კეკელა და მუშკი ესე ორ-ორისა დანგისა წონი. შეჭკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ორასისა დრამისა წონი შაქარი სულემანი². თანგირაგთა ჩასდვა და ვარდისა ზომი წყალი, რაზომი კმდეს, ზედა ასხა და გააღნო და შეასქელო³ და მერმე ესე წამალნი ჩაურთნე და შეპრიგნე და ეგრევე სინისა ფსკერსა ზედა გაჭინო, ვითა პირველ ნიშანი მიგუიციემია და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს იჭმარე, ვითა ნიშანი მიგუიციემია, ნებითა ღმრთისათა.

15

20

ბასაკნელი

გულისა ამბარისათვის

ნიშანი გუარიშნისა გასაკნელისა ბეჩისა, რომელი ერგების გულისა ძგერასა და შიშისა და შეჭირვებასა გულისასა და გააძლიერებს სტომაქსა უსუსურსა და კეკელა არს, ვინ ესე იწამლოს ზამთრის და ზაფხულის, ნებითა ღმრთისათა.

73r

25

ა ი ღ ო: ბაჰჩე გაქურცნილი ქერქისაგან ლიტრა ერთი, შემგბარი ლუინითა, რომელი დაჩულეს ბეჰჩე და მერმე ორ ლიტრა პერულმოქდილი თაფლი ჩაურთო და ადუღო, რომელ შედგეს და ესე წამალნი ჩაურთნე დანაყილნი და დაცილნი და ესე არიან წამალნი ზანჯაბილი და დარ[ავილფილი, ოთხ-ოთხისა დრამისა წონი, კილამონი, წონი ორისა დრამისა და ავთ, რომელ არს კაკულა წურილი და კაკულა დიდროვანი და ზაფრანი, ამათგანი წონი სამ სამისა დრამისა და მასტაქი, წონი დრამისა ხუთისა და საკამუნია, წონი დრამისა ათისა და თურბილი თეთრი, წონი დრამისა ოცდაათისა. დანაყენ

30

35



ესე წამალნი, დაცრენ და ამას ბაჰჩეს შიგან ჩაუროთენ თაფლითა შე-
 დგენილისა მოურ[ი]ო კე[ქ]ელად, რომელ თანა შეერიოს და ესრეთ
 შეჰქნას და ვითა გაფინო, გაჰმეს, ვითაცა ჰჩერმან დახედნეს, დაჰ-
 ფინო სინასა ზეთ ცხებულსა და დანითა დაშჰრა ყოველი ნაკუეთი,
 5 ვითა ოთხ-ოთხისა დრამისა წონა, უფრო ანუ უმცრო და მზესა
 დასდგა, ვითარად გაჰმეს და ყოველი ნაკუეთი თრუნჯისა ფურცელ-
 სა შიგან წაგრაგნო და ჭიქისა ჭურჭელსა შიგან ჩასდგა და სინო-
 ტიესა აკრძალო. შესუმა მისგან, ნაკუეთი ერთი ნელტფილითა
 წყლითა და ელოდეს, ვიდრე უჭირველად და მოუგინებლად გაჰს-
 10 ნის და ერგების, თუ ღმერთსა უნებს.

მუცლისა შეპრვისათვის

v || ნიშანი გუარიშნისა ბაჰჩესა, რომელი შეჰკრავს მუცელსა და
 ერგების სტომაქსა და შემწე არის საჩინოსა სტომაქსისა და ერგე-
 ბის, რომელთა და პურისა ნება გარდასრულიყოს და რომელსა
 15 ნიადაგ გაქსნიდეს ლაზიჯობისაგან და ერგების დედათა, რომელნი
 ყრამასა ივენებდენ დიადისა თელგმისა და ლაზიჯობისაგან და ლა-
 ზიჯობა ესრე ითარგმანების: წებოსა, ბუნებითა არს თელგმა, ვითა
 წებო ეკრვოდის, რომელი საშოსა შინა არს ესე გუარიშანი უმეტე-
 სად, ხოლო სტომაქსისა მარგებელია, ნებითა ღმრთისათა.
 20 აილო: ბაჩე გაქურცნილი ქერქისაგანცა და გულისაგანცა და
 დასჰრა და ლიტრა ერთი აილო მისგან და შეაგბო ძმრითა ცხარი-
 თა და ვითა პირველი გუარიშანი შეგებების, ვირე დაჩუღეს და ზე-
 და პერულმოჭდილ თაფლი ჩაუროთო და ადუდე, ვირემ შედგეს და
 მერმე წამალნი ჩაუროთენ, რომელ ნიშანსა მოგცემ: შავი პილპილი,
 25 დარ[ა]ფილფილი, წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და ზანჯაბილისინი,
 წონი დრამისა ხუთისა და ნიახურისა თესლი და ნანხუა, ამათგანი
 წონი დრამისა ორ-ორისა და მასტაქი! და კაკულა და კარამფული,
 ამათგანი წონი დრამისა თუითოსა და ზაფრანი, წონი დრამისა
 ორისა. დანაყენ ესე წამალნი, დასცრა და მას ბაჩესა შიგან ჩასდგა
 30 და თაფლისა შედგომილსა და კე[ქ]ელად მოურითო და სინისა ფსკერსა
 74r ზედა გაფინო. წინა პირველთა ნიშანი მიგუიციემია: დასჰრა ||
 და გასწყდე, ვირემდის გაჰმეს და თრუნჯისა ფურცელსა შიგან
 წაგრაგნო და ეგრე ჩასდგა ჭურჭელსა და ოდეს გინდეს, იჰმარო;
 ამას ყოველსა რომე ნიშანი მიგუიციემია, ნებითა ღმრთისათა.

სტომაქის უსუსრობისათვის

35 ნიშანი გუარიშნისა სადაჯისა, რომელი ერგების მოუსუსურე-
 ბულისა სტომაქსა და რომელი ვერა იდნობდეს და სარგებელისა,
 თუ იქმოდის ყოველთა დღეთა სტომაქსისა გაძლიერებისათვის, თუ
 ღმერთსა უნდეს.



ა ი ლ: ბაჩე გაწმედლი გულისაგან. ლიტრა ოთხი, ბაღდადუ-
 რითა და ძუელითა ლუინითა შეაგბო, რომელ ვითა ცომი შეიქნას.
 ესთენი აგბო და პერულმოჭდილი თაფლი ჩაურთო მისივე ზომა და
 აგბო კულა, ვირე შეგბეს და მერმე ჩაურთნე ესე წამალნი. პილპი-
 ლი შავი და დარაფილფილი და ავთ, რომელ არს კაკულა წური-
 ლი, ამათგანი წონი დრამისა რვა-რვისა და ზანჯაბილი, წონი დრა-
 მისა თორმეტისა და კაკულა დიდროვანი და კარამფული წონი,
 დრამისა ოთხ-ოთხისა კირფი და ზაფრანი, წონი დრამისა ორ-ორი-
 სსა და მასტაქი, წონი დრამისა ერთისა და მუშკი, წონი ნახევარი
 დრამისა. დანაყენ ესე წამალნი ყოველნი და მერმე შეპრიო თაფ-
 ლითა და ბაჩესა შედგომილსა დიდად მოურიო, რომელ შეერთენ
 და ტაბლასა ზედა გაჰვინო, ანუ სინასა, ვითა ნიშანი მიგუიცივია
 და დასტრა და თრუნჯისა! ფურცელსა წაგრაგნო და ქურჭელსა
 ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარო, კეკელია და ერგოს, თუ ღმერ-
 თსა უნდეს. ||

5
10
v
15

**ფაროვნებისათვის და
ფსალისა ფთოხისათვის**

ნიშანი გუარიშნისა, რომელი კაცსა გა[ა]ფეროვნებს და ზურ-
 გის წყალსა უმატებს და ერგების თირკმელთა სიუსუსურის და
 სუკთა და ვის შალვა იყოს და ხრწეულიყოს და ვის ფსელი უწო-
 დეს ნიფხავთა შიგან და ვის მამაცი სჭირდეს და ერგების, ვის
 ძილსა შინა ლობრი სდიოდეს, თუ ღმერთსა უნდეს.

20

ა ი ლ: ზანჯაბილისინი და აშკაული, რომელ არს სუინტ[რ]ისა
 ძირი და ბოზიდანი და ხუბისა თესლი წითელი და თეთრი. ესე
 ხუბა! გარეულსა სტაფილოსა ჰქუიან და მისი თესლია, ამათგანი
 წონი დრამისა ათ-ათისა და ჯინჯურისა თესლი და შიტრაჯა ინდი
 და ნანხუა და ბასბასა, ამათგან წონი დრამისა ხუთ-ხუთისა და
 ქუნჯითი გაქურცნილი და ნაყუდა რჩეული, გაქურცნილი და ქურ-
 ქუნჩოფისა თესლისა გული, ამათგანი ღონი დრამისა ოც-ოცისა და
 აბალ კილკილი, წონი დრამისა სამისა, კილამონი და ზაფრანი,
 წონი დრამისა ორისა. შეპკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ
 და პერულმოჭდილითა თაფლითა შეპზილნე და ქურჭელსა ჩასდვა
 და ოდეს გიკმდეს, იკმარო. შესუმა მისგან თხილის ზომი ნიგუზისა
 ზომამდე, ვითაც ვის უკმდეს და საჭამადნი სუბუქნი და წურილნი
 სტაამნე და არა დაითრო. ესე წამალი ესრე ჰქმნა, ვითა ნიშანი
 მიგუიცივია, კეკელია და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნებს.

25
30
35

სიზრილისა და სიმინისათვის

ნიშანი გუარიშნისა ქუშტისა, რომელი ერგების სიგრილესა
 გულისასა და ლუიძლისასა და სიმსივნესა და ბერვასა, რომელი



ტანსა ში || გან შეიქმნების და სიმსიენესა ფაწალისასა და მუცლი-
სასა, კეკელა და გამოცდილია, თუ ღმერთსა უნდეს.

- ა ი ღ ო : კილამონი და სალიხა, წონი ღრამისა ორისა და ქუშ-
ტიბარი, წონი სამისა ღრამისა, ოთხისა ანისონი და ნიახურისა
5 თესლი, წონი ღრამისა შვიდ-შვიდისა და ქამუნი, ქირმენ ქონდარი,
ქონდარი ფერისი, წონი ღრამისა ათ-ათისა ზანჯაბილისინი და კი-
ლამონი და ხოლიჯანი და აბალფაკდი, წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა,
ასარონი და ფუკალადხირი, წონი ღრამისა ექუს-ექუსისა და იშნა,
წონი ღრამისა სამისა, მური და ზაფრანი და რევანდისინი, ამათ-
10 გან წონი ღრამისა სამ-სამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ,
დაცრენ და ნუსისა მწარისა ზეთითა შესუარო და პერულმოკდი-
ლითა თაფლითა შეზილო და ჰურჭელსა ჩასდვა. შესუმა მისგანი,
წონი ღრამისა ორისა ნიახურისა წყლითა ანუ უძურისა წყლითა,
სარგებლისა არს და კეკელა. ამის ყოვლისათუის, რომე ნიშანი
15 მიგუიციემა, გამოცდილია ნებითა ღმრთისათა.

სტომეჰისა სიუსურისათუის

ნიშანი გუარიშნისა სუდისა ერგების ტკივილსა და უსუსურო-
ბასა სტომეჰისასა და ერგების, რომელსა თუნმა გაუმრავლდეს და
ფერსა დაუშუენებს და საჭამადსა მონებებს, თუ ღმერთსა უნებს.

- ა ი ღ ო : სუდი გაქურცილი, წონი ღრამისა ორმოცისა, კილამო-
ნი და ზანჯაბილისინი და პილპილი შავი და პილპილი თეთრი და
20 დარჯაჟილფილი, ამათგან წონი ღრამისა ექუს-ექუსისა, პიტნა
წყლისა და სუმბული, ამათგანი წონი ღრამისა სამ-სამისა, ტეგანი
v კმელი და || ჯინჭრისა თესლი და ხოლინჯანი, ამათგანი წონი ოთხ-
25 ოთხისა ღრამისა, შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და
პერულმოკდილითა თაფლითა შეზილნე და ჰურჭელსა ჩასდვა და
როდეს გინდეს, იკმარო. შესუმა მისგან, წონი ღრამისა სამისა,
სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

სტომეჰისა ტივილისა და პირისა სიყრალისათუის

- ნიშანი გუარიშნისა ტიბისა ერგების ტკივილსა სტომეჰისასა
ნოტიისა და პირისა სიყრალესა და ვის საჭამადი დაუშეკვადებოდეს
სტომეჰისა შინა, დაქსნის ქართა და ყოველსავე ყამსა ერგების ამისი
სუმა და მოადნობს საჭამადსა, თუ ღმერთსა უნებს.

- ა ი ღ ო : სუმბული ტიბი და კარამფული და კილამონი და ზან-
35 ჯაბილი და ჯოვზა ბოვა, ამათგან წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა, მას-
ტაქი და სალიხა და ზაფრანი და ბასბასა, ამათგანი წონი ორ-ორი-



სა და ნახევრისა და მუშკი ტარმაშირი იშნა და სადაჯი ჰინდქრინეშლი
 ამათგანი წონი დრამისა ორისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ
 და ნახევარ დრამისა წონითა ბალანსისა ზეთითა შესუარო და პე-
 რულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და
 ოდეს გინდეს, იკმარე შესუმა მისგან, წონი დრამისა ორისა. სარ-
 გებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

5

ჰართა და მუცლისა ვურილინა

ნიშანი გუარიშნისა ქარვისა ერგების, ვის ქარნი ჭყუირილნი
 გაუმრავლდენ მუცელსა შინა და ვის საჭამადი არა მოსდნებოდეს
 და ვის ბავასირისა ქარი სჭირდეს და მონანებებს საჭამადსა და გა-
 [აქლიერებს სტომაქსა უსუსურსა და გა[აქებებს ქარსა მისგან, თუ
 ღმერთსა უნდეს. ||

10

76r

ა ი ღ ო: ქარვა დარჩეული, წონი დრამისა ოცისა და ქარვა ვე-
 ლური, ზანჯაბილი და კილამონი, წონი დრამისა ხუთ-ხუთისა
 პილპილი შავი და დარ[აქვილფილი და ქონდარი სპარსული, ამათ-
 განი წონი დრამისა ექუს-ექუსისა და ტეგნა კმელი, წონი დრამი-
 სა სამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულ-
 მოკდილითა თაფლითა შეზილო და კუერად დაჰქნა და ჭურჭელსა
 ჩასდვა. შესმა მისგანი, წონი დრამისა სამისა წყლითა ნელტფილი-
 თა ანუ ლუინითა გაზავებულითა. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

15

20

**თირკმელთა და მამაცობისა
 პარდაწყუაბისათვის**

ნიშანი გუარიშნისა სიკანკურისა ერგების თირკმელთა მოუ-
 სუსურებულთა და გაგრილებულსა ბუმტ[თ]ა დავის მამაცობა გარ-
 დაწყუედლიფოს და დიაცსა თანა მისულა არ მოუნებებოდეს და
 ესე გუარიშანი პირველსავე მამაცობასა ზედა დაადგენს და წამალი
 არის საჩინო, კეკელია, თუ ღმერთსა უნდეს.

25

ა ი ღ ო: აშკაკული და ზანჯაბილი და აკარკარა და მელის ყუე-
 რი და ლისენ ალასფირი და ქარვა ველური და ბოზიდანი, ამათ-
 განი წონი დრამისა რვა-რვისა, სურნელი და კარანფული და ზაფ-
 რანი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და სტაფილოვნისა თეს-
 ლი და ნაყუი დარჩეული, გაქურცნილი და ხახუის თესლი და რატ-
 ბასა თესლი, რომელ არს ალავერტი და თალგმისა თესლი და ბო-
 ლოკისა თესლი და ჯინჭრისა თესლი და სტაფილოვნისა თესლი
 და თეთრი მური და მურტისა თესლი ქთირა, ამათგანი წონი
 დრამისა ხუთ-ხუთისა და ვაჯი, დრამისა სამისა წონი და სიკანკუ-
 რისა სუკისა კორცი || და ცმელი და კუდისა ნაკუეთი, ამათგანი წო-

30

35



- v ნი დრამისა ოცდაათისა, ბერისა მამლისა ყუერები და ტუინისა ტუინი, სახლისა სირისა. დანაყენ ესე წამალნი, და ცოცხნი და მერმე იგი მამალთა ყუერები და სირთა ტუინები ავანთა დანაყოველად და სხუათა წამალთა ჩაურთო და წამალთა, წონისა ორი
- 5 ნაწილი პერულმოკდილი, თაფლი შეპრით შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და როდეს გინდეს, იკმარო. შესემა მისგანი, წონი დრამისა ორისა და საქამადისა უწინა და უკანის და საქამადი კუერცხისა გული იხარკო და ღუინო ზომად სუა და წყალი არა სუა და უპესა და წყვილთა დაწოლისა ეამსა იასმიგი ზეთითა იცხე, მუშკითა
- 10 შესუარული და მრავალთა უშვილოთა შვილსა მისცემს, შეწეწეწითა ღმრთისათა წამალი არს. გამოცდილი არს და საჩინო და ერგების მას ყოველსა, რომე ნიშანი მიგუიციებია, ნებითა ღმრთისათა.

**ვის მრავალჯერ დიაცსა
თანა დაწოლა უნდოდეს**

ნიშანი გუარინისა თესლთა ვის მრავალჯერ დიაცსა თანა დაწოლა უნდოდეს, რომელი ერგების და ერგების დედათა, რომელნი არა შობენ, ერგების რგებითა საჩინოთა, თუ ღმერთსა უნდეს.

აილო: სტაფილოვნისა თესლი და ხახუსისა თესლი და პინდაკოკისა თესლი და ნაჟი გაჭურცილი, დარჩეული ჯარჯირისა თესლი და ალავერტისა თესლი და თალგმისა თესლი და ბოლოკისა თესლი და ჭინჭრისა თესლი, თავუსი ხახუი შემწუარი და ჯოვზა

2077r სარო ქითრ და აკარკარა, ამის ყოვლისაგან სწორი || წონი აილო და ათ-ათისა დრახენისა წონისა წამალსა ათისა სირისა ტუინი ჩაურთო თანა დანაყილი და დაცილი უკანას და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა ჩასდვა. შესემა მისგანი, ნიგუზისა ზომა ღუინითა ანუ რუბითა საქამადსა უწინას ანუ უკანას.

25 ერგების, თუ ღმერთსა უნდეს. დასრულდა თქუმა გუარქიმანთა სრულებით და უკლებად სახელ[ი]თა ღმრთისათა, ყოველი გამოცდილი არის და სარგებლისა, რომელი გამოუნახავს და დაურჩევი ფილასოფოზთა მრავალთა საკურნებელთაგან წიგნთა და ყოველი ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

[კარი იარაჯთა და ბასახსნელთა წამალთა]

30 დავიწყოთ შეწეწეწითა ღმრთისათა კსენებად წამალთა ვასაქსნელთა და იარაჯთა² განწმენდელთა ყოველთა ურვათაგან, რომელნი შეიქმნებიან გუამთა შიგან კაცთასა საქამადთა და სასუამადთა ურვილთა დაკრებულობისაგან და ვიწყოთ გამოკრებულად წიგნი ესე ჩუქენი და მიწყებით შეუენიერად და სრულად ყოვლითა საქმითა, თუ ღმერთსა უნებს.



ნიშანი თიადორიტოსისა, დიდისა, რომელი ერგების ყოველთა სენთა და კრებულთა ურვათა და გაჰკახმავს შეზავებულობასა ურვილსა და გრილსა და ერგების დედათა, რომელნი არა უძღვებ იქმნებიან და ყოველსა ავსებულობასა გუამისასა და რომელი მოვიწყედ გაკდეს და ვის თუალთა კამბი მიედვას და შეიწრებასა გული-სასა და ტკივილსა ლუიძლისასა და || სტომაქისა და ფწალ[ი]სასა და დააშუენებს ფერსა და ტკივილსა კოლინჯისასა და თირკმელთასა და გასწმედს საშოსა დედათასა და გაცნის სტომაქსა შენელებით და განსწმედს უჭირველად. შესმა, წონი ოთხისა დრამისა აფთიმონისა ტაბიხითა, ანუ წყლითა ტფილითა. კექელია, თუ ღმერთსა უნდეს.

5
v
10

ა ი ღო: საბრის კუტრი, წონი ოცდაათისა დრამისა და ღარიკონი თეთრი, წონი ოცისა დრამისა და ზაფრანი და კილამონი და მასტაქი ბერძული და უდალ ბალასანი და აბალ ბალასანი და დუანალ ბალასანი, ამის ყოველისაგანი წონი სამ-სამისა დრამისა და რევანდისინი, წონი დრამისა და ნახევრისა და აფარბიონი და პილპილი შავი და პილპილი თეთრი და დარ[ა]ფილფილ[ი] და ჯანტიანე და ფუკიალდნ[ა]რი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ქუშტიბარი და ქამადრეოსი და აფთიმონი, ამათგანი წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და ასარონი და სალიხა, ამათგან წონი ექუს-ექუსისა დრამისა და სუმბულიტიბი, წონი დრამისა და ნახევრისა და მოი და ფოა და ქამამა, ამათგანი წონი თუითო დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ შარითა და პერულ ჰოკდილითა თაფლითა შეზილო და ქურჭელსა ჩასდვა და იკმარო შემდგომად ექუსისა თუისა. კექელია და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

15
20
25

ნიშანი თოდორიტონისა, რომელ არს ჯოვზა ბოვასა, ერგების ყოველთა ტანთა მოუსუსურებულთა თავისა ტკივილისაგან და ერგების ლაკუასა რგებითა საჩინოთა ღხინებით და ტკივილსა თავისა ნახევრისასა. შესუმა, წონი ოთხისა დრამისა აფთიმონისა ტაბიხითა, თუ ღმერთსა უნდეს. ||

30
78r

ა ი ღო: ზაფრანი და სადაჯა ინდი და სუმბული ტიბი და სალიხა და ღარიკონი და აღხრისა ძირი და რევანდისინი და მოა და ფოა და პილპილი შავი და პილპილი თეთრი და პილპილი გრძელი და აფთიმონი და აკარონი, რომელი არს ვაჯი და სარჯიფალის, რომელ არს შიტრაჯი აინდი ხალისი და მასტაქი ბერძული და იერსე და სკორდიონი, რომელ არს ველური ნიორი და უდალ ბალასანი და აბალ ბალასანი და დუანალ ბალასანი და ჯავზა ბოვა, ამის ყოველისაგანი წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და კარამფული, წონი სამისა დრამისა და ნახევრისა და საბრის კუტრი თოთხმეტისა დრამისა, საკამუნია ანტაქი, წონი სამისა დრა-

35
40



მისა და ნახევრისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, და ცრენ და
 დუანალ ბალსანითა შესუარენ და პერულმოკდილირთა და ფლელირთა
 შეზილნე, ჭურჭელსა ჩასდვა და როდეს გინდეს, იცმარე. სარგებ-
 ლისა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

5 გონჯისა და კეთრისათვის

ნიშანი თოდორიტონისა, რომელ არს იარაჯ ლოდოღია დიდი,
 რომელი განსწმედს შინაგანსა გუამისასა ყოველთა და კრებულთა
 ბათა ურვათაგან, რომელთაგან შეიქმნებიან საღმობანი და განრ-
 ყუნთან ტანსა, ვითა სიგონჯე და კეთროვანება და სენი პილოისა
 10 და მღიერი, ნებითა ღვთისათა. და სრსული და ბააკი და ქავილი
 და ყოვლი საღმობა შედებული გარეგნით ტანსა და სენსა გული-
 სასა და ცმელისასა და განცოფებასა და ვასვასსა წარევასა და
 გასულასა ცნობისაგან და აფოლ მოისსა და მანახოლისა, რომელ
 არს დაცემა ყოველსა მთოვარესა ახალსა და რომელნი გაცოფდებ-
 15 ბიან და ერგების ტკივილსა თირკმელთასა და ბუშტისასა და ერ-
 კან || ისასა და ერგების ტკივილსა შენადგამთასა ნიკრისისასა და
 რომელნი შეხაშებულ არიან და დავრდომილ სიფიცხითა საღმო-
 ბისათა და სიყრუვესა და ტროშასა და ყოველსა ტკივილსა ყურ-
 20 თასა და სიმძიმესა ენისასა და მოვიწყებასა და დედათა, რომელ-
 თა გარდასწყუეტოდის დღეთა ნახვა წესსავე ზედა, დაადვენ მჯდო-
 მთა და ნიშანთა ურვილთა, რომელნი გამოაჩნდებიან პირსა და
 ტანსა და სრსუითბალაკსა (!) შავსა და თეთრსა და ყოველსა სალ-
 მობათა შედებულსა შავისა ნავლელისა და თელგმისაგან, ნებითა
 ღმერთისათა.

25 ა ი ლ ო: შალმალ ანდალი მსუქანი, წონი ხუთისა დრამისა და
 თავუის ხახუი შემწუარი და ღარ[ი] კონი თეთრი და სუბუჭი და
 საკამუნია და ჯარისძირა შავი და ამონიკონი და ნიორი ველური,
 ამის ყოვლისაგანი ორ-ორისა დრამისა და ნახევრისა და აფთიმო-
 ნი აკრიტი და ქამადრეოსი და მუკი აზრაკი და საბრის კუტრი,
 30 ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა და თიმონი, რომელ არს ფარი-
 კონი და სადაჯა ინდი და აფრასიონი და ფალიონი და სალინა და
 პილპილი შავი და პილპილი თეთრი და დარქაფელიფილი და ზაფ-
 რანი და ს[ა]ქბინ[ა]ქი და კოსტორიონი და მური და ქალბანი და
 ჯავაშირი და ფატრასალიონი და ზარევიანი გრძელი და აფსინ-
 35 დისა გამოწურვილი და აფარბიონი და სუმბული ტიბი და ამ[ა]ქმა
 და ზანჯაბილისინი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ჯან-
 ტიანე ბერძული და ასტოვანუდოსი, ამათგანი წონი თითო დრა-



მისა და ნახევრისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ შარითა და პერულმოჭდილითა თაფლითა შეზილო და ჰიქისა ჰურჰელსა ჩასდვა. || და შემდგომად ექუსისა თუისა იკმარო შესმა, სრული წონი ოთხისა დრამისა, ვირე ექუს დრამამდე აფთიმონი სატაბიხითა ანუ წყლითა ტფილითა, კეკელა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

79r
5

წამალი ფელიჯისა

ნიშანი იარაჯისა გალიანოზისი დიდისა, ერგების ფელიჯსა და ლაკუსა და ვინ შეხაშმებულიყო და ასონი გამკმარ ესხნენ და შენადგამნი და ვერ შეიძროდეს და ვის ჰელი და ფერჰნი მოფოლხუებოდინ და თრევით შეითრევნეს და ზე ვერა გაემართებოდეს და ვისდა მარჯუნა კერძი მიღებულიყო, ანუ მარცხენა და მაჯასა არა უკრთოდეს და ვის ფსელი გამოვიდოდეს უნებლად ერგების მას და ყოველსა რგებითა საჩინოთა, ნებითა ღმრთისათა.

10

აილო: შამალანდალი და ღარიკონი და თავუის ხახუი შემწუარი და ვაშაკი და საკამუნია და ჯარის ძირი შავი, რომელ არს ფარიკონი და აფარბიონი, ამათგანი წონი დრამისა თექუსმეტ-თექუსმეტისა და ჯავაშირი და აფთიმონი და აკლიტი და მუკლიჩეაული და ქამანდრეოსი და აფრასიონი და სალიხა, ამათგანი ცხრაცხრისა დრამისა და ზარევეანდი გრძელი და მური და საქბინაჯი და პილბილი შავი და დარაქაფილფილი და პილბილი თეთრი და კილაშონი და ქალბანა და კასტორიონი და ფატრასალიონი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და საბრის კუტრი და ზაფრანა, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი ყოველნი, დანაყენ, დასცრენ და პერულმოჭდილითა თაფლითა შეზილენ და ჰიქისა ჰურჰელსა ჩასდვა. შესუმა, სრული წონი || ოთხისა დრამისა წყლითა ტფილითა, ანუ აფთიმონისა ნაგებობითა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

15

20

25


v

მჯდომისა კმისა და მჯდომისა და ხივილისა

ნიშანი იარაჯი არქადანისისა, ერგების ყოველთა ტკივილთა ძუელთა და მკრდოვანსა და ხივილსა და რომელსა თავსა ბრუ ესხმოდეს და წყლისა ჩამოსულასა თავისაგან თუალთა, და ყოველთა ტკივილთა შექმნილთა შავის ნავლელისაგან და კმისა დასულასა და ვის ყიასა მჯდომნი გამოასხდენ მარჩობელნი და ტკივილსა ძაქრლუთასა და ტკივილსა თირკმელთასა და კოლინჯსა და ტკივილსა შენადგამთასა და წყლითა მაკობასა და ყოველთა მჯდომ-

30

35



თა საჩინოთა ტანსა შინა, რომელნი შეიქმნებიან ურვეილისა და კრებულობისაგან] და მკავანსა და სრულისა, რომელე გამოაჩნდების ტანსა და ნაკბენსა ძაღლისა ცოფიანისას. ოდეს შესსუა ამის წამლისაგანი, ვის ეშინოდეს წყლისაგან]. წყლისა კოისა წყლითა, 5 ანუ ძაღლისა ყურძენასა წყლითა და ტკივილსა საშოსასა ტევანისა წყლითა შემგებრითა და ყოველთა ტკივილთათუის, ნიახურისა წყლითა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: შამპალანდალი ერთი ნაწილი და აფრასალიონი და ასტოხოდოსი და კარისძირა შავი და დარ[ა]ფილფილი, ამათგან 10 თუითო ოთხ-ოთხი ნაწილი და თავუის ხახუი შემწუარი და აფარბიონი და საბრის კუტრი და ჯ[ან]ტიანე ბერძელი ფატრასალიონი და ვაშკი და ქალბანა, ამათგან თუითო ნაწილი და კილამონი და ფოლიონი და საქბინაჯი და მური და სუმბული და ადნრისა 80r ძირი და მისა ტენცო || და ზ[ა]რევეანდი გრძელი, ამათგანი წონი 15 ორ-ორისა ნაწილი დანაყენ, წამალნი დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილნენ და ოდეს გინდეს, იკმარე, ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი იარაჯისა მწარისა!, რომელ არს საცნაური იარაჯი ფეკრა. ერგების ყოველსა დაყოფილობასა თავისა ნესუტთასა და 20 სინოტიეთა შეკრებულთა სტომაქსა შინა და ყოველითა ტკივილითა შემთხუეულთა მას შინა და ტკივილსა კოლინჯისასა და რწყევასა შემთხუეულსა მისგან და ტკივილსა შენადგამთასა და სიმძიმესა ენისასა და ლაკუასა და დაყოფილობასა წაკიდებულსა ყურსა შიგან ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: მასტაქი ბერძელი და ზაფრანი და სუმბული ტიბი და აბალბალასანი და უდალბალასანი და ასარონი და სალიხა და კილამონი, ამის ყოველისაგანი თუითო ნაწილი და საბრის კუტრი გარცხილი თორმეტი ნაწილი. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ შარიითა. შესუმა წონი ორისა დრამისა თაფლითა და წყლითა ტფილითა და ზოგნი დიდრონად მარცულად შეიქმან და ეგრე შესუმენ, კეკელ[ი], თუ ღმერთსა უნდეს. 30

ნიშანი იარაჯისა, რომელ არს კათარტიკონი. ერგების სიბნელესა, რომელ იყოს თუალთა შიგან და ყოველთა გუართა ტკივილთა თავისათა და ყოველთა ტკივილთა სტომაქისათა და დაყოფილობასა 35 ლუიძლისასა და ფაწალისასა, სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: შამპალანდალი, წონი ათისა დრამისა და ქამანდრეოსი და სალიხა და პილპილა თეთრი და დარ[ა]ფილფილი || და პილპილი 40 v შავი, ამათგანი წონი ორისა დრამისა და საბრის კუტრი და ვაშაკი და გუნდრუკი და ზაფრანი და საკამუნია, ამათგანი წონი ექუსისა დრამისა და აფსინდისა გამოწურვილი, წონი ორისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლი-



თა შეზილნე. შესუმა, წონი ოთხისა დრამისა წყლითა ტფილითა,
სარგებლისა არის, ნებიითა ღმრთისათა.

თელგამისა და თავუის კვირსათუის

ნიშანი იარაჯისა, ერგების თელგამიანთა და სინოტიისა უფალ-
თა და ვის გამოაჩნდეს თავუის კბილი და საკუთრად ერგების 5
გონჯთა, როდეს გააგრძელონ ამისი სუმა. ყოველსა ორსა დღესა
შიგან შესუმდეს, სარგებლის, ნებიითა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: შამალანდალი, წონი ათისა დრამისა და საკამუნია და
კარისძირა შავი და კარისძირა თეთრი და ღარიკონი და ხალილა- 10
გი და თურბითი და აფილონი, ამთვანი წონი ორ-ორისა დრამი-
სა. დანაყენ, დაცრენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო.
შესუმა, წონი სამისა დრამისა წყლითა ტფილითა, კეკელქია, ნე-
ბითა ღმრთისათა.

წამალი გასაცხნელი კუარცხისა გულისა

ნიშანი გასაცხნელი წამლისა ერგების ავსებულობასა ტანისა- 15
სა შიგან, კუერცხისა გულისა ნავდლისა და თელგამისა გზითა, თუ
ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: საკამუნია და მასტაქი და საბრის კუტრი და შამალან-
დალი და აფზინდი. დანაყო თუითო ნაწილი და პერულმოკდილითა
თაფლითა შეზილო და შესუა, ვითა ნიშანი მიგუიციემია. შესუმა, 20
წონი ორისა დრამისა წყლითა ტფილითა და ყოველისა კაცისათუის
თავის თავსა ძალასა ზედა, ნებიითა ღმრთისათა.

გასაცხნელი ვითათუის

|| ნიშანი გასაცხნელი წამლისა, გახუმს ჭიათა მუცლისაგან და 81r
განსწმედს ტანსა, ნებიითა ღმრთისათა. 25

ა ი ღ ო: ელევენი სომხური, წონი ხუთისა დრამისა და თურ-
ბითი თეთრი, წონი ორისა დრამისა და თურმისი, წონი ერთისა
დრამისა და კილამონი ლინდი, წონი ორისა დრამისა და საკამუნ-
ნია მითკალი ერთი. დანაყენ წამალნი, დაცრენ კიდე-კიდე და 30
მერმე შეპრივენ ერთად, შესმა სრული მამათათუის წონი ორისა
დრამისა და ნახევრისა წყლითა ტფილითა და ყრმათა წურილითა,
რომელთა ფერი გაჰყუთლებოდეს და მუცელი გასდიდებოდეს და
სტომაქი გარყუნოდეს და დიად ჰამდენ, შეასუ ამის წამლისაგანი
წონი ორისა დრამისა წყლითა ტფილითა და თაფლითა, კეკელქია 35
და სარგებლისა, ნებიითა ღმრთისათა.



ნიშანი გასაკნელისა წამლისა ადგილისა და სუბუქისა, გაიღებ[ს] ჰიასა მუცლისაგან, თუ ღმერთსა უნდეს.

5 აილო: ტკბალი ბროწეულისა ქერქი, ოცდაათისა დრამისა წონი და ელევენი წონი ათისა დრამისა. ჩაადგა ორივე ქოთანსა შინა და ვითა ორი ლიტრა წყალი ჩაქსხა, ზედა დაადულო, ვირემ უფროსი წავიდეს და დარჩეს მისგანი, ვითა ორმოცდაათისა დრამისა წონი და ნელტფილი შესუას და ელოდეს, ვირე რაცა რა მუცელისა შიგან ჰია იყოს, ყოველი დაყაროს, კეკელია, ნებითა ღმრთისათა.

წამალი გასაკნელი ურვილისა და ზურგისა

15 ნიშანი გასაკნელისა წამლისა გასწმედს კაცსა ყოვლისა დაკრებულობისაგან ურვილობისა და დამწურობილობისაგან, კუერცხისა გულისა ნავლლისა და თელგმისაგან და ერგების ტკივილსა ზურგლისასა და შენადგამთასა და ტკივილსა მუცლთასა და ესე წამალი სუბუქია შესასმელად, ნებითა ღმრთისათა.

20 აილო: კირტიმი აინდი დანაყილი, დაცრილი, წონი ათისა დრამისა და თურბითი თეთრი, დანაყილი და დაცრილი შარითა, წონი ხუთისა დრამისა და აფთიმონი და ქითრა და ვარდი წითელი და ნიშასტაკი დიკისა და ნიხურისა თესლი, ამის ყოვლისაგან წონი თუითოსა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი და დასცრენ და აილო საკამუნი ანტაქი, წონი დრამისა და ნახევრისა, დანაყილი და დაცრილი. მერმე შეჰრივნე ესე წამალ[ი] ყოველნი ჰაქვანთა შიგან კეკელად, გაურივნე ერთმანერთსა და ჰურჰელსა ჩასდვა.

25 შესუმა, წონი[ი] ორისა დრამისა შაქრისა წყლითა და ელოდეს, ვირე გაწმდეს. ესე წამალი გამოცდილია და უმიზეზო, ნებითა ღმრთისათა.

30 ნიშანი წამლისა, შეისმის წყლითა გრ[ი]ლითა და რაოდენცა სუას წყალი გრილი, გაცნის უფრო და ოდეს სუას წყალი ტფილი, გარდასწყუდს კსნილობასა და ესე ერგების სინოტიისა უფალთა და ვინ შავისა ნავლელისა უფალი იყოს და თელგმისა და ესე წამალი ადვილია შესასმელად და გამოცდილი და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

35 აილო: თურბითი თეთრი, წონი დრამისა და მარლი ნავთისა, წონი დრამისა და ნახევრისა და საკამუნია, წონი ორისა დრამისა შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყილნი და დაცრილნი შარითა და ჰურჰელსა ჩასდვა. შესმა, მისგანი წონი მითკლისა, ვირე ორისა



|| დრამისა წონამდე და რა მოეწყურებოდეს, სუემდეს წყალსა გრილსა და თბილისა და ოდეს სუას წყალი თბილი, გარდასწყუედს კსნილობასა, თუ ღმერთსა უნდეს.

**წამალი გასაჯნელნი
ბანის გაწმენისა და გაფაროვნებისა**

ნიშანი წამლისა გასაჯნელისა, რომელი არს ქუნჯითისა. ესე 5
 გასწმედს ტანსა გაწმედითა კეკელათა ყოვლისა ურვილისა და კუე-
 რცხის გულობისაგან და ერგების კუერცხის გულისა დამწურისა
 უფალსა და დასწმედს ფერსა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ლ ო: ქუნჯითი გაქურცნილი, წონი შვიდისა დრამისა და 10
 შაქარი სულემანი, წონი რვისა დრამისა, თურბითი თეთრი დანაყი-
 ლი და დარცხილი, წონი რვისა დრამისა და მასტაქი ბერძული,
 წონი ორისა დრამისა და ნიახურისა თესლი და ქთირა, ამათგანი
 წონი ორ-ორისა დრამისა და საკამუნი ანტაქი, წონი ორისა დრა-
 მისა. დანაყენ წამალნი, დაცრნე და ჭურჭელსა ჩასდვა, შესმა, მით- 15
 კლისა წონი და ძლიერსა გუამთა წონი ორისა დრამისა შაქრისა
 წყლითა, და ელოდის მას ზედა, ვირე ცხრა უამამდე, კეკელ[ი]ა და
 სარგებლისა ყოვლისათუის, რომელი გუიქსენებია ნებითა ღმრთი-
 სათა.

გასაჯნელი გუამისათუის

ნიშანი გასაჯნელისა წამლისა, რომელი არს წამალი გალიანო- 20
 ზისა. ესე ერგების ტანსა საესესა თელგმისაგან და ყოვლისა სინო-
 ტისა და დამპლისაგან, შეწვევითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: მასტაქი ბერძული და საბრისკუტრი და თურბითი
 და სუმბული და აფსინდი და აფთიმონი აკარტი და აბალბალა-
 სანი და ნიახურისა თესლი და უდალბალასანი და ანისონი და კა-
 მას თე || სლი და საკამუნია ანტაქი, ამის ყოვლისაგანი სწორი წო- V
 ნი. შეკრიბენ ესე ყოველნი, დანაყენ, დაცრნე და ჭურჭელსა ჩას- 25
 დვა. შესმა, სრული წონი ორისა დრამისა წყლითა ტფილითა და
 ელოდეს მას ზედა, ვიდრე ზარმლამდეს, კეკელ[ი]ა, თუ ღმერთსა
 უნდეს.

ნიშანი გასაჯნელისა წამლისა, გაიღებს, რომელსა ჰრქუიან 30
 აბლკარდა ჭიასა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ლ ო: აბრინჯი თურბითი თეთრი და შრახსი და კამბილი
 და აბანილი, ამათგანი სწორი ნაწილი დანაყენ, დაცრნე. შესუმა,
 წონისა სამისა დრამისა ყურძნისა რუბითა და წყლითა ტფილითა,
 კეკელ[ი]ა და სარგებელისა, ნებითა ღმრთისათა. 35



წამალი შავისა ნავლეისა

ნიშანი წამლისა: შეისმის წყლითა ტფილითა, გაიღებს შავსა ნავლესა და კუერცხის გულსა, თუ ღმერთსა უნდეს.

5 ა ი ლ ო: მარლი აინდი და საბრის კუტრი და თურბითი თეთრი და ღარიკონი და ნიახურისა თესლი, მასტაქი და სუმბული ტიბი, ამათგან წონი თუითო დრამისა დანაყილი და დაცრილი და საკამუნია ანტაქი, წონი ნახევარ დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი ყოველნი შემდგომად დანაყისა, დაცრისა და ჭურჭელსა ჩასდვა. შესმა, მითკლისაგან წყლითა ტფილითა და ელოდეს მას ზედა, 10 ვირემე ზარმელისა ექამადე, კექელია, თუ ღმერთსა უნდეს.

**გასაცხნელი წამალი
ჯმელისა პურისა**

15 **ნიშანი პურისა კმელისა გასაცხნელი.** ერგების, ვინ წამალსა ვერა სუმიდეს და არს ესე ამო და სარგებლისა, ვის გუამი ავსებოდეს კუერცხისა გულისა ნავლისაგან და თელგმისაგან || და 83r ესე შზად დაიდების მეფეთა საჭურჭლესა შიგან დღისა ჭირისათუის, თუ ღმერთსა უნდეს.

20 ა ი ლ ო: კამისა თესლი და ნიახურისა თესლი და ძირა, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და საკამუნი ანტაქი, წონი შუიღისა დრამისა, დანაყილი და დაცრილი შარითა და სიმინდი ფქუილი, ლიტრა და ნახევარი, ბაღდადურითა შეზილო და გააფუვნო და შემდგომად ესე წამალნი შეჰკურთნენ მას ცომსა და კეკელად თანა შეჰზილო და თანა ჩაურთო მჯილი ერთი ქუნჯითი გაჭურცნილი და გაყო ესე ცომი ოცდაათად ნაწილად და ყოველი ნაწილი თუითო კუერ ჰყო და დანელებულსა თორენსა შიგა შეაცხო და 25 გასწყდე, ვირემ კეკელად გამოშრას და შემდგომად გაჭმოებისა, დამარხო და ოდეს გიგმდეს, იგმარო. შეჭამოს მისგანი კუერი ერთი და ზედა შესუას ლუინო გაზავებული და მის ზედა ელოდეს, ვირემ გაქსნას, კეკელია, ნებითა ღმრთისათა.

სტომავისა და გომასირისა

30 **ნიშანი გასაცხნელისა წამლისა გალიანოზის, რომელ არს ფოფიაპიდი** ერგების, ვის სტომაქი გაჰკრილებოდეს და ბავასირისა უფალთა და გასწმედს ურვილთა და კრებულობათა თავსა შიგან, ნებითა ღმრთისათა.

35 ა ი ლ ო: შაშირი, რომელ არს კაკულა წურილი და ბალასნისა შეშისა ქერქი და დარაქიფილფილი. ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და პილპილი შავი, ოთხისა დრამისა და ზანჯაბილისინი, წონი ექუსისა დრამისა და შაქარი თეთრი, წონი ორმოცდაათისა



დრამისა, თურბითი თეთრი, წონა ექუსისა დრამისა და საკამუნი ანტაქი || წონი ექუსისა დრამისა და სუმბული, წონი ხუთისა დრამისა. მეჭკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ შარითა. შესუმა, წონი ორისა დრამისა, ჩაყრილი, ჩაიყაროს და ზედა ერთი ჭიქა ლუინო შესუას გაზავებული წყლითა ტფილითა და მას ზედა ელოდეს სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

5

ნიშანი გასაჯნელისა წამლისა მარილისა. ერგების ნიკრისისა უფალთა, რომელთა ტანი გასივებოდინ და გასწმედს თელგმასა თავისაგან და გარდასწყუედს სიბნელესა თუალთაგან და შეუმატებს სასმენელთა და ერგების სიმსივნესა ფაწალისასა, თუ ღმერთსა უნდეს.

10

აილო: მარილი ჰინდი, წონი ექუსისა დრამისა და პილპილი, წონი თორმეტისა დრამისა და ზანჯაბილი და ზოფფრა კმელი და ანჯუდანი და ლარიკონი და სადაჯი ჰინდი და მასტაქი და ნიახურისა თესლი და ფატრასალიონი და ტენცო წყლისა და საკამუნი და კირტიმისა გული, რომელ არს ქურტქუნრაფი და სპანძელი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა. მეჭკრიბენ ესე წამალნი. დანაყენ, დაცრენ და როდეს გინდეს იგმარე. შესუმა, წონი ორისა დრამისა წყლითა ტფილითა, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

15

**გასაჯნელი წამალი
აარგი სოლომონისი**

20

ნიშანი გასახსნელისა წამლისა კეკელისა, ერგების შავისა ნავლელისა და თელგმისა უფალთა და ერგების ყოველთა ტკივილთა თავისათა და გაახუამს სინათლესა თუალთა და შეუმატებს სასმენელთა და გასწმედს ბუნებასა და ერგების ყოველთა ტკივილთა || სტომაქისა და შენადგამთასა და გასწმედს ტანსა გაწმედითა კეკელათა, ნებითა ღმრთისათა.

84r
25

აილო: იარაჯფეკრა დანაყილი, წონი ორისა დრამისა და თურბითი თეთრი და ლარიკონი თეთრი სუმბუქი და მარილი ჰინდი და ხალილაგი ქაბული და ვარდი წითელი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და საკამუნი, წონი ნახევარდრამისა. მეჭკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და იარაჯისა თანა ჩაურთნე ჰავანთა შიგან და კეკლად გაურივო და ქურტელსა ჩასდვა. შესუმა, წონი ორისა დრამისა ნელტფილითა წყლითა და მცირედითა თაფლითა და ესე წამალი კეკელ[ი]ა და სარგებლისა ყოველთა თუის, რომე გუიკსენება, თუ ღმერთსა უნდეს.

30
35

დაესრულა თავი მეორე, თქმული იარაჯათუის დიდთა, რომელსა ზედა შეკრებულ არიან ყოველნი მკურნალნი პირველნი მოძღუარნი და [ფილო]სოფოსთათუის¹, რომელნი შეისმიან და დანაყილნი.

11. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი.



დავიწყით თქუმად შეწევნითა ღმრთისათა წამალთა² მატბუხთა სარგებელთა, ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი გასაკსნელთა მატბუხთა, ერგების ყოველთა საღმობათა და ახალთა მატბუხთა რომელნი არა გასაკსნელნი არიან. უწინა ხოლო მატბუხნი დიდი, რომელ არს ტაბიხი აფთიმიონისა. ერგების ყოველთა საღმობათა შედებულთა ავსებულობითა შავისა ნავდელსა და თელგმისაგან, რომელ მოერევიან გუამთა ზედა და ერგების ესე მატბუხნი, თუ || იკმაროდ მრთელთა ყოველთა ჟამთა და ვაყოფათა შიგან წელიწადისათა და ესე გამწმედელთა ყოველთა ურვილთა და მკუთიდრებულთა გუამსა შიგან კაცთასა ბერთა და ჭაბუკთასა და ესე ერგების, ვინ დაეჩუიოს ამისსა სუამსა სარგებელთა საჩინოთა და ერგების ამით მატბუხთა, უკეთუ ასუა იარაჯები დიდროვანები, რომელ უწინა გუიქსენებია. ერგებიან შავისა ნავდელისა უფალთა და ყოველთა საღმობათა ძნელთა, ვითა მანახოლიასა და ვასვასსა და ნავდელიანსა. და ამით ესე გუართა მსგავსსა და ესე შექმნილა მქარისთანთა შიგან მისანდობელი და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: ხალილაგი ქაბული, გაქურცნილი, წონი შუიდისა დრამისა და ხალილაგი ჰინდი, გაქურცნილი, წონი ხუთისა დრამისა და თამრალინდი, გურქისაგან გამორჩეული, წონი ათისა დრამისა და ხიარაგი შაბმარი, ქერქისაგან დარჩეული, წონი შუიდისა დრამისა და სანამაქი, წონი ათისა დრამისა და შათრაჯი კმელი, წონი ექუსისა დრამისა და აფსინდი ბერძული, წონი ოთხისა დრამისა და ელევანდი სომხური, წონი სამისა დრამისა და საგერაილე, რომელ არს ბასბიჯი, დაჯეჯილი, წონი ოთხისა დრამისა და ანისონი და ნიახურისა თესლი და კამისა თესლი, ამათგანი წონი ორისა დრამისა და აბალბალასანი და უდალბალასანი და თურბითი, ამათგანი წონი თუითო დრამის დაჯეჯენე || ესე წამალნი სამი და წამალთა თანა ჩაურთნე სუმბული ტიბი და ვარდი წითელი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ფუკაჰლადრახი, წონი სამისა დრამისა და სალიხა და ლაფთის ძირი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და ნახევრისა და აფსინდი, წონი ოთხისა დრამისა და ია, წონი ორისა დრამისა და შარაჯაბრი, წონი ხუთისა დრამისა და კანტორიონი წურილი და შექა და ბადა ვარდი, რომელ არს ყუავილი ეკლისა თეთრი დიდროვანი, ამათგან წონი სამისა დრამისა და სიბისთანნი, წონი ათისა დრამისა და ზიბიბი ტიფი ჭაჭისაგან გამოსრული, წონი ოცისა დრამისა და ლელუი მსუქანი თუალვით ათი. შეკვირბნე ესე წამალნი და ქვისა ქოთანსა შიგა ჩასდვა ანუ თანგირაგთა წმიდათა და ზედა ბაღდადური ექუსნი ლიტრა წყალი დაასხი წმი-

და და აგბი, ვირე მისგან ორი ნაწილი წავიდეს და ერთი ნაწილი დარჩეს და მერმე წაუროთო ზედა და ქოთანი ჯერეთ ცეცხლსა ზედა დგეს, თხუთმეტისა დრამისა წონი, აფთიმონი აკრიტი და გამორჩეული შეშისა მისისა და ნაცრისაგან და აღულო, ვირე დარჩეს მისგანი ლიტრა ერთი და უმცროცა. და დასწურო და ოდეს გიკმდეს ამათ სხუათა დიდროვანთა იარაჯთაგანი შესუმად, შეასუა მით აფთიმონისა მატბუხითა, რომელ უწინა ვაკსენენით და თუ არა ჩაუროთ, ესე რომელთა ჩუქენ ვაკსენებთ და არიან || ესე წამალნი.

აიღო: თურბითი თეთრი დანაყილი და დაცრილ, წონი ნახევარ დრამისა და მარილი ნავთისა დანაყილი და დაცრილი, წონი ნახევარ დრამისა და ლარიკონი დანაყილი და დაცრილი, წონი ორისა დანგისა და იარაჯი ფეკრა დანაყილი, წონი დრამისა და საკამუნი ანტაქი, წონი დანგისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი და გაადგინო მით დაწურვილითა მატბუხითა და ნელტფილითა სუას და ვირემ ცხრა ჟამამდე ელოდეს და ოდეს წამლისაგან გამოვიდეს. თუ იყოს კაცი იგი კუერცხისა გულისა უფალი, შესუას ორისა დრამისა წონი ბაზრაკატონა და ათისა დრამისა წონი შაქარი და თუ არა კუერცხისა უფალი იყოს, მაშა ბაზრაკატონასა ნაცვალსა შესუას სპანძლისა თესლი და ეკრძალოს უწინა და უკანა კეკელიქა და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს. წამალი ასრე აღებინე: სამსა დღესა აფარებებინე მჟავისა და მაწონისაგან და დედანკატანა წოლისა და ხილისაგან. თუ კაცი გუნება მხურვალიყოს, დღივ თუითოსა ვარიასა მისითა წუენითა შეაჰმევიდ და ლუინოსაცა ასუემდი და წყალი რაცა უნდა სუას და მეოთხესა დილასა შეასუას ესე წამალი და ორივე მკლავი შეუკარ, რაჟამცა ესე წამალი შეასუა, სადამდის საქმობასა დაუწყებდეს და მერმე გაუტყენ. რა ჟამცა გაცხნას, შეტყენ და ხანდახან თუითოსა თასსა ტფილსა წყალსა შესუემდი. თუ საქმობა გუიანად დაუწყოს წამალმან, მისი წამალი ესე არის: აიღე; ერთი დრამი მასტაქი და ერთი დრამი შაქარი, დანაყე, გაღესე და ტფილითა წყლითა შეასვი. || და თუ არცა ამან გაცხნას, ერთსა დღესა ორჯელ წამლისა აღება არა ეგების. ახლად კულა აფარებებინე და კიდევ აღებინე. მეორესა დღესა თუ ერთობ ძალი უყოს წამალმან და გაცხნას, ასრე რომე მწოვედ შეაწყინოს კაცი, მისი წამალი ესე ქენ: ფერკები ცივითა წყლითა დაბანე, თუ არა უშუელოს წელთა ქუეითა დაბანე, თუ არცა მაშინ უშუელის, ჰიას ქუეითი დაბანე ცივითა წყლითა და მერმე ბაზრაყატუნა შოკალე. ანუ სიქანქუბინითა, ანუ ბაჩისა შარბათითა გაურივე და აჰამე. თუ მითა არა შეჰკრას, კუერცხისა ყუითელე ძმრითა მოადუდე, რომე კარგან მოხარშოს პურითა, ისე აჰამე ძალსაცა მისცემს და კიდევცა შეჰკრავს. თუ არა შეჰკრას, შემკრველი ყურსი მიეც. თუ იმან არა

5

v

10

15

20

25

30

86 r

35

40



უშუელოს, ერთი მიტკალი აბილურმანი ბიისა შარბათითა შეასუი.
 თუ იყვანდეს და ასეთი იყოს, რომე ბალღამსა ჰგვიდეს, სინიჭ
 მოკალე სიქანქუბინითა შეასუი, ცოტა დანაყოლი ხოლინჯანიცა
 გაურვიე და ერთსა დღესა ორჯელ წამალი არათ ღონითა არა მიე-
 5 ცემის, საფათერაკო არის. ორჯელ წამალსა ნუ მისცემ ერთსა დღე-
 სა და მეორესა დილასა უნდა მიცემა, მისცე და უზიანო არის. და
 რა ჟამცა წამლისაგან გამოვიდეს კაცი, მისი ნიშანი ესე არის,
 რომე აბოყინოს და წამლისა სული აღარა ამოვიდეს პირისაგან და
 არცალა მუცელსა შიგან უჭარდეს და მწოვედ მოემშოს. მაშინ
 10 საჭმელი ამა წესითა მიეცით || ჟამცა წამლისაგან
 გამოვიდეს, ბაზრაცატუნი ტფილითა წყლითა დაალბეთ და შიგან
 შაქარი გაურვიეთ და გამოწურეთ და შეასუით და ზირა ქირმენითა
 ვარია შეუქენით და იგი აჭამეთ და იმა დღესა ღუინოსა ნუ ასუმთ,
 წყალი სუას და თუ კაცი გუნება გრილი იყოს, მაშინ სპანძლისა
 15 თესლისა შევასუათ ბაზრაცატუნისა ალაგსა და მსუქნისა ცხური-
 სა კორცსა და დედლისა ქათმისა კორცსა ვაჭმევთ. თუ გაზაფხუ-
 ლი იყოს, მზისა ამოსულისა დროსა ასუით ესე მათბუნი. თუ ზაფ-
 ხული იყოს, ცისკრისაგან უწინა ასუით. თუ შემოდგომანი იყოს,
 მზე რომე კარგად ამოვიდეს, მაშინ ასუით და თუ ზამთარი იყოს,
 20 ერთი ჟამი გამოვიდეს, მაშინ ასუით. ესე მატბუნი მარიამობისა
 თუესა არა ესმის. კუირიკობისთუესა ოციტგან ვირე მარიამობისა
 გარდამავლამდის არა ესმების. აგრევე ქრისტიანობისა თუით ათით-
 გან, ვიდრე თებერვალსა ათამდის, არა ესმების. ერთი სასმელი
 უნდა შეასუათ და სამსა დღესა თავი კიდვე შეინახოს მკავისაგან
 25 და მაწონისა და დედაკატან წოლისაგან და კარგი საჭამადი
 შეუწყევით, ვისცა ტკივილი გულისა და ანუ გულის პირისა იყოს.
 მას რწყევა უჯობს წამლისა აღებასა. თუ მას ქუემოთ იყოს,
 ჭიბამდის გასაჯნელი წამალი უნდა და ვისცა ჭიპსა ქუე-
 შეთ იყოს სატკივარი, მასცა გასაჯნელი წამალი უნდა. თუ კა-
 30 ცი კორციანი და მსუქანი იყოს, მასცა რწყევა უჯობს წამლისა
 87r აღებასა, || და რაცა უჯორცი და მჭლე კაცი იყოს, მას გასაჯნელი-
 წამალი უჯობს რწყევასა იცოდით, რომე მსუქანსა კაცს აღრე გა-
 მოსწმედს. რწყევა ერთობ კარგად, ასრე რომე თუეშიგან სამსა
 დღესა წინ უქანა არწყიოს, პირველსა დღესა აშლის სტომაქსა,
 35 მეორესა დღესა ჩაღლასსა დასძრავს და მესამესა გამოსწმედს და
 ამისგან დააჭარბებს სტომაქსა, ერთობ აწყენს და აშლის და თუ-
 ლისა დააბნელებს და ფერსა გა[ა]ყუითლებს და ტანსა დაამკობს.
 და თუ ღუინისა მსმელი კაცი იყოს და რწყე-
 40 ვა უნდოდეს, ცოტა ასლისუსი და ცოტა იშნა დანაყონ და
 ღუინოშიგან გაურვიონ. დადგან, დილას ბინო წაურვიონ, მერმე
 ცოტა მლაშე თევზი და ბოლოკი, წიწმატი, და ხახუი და დიდრო-




ვანი ცერცუი ჭამოს და ზედან ცოტა ღუინო შესუს და მერმე
 ცოტა ხანი გამოუშუს და ზედან ესე წამალი შესუს თბილ
 თბილ და არწყოს. ძალითა ნუ არწყევ სადილამდის თავისა მაგი-
 არად და მანამდის ძალსა ნუ უზამს, მერმე ნაკრტენი ჩაიყოს,
 როგორცა აშალოს ნაკრტენითა, მანამდის არწყოს, სადამდის
 გამოწმდეს. ასრე უნდა, რომე თუალსა რწყევა მიაჭირებებს, რო-
 გორცა ნაკრტენსა ჩაიყოფდეს. || ბაბა დაიდვას თუალზედან
 და მერმე მანდილითა მაგრად უკუიკრას, რომე თუალმან გამოდმა
 არა გამოიზიდნეს. მერმე როგორცა რწყევა გა[ა]თავოს, მანდილი
 შემოიქსნას და ღარღარ ქნას ძმრითა და ვარდის წყლითა, ამისა-
 თუის რომე რწყევაშიგან ოფლი გამოუვა თავშიგან და ისი ოფლი
 შხამისა მაგიარი არის; ღარღარა ქნას და ვარდის წყლითა თავსა
 და პირსა შეისრისოს, ოფლი გამოწმდოს. მერმე ჭულაბი შექნას
 და ცოტა სიქანჭებინი გაურიოს, მერმე შესუს. მას უკანით ამას
 დღესა საჭმელი ცოტა ჭამოს და სუბუქად, და ვინცა ღუინისა
 მსმელი არ იყოს და რწყევა მოუნდეს, მასცა, რაცა მსუქანისა
 კაცისა საჭმელი სწერია, ისი აჭამეთ, ასრე რომ, სტომაქი აიგოს.
 მერმე სამი დრამი ყუითელი თურბითი და მავლიუსული
 დანაყონ და იმაშიგან გაურიონ და შესუნ და იმავე წესითა
 არწყოს, თუ კაცი სქელი და მძიმე გუნება იყოს, ჯაბღანგითა
 არწყევინეთ ამავე წესითა. მერმე თუ გინდოდეს ერთი მუტყალი
 ჯაზიარყი, ნახევარ მუტყალი ყუითელი თურბითი, ნახევარდრამი
 ინდოური მარილი დანაყე და იმა მავლიურზედან გაურივე და არყი
 და არნიყვაყვანე და ჯაბღანგი და რუყა ძალიანსა კაცსა უზემდი.
 თუ კაცი არცა ერთობ მკლე იყოს და არცა ერთობ მსუქანი და შუა
 გუნება || იყოს, ავშანდა, ასლისუსი, ნესუსი ტყავი წყლითა აღუღე
 ორითა თასითა წყლითა ასთომიერთი აღუღე, რომე მესამედი დარ-
 ჩეს და ორი წილი წაჭდეს და იმავე მავლიუსულ შიგან გაურივე და
 ასუით და თუ არა შინ ქოთიარყოს [!] შობით, ასლისუსი ნანხუი,
 თუითოსაგან ხუთი დრამი ერთსა ლიტრასა წყალშიგან მოადუღეთ
 ასთონიერთი, რომე ორმოცდაათი დრამი დარჩეს. მერმე გამოწურე
 ისი ოცდახუთი დრამი, თაფლი გაურივე შიგა, ნახევარ დრამი მა-
 რილი გაურივე ინდოური, თუ ისი არა იყოს, აქაური მარილი
 გაურივე. როგორცა მარილი გაურიო, ასთომიერთი აღუღე, რომე
 ცოტა კიდევ დააქლდეს. მერმე შესუს და ნაკრტენითა არწყოს

5
 v
 10
 15
 20
 25
 88r
 30
 35
 40

სხუა მათბუხი აფთიმონისა, რომე უშუელის თავისა ტკივილსა
 და ოთხისა ნივთისაგან მალასი ამოიღოს, დედალ-მამალი მალასი,
 მქურვალი მალასი და გრილი მალასი და სიმქურვალე თავისა და
 თუალისა ულზინოს და ყოვლისა ფერისა სიმქურვალისა წამალი
 არის, უწყინარი.

165



ნი ოცი მარცხული და ასბათვი ექუსი დრამი, სანაიმაქი, ბაღაბეჯი
 მაქით მოდის, ხუთი დრამი, აფთიმონი და ანისონი სამ-სამე დრამი
 თაბრინდი ხუთი დრამი, თარბუთი ოთხი დანგი, ღარიკონი¹ ერთი
 5 დრამი, კიტრის თესლი ორი დრამი, კაროსისა თესლი და კმელი ია
 v და ფარანგუბინი, თუი || თოსაგან სამ-სამი დრამი, კმელი ვარდ[ი]
 ხუთი დრამი, რაზიანისა თესლი ხუთი დრამი, წითელი ჩამიჩი, კურ-
 კისაგან გამოღებული, ოცდა თხუთმეტი დრამი. ესე წამლები ყუა-
 ლა ერთ პირად შეყარე და ჭურჭელსა შიგან ჩაყარე და ლიტრა ნა-
 ხევარი წყალი დაასხი და ერთსა დღესა დაალბე და აღუღე, ვირემ-
 10 დის ოქთხმოცი დრამი დარჩეს და მერმე გაწურე და ჭურჭელში-
 გან ჩაქახსი და გაურივე შიგა შაქარი თხუთმეტი დრამი და ერთი
 დანგის საკამუნია გაღესული დააყარე და მიეცე შუალამესა პირვე-
 ლად და უკანის წამლისა წესი ქენ.

თავისა ბივილისა და თხვიისთვის

15 ნიშანი აფთიმონისა ტაბიხისა სხუისა, ერგების კუერცხისა
 გულისა ნავლისა უფალთა და ვის უნდეს ტანსა გაწმენდა და ვის
 თავისა ტკივილი იყოს დიადი და გოინი და გულისა შალვისა და ვის
 სთხვედეს კუერცხისა გულისა ნავლელსა და გამოჩნდეს ტანსა ქავი-
 20 წამალსა ჯერ არს, რა შესმოდენ მრთელნი ყოველთა გაყოფა შინა
 წელიწადისათა, ნებთა ღმრთისათა.

ა ი ღ ო: ხალილაგი კუერცხის გული, გურკისაგან გამორჩეული
 89r და ხალილაგი შავი, გურკისაგან გამორჩეული და თამრალ ჰინდი ||
 გურკისაგან გამორჩეული და ხიარა-შამბალი, გურკისაგან გამორ-
 25 ჩეული, ამათგანი წონი შუიდ-შუიდისა დრამისა და სანამაქი, წონი
 ათისა დრამისა და შათარჯი, წონი ხუთისა დრამისა და შარალჯაბა-
 ლი, წონი ექუსისა დრამისა და ხალილაგი და ბალილ[ა]ჯი და ამლა-
 ჯი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ია კმელი და ნიახურისა
 30 თესლი და ანისონისა თესლი და ვარდი კმელი, ამათგანი წონი ორ-
 ორისა დრამისა და ფშატი და ქლიავი, ამათგანი თუალვით ოცდა-
 ათ-ოცდათი და სიბისთან¹ და ზიბიბი, გურკისაგან გამორჩეული,
 წონი ათისა დრამისა შეჰკრიბენ ესე წამალნი ბაღდაღურითა ექუსი-
 თა ლიტრითა წყლითა და აღუღო; ვირემ წავიდეს უფროსი და დარ-
 ჩეს მისგან უმცროსი ლიტრისა, დასწურო და ჩაურთნე ესე წა-
 35 მალნი.

ა ი ღ ო: იარაჯი ფეკრა და მარილი ჰინდი და თურბითი თეთრი
 დანაყილი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დანგისა და საკამუნია წონი
 ერთისა დანგისა დანაყილი. მერმე ჩაურთე ესე წამლები მას დაწუ-



რეილსა მატბუხსა შიგან გაუღლიმოს კეკელიად და ნელტფილი შე-
სუას და ცხრო უქამამდე ელოდეს და მერმე შესუას ბაზარკატო-
ნი, ვითა ნიშანი მიგუთიცივია, კეკელია და სარგებლისა და გამოც-
დილი, თუ ღმერთსა უნდეს. ||

v

**ზურგისა და თირკმელთათვის
დედათა საზო თუ გაუზგრილდეს**

5

ნიშანი მატბუხისა, შეისმის ხივრეა ზეთსა თანა, ერგების,
ვის ზურგსა და თირკმელთა შიგან სნება იყოს ძუელი და დამაშუ-
რალიყუნენ კურნებითა და რომელნი ქუე მჯდომელად გასრული-
ყუნენ და ვერა შეუძლებდენ სლვასა ქართა სხუილთავან, რომელნი
შეიქმნებიან შავისა ნავლისაგან და თელგმისა და რომელთა დამ-
კუიდრებოდეს ტკივილი თირკმელთა შიგან და გულსა და ზურგ-
სა, ქვისა გზითა რომელ შეიქმნების თირკმელთა და უფრო ხოლო
ერგების, ესე წამალი შუა კაცთა და ბერთა და შუა დედაკაცთა,
რომელთა გაგრილებოდენ საშონი კეკელია და სარგებლისა, თუ
ღმერთსა უნდეს.

10

15

აილო: კამასა ძირისა ქერქი და ნიახურისა ძირისა ქერქი, ამათგა-
ნი წონი ოც-ოცისა დრამისა და კამასა თესლი და ნიახურისა თესლი,
ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და ფუკალადხირი და სალისა და
შარალჯაბარი, წონი ათ-ათისა დრამისა და ძირთაფლი გაქურცნილი,
წონი ათისა დრამისა და აფზინდი ბერძული და სუმბული ტიბი,
ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ბადრნობი რომელ არს
თურჯი კმელი, წონი ოთხისა დრამისა და სადაჯი ჰინდი, წონი ორი-
სა დრამისა და ბალილაჯი და ამლაჯი, ამათგანი წონი სამ-სამისა
დრამისა და || აფთიმონი, წონი ხუთისა დრამისა და ზიბბი, ჰაჰისა-
გან გამორჩეული და ლელუქი შავი მსუქანი, ამათგანი წონი ორმო-
ცისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი და ქვისა ქოთანსა ჩასდვა
ანუ თანგირაგთა და ზედა წყალი ჩაასხა თხუთმეტი ლიტრა ბაღდა-
დურითა და აგბო, ვირე წავიდეს ორი ნაწილი და ერთისა ნაწილი-
სა უმცროსი დარჩეს და ბურძულაგსა ჩაასხა და აიღებდე ამის
წყლისაგანსა ყოველთა დღეთა თუთით ჰიქასა, რომელ ბაღდადური-
სა ლიტრისა ორი ნაწილი ჩავიდეს და ჩაურთვიდე ზედა ხუთისა
დრამისა წონასა ხირვასა ზეთსა და ზარმლამდი ელოდეს და ესე გაქს-
ნის მუცელსა ხუთჯერ და სუამს თელგმასა და ხამსა გაავლებს და ესე
წამალი დიდია და მკურვალი და არა ჯერ არს ამისი შესუმა, თუი-
ნიერ ზამთრისა და შესმისა ესე წამალი შუიდისა დღისა უმცრო
და უფრო ყოველსა კაცსა თავის თავისა ძალსა ზედა და ვითარცა
ვის უქმდეს კეკელია და სარგებლისა ამისა ყოველისათვის, რომე-
ლი გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

20

90r

25

30

35



ნიშანი სუბუქისა მატბუხისა¹ და ადვილისა. სარეგებელი არს
 შესასმელად ყოველსა ჟამსა და ოდესცა ვინ იკმარებდეს მამათა და
 V დედათა ყოველსა კბილსა დიდსა და მცირესა და ერგ || ების შეშლი-
 5 ლობასა გუამისასა ცხროსა შემთხუეულსა კვერცხის გულისა ნავდ-
 ლისა და სისხლისაგან და ტკივილსა თავისასა და დაღეწილობასა
 ტანისასა და სარეგებელი არს შესასმელად დაწყებასა ყოველისა სალ-
 მობისასა, რთ ელ შემთხუევის გუამთა მრთელთა და ოდეს შეიშალ-
 ნენ, მაშინ ჯერა[რ]ს, რათა გაწმდენ და წყებასა სნებისასა ამით მატ-
 10 ბუხითა², თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი დ ო: ხალილაგი კუერცხის გული, შუიდისა დრამისა წონი,
 გურკისაგან გამორჩეული და ათისა დრამისა წონი ზიბბი, ჭაჭისაგან
 გამორჩეული და ოცდაათი ფმატი და ოცდაათი ქლიავი. ქოთანსა
 შიგან ჩასდვა, ხუთი ლიტრა ბაღდაღურითა ზედა წყალი ჩა[ა]სხნი
 15 და აგბო, ვირემ დარჩეს მისგან ლიტრისა უმცროსი და გაუღლიმო
 შიგან ათისა წონისა თრანჯაბირი და ათისა დრამისა წონი ხიარი-
 შამბარი გაქურცნილი და ნელტფილი შესუას, თუ ღმერთსა უნდეს.

თავისა ბახისათვის

ნიშანი ხალილაგისა ტაბიხისა ერგების, ვის თავისა ტენა
 20 იყოს ფიცხელი კუერცხისა გულისა ნავდლისაგან და წყურილ ფიც-
 ხელი და სიყუითლე ფერისა და ვის გამოაჩნდეს ტანსა შიგან სხუი-
 პელი წურილი, რომელსა ჰრქუიან ბირე და აგავს იგი თევზისა ვი-
 ტყსა და შეისმის ყოველსა ჟამსა, როდესცა უქმდეს და ვის ტანსა
 შინა ბურძგლისა წატეხილობა იყოს, კეკელ[ი]ა, ნებითა ღმრთი-
 25 სათა. ||

91r ა ი დ ო: ხალილაგი კუერცხის გული მსუქანი, წონი ათისა დრა-
 მისა, გურკა გამოღებული და დანაყო მოხორზვილად და ჩაურთო
 მას თანა ფმატი და ქლიავი და ზიბბი, ამათგანი თუითო მჯილი
 და შეავბო, ვითა წინა პირველ დასწურო და ჩაურთო ზედა, ვითა
 30 ოცისა დრამისა წონი შაქარი წითელი და ნელტფილითა შეასუას,
 კეკელ[ი]ა, თუ ღმერთსა უნდეს.

ზაფხულისა ცხროსათვის

ნიშანი ხალილაგისა წყლისა სხუისა ერგების კუერცხისა გუ-
 ლისა ნავდლისა უფალთა და გოინსა და ვის შეიპყრობდეს ცხრო
 35 ლობი ზაფხულის და იგი არს, რომელი დღე შუათა მოუვალს და
 გაუფიცხდების თავისა ტკივილი და წყურილი, ნებითა ღმრთისათა.



აიღო: ხალილაგი კუერცხისა გული, წონი ათისა დრამისა და-
 ნაყო, დასტრა და ტფილი წყალი დაასხა ზედა, დაჟღლიმო კეკელ-
 ლად, ვასშობისა ჟამსა და გასწყდე, ვირე დილეულამდე და მერ-
 მე დასწურო და ქოთანსა ჩაასხა და ზედა ჩაუროთო ათისა წონისა
 დრამისა შაქარი წითელი და ნელტფილი შესუს და მას ზედა
 ელოდის, კეკელ[ი]ა და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

5

კოლინჯისა და თხვიანთუხის

ნიშანი მატბუხისა¹, ერგების ტკივილსა კოლინჯისასა, რომელ-
 სა თანა აეშლვის თხვეა და გულისა ურვა და წყურილი და შეიქ-
 მნების ქუემოსა მუცელსა შიგან ტკივილი ფიცხელი და გააჭმობს
 სტომაქსა დღეთა მრავალთა და გავალს გან || ავალი² კმელი ვითა
 სკორკლა აქლემებისა და ესე კეკელ[ი]ა და სარგებლისა, თუ
 ღმერთსა უნდეს.

10
v

აიღო: ბასბაიჯი, წონი ხუთისა დრამისა და თეთრი ქურქუნ-
 ჩოფისა თესლი, წონი ოცისა დრამისა და ქათამი მამალი დიად
 ბერი, დაკალ და გაგლიჯო წმიდად და მუცლიერი მისი წაყარო
 და ესე ორივე, მას შიგა ჩასდვა. მერმე ცერეცო კმელი მის შიგან
 წასტენო კეკელად და ქოთანსა ჩასდვა და ზედა წყალი ჩაქსხა,
 რაზომმან დაფაროს და ჩაუროთე შიგან მარაზომი ეყოფებოდეს და
 აგბო ღამითგან, ვიდრე ვირემ დაჩულებს კეკელად მამალი და მერ-
 მე ცეცხლისაგან უემოილო და გასწყდე, ვირე გაგრილდეს და
 მერმე წასწურო, ყოველი ხარშო მისი შესუს და მას ზედა ელო-
 დეს და ესე დახსნის ტკივილსა და განხსნის სტომაქსა, გამოცდი-
 ლია ნებითა ღმრთისათა. დასრულდა თქმა მატბუხთა გასახსნელ-
 თა, რომელნი საკმარნი არიან და მისანდობელნი, ნებითა ღმრთი-
 სათა.

15
20
25

მატბუხ³ ბუზური არგებს ზაფრისა სევდასა ბალდმისა ავსა
 მრავალსა, სისხლსა ტანისა ავსა, ტანშიგა რომე სატკივარი იყოს
 და ღუიძლზედა რაცა გამოეხსას და ტყირბშიგა რაცა სენი იყოს,
 გამოსწმედს და სტომაქსა⁴ ძალსა მისცემს და გულსა დასწმედს და
 ავი წყალი რაცა იყოს შიგნით, გაიღებს და კაცი რომე მწოვედ
 ქმინვიდეს, უშუელის და გულისა ძგერასა არგებს.

30

დაიჭირე: ალილა ყუითელი, ალილა ქაბული, ბალი || ლა
 ამლია, ამათგან შვიდ-შვიდი დრამი ტყავ გამძურალი ალილა შავი,
 ბასვაიქ[ი], აფთიმონი, ანისონი, შასთარა, ამათგანი თუითოსაგან
 ხუთ-ხუთი დრამი, სანაიმაქ[ი] რვა დრამი და ხუარასნული ჩამიჩი
 თხუთმეტი დრამი და ყუითელი ლეღუი ათი მარცუალი და საინ-
 ჯითი ოცდაათი მარცუალი, სითაქონი ათი დრამი ია და ვარდი
 და ასლისუსი, ამათგანი თუითოჲ კახ ხუთ-ხუთი დრამი და ლისონ-

92r
35



ლაშალი, მრავალძარღვას თესლია, ლაბლაბიამა, თუთითოსაგან ოთხ-
ოთხი დრამი და თეთრი თურბითი გულნარა. ამა თუთითოსაგან სამი

- 5 ამათგანი ათ-ათი ესე სამი თბილითა წყლითა დამბალი გამოწურეთ
და ესე წამალი ამა ნაღლეგსა წამალშიგა გაურივე დარიკონ მას-
ტაქი და ინდოური მარლი. ამა თუთითოსაგან ნახევარ-ნახევარი
10 ფარეზი უნდა იყოს. ამა წესითა ფარეზი რომე პურსა ნუცა ყოლე
ჭამს და საღამო-საღამოსა ჟამსა თუთითოსა ჯამსა მსუქანსა ხარშო-
სა ჭამდეს და ოროლ სამ-სამსა წყალღუინოსა სუმდეს და წყალი
15 მკლავნი შეუქრენით და როგორაცა ქუეშეთ საქმობა დააწყებინოს,
15 v მაშინ მკლავნი გაუხსნენით. ||

ამა მატბუხების წინათ მისაცემელი მუღულაბი ერთითა დღი-
თა წინათ უნდა მისცე, ძარღუეგსა გაქსნის და ბუნება[ს] დაალ-
ბობ[ს].

- 20 აფთიმონისა მოღულაბი მ ო ი დ ე: ხატმისა ვარდი ერთი პევშუი,
ია ერთი პევშუი, ასარონი, ბასვაიჯი, სანიმაქი, თავრეზული რაზია-
ნი, ყანაბი ჩამიჩი პევშუი ერთი, ნიახურის თესლი ყაისი. ესე ყუე-
ლაი კოჭობშიგა ჩაყარე, წყლითა აავსე, ცომითა პირი მოუგლისე
და მოადღე ასრე, რომე მესამედად ჩაიყაროს და იმა წყლისაგან
25 თუთითოსა თასსა გამოსწურევიდი, თარანგუბინითა გაღესოს და სამ-
სა დილასა ასმიდი.

- 30 მატბუხი² მუფიდისა რევანდი ჩინი ათი მუტყალი სანიმაქი[ი]
ერთი პევშუი, თუხმაქანი ერთი პევშუი, ტუხტისა თესლი და მისი
ყუავილი, ბაბუნაჯულაბა, სტაფილოს თესლი, თურბითი ნახევარ
დანაყილი, ღარიყონი ნახევარ დანაყილი, ალილა ყუითელი, კურკა
გამოღებული, ნახევარდანაყილი, ბალილა კურკა გამოღებული ნახე-
ვარდანაყილი თარანგუბინი შირვახიშტი. შავი გავალო თამრანდი,
უნაბი — ესე ყუელაი იძვე წესითა კოჭობშიგან ჩაყარე, წყლითა
ავსე, თავსა ჯამი დახურე და ცომითა მოუგლისე და ადღე, ვირე
მესამედად ჩაიყრებოდეს და იმა წესითა ასუემდი.

- 35 მოღულაბი დიდისა მატბუხისა — საბრი ყურღუ-მანა, ქსირა,
93r წითელი ვარდი ნიახურის თესლი, თუთითოსაგან || ხუთ-ხუთი მიტ-
ყალი, ანისონი, რაზიანე, დიალღუზა, საქბინჯი, ყატრასალონი ს[ა]-
ლონა, ბუზიდანი, სურინჯანი — ორივე ნახევარდანაყილი, ფრასიო-
ნი, გულისტამი, თუხმი, ხატმი და ყ[ვ]ავილი მისი, სეფისტონი,
ასარონი, ვარდი, ია, ჩამიჩი, თარანგუბინი, შირვახიშტი. ესე ყუე-



ლა ერთგან შეკრიბე იმავე წესითა, კოჭობშიგან ჩაყარე, წყლითა
 აავსე, თავი მოუგოზე და აღლუე, ვირემ მესაძედალ ჩაიყრებოდეს
 და იმავე წესითა გაწურე და შეასუი.

[ბარი მატბუხთა რომელნი არა გასაკნელნი არიან]

შირბუხისაგან და კუალისა

5

დავიწყო თქუმად შეწევნითა ღმრთისათა მატბუხთა, რომელ-
 ნი არა გასაკნელნი არიან

უწინათი ნიშანი ზოვფხასა ტაბიხისა. ერგების ყოველთა მკრდო-
 ვანთა² და ყოველსა ტკივილსა ფირტუისასა და კუელასა ძუელსა
 და ახალსა და ვის ხივილი იყოს ფიცხელსა და რომელი სიტყუა-
 სსა ვერა აწვედეს და ვერცა დაიძინებდეს სიფიცხითა ტკივილისა-
 თა და შეჭირვებისა თანა, ნებითა ღმრთისათა.

10

აიღო: კამისა ძირი და ნიახურისა ძირი და ძირთაფლისა ძი-
 რი. გაქურცნილი, ამათგან წონი ოცისა დრამისა და შარალ ჯა-
 ბარი, წონი ათისა დრამისა და ხატმისა თესლი და ბაბ[ა]ყვლისა
 თესლი, ამათგანი წონი რვა-რვისა დრამისა და კამას თესლი და
 ანისონი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ფუკალადხირი
 და სალისა, ამათგან³ || წონი ორ-ორისა დრამისა, გომიზი

15

v

არაბი და ქთირა, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ია კმე-
 ლი, წონი ორისა დრამისა, გომიზი ნუშისა, წონი სამისა დრამისა
 და ზოვფა ახალი, კმელი, წონი ათისა დრამისა და შუქა და ბადა-
 ვარდი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და სიბისთანნი, წონი
 ოცისა დრამისა და ზიბბი, კაჭისაგან გამორჩეული, წონი ორმო-
 ცისა დრამისა. შეჭკრიბენ ესე წამალნი და ქვისა ქოთანსა ჩასხენ
 ანუ თანგირაგთა წმიდათა და ზედა ათი ლიტრა წყალი ასხა და
 აგბო, ვირე დარჩეს მისგან⁴ სამი ლიტრა და დასწური და ბურძ-
 გულაგსა ჩაასხა⁴ და აიღებდე მისგანსა ყოველთა დღეთა დილათა
 ბლდადღურითა ლიტრითა ნახევარსა და ზედა სამისა დრამისა
 წონ[ა]სა ნუშისა ზეთსა ჩაასხემდი და შესმიდეს დილეულსა და მაზედ
 ელოდის. იქმოდეს მას დღეთა მრავალთა საღმობისა ზომასა ზედა,
 ვითაცა უკმდეს. სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

20

25

30

ღუიძლისა და კუალისა

ნიშანი მატბუხისა სხუისა ერგების ტკივილსა ღუიძლისასა და
 კუელასა და ნაზლსა, რომელნი შეემთხუევიან მკერდსა შიგან თა-
 ვისა ტკივილისა გზითა, ნებითა ღმრთისათა. და ესე სარგებელისა
 არს ყოველთა გუამთა მკურვალთათუის და ცხროთა და მწველთა,

35

171



- რომელ შეედების ჭაბუკთა და ვინ კრტინვიდეს ტკივილსა მარჯ-
 94r უენით კერძისასა სიმჭურვალისა გზითა, || და უკრეველსა, მისეს
 შეეშალოს ტანი დედათაგანსა და კრტინვიდეს შეიწრებასა მკერ-
 დისასა და გააქარვებს კუელასა ძუელსა, ნებითა ღმრთისათა.
- 5 ა ი ლ ო: ნიახურისა თესლი და კამისა თესლი და ანისონი და
 ძირთაფლისა ძირი გაქურცნილი და კამასა ძირი და ნიახურისა
 ძირი და შარალჯაბარი, ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და
 ზოფვა კმელი, წონი ხუთისა დრამისა და ნესუსის თესლი და ნიახურ-
 10 რისა თესლი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ლაქი ბუს-
 რი, რომელ არს საღებავი და ენდრო მღებვართა, ამათგანი წონი
 ორ-ორისა დრამისა და ფუკალდახირი, წონი სამისა დრამისა და
 კიტრისა თესლი და ხატმისა თესლი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა
 15 დრამისა და სიბისთანი, ქლიავი გაქურცნილი და ზიბზი, ჭაჭისაგან
 გამორჩეული, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა. შეჭკრიბენ ესე
 წამალნი და ქვისა ქოთანსა ჩასხენ ანუ თანგირავთა, წმიდათა და ზედა
 ჩა[ა]სხა ბაღდადურირვა ლიტრა წყალი და აგბო, ვირემ ორი ნაწილი
 წავიდეს და ერთი დარჩეს და მერმე დასწურო და ჭურჭელსა ჩაასხა
 ანუ ბუძგულაგსა და აიღოს ამის წყლისაგანი ყოველთა დღეთა ბაღ-
 20 დადურისა ლიტრისა ნახევარსა და ჩაურთვიდეს ზედა ნუშისა ზეთსა
 და ფუსტუქისასა ერთგან შერეულსა ხუთისა დრამისა წონ[ა]სა
 v || და შესუსას დილა მწუხრისა, ერგების, ოდეს სუას შუიდსა
 დღესა ანუ თხუთმეტსა, კეკელ[ი]ა და სარგებლისა ამის ყოველი-
 სათუის, რომელ გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

ფაწალისა მსივნისათუის

- 25 ნიშანი მატბუხისა სხუისა ერგების ყოველთა ტკივილთა ფაწა-
 ლისაითა გასივებულთა და რომელთა ესერე შექმნოდეს ფაწალა,
 რომელ მუცელი ავსებოდეს სიმსივნითა მისითა და ფერი მისრუ-
 ლიყოს და ტანნი დასწურ[ი]ლებოდენ და სიუხუსურესა შეეპყრნენ
 და სიიწრესა და საჭამადსა ვერა იდნობდენ და ვერცა სასუამადსა
 30 და ერგების, ვის გაუმრავლდეს საურავი და შეჭირვება და ერგების
 ესე წამალი მატბუხი თუ შესუსას ყოველსა ყამსა ოდეს და ესე
 მატბუხი, საკუირველი არის და ერგების მთათა შინა მყოფთა
 კეკელ[ი]ა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

**მთას მყოფთათუის
 წამალი უნასამელი.**

- 35 ა ი ლ ო: ქაბრის ძირისა ქერქი, წონი ოცდა[ა]თისა დრამისა და
 კამასა ძირისა ქერქი და ნიახურისა ძირისა ქერქი, ამათგანი



წონი ოც-ოცისა დრამისა და ენდრო მღებვართა, წონი ხუთისა დრამისა და ზ[ა]რეგვანდი გრძელი და აფსინდი და ჯანტიანე ბერძული, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და სალიხა და ფუკა ალაღბირი და ლაფთისა ძირი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და აბალ-ფაკვი დანაყილი, რომელ არს ფანჯაქუშტისა თესლი და ჰრქუიან ხუთფურცელი, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და სუმ || ბული ტიბი, წონი დრამისა სამისა და ნუში მწარე, წონი სამისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი და ქოთანსა ჩა[ა]სხენ ანუ თანგირაგთა და ზედა წყალი დაასხი რვა ლ[იტ]რა და აგზო, ვირემ ორი წილი წავიდეს და ერთი ნაწილი დარჩეს და დასწურე, ბურძგულასა შიგა ჩა[ა]სხა და აიღებდე ყოველთა დღეთა, ვითა ორმოცდაათისა დრამისა წონასა ქაბრისა კუერითა და ჩაურთვიდეს ზედა ათისა დრამისა წონსა შაქარსა წითელსა და შესმოდე და ელოდე, თუ ღმერთსა უნდეს.

5
95v

10

ზამთრისა ცხროთათუის

15

ნიშანი მატბუხისა ერგების ცხროსა რიბსა, რომელ გაუტეობს ორსა დღესა და ერთსა დღესა მოუვა და ცხროსა, რომელი შეიპყრობს თელგმისაგან და ესე არს და რომელ მოუვალს ყოველთა დღეთა სიცივითა და უფრო ხოლო იყუნიან სთუელთა და ზამთრისა და არიან ესე ცხრონი გრძელნი და ძნელნი და უკეთუ უდებჰყო სთუელთა, გაზაფხულამდე გავალს.

20

ა ე ლ ო: კამისა ძირი ნედლისა და ნიახურისა ძირი და ლავთისა ძირი, ამათგანი ოცისა დრამისა წონი და ძირთაფლისა ძირი გაქურცნილი, წონი ოცისა დრამისა და კამასა თესლი და ნიახურისა თესლი და ანისონისა თესლი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ქაბრისა ძირი, წონი ათისა დრამისა და სუმბული ტიბი და სალიხა, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და აფსინდი || ბერძული, წონი ათისა დრამისა და კორდმანა და ჯარჯირისა თესლი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ზიბბი, გურკისაგან გაწმედილი, წონი ორმოცდაათისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი და ქვისა ქოთანთა ჩასხნე ანუ თანგირაგთა წმიდათა და რვა ლიტრა წყალი ზედა ჩასხა და აღუდე, ვირე ორი ნაწილი წყალი წავიდეს და მესამედი დარჩეს და მერმე მგზარი! წყალი წამოსწურო და ბურძგულასა ჩა[ა]სხა და აიღებდე მისგანსა ყოველთა ტკივილთა, რომელ გუიქსენებია წიგნსა ამას შიგან, ნებითა ღმრთისათა.

25

v

30

35



ნიშანი აფხინდისა ტაბიხისა, ერგების ტკივილსა სტომაქისასა და ცხროსასა, რომელი შეიპყრობს ყოველთა დღეთა სიცივითა თანა. ბურძღლისა წატენა იყოს ფიცხელი და წყურილი ფიცხელი და უფრო, ხოლო შეიპყრობს ესე ცხრო ჭაბუკთა უწინას, ხოლო ზამთრისასა და ერგების, ვის ღუიძლისა და ნესუტთა დაყოფილობა იყოს, რომელ არს სიყუითლე ფერისა და ვის შევიწრობოდეს მკერდი, კეკელ[ი]ა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

აიღო: აფხინდი ბერძულ დათესული, დამწიფებელი, წონი ოცისა დრამისა და ლაფთისა ძირი და აღბრისა ძირი, ამათგანი ათ-ათისა დრამისა და კამასა ძირი და ნიახურისა ძირი, ამათგანი წონი თხუთმეტ-თხუთმეტისა დრამისა და ანისონისა თესლი და კამასა || თესლი და ნიახურისა თესლი, ამათგანი წონისა ორორისა დრამისა. შეჰკრიბენ ეს წამალნი და ქვისა ქოთანსა ჩასხნე ანუ თანგირაგთა წმიდათა და რვა ლიტრა წყალი ზედა ჩასხა და აგბო, ვირემ დარჩეს სამი ლიტრა და დასწურო და ბურძღულსა ჩ[ა]სხნე და აიღებდე მისგანსა ყოველთა დღეთა ბაღდადურისა ლიტრისა ორისა ნაწილსა, კეკელ[ი]ა და სარგებლისა ამის ყოველსათუის, რომელნი გუიკსენებიან, თუ ღმერთსა უნდეს.

დასრულდა თქუმა გასაცხნელთა მ[ა]ტბუხთა, რომელ არიან საგობელნი და სხუათა მატბუხთა, რომელნი ერგებიან ტკივილთა მკერდისათა და ცხროთა, თუ ღმერთსა უნდეს.

[ბარი შესამარცხლებელთა და შიავთა]

დავიწყით, შეწვენითა ღმრთისათა, თქუმად ნიშანთა შესამარცხლებელთა და შიავნი შესასმელნი ყოველთა ტკივილთათუის შედებულთა გუამთა შინა კაცთასა დაკრებულობისა გარყუნისა გზითა საჭამადთა და სასუამადთავან, რომელ შეიქმნების და ვაკსენნეთ ყოველნი შიავნი ახალნი და ჰობობნი, რომელი ერგებიან ყოველთა ცხროთა და სხუთაცა საღმობათა უწინათ.

ნიშანი მარცულისა ისტიმტიკონისა. ერგების ყოველთა ტკივილთა გუამისათა შედებულთა ავსებულობისაგან და ტკივილისა შენადგამოსასა და განსწმედს სტომაქსა და თავსა და ერგების, ვის საჭამადისა და სასუამადისა ნება გარდასწყუეტოდეს და ერგების ტკივი || ლ[სა] ნიკრისასა.

აიღო: საბრის კუტრი, აფთიმონი, აკრიტი და ზაფრანი და ფუკა აღადხირი და უდალ ბალასანი და აბალ ბალასანი და მასტაქი და ასარონი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ღარიკონი,



წონი ორისა დრამისა და ნახევრისა სუმბული ტიბი, წონი ხუთისა დრამისა და შამალანდალი, წონი ორისა დრამისა და სალიხა, წონი სამისა დრამისა, რევანდისინი, წონი ორისა დრამისა და საკამუნი ანტაქი, წონი სამისა დრამისა, თურბითი თეთრი, წონი სამისა დრამისა. შეკვრბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კალნაბისა წყლითა შეზილენ ანუ წყლითა ნელტფილითა და მარცულად დაქნენ და ჩრდილსა ვააჟმო. შესუმა, წონი ორისა დრამისა კეკელა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

ქართული
ენების
სამეცნიერო
ბიბლიოთეკა

5

ნიშანი მარცულისა ისტიმტიკონისა¹ სხუისა კეკელასა, თუ ღმერთსა უნდეს.

10

აილო: შამალანდალი და ღარიკონი და მარილი ნავთისა, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ნახევრისა და რევანდისინი და საბრის კუტრი, წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ფუკა ალაღხირი და სუმბული ტიბი და ქუშტი და აბალ ბალასანი ამათგანი² წონი³ ორ-ორისა დრამისა და სალისა, წონი სამისა დრამისა და აფთიმონი აკრიტი, წონი ოთხისა დრამისა და მასტაქი და აფსინდისა გამოწურვილი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და საკამუნია, ორისა დრამისა და ნახევრისა. შეკვრბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კალნაბისა წყლითა შეზილო და მარცულად დაქნენ ბილბილისა ზომად და ვინ მარცულად იქმოდეს, იისა ზეთი იცხოს კელთა და ჩრდილსა ვააჟმოს. შესუმა, წონი ორისა დრამისა წყლითა ტფილითა კეკელისა და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

15

97r

20

ნიშანი წამლისა ისტიმტიკონისა, მარცულის სხუისა, რომელ შექმნილ არს მარისთანთა შიგან, ნებითა ღმრთისათა.

25

აილო: საბრის კუტრი, წონი რვისა დრამისა და აბალ ბალასანი და უდალ ბალასანი და ასარონი და სალია და ქუშტი და მასტაქი და სუმბული და ფუკა ალაღხირი და კილამონი და აფსინდისა გამოწურვილი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და თურბითი და ხალილაგი ქაბული და აფთიმონი და ნიშასტაგი, წონი თუითო დრამისა და ღარიკონი და მარილი ნავთისა, წონი თუითო დრამისა და საკამუნი ანტაქი, წონი⁴ ორისა დრამისა. შეკვრბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ საკამუნისა გარეშე. საკამუნია კიდელ დანაყენ და მერმე შერივნენ ყოველნი ერთად და კამასა წყლითა შეზილო და მარცულად და მარცულად, დაქნენ და ვინ მარცულად იქმოდეს, კელთა იისა ზეთი იცხოს და ჩრდილსა ვააჟმოს. შესუმა მისგანი, წონი ორისა დრამისა ნელტფილითა წყლითა და ცხრა ჟამამდე ელოდეს და ესე წამალი უსარგებლესია გუამათათუის და უადვილესი გუამათათუის. უწინათა ნუსხასათა, ვინ შესმიდეს, კეკელისა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

30

35

v

40

175



ნიშანი მარცხლისა გაღანოზისი, რომელი არს ახალკოკაი. ერგების ყოველსა ბრუსა სხმასა თავისასა ძლივ გასამრთელბელსა და ყოველთა ტკივილთა სტომაქისათა და შაიქსა და ტკივილსა 5 თავისასა და ტკივილსა ყურთასა, ნებითა ღმრთისათა და ყოველსა, ვის თვალთა შიგან საბლისა ქარი იყოს და გავრძელდეს ჭტინვა მისი თულთაშიგან დამძიმებასა ქუქუთოთასა და სიყურუესა და ტროშასა, რომელ შეემთხუევის ყურთა და დამძიმებასა ენისასა და ვის ესმოდიან ყურთა კმანი გურგურნი, ვითა ხმა სტუირისა და ტაბ- 10 ლისა და ამათ ესე ვითართა მსგავსთა და ვის შეემთხუიოს ნიბი- ლიკისა დაწოლა, რომელსა ჰქუიან ქაბუსი ძილსა შინა და ყო- ველსა ბუილსა თავისასა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ თ: საბრის კუტრი და მასტაქი და აფსინდისა გამოწურ- ვილი და შამალანდალი და ზაფრანი და საკამუნია. ესე ყოველი 15 სწორი წონი დანაყე კიდეს კიდე და დასცრნე და კამისა წყლითა შეზილნე და დიდრონად მარცულად დაქნა ერვინდისა ზომად და ჩრდილსა კააკმო. შესმა, წონი დრამისა, ვირე ორ დრამამდე და ნახევრამდე, შეწვენითა ღმრთისათა.

სტომაქისა და თვალთათვის.

ნიშანი საბრისა მარცხლისა, რომელსა ჰრქუიან ჰიბაშაბი 20 ამიორი¹ || ერგების ტკივილსა სტომაქისასა და სიმძიმესა თავისასა და ტკივილსა თულთასა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ თ: მასტაქი და ანისონი და ზაფრანი, ამათვანი სწორი წო- ნი და საბრის კუტრი სამ ნაწილი და კიდეს კიდე დანაყე და მერ- 25 მე შეპრივენე² და ნელტფილითა წყლითა შეზილო და ერვანდისა ზომად მარცულად დაჰქმნა და ჩრდილსა გააკმო. შესსუმა, წონი ორისა დრამისა. ვირე ორ მითკლამდე წყლითა ნელტფილითა და- წოლისა ეამსა და არს ესე მარცული მცირედ მოქმედი და არს მომაგინებელი და კეკელი³, ნებითა ღმრთისათა.

ზურგის ბივილისა და მუკლთათვის

ნიშანი შავითისა, რომელსა ჰრქუიან აბალბალამ ერგების ყო- ველსა ავსებულობასა შემთხუეულსა დამკლობისაგან ტკივილსა 30 ზურგისასა და მუკლთასა და ტკივილსა შენადგამთასა და არს ესე წამალი ძლიერი, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ლ თ: საბრის კუტრი, წონი ოცისა დრამისა და ხალილაგი



კუერცხის გული და შამალანდალი, ამათგანი წონი რვა-რვისა დრამისა და კუფლი და აშკაქული, რომელ არს სუინტრისა ძირი და ბალასნისა შეშისა ქერქი და საქბინჯი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და პილპილი შავი და დარ[ა]ფილფილი და ქონ-დარი სპარსული და თაჭუისა ყუერი და ჯავშირი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და საკამუნია და ზაფრანა, ამათგანი წონი ოთხ || ოთხისა დრამისა. დანაყნე, დაცრენ და კალნაბისა წყლითა შეზილნე მარცულად დაქნა და ჩრდილსა გა[ა]კმო. შესუმა მისგანი, წონი ორისა დრამისა ნებიითა ღმრთისათა.

5
v

ღვდათა უალღოზისათვის

10

ნიშანი მარცულისა, რომელ არს ახალმუკლი. ერგების ყოველთა ნოტიათა და ერგების ახალთა დედათა, რომელნი არა უძლებ იქმნებიან ცმელისა სიდიადისაგან, ნებიითა ღმრთისათა.

ა ი ლ ო: საბრის კუტრი და მუკლი აზრაკი და საქბინჯი და შალამიანდალი და ხალილაგი კუერცხის გული და სურინჯანი, რომელ [არს] ალობა და ზაფრანი და მასტაქი და საკამუნია, ამის ყოველისაგან სწორი წონი. დანაყნე ესე წამალნი და პრასისა წყლითა შეზილო და მარცულად დაქნე და ჩრდილსა გააკმო. შესმა, წონი ორისა დრამისა. ნელტფილითა წყლითა, ერგოს ნებიითა ღმრთისათა.

15

წალითა მაკოზისათვის

20

ნიშან[ი] წამლისა ძლიერისა, რომელ არს მარცული, წყლითა მაკეთა. ერგების ყოველთა გუართათა წყლით მაკეობისათა და ვის მუცელი ვითა ტიკი შეჭნოდეს წყლითა სავესე და გაუსივდებოდენ ფერკნი და წუივნი და ყოველსა ტკივილსა თელგმისა და შავისა ნავლესასა და გამაძლიერებელი არს ლუიძლისა და ფაწალისა და ერგების ტკივილსა ძარლუთასა და ქართა სხუილთა, თუ ღმერთსა უნდეს.

25

ა ი ლ ო: რევანდისინი და მური და მუკლი და ვაში და საქბინჯი და მასტაქი და გუნდრუკი და საბრის კუტრი და თაჭუის ყუერი, || ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ჯანტიანე ბერძული და ენდრო მღებვართა და ლაქი და ქუშტი მწარე, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და კილამონი და სუმბული და ზაფრანა და პილპილი და ძირა ქირმენი და ნიახურისა თესლ[ი] და ანისონი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და თურბითი თეთრი და ლარიკონი და შამანდალი და აფსინდისა გამოწურჭილი და შროშანისა ძირი, ამათგან წონი ხუთ-ხუთისა დრამისა. დანაყნე

99r
30
35

ესე წამალნი, დაცრენ და ჳამასა წყლითა შეზილნე და მარცულად დაჰქენა და გააკემო. შესუმა ძალსა ზედა სარგებლისა. ნებითა ღმერთისათა.

5 ნიშანი სხუისა მარცულისა, ერგების წყლითა მაკესა, თუ ღმერთსა უნდა.

ა ი ღო: ხალილაგი ქაბული და ხალილაგი კუერცხისა გული და აფთიმონი, ამათვანი წონი ოთხ-ოთხისა ღრამისა და საბრის კუტრი და საქბინჯი და ჳავშირი და თურბითი თეთრი და მარილი ნავთისა, ამათვანი წონი სამ-სამისა ღრამისა და აფარბიონი და გომიზი არაბი და ანძაროთი, ამათვანი წონი თუითო ღრამისა და ნახევრისა და საკამუნია, წონი ღრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კალნაბისა წყლითა შეზილნენ და მარცულად დაჰქენენ და გააკემენ. შესუმა, წონი ორისა ღრამისა და ზოგნი შესმენ აქლემებისა ფსელითა ანუ აქლემისავე სძითა, კეკელია, თუ ღმერთსა უნდეს.

**წამალი მრავალისა სენისა
ზავასირისა და ჳურგისა**

v || ნიშანი მარცულისა, რომელ არს აბლმინთინი ერგების ყოველსა ტკივილსა, რომელ შეიქმნების თელგმისაგან და ხამისაგან და ქართა, რომელნი შეიქმნებიან შავისა ნავლელისაგან და ერგების ტკივილსა ჳურგისა და შენადგამთასა და ყოველსა საღმობასა შექმნულსა ძარღუთა შიგან მუკლთა და ტკივილსა ბავასირისასა და ერგების ერკანისესა და ყოველსა ტკივილსა ჳურგისასა და არს ესე წამალი ძლიერი, თუ ღმერთსა უნდეს.

25 ა ი ღე: უძუარისა თესლი და თურბითი და შამალანდალი და ანძაროთი და სურინჯანი და ღარიკონი და საკამუნია და ვაშიკი და ჳავშირი და საქბინჯი და მუკლი ჰუდი და ჳაფრანი, ამათვანი სწორი წონი დანაყენ წამალნი და გაადგინნე გომიზნი პრასისა წყლითა ასურულისათა და მერმე შეზილო ყოველი და მარცულად დაქმნა პილბილისა ჳომად და ჩრდილსა გააკემო და შესუმა მისგანი, წონი ორისა ღრამისა ნელტფილითა წყლითა კეკელია, თუ ღმერთსა უნდეს.

35 ნიშანი საქბინჯისა მარცულისა. ერგების ტკივილსა შენადგამთასა და ჳურგისასა და მუკლთასა და ვის იყოს მამაცი ქუემოსა მუკელსა შიგან და ტეხა სტომაქსა შიგან ბრძანებითა ღმერთისათა.

100f. ა ი ღო საბრის კუტრი და აფთიმონი აკრიტი, წონი ოთხ-ოთხისა ღრამისა და თურბითი || და ღარიკონი და მასტაქი, ბერძული და სუმბული და საკამუნია და აფსინდისა გამოწურვილი, ამათ-

განი წონი ორ-ორისა დრამისა და საქბინაჯი, წონი თხუთმეტისა დრამისა. დანაყენ წამალნი და დაალბე საქბინაჯი, ასურულისა პრასისა წყლითა შეზილო და მარცულად დაქმნა და გააკმო და შესუმა, წონი ორისა დრამისა წყლითა ნელტფილითა კეკელ[ია], თუ ღმერთსა უნ[დეს].

5

ნიკრისისათვის

ნიშანი მარცულისა, რომელ არს ათლია¹ წამალთა. ერგების ტკივილსა ნიკრისისა და ტკივილსა შენადგამთასა, ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: ზანჯაბილისინი და დარ[ა]ფილფილი და შიტრაჯი აინდი და პილპილი შავი და ამლაიჯი და ბალილაჯი და ხალილაჯი შავი და ნანხუა და სუდი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და საბრის კუტრი, წონი ოცისა დრამისა. დანაყენ და დასცრენ და ძაღლის ყურძენასა წყლითა შეზილნე. შესუმა წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და შესუმა ამა წამლისა მრავალჯერი ყოველთა თუეთა და ზოგნი მკურნალნი ურთვენ შიგა ორისა დრამისა წონასა საკამუნიასა, რათა გაძლიერდეს ქმნა ამისი, ნებითა ღმრთისათა.

10

15

მისთვისაჲ

ნიშანი მარცულისა, ერგების ტკივილსა ნიკრისისასა და შენადგამთასა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: საბრის კუტრი. წონი ოცისა დრამისა და ხალილაჯი კუერცხის გული || და სურინჯანი ყა ანძაროთი და მუშვი და საქბინაჯი, წონი ხუთ-ხუთისა დრამისა. დანაყენ, დაცრენ და პრასისა წყლითა შეზილენ და მარცულად დაქნა და ჩრდილსა გააჭმე. შესუმა, წონი ორისა დრამისა და გააგრძელოს ამისა სუმა კეკელ[ია] და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

20

V

25

ნიკრისისათვის

ნიშანი სხუისა წამლისა ერგების ნიკრისსა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: საბრის კუტრი ორი ნაწილი და ვაშვი და მური და საქბინაჯი და ჯავშირი და თურბითი და ანძაროთი და საკამუნია და ზაფრანი და სურინჯანი და მუკლი, ამათგანი სწორი წონი. დანაყენ, დასცრენ და ჰინდა ბიესა წყლითა შეზილო ანუ ნიახურისა წყლითა და მარცულად დაქმნა და გააკმო. შესუმა მისგანი:

30



წონი ორისა დრამისა წყლითა ნელტბილითა. ესე წამალი გამოცდილი არის და მიწვეულ არიან ამისა საქმესა ზედა, ნებითა ღმრთისათა.

**მუცლისა და კოლინჯისა
ტაივილინსათუის**

5 ნიშანი შიტრაჯისა მარცულისა, ერგების ყოველსა ტკივილსა მუცლისასა და კოლინჯისასა და ვის დასძულებოდის ტკივილი ზურგისა და შენადგამთა და მუტლთა და თელვმასა ლაზიჯასა, რომელ არს მიკრული და ხამსა და დადგრომილსა შენადგამთა შინა და ვის გასივებოდენ მუტლნი და შენადგამნი, კეკელ[ი]ა და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

10 აიღე: ხალილაგი კუერცხის გული, წონი ხუთისა დრამისა
101r || და საბრის კუტრი, წონი ათისა დრამისა და ზანჯაბული და მღოვუი თეთრი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და ნახევრისა და ბილპილ[ი] და დარ[ა]ფილფილი, ამათგანი წონი ნახევარი-
15 დრამისა და შიტრაჯა ინდი და ვაჯი და მარილი ნავთისა, ამათგანი წონი თუითო დრამისა და ზოგნი მკურნალნი ურთვენ შიგან დრამისა წონასა ფუკაპლადხირსა და დრამისა წონასა საკამუნისა. დანაყენ, დაცრენ და კამასა წყლითა შეზილნე და მარცულად დაქმნა და ჩრდილსა გააქმო. შესუმა, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა
20 გარისა გაზავებული ღუინითა ანუ წყლითა ნელტფილითა, გამოცდილია და ჩაერთვის თანა ოთხისა დრამისა წონი ფანიდი. კეკელ[ი]ა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

**წამალი ასალმგელი,
შეისმის ზამბასა უკანით**

25 ნიშანი მარცულისა, რომელ აიღების საჭამადსა და იქმს საქმესა კეკელ[ი]ასა და ესე ერგების ყოველსა შეზავებულობასა ურვილსა და კრებულობასა, სტომაქსა შიგან და იკმარების. ვის უკმდეს. ზამთრის და ზაფხულის, ნებითა ღმრთისათა.

30 აიღე: თურბითი თეთრი, წონი რვისა დრამისა და ხალილაგი და ბალილ[ა]ჯი, ამათგანი წონი ორისა დრამისა და აბრინჯი და
30 ამლაიჯი და დარ[ა]ფილფილი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და
v ფანდი. წონი ოცდაათისა დრამისა და საკამუნია, წონი დრამისა. || შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ და წყლითა შეზილნე და დიდროვანად მარცულად შექმნა და ჩრდილსა გააქმე. შესუმა, მისგანი წონი ორისა დრამისა ვახშობასა უკანეს კეკელ[ი]ა და გამოცდილი,
35 ნებითა ღმრთისათა.



ნიკრისისა და ცხროსა

ნიშანი უნისა მარცხლისა ერგების ტკივილსა შენადგამთასა და ნიკრისისა და ცხროსა მეოთხისასა, რომელ გაუგრძელებულ იყოს კეკელ[ის], თუ ღმერთსა უნებს.

აიღე: ხალილაგი და ბალილ[ა]ჯი და ამლიჯი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და საბრის კუტრი წონი ხუთისა დრამისა და მარილი ჰინდი ანუ ნიშადური და დარ[ა]ფილფილი და სურინჯანი და მაჰიზლავეჯი, წონი ნახევარ-ნახევარი დრამისა და სანდაროსი თეთრი და ბოვზიდანი და საქბინაჯი და ვაშკი და ქურქუნჩოფისა გული და უპანი და თეთრი მდოგუი და სპანძლი და ნიახურისა თესლი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და ზოგნი ჩაურთვენ შიგან საკამუნისა და ზაფრანსა თუითო დრამისა წონისა. დანაყენ ესე წამალნი და ნიახურისა წყლითა შეზილნე და მარცხულად დაქნა. შესუმა, წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და ძალსა ზედა სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

ამთრისა და თელგვისა


ნიშანი წამლისა, რომელსა ჰქუიან წამალი კეთროვანთა. ერგების, ვის კეთრი იყოს და ბააკი და გასწმედს თელგმა || სა გასწმედითა კეკელათა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: აფარბიონი და ვაშკი და საროსა. თესლი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და კუფლი და მისტაქი და საკამუნია და შამალანდალი და ღარიკონი და ანზაროთი და მარილი აინდი და საბრის კუტრი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ნახევრისა და კილამონი დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და ძაღლის ყურძენასა წყლითა შეზილნე და მარცხულად დაქმნა. შესმა, წონი მითკლისა ძალსა ზედა, თუ ღმერთსა უნდეს.

ნისტუისა დაყოფისათვის

ნიშანი მარცხლისა, რომელსა ჰრქუიან მაიანე. ერგების ნესუტთა დაყოფილობასა შემთხუეულსა მკერდისა და ფირტუისასა შეიწრებასა გულისასა და კუეელასა ძუელსა ნოტიასა. თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: საბრის კუტრი და ძირთაფლისა უბი და ანძაროთი და გომიზი არაბი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და რევანდისინი, წონი დრამისა და ზ[ა]რევანდი გრძელი, წონი დრამისა და თაკუის ყუერი, წონი ნახევარ დრამისა და უძუ[ა]რისა თესლი წონი დრამისა და საკამუნია, წონი დრამისა და საქბინაჯი, წონი დრამისა სამისა, ხუარასანი, ხაშხაშისა თესლი, წონი დრამისა, ნაჟუი გაქურცნილი, წონი ორისა დრამისა. შეკრიბენ წამალნი, დანაყენ, დაც-



რენ და ბაზრაკატუნისა ლაბათა შეზილო და ჩრდილსა გააქმო
 ▽ შესუმა ორისა დრამისა || და ნახევრისა და ესე წამალი საკუირ-
 ველი მოქმედი არის და გამოცდილი ამათ საღმობათა, რომელ
 გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

5 პირისა სიყვარლისათუის

ნიშანი მარცხლისა, ერგების სიმყარლესა პირისასა და ვინ
 ოდეს ზრახვიდეს, გამოუვიდოდეს შიგნით მყარალი სული. გასწმედს
 ესე სტომაქსა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: საბრის კუტრი მითკალი და ნახევარი! და ანისონი და
 10 ნიახურისა თესლი და ნანხუა და ხალილაგი შავი და მარილი ჰინ-
 დი და კარამფული და სუმბული, ამათგანი წონი თუითო დრამისა
 და მუკლი კეკელა, კერატისა წონა. შეჰკრიბენ ესე წამა-
 ლნი, დანაყენ, დაცრენ და თრუნჯისა ქერქისა წყლითა შეზილო
 15 ანუ პიტნასა წყლითა მარცხულად დაქმნა და ჩრდილსა გააქმო.
 შესუმა, წონი ორისა დრამისა და მისსა უჯანის შესუს. კამს
 ვარდის წყალისა გამთბარისა. ერგების ესე წამალი დამპლობასა
 ნოტიასა, რომელ შეიქმნეების სტომაქსა შიგან და დაამებს სულსა
 პირისასა, ნებითა ღმრთისათა.

ძარნი ვის სპირაჲს

20 ნიშანი მარცხლისა, რომელსა ჰრქუიან აბახოლინჯანი.
 ერგების ქართა შექმნილთა სტომაქსა შიგან და ქართა კოლინჯი-
 სათა და საქმე ამისი საკუირველი არს და გამოცდილი, ნებითა
 ღმრთისათა.

ა იღე: სუმბული ტიბი და კარამფულ[ი] და შიტრაჯი და
 25 სადაჯი აინდი და დარქაფილფილი და ბალანსისა შემისა ქერქი,
 103r ამათგან წონი თუითო დრამისა და || ნახევრისა და საკამუნია და
 ზაფრანი, წონი ნახევარ-ნახევარ დრამისა და აფთიმონი, წონი
 სამისა დრამისა და ნახევრისა და საბრის კუტრი, წონი ოთხისა
 დრამისა, დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და ნიახურისა წყლითა
 30 შეზილნე და მარცხულად დაქნა და ჩრდილსა გააქმო. შესუმა
 მისგან წონი ორისა დრამისა და ნახევრისა. დაქსნის ტკივილ-
 სა მასთქუესვე, ნებითა ღმრთისათა.

სტომაქისა და თავისა ტკივილისათუის
 და თავალთა სინათლესა გაბეზს

35 ნიშანი წამლისა, რომელსა ჰქუიან აბალბალი. ერგების
 ყოველსა ტკივილსა სტომაქისასა და თავისასა და განსწმედს ტან-



სა გაწმედითა კეკელათა ყოვლისა ურვისა და კრებულობისაგან და ერგების ჭაბუკთა და ბერთა და შეაშუნდების. ყოველსა ბუნებასა და სარგებელი არს ადებად ყოველსა ჟამსა ოდესცა ვის უკმდეს და ერგების სინათლესა და გაუწმედს თუალთა და აშუნს კუერცხის გულისა ნავლისა უფალთა და თელგმისა უფალთა და ვის გოინიყოს და ესე მიიცვალეების ყოველსა საღმობასა, რომლი-საგანცა გაწმედა უკმდეს ტანსა ნებითა ღმრთისათა.

ა იღუ: იარაჯი ფეკრა, წონი ხუთისა დრამისა და ხალილაგი კუერცხის გული და მარილი ნავთისა და აფთიმონი, აკრ[ი]ტი და თურბითი თეთრი და ფუკა აპალადხირი და აფსინდისა გამოწურვილი და ზაფრანი და ლარიკონი და საკამუნია ანტაქი შემწუარი და ვარდი წითელი და ქთირა და მუკლი, ამათგანი || წონი თუითო მითკალი. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ შარითა და ძაღლის ყურძნისა წყლითა შეზილენ და მარცულად დაქმნენ და ჩრდილსა გააჯმო. **შესუმა მისგანი:** წონი ორისა დრამისა უმცრო და უფრო, ნებითა ღმრთისათა დავიწყით შეწევნითა ღმრთისათა და მადლითა მისითა და ვაქსენეთ ახლით წამალნი შესამარტულე-ბელნი, არიან გასაქსნელნი, რომელნი ერგებიან სხუათა საღმობათა, რათა იყოს ესე წიგნი მიწყებული ყოვლითა სიტყუითა შეუენიერი-თა და შერგებულობითა ღმრთისა მიერთა.


ჯჳალისა და ხივილისათვის

ნიშანი წამლისა მარცულისა: ერგების ოდეს ენასა ქუეშე დაიდვას ყოველსა გუარსა, კუელასა და ხიველსა და სიმქისესა მკერდისასა ნებითა ღმრთისათა.

ა იღუ: ხარბუზაკისა თესლი გაქურცნილი, წონი ექუსისა დრამისა, გომიზი არაბი და ძირთაფლისა რუბი და ქთირა და უკუდავისა თესლი, რომელსა ჰრქუიან ბაკლათალამკა, ამათგანი სწორი წონი და წამალთა სწორი წონი, შაქარი ტაბარზადი. დანაყენ ყოველნი, დასცრენ თეთრითა შეზილო და მარცულად დაქქნა ერავინდისა ზომად და ენასა ქუეშე დაიდვას დაწოლისა ჟამსა, და რაზომც სდნებოდეს ჩასნთქმიდეს მისგან ჟამყამად, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

მისთუისჳ

ნიშანი სხუისა მარცვლისა: ერგების, ვინ იკუელდეს სიმკუ || 104r რვალისაგან, რომელ შეიქმნების სისხლისაგან და კუერცხისა გულისა ნაველისაგან და ესე მკერდისა შემალბობელი არის კარგად და ერგების, ვის ცხრო ედვას დამწუარი და შეალბობს ბუნებას



და გარდასწყუეტს წყურილსა და ერგების კუელასა ჩხვილთაისა, ოდეს გაადგინო ამისგან ორი მარცულ[ა]ლი თავისა დედისა სძითა და ესე შემრგები არის ნებითა ღმრთისათა.

- 5 ა იღე: ხარბუზაკისა თესლი გაჭურცნილი და კიტრისა თესლი და აყიროსა თესლი და უკუდავისა თესლი და ია კმელი და ძირთაფლისა რუბი და გომიზი არაბი ქთირა და ბიასა თესლი გაჭურცნილი, ამათგანი სწორი წონი და ამა ყოველთა წამალთა სწორი, წონი ფანიდი. დანაყენ, დაცრენ და ბაზარკატონისა ლაბათა შეზილო და მარცულად დაქმნა ერაევანდისა ზომად და აიღოს მისგან 10 ყოველსა ჟამსა დაწოლ[ი]ასასა სარგებლისა არს ამის ყოველისათუს, ნებითა ღმრთისათა.

**ვინ სისხლსა ამოყრიდეს
და ცხრო ეღვას**

- 15 ნიშანი მარცულისა სხუისა, ერგების, ვის სისხლსა ამოყრიდეს შალლანსა და ცხრო ეღვას დამწუარი და კსნილობა მუცლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

- ა იღე: გომიზი არაბი და ქთირა და ნიშასტაკი დიკისა და თიჯა. ბერძული და ქარაბი და ნესუსის თესლი და აყიროსა თესლი და ხარბუზაკისა თესლი და ტაბაშირი, ამათგანი სწორი წონი. v დანაყე ესე წამალნი || დასცრნე და კუერცხისა თეთრ[ი]თა შეზილნე 20 და ოდეს გიკმდეს, იკმარო ნებითა ღმრთისათა.

ფირტუისა და მკარდისა

- 25 ნიშანი სხუისა მარცულისა, ერგების ტკივილსა ფირტუისასა და მკერდისასა, ვის კაეშნისა მჯდომი იყოს და იკუელდეს და შალალსა ამოყრიდეს მყარლსა და ძილი გამკრთალიყოს, ნებითა ღმრთისათა.

- ა იღე: ბანბისა გურკისა გული და ნაყუი გაჭურცნილი და რუბა სუსი და ქთირა და გომიზი არაბი და ნიშასტაკი დიკისა და სეღისა თესლი მოკალული, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ანისონი და სუმბული ტიბი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და 30 კუჭუმბრა ბერძული, წონი სამისა დრამისა და ფანიდი სიგზი, წონი ათისა დრამისა. შეკკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ბიისა თესლისა ლაბითა შეზილო და მარცულად დაქნა და ჩა[ა]გდო შიგან მარცულისა შექნისა უწინა ნახევარ დრამისა წონი აფიონი და ეგრე იკმარო, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

35 **მისთუისკა**

ნიშანი სხუისა მარცულისა, ერგების ტკივილსა ფიოტუისასა და ვინ იკუელდეს გრძელით ჟამითგან და ამოჰყრიდეს თელგმასა სხუილსა და გააგრძელობოდეს ტკივილი, თუ ღმერთსა უნდეს.



აიღე: ფიუსტოკი გაქურცნილ და ნუში ტკიბილი გაქურცნილი და რუბა სუსი და ნუში მწარე გაქურცნილი და ნეძბისა თესლი || თეთრისა და ბანბასა გურკისა გული და ნიახურისა თესლი ნა- 105r
 ეუი გაქურცნილი და ქითრა და გომიზი არაბი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და აფიონი, წონი დრამისა. შეკრიბენ ესე 5
 წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კუერცხისა თეთრითა შეზილენ და მარცულად შეკქმნა, დაწოლისა ჟამსა იხმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

მისთვისა

ნიშანი მარცულისა ერგების ბეროვანთა, რომელთა გავრძე- 10
 ლებოდის ფირტუიანობა და ქუელა და ამოჰყრიდეს მკერდისაგან ფერფერსა შალალსა მყარალსა და გააკრთებოდეს ძილი ტკივილი-
 საგან, ერგების ესე რგებითა საჩინოთა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ანისონი და აფიონი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და კუჭუმბრა და პილპილი და ქუშტი და რევანდისინი, 15
 ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და ქალბანა, წონი თხუთმეტისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, დასცრენ და ქალბნითა და ყურძნისა რუბითა შეზილო და ერვანდისა მარცულისა ზო-
 მად დაქმენ და იქმარო მისგან ძალსა ზედა, თუ ღმერთსა უნდეს.

მუცლისა შეკვრისა

ნიშანი მარცულისა, შეკვრავს მუცელსა და არის ესე მარცუ- 20
 ლი სარგებელისა და კეკელ[ი]ა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: მჟავისა ბროწეულისა ქერქი და გუნდა მწუანე და ჯუ-
 ლანარი და ხაშხაშა თეთრი და დოკოსა თესლი და ეკლისა კერა-
 ტი, რომელსა ჰრქუიან ხარნუ ბაშავე აფიონი, ამათგანი || წონი v
 თუითო დრამისა და შეკვრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ 25
 და წყლითა შეზილო და მარცულად დაქნა ერვანდისა ზომად, შე-
 სუმა მისგანი სამი მარცული წყლითა გრილითა სარგებელისა არს
 და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

მისთვისა

ნიშანი სხუისა მარცულისა, ერგების კსნილობასა და სისხლი- 30
 სა, გასულასა ქუემოთ, და ვის გაუმრავლდეს კსნილობა ღამით და
 გაუფიცდეს წყურილი ბრძანებითა ღმრთისათა.

აიღე: თიქა ბერძული და გომიზი არაბი და ქარბაი და დოკო- 35
 სა თესლი და აფიონი და ყრდელისა თესლი, ამათგანი სწორი



წონი. დანაყენ, დაცრენ შართა და ბიასა წყლითა შეზილთა და პრპილისა ზომად მარცულად დაქმნა და ჩრდილსა გააქმო. შესუმა, მისგანი სამი მარცული უმცრო და უფრო ძალისა ზომასა ზედა და ვითაცა ვის უქმდეს ნებითა ღმრთისათა.

5 მისთუისზე

ნიშანი სხუისა მარცულისა ჩაიდების პირსა შიგან და ერგების მოფოლხუებულობასა ღრძილთასა, რომლისაგან გამოვიდოდეს სისხლი ნიადაგ და ტკივილსა კბილთასა და საოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან და დააქამებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა შეძრულთა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: კარამფულისა გურკა და აკარკარაი და გუნდა მწუანე და ბასბასა და ქაბაბაი და მროწეულისა ქერქისა ყუთიელი, ამათგანი სწორი დანაყენ ყოველნი, დაცრენ და ყურძნ || ისა რუბითა შეზილო და მარცულად დაქმნა და გააქმო და ოდეს გინდეს ჩაიდვა მისგანი პირშიგან თუითო მარცული ერთი მეორესა შედეგად და პირსა რა ლერწო მოექცეოდეს, წანერწყვიდეს ყამყამ. სარგებლისა არს, რასაცა ნიშანი მიგუიცივია, ნებითა ღმრთისათა.

10

106r

15

პირისა სიმყრალისათუის

ნიშანი მარცულისა დაამებს სულსა პირისასა, რომელ ვარყუნილიყოს. გააქარვებს სიმყრალესა და ოდეს იქმოდის მას, დილეულსა და დაწოლისა ყამსა უნდა, თუ ღმერთსა ნებავს.

აიღე: კარამფული და ქაბაბი და კაკულა და უდი იანდი და აკარკარა და სუმბული ტიბი და ჰავთშნი [!], ამათგანი სწორი წონი და სუქი მუშუკისა ნახევარ წონი და ჩაურთე შიგან მცირედი მუშუკი და ქაფური და დანაყენ, დასცრენე შართა და ვარდისა წყლითა შეზილო და პილპილისა ზომად დაქმნე და გააქმოს და პირსა ჩაიდებდეს, მისგანსა თუითოსა მარცულსა შედეგითი შედეგად ჩასნთქმიდეს, რომელ წყალი მოექცეოდეს პირსა და იქმნოდეს დილა მწუხრისა, კეკელ[ია], თუ ღმერთსა უნდეს.

სრულ იქმნა თქუმა წამალთა; რომელ არიან შესამარცულებულნი და შიადნი პირსა ასახუმელნი, შეწევნითა ღმრთისათა.

20

25

30

[პარი ლუოკთა, რომელ არიან სალოკელნი]

დავიწყით თქუმად, შეწევნითა ღმრთისათა, ლუოკთა, რომელი² არიან სალოკელნი, რომელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა და საღმობათა შედებულთა ნატისათა და ვყოთ ესე სიტყუა || გამოკრებულად, თუ ღმერთსა უნდეს.

35

v

ხივილისა და კუვლისათვის

ნიშანი ლუოკისა¹, რომელ არს ნაუუისა, ერგების ყოველსა ფირტუიანსა და ხივილსა და რომელნი იქუელდენ და ამოყრიდენ მყარლსა ნერწყუსა და ყოველსა კუელასა ძუელსა, კეკელ[ი]ა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა, 5

აიღე: ქთირა და ნაუუი გაქურცნილი და ირსა, ამათგანი სწო-რი წონი და სელისა თესლი და მუკლიაუდი, ამათგანი სწორი წონი და სელისა თესლი მოკალული და თამრალირონი გაწმედილი მარ-ცულისა და თესლისაგან და გურკისაგან და გომიზი არაბი და ბაესა გურკისა ლაბა, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა დრამისა 10
 და ძირთაფლისა რუბი, წონი ოცისა დრამისა და ფანიდი სიგზი, წონი ორმოცდაათისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ყურძნისა რუბითა შესქელებულითა შეზილნე, ანუ თაფლითა პერულმოკდილითა. ერგების ესე ლოკი, ვის მკერდი შეიწრებოდეს და დიადსა კუელსა და ფირტუსა და დიადსა ხი- 15
 ვილსა, რომელ ვერეგებოდეს და თმობა აიღოს ამისგან დილა მწუხრი, კეკელ[ი]ა და სარგებელისა ნებითა ღმრთისათა.

მუცელისა ცხროვისათვის

ნიშანი ლუოკისა¹, რომელ არს ტაბაშირისა. ერგების ცხროსა 20
 ძუელსა და ახალსა და სიმქისესა მკერდისა და ფირტუისასა და ვინ იქუელდეს და სისხლსა ნერწყუსა ამოჰყრიდეს და ვის კუელასა თანა ცხრო იყოს დამწველი და ჰაბუკნი, რომელნი შეეპყ || რნენ ცხროსა 107r
 და კუელასა შეჭირვებისა გზითა და რომელნი აბიკ იყუნენ და ერთმანერთსა ზედა და შეიჭირვებდენ, დამჰლდებოდიან. ესე ერგოს, 25
 თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: შაშვირი, რომელ არს ავთი ანუ კაკულია წურილი და კირფა, ამათგანი წონი ექუს-ექუსისა დრამისა და ნიშასტაკი დი-კისა და ზანჯაბილისინი, ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და ქთირა, წონი ოთხისა დრამისა და შაქარი ტაბარზადი, წონი ათი- 30
 სა დრამისა და ხარბუზაკისა თესლი და ნაუუისა მარცუალი, ამათ-განი წონი ექუს ექუსისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ნუშისა ზეთითა შესუარნე ანუ ერბოთა ფურთათა ათისა დრამისა წონითა და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო 35
 და ჰურჭელსა ჩასდვა. შესუმა, სრული წონი სამისა დრამისა ზოფ-ფისა ნაგბოლითა, რომელ უწინა ნიშანი მიგუიცივია ანუ ვირი-ხა სძითა ორისა დრამისა წონითა, კეკელ[ი]ა და სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.



ნიშანი ლუკისა, რომელ არს შამბალითისა ერგების კუელასა და მკრდოვანსა და ვის გაუძნელდეს სულის ღება და ვის უნდეს გაკეთება კმისა, ნებითა ღმრთისათა.

- 5 აიღე: სელისა თესლი, წონი ოცისა დრამისა და ნუში ტკბილი, წონი ოცისა დრამისა და ქთირა და ძირთაფლის გამოწურვილი და ნაყუი გაქურცნილი და შადდი, რომელ არს ნუში || წურიღი, მწარე, მოკალული და ნიშასტაკი დიკისა, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ორ-ორისა, დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და ყურძნისა რუბითა შესქელებულითა შეზილნე და ჭურჭელსა ჩასდვა. შესუმა, მისგან წონი ოთხისა დრამისა აიღოს დილა მწუხრი, კეკელია, ნებითა ღმრთისათა.

კმისა დასრულობისათვის

- 15 ნიშანი ძირთაფლისა ლუკისა, ერგების ტკივილსა მკერდისა და კმასა დასრულსა და ტკივილსა ფირტუისასა და ყოველსა სიმსივნესა, რომელნი შეიქმნებიან მკერდსა, კეკელია და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

- 20 აიღე: ძირთაფლისა რუბი დაწმედილი კეკელა, და ქალბანა და ქთისა თეთრი და ნუში მწარე გაქურცნილი და კმასა თესლი და ანისონი, ამათგანი სწორი წონი. დანაყენ, დაცრენ და თაფლითა შეზილნე და ჭურჭელსა ჩასდვა და ლოკოს მისგან დილა მწუხრსა, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

კმალისა კუალისათვის

- 25 ნიშანი ლუკისა, რომელ არს სელისა თესლი[ს]. ერგების რომელნი იკუეულდენ და არას ამოყრიდენ კუელსა კმელსა, ნებითა ღმრთისათა.

- 30 აიღე: სელისა თესლი მოკალული და ქთირა და გომიზი არაბი და ძირთაფლის რუბი, ამათგანი სწორი წონი დანაყენ, დაცრენ და ძირთაფლითა შეზილო და დილა მწუხრი იკმარო, კეკელა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

მისთვისაჲ

- 35 ნიშანი ლუკისა, ერგების ყოველთა ტკივილთა და მკრდოვანთა და კუელასა ძუელასა და ახალსა და ერგების მჭურგალთა და 108r || ცხროიანთა და ყრმათა ჩჩუილთა და ვის კაეშანი იყოს და კუე-



ლასა ფიცხელსა და ამოაყრიდეს შალალსა კეკელ[ი]ა, ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: ბაესა გურკა, წონი ოცდაათისა დრამისა. დააღბო წყლითა დღესა და ღამესა და მერმე გამოიღე მისი ლაბა და თანგირაგთა ჩაასხა და ჩაურთო თანა თეთრი ცვილი, ხუთისა დრამისა წონა და ნუშისა ზეთი, წონი ხუთისა დრამისა და ხუთისა დრამისა წონა იისა ზეთი და ოცისა დრამისა წონი ფანიდი და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ღბილი და შეაგბო და უკმოიღო ცეცხლთაგან და ჭურჭელსა ჩასდვა და ლოკო მისგანი დილა მწუხრი კეკელ[ი]ა და სარგებლისა, რომელ გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

5
10

მავთა კუელიანთა

ნიშანი ლოკისა სხუისა ერგების სიმვიენესა მკერდისა და მკურვალსა და თავქედინათა და ყრმათა წურვილთა. რომელნი იჭუელდენ, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: ათისა დრამისა წონა იისა ზეთი და ნუშისა ტკბილისა ზეთი თანგირაგთა ჩაასხა ანუ ციცხუსა წმიდასა და ჩაურთო თანა ორისა დრამისა წონი ცვილი, დაწმედილი და გააღნო ცეცხლთა ზედა და მერმე ჩაურთო მას ზედა ათისა დრამისა წონი შაქარი ტაბარზაღი და უკმოიღო ცეცხლთაგან და ურევდე, და ვირე გაყინოს და ყოველთა ჟამთა იკმარო, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

15
20

მპარდისა და ხივილისა

ნიშანი თავუისა ხახუის ღუოკისა, ერგების ტკივილსა || მკერდისასა და სიმქისესა მისსა შექმნილობისასა შავისა ნავლელისასა და ხივილსა, კეკელ[ი]ა თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: თავუისა ხახუი გამოწურვილი, მისივე ზოძი თაფლი, ორივე თანგირაგთა ჩაასხა და ქუეშე ღბილი ცეცხლი შეუგზნა, კორემ გასრულდეს შესქელება მისი და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარო, ნებითა ღმრთისათა.

v
25

მისტუისხე

ნიშანი ღუოკისა ერგების ჩჩუილთა, რომელნი იჭუელდენ ღამით, კეკელ[ი]ა, ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: გომიზი არაბი და ძირთაფლის რუბი და ნაქუი გაქურცნილი ქერქისაგან. დანაყე ყოველნი და ფანიდითა შესქელო და ერვანდისა ზომად დაჰქნა მარცულად, შეასუა მისგან ყრმასა თავისა დედისა სძითა, კეკელ[ი]ა არს და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა

30
35



ნიშანი ზოგფასა ლუოკისა, ერგების კუელასა ძუელსა და ვინ სულსა კუეთის იღებდეს და ნაზლათა, რომელნი მკრდად ჩამოვიდენ, კეკელ[ი]ა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

5 აიღო: ზოგფა კმელი, წონი ოთხისა დრამისა და პილპილი შავი, თუალვით ათი და ნაჟუი გაქურცნილი, წონი ათისა დრამისა და ნუშისა ზეთი, წონი ხუთისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ნუშისა ზეთითა შესუარო და ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იკმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

10 კუელისა და კმისა დასულოზისათუის

ნიშანი კუჭუმბრისა ლუოკისა, ერგების ამოყრასა შალიანისა ნერწყუისასა და კმასა დასრულსა და კუელასა, ნებითა ღმრთისათა.

109r || აიღე: ნუში მწარე, წონი რვისა დრამისა და მური არაბი, 15 წონი ექუსისა დრამისა და ქალბანა და კუჭუმბრა, წონი ოთხისა დრამისა და ბუტმისა გომიზი, წონი სამისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და შერივენ თაფლისა და გაადნენ სხუანი წამალნი, რომელნი გასადნობელნია მათგან და ჭურჭელსა ჩასდვა და ალოკე მისგანი დილა მწუხრისა, სარგებლისა არის, ნებითა ღმრთისათა. 20

მისთუისჲ

ნიშანი ქუშნისა ლუოკისა, ერგების ვინ იჯუელდეს სისხლსა და თელგმასა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ქუშნისა ფქუილი და ნაჟუი და ნანხუა და ქთირა და 25 პილპილი შავი, ამათგანი წონი რვისა დრამისა და ზოგფა კმელი, წონი ექუსისა დრამისა და სუმბული, წონი სამისა დრამისა და ნუში ტკბილი, გაქურცნილი, წონი ათისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ფურთა ერბოთა შესუარო და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილო, ჭურჭელსა ჩასდვა და აკმარო მისგან, თუ ღმერთსა უნდეს. 30

ნიშანი ბამბისა გურკისა ლუოკისა ერგების, ვის დუბელა იყოს შიგნითა და სიმსივნესა მკერდისასა და კუელასა ძუელსა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ბანბისა გურკისა გული, წონი ათისა დრამისა და ნუში 35 მწარე, წონი ხუთისა დრამისა და ნაჟუი გაქურცნილი, წონი ექუსისა დრამისა და ძირთაფლისა || ძირი, წონი ათისა დრამისა



შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და შეუროთ თანა ოთხი-
 სა კუერცხისა გული, ფურთა ერბოთა შესუარო და თაფლითა შე-
 ზილო და ჭურჭელსა ჩასდვა და როდეს გინდეს, იკმარო, თუ ღმერ-
 თსა უნდეს.

ერკონული
 შენიშვნები

დასრულდეს ნიშანი ლუკათანი, შეწვენითა ღმრთისათა.

5

[ტარი აკრასთასა, რომელ არიან კუერნი შისაჰნილინი]

დავიწყით შეწვენითა ღმრთისათა თქუმად ნიშანთა აკრასთა-
 საჲ, რომელ არიან კუერნი შესაქნილნი. ერგების ყოველთა ცხროთა
 შემთხუეულთა და ყოველთა ტკივილთა შედებულთა ასოთა შინაჲ,
 ყოველთა უთავესთა და ტკივილთა ლეიძლისა და ფაწალისაჲ და
 ტკივილსა ბუშტისა და თირკმელთასა და ბუშტისასა და არიან
 ამათგანი.

10

შუცლისა ჰესნილოზისა და
 ტკივილისათჳის

ნიშანი კუერისა, რომელსა ჰჭუიან აკრასადქვაჲბდა, არს ესე
 უჯობნელი, ერგების ყოველთა ტკივილთა მუცლისათ და კსნილო-
 ბათა გარდამატებულთა და გურემასა შემთხუეულსა შიგნით და
 ერგების ტკივილსა ყურთასა.

15

როდეს გაადგინო მისგან კერატისა წონი ქაბრისა წყლითა და
 ჩაუწოთ ყურსა შიგან, დაუყუდებს ტკივილსა და ერგების დედათა,
 რომელთა გამოუვიდოდეს სისხლი წიღოვანებისა დიად გარდამატე-
 ბულად, როდეს შესმიდეს მისგანსა კუერსა მურტისა სასმელითა და
 ქუელისათჳის შესუას იისა სასუმელითა და კსნილოზისათჳის გარ-
 დამატებულისა კუერი ერთი ბაზრაკატონისა ლაბათა და ვინ სისხლ-
 სა დაჯდებოდეს ბაესა წყლითა კუ || ერი ერთი და ვინ გუელმა და

20

110r

ღრიანკელმა უცეს ტეგნისა წყლითა და ახლად გაკსნის უკუდავისა
 წყლითა. ოდეს სუას, რომელ ჰრჭუიან ბაკლათალამაჲ ანუ კაის-
 მისა წყლითა და ერგების ტკივილსა საშოთასა თაფლწყლითა და
 ამისათჳის წოდებულ არს ამისდა ესე სახელი, რაოდენ აჯობებს
 სალმობასა და არა იჯობინებს, თუ ღმერთსა უნდეს.


25

ა ი დ ე: მური და თავუის ყუერი და სუმბული ტიბი და თიკა ბერ-
 ძული დაბეჭდული და სალიხა და თივა კაცის ძირი, ამათგანი წონი
 ოთხ-ოთხისა ღრამისა და ზაფრანი და ქუშტი და აფიონი, ამათ-
 განი წონი ხუთ-ხუთისა ღრამისა და ხაშხაშისა თესლი, წონი ექუსისა
 ღრამისა ღოკო და ანისონი და ზოვფა და ლემისა თესლი და კუ-
 ქუმბრა და ნიხურისა თესლი, ამათგანი წონი რვა-რვისა ღრამისა.

30

35

შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და წამალნი ლბილნი



ლუინთა გაადგინნე და მერმე შერიენე ყოველნი და კუერად და
 აქნე წონი ყოვლისა კუერისა ნახევარ მითკლისა ჰყო და ჩრდილ-
 სა გააკმო; შესუმა, მისგანი: კუერი ერთი ნიახურისა წყლი-
 თა ანუ სხუთა რომლითამე, რომელ გუიკსენებთან, თუ ღმერთსა
 5 უნდეს.

მინ სისხლსა ნარყვიძანს

ნიშანი ქარბასა კუერისა, ერგების, რომელნი ნერწყვიდენ სის-
 ხლსა დიად და ვის იყოს ესე სალმოზა გრძელით ჟამითგან, ნებითა
 ღმრთისათა.

10 აიღე: ბაზრაცათონაი — გაწმენდილი, წონი ოცისა დრამისა
 და ლუქი და მასტაქი და კამასა თესლი და ხაშხაშისა თესლი
 V || და ქალბანა და ზაფრანი, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა დრა-
 მისა და აფიონი, წონი ექუსისა დრამისა დააღბო ბაზრაცათონა!
 წყლითა ტფილითა და ლაბა მისი გამოუღო და მით შეზილნე ესე
 15 წამალნი და კუერად დაჰქმნნე და ჩრდილსა გააკმნე და შესუას
 ხავარტისა რუბითა ანუ ჰისრიმისა რუბითა, სარგებლისა არს ნე-
 ბითა ღმრთისათა.

ცხროსა და კსნილოზისათუის

ნიშანი ტაბიშირისა კუერისა, ერგების ცხროთა და მწველთა
 20 და ცხროთა ღიბსა, რომელ მოუა დღე შუათა და სიმჭურვალეთა-
 გან ავზებულობასა და მწყურირლსა ფიცხელისა და სიმყარლესა და
 სიშავესა ენისასა და არს გასაცხნელი, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ვარდი კმელი, წონი რვისა დრამისა და ძირთაფლისა
 ძირი და თარანჯაბინი, ამათგანი წონი დრამისა შუიდი-შუიდისა
 25 და სუმბული ტიბი, წონი დრამისა ოთხისა და ნიშასტაკი დიკისა
 და გომიზი არაბი და ტაბაშირი და ქთირა, ამათგანი წონი ორ-
 ორისა დრამისა. დანაყენ, ესე წამალნი, დაცრენ და წყლითა შე-
 ზილნე და კუერად დაჰქმნა და ყოველი კუერი დრამისა წონა ჰყო
 და როდეს გინდეს, იჟმარე, კეკელა არს და სარგებლისა. ნებითა
 30 ღმრთისათა.

მისთუისვა

ნიშანი სხუისა კუერისა, ერგების ცხროთა, რომელნი გუიკსე-
 ნებთან და კსნილობასა შემთხუეულსა და კუერცხისა გულისა
 ნავლელსა და წყურირლსა ფიცხელსა, თუ ღმერთსა უნდეს.

35 აიღე: ვარდი წითელი კმელი, წონი შუიდისა დრამისა და გო-
 192



მიზი არაბი და ღუალოძემართისა თესლი გაქურცნილი და ნიშასტაკი დიკისა, ამათგანი წონი || ოთხ-ოთხისა დრამისა ტაბაშირი და ზაფრანა, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა. დანაყენ წამალნი, დაცრენ და ბაზარკატონასა ლაბითა შეზილო და კუერად დაჰქნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა: კუერი ერთი წყლითა გრილითა, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა. 5

ნიშანი ვარდისა კუერისა ერგების ცხროთა ღიბთა და სიუსტურესა სტომაქისასა და წყურისა და ვინ ჰრტინვიდეს სიმქურვალესა აგზებულსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ვარდი, წონი ექუსისა დრამისა და ძირთაფლისა ძირი და თრანჯაბინი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და სუმბული, წონი სამისა დრამისა და ნიშასტაკი დიკისა და ტაბაშირი და გომიზი არაბი, წონი ორისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კუერად დაჰქნენ და ჩრდილსა გააკმენ და როდეს გინდეს, იკმარენ ნებითა ღმრთისათა. 10 15

ღუიძლისა და სტომაქისა

ნიშანი ვარდისა კუერისა აბჯარას გამოწურვილითა, რომელ არს ლაფთი. ერგების ტკივილსა ღუიძლისასა, რომელნი შეიპყრობენ სიცივითა და ტკივილსა სტომაქისასა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ვარდი, წონი თხუთმეტისა დრამისა და ლაფთისა გამოწურვილი და სუმბული, ამათგანი წონი თხუთმეტისა დრამისა და თრა ნჯაბინი, წონი ათისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კამისა წყლითა შეზილენ და კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა კუერი ერთი სიქანქუბინისა კეკელია, თუ ღმერთსა უნდეს. 20 25

ღუიძლისა და ცხენდაცამულთა და ცხროსათუის

ნიშანი რევანდისა კუერისა, ერგების ტკივილთა ღუიძლისათა და || ტეხასა მისსა და ვინ ჩამოჭრილიყოს მალლით ადგილით ანუ ცხენსა დაეცეს და ერგების ცხროთა ძუელთა, ნებითა ღმრთისათა. v

აიღე: რევანდისინი წონი რვისა დრამისა და ენდრო მღებვართა და ლაქიბუსრი, წონი ოთხისა დრამისა და ნიახურისა თესლი და ანისონი და ლაფთისა გამოწურვილი წონი სამისა დრამისა და ზაფრანი, წონი დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი. დანაყენ, დაცრენ და კამასა წყლითა შეზილო და კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა, კუერი ერთი ღუინითა ზეგნურითა ანუ მატბუხითა, სარგებლისა არის ნებითა ღმრთისათა. 30 35



- ნიშანი ენდროს კუერისა, ერგების დაყოფილსა და დაჯერებულსა დასა ნუსუტთასა და ტკივილსა მისსა და სიმსიენესა ფაწლისასა და ტკივილსა მისსა, ნებითა ღმრთისათა.
- 5 ა იღე: ენდრო მღებვართა და ზქარევიანი გრძელი და აფსინდი ბერძული და იერსე და ქაბრისა ძირისა ქერქი დანაყნე, დაცრნე და ძმრითა შეზილნე და კუერად დაჰქმნე და ჩრდილსა გააჰმნე და როდეს გინდეს იჰმარნე, თუ ღმერთსა უნდეს.
- 10 ნიშანი კუერისა ერგების ტკივილსა ბუშტისა და მჯდომთა, რომელნი შეჰქნებიან მას შინა და ვის სისხლსა ფსმიდეს, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.
- ა იღე: გომიხი არაბი და ხაშხაშისა თესლი და ხარბუზაკისა თესლი გაქურცნილი და ნიშასტაკი დიკისა და სელისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა. დანაყნე, დაცრნე და წყლითა
- 15 შეზილნე და კუერად შეჰქმნნე და || ჩრდილსა გააჰმნე, შესმა კუერი ერთი მატბუხითა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.
- 112 r

თირკმელთათვის და კოჩითა ვის ფსმა გაუჩნელდეს ანუ ვინ სისხლსა ფსმიდეს.

- ნიშანი კუერისა, ერგების ტკივილსა თირკმელთასა და კოჩითა შეჰქმნილთა მას შინა და ქვათა და ვის გაუჩნელდებოდეს ფსმა და ესე კუერი საკუირველი მოჰმედიო, ერგების უწინათსა შესუმასა და უფროს ხოლო ვინ სისხლსა ფსმიდეს, ნებითა ღმრთისათა.
- ა იღე: ნიახურის თესლი და ლემისა თესლი, ამათგანი წონი ექუს-ექუსისა დრამისა და კამასა თესლი, წონი ორისა დრამისა
- 25 და ზაფრანი და ნაყუი გაქურცნილი და ლუალო-ძმაროსა თესლი და აფსინდი და შადდი, რომელ არს ნუში მწარე წურილი გაქურცნილი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ჯავზა სარო თუალვით — ხუთი და კანაფის თესლი, წონი ექუსისა დრამისა და ხარბუზაკისა თესლი გაქურცნილი, წონი თორმეტისა დრამისა.
- 30 შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ბადაგითა შეზილნე და კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააჰმო. შე სუ მა: კუერი ერთი ნელტფილითა წყლითა. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.
- ნიშანი კუერისა ერგების, ვინ სისხლსა ფსმიდეს და ესე სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა და გამოცდილი.
- ა იღე: ნიშასტაკი დიკისა და ქთირა თეთრი და ხარბუზაკისა თესლი გაქურცნილი და ნესუისა თესლი გაქურცნილი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ჯულანარი, წონი ორისა დრამისა და შაბიამენი, წონი დრამისა, დანაყენ ესე წამალნი, დაცრნე და წყლითა
- 40 შეზილნე და || კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააჰმო და შესუმა კუერი ერთი, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა
- v

ნიშანი აფსინდისა კუერისა, ერგების ცხროსა და მეოთხესა და ცხროსა თელგმისასა, რომელ შეიპყრობს ყოველთა დღეთა სიცივით და ტკივილსა სტომაქისასა და ლუიძლისასა და ფაწალისასა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა დიდად.

ა იღე: ანისონი, წონი ორისა დრამისა და ასარონი, და აფსინდი ბერძული და ნიახურისა თესლი და ნუში მწარე და მასტაქი და სუმბული ტიბი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და საბრის კუტრი და ლაფთისა გამოწურვილი, ამათგანი წონი დრამისა და ნახევრისა. დანაყნე წამალნი, დაცრნედ, კამისა წყლითა შეზილნე და კუერად დაჰქმნა და ჩრდილსა გააქმო. შე ს მ ა, სრული ერთი სიქანჭუბინისა ანუ ნიახურისა წყლითა. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

5
10

ნიშანი კუერისა, ერგების ტკივილსა კოლინჯისასა და ესე სარგებლისა და საჩინო კოლინჯისა რგებასა ზედა და უცნობია ამისი საქმე ყოველსა, ვის გამოუცდია, თუ ღმერთსა უნდეს.

15

ა იღე: ანისონისა თესლი და ქუშუტი მწარე, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და ნიახურისა თესლი, წონი ხუთისა დრამისა და პილპილი თეთრი, წონი დრამისა და ნახევრისა და მური წითელი და აფიონი, ამათგანი წონი თუითო დრამისა და ნახევრისა და სუმბული ბერძული და მასტაქი და კილამონი, ამათგანი თუითო და აფსინდი ბერძული, წონი ოთხისა დრამისა და საბრ[ქ]

20

|| კუტრი წონი დრამისა და ნახევრისა, დანაყნე ესე წამალნი, დაცრენ და წყლითა შეზილნე და კუერად დაჰქმნე და კუერი დრამისა წონი ჰყო, ჩრდილსა გააქმო და როდეს გინდეს, იკმარენ, შესუა კუერი ერთი წყლითა ტფილითა და მცირე შაქარი წითელი ჩაურთო და იგი დაქსნის ტკივილსა მუსთაქუსევე ნებითა ღმრთისათა.

113r
25

ღუიძლისათვის

ნიშანი კუერისა¹ რომელი არის ლაქისა, ყოველთა ტკივილთა ლუიძლისათა და მკურვალთა და გრილთა და ვის შესტკივდებოდეს ლუიძლი იდიდისა ლუინისა სუმითა და გაფიცებოდეს ტკივილისა სიფიცხითა, აილოს ამის კუერისაგან, დაქსნის ნებითა ღმრთისათა.

30

ა იღე: ლაქი ბური, წონი ექუსისა დრამისა და ხარბუზაქისა თესლი გაქურცნილი წონი თორმეტისა დრამისა და ენდრო მღებვართა, წონი ორისა დრამისა, შაქარი ტაბარზადი, წონი ათისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყნე, დაცრნე და წყლითა შეზილნე და კუერად დაჰქმნა და ყოველი კუერი მითკლისა წონი ჰყო. შე ს უ ა ს სიქანჭუბინითა, ანუ² იისა სასუმელითა, ანუ წყლითა გრილითა, სარგებლისა არს და კეკელია, ნებითა ღმრთისათა.

35



ნიშანი კუერისა, რომელსა ჰრქუიან აბარბარსი, ერგების ცვი

ვილთა ღუიძლისათა მკურვალთა და ცხროთა დამწველთა და ვის
 ტანი გამკმარეოს, ნებითა ღმრთისათა და გაყუთილელულსა ცხრო-
 5 სა სიფიცხისაგან და ტკივილსა ღუიძლისასა და სტომაქისა და ვის
 10 და II მღევანისა და კაეშნისა უფალთა და ესე საღმობა უფროს
 ხოლო შეექმნების ჭაბუკთა, ახალ მოზრდილთა და დედათა, რო-
 მელთა გაუმრავლდეს საურავი და შეჭირვება და ესე კუერი არა
 უცნაურია, ვინ მიწვევულთა ამასა საქმესა ზედა, ნებითა ღმრთი-
 10 სათა.

ა ი ღ ე: ვარდი წითელი, წონი ათისა დრამისა და ხარბუზაკისა
 თესლი გაქურცნილი, წონი თორმეტისა დრამისა და რევანდისინი,
 წონი ორისა დრამისა და სუმბული ტობი, წონი სამისა დრამისა
 15 და ტაბაშირი, წონი ოთხისა დრამისა და ძირთაფლისა ძირი გა-
 ქურცნილი, წონი ხუთისა დრამისა და აბჯარასა გამოწურვილი და
 ზაფრანა და მასტაქი და ასარონი, ამათგანი წონი ორისა დრამი-
 20 სა და ბარბარასისა გამოწურვილი, რომელ არს კოწახურისა, გა-
 მოწურვილი მარცული, წონი რვისა დრამისა და თრანჯაბინი,
 წონი ექუსისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ
 20 და ნედლისა კამასა თესლისა წყლითა შეზილო, კუერად დაჰქნა
 და ჩრდილსა გააკმო. შესუმა: კუერი ერთი იისა სასუმელითა
 ანუ ჭულაბითა, კეკელ[ია] და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

ცხროსა და ფარის სიჟუითლისა

25 ნიშანი კუერისა, რომელ სარგებელ არს აბჯარალმელიქი და
 არის ესე ლაფთისა კუერი. ერგების ცხროთა მეოთხეთა, რომელ-
 ნი მოუვლენ ერთსა დღესა და ორსა დღესა გაუტეობენ და ცხრო-
 სა თელგმისა, რომელი მოუვა ყოველთა დღეთა და არს ესე ცხრო
 თელგმისა და უფროს, ხოლო შეიპყრობს ესე ცხრო სთუელთა
 114r გვამთა ნოტიოთა და ერგების ესე კუერი გონიასა უფალთა, II
 30 რომელთა დაყუთილელოდეს ფერი და გასდიდებოდეს ფაწალა,
 დასწურილელოდენ გუამნი და ყოველთა ნესტუთა დაყოფილობასა
 ღუიძლისასა და ფაწალისასა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ო: აბჯარასა გამოწურვილი, რომელ არს ლაფთი, წონი
 35 თხუთმეტისა დრამისა და ვარდი კმელი და სუმბული ტობი, ამათ-
 განი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და თრანჯაბინი, წონი თხუთ-
 მეტისა დრამისა და ტაბსარშირი, წონი ოთხისა დრამისა. დანაყენ
 ესე წამალნი. დაცრენ და კამასა წყლითა შეზილო და კუერად დაჰ-
 40 ნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა მისგანი, კუერი ერთი რასათუის
 ნიშანი მიგუიციემა სიქანქუბინითა, კეკელ[ია] და სარგებლისა არს,
 ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი ქაბრისა კუერისა ეოგების ტკივილსა ფაქალისასა უმეტესად ყოველთა ტკივილთა, რომელ შემთხუევიან ტანსა შიგან და იქმს საქმესა ძლიერსა და მიწვენულ არიან ყოველნი, ვის გამოუცდია და ერგების დედათა და მამათა და ყრმათა და იჭმარების ყოველთა ჟამთა ზამთრის და ზაფხულის კრძალულსა და უკრძალავსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ქაბრისა ძირისა ქერქი, გაზაფხულისა დღეთა, წონი ათისა დრამისა და ზრევანდი გრძელი, წონი რვისა დრამისა და აბალფაკდისა თესლი და პილბილი შავი, ამათვანი წონი ოც-ოცისა დრამისა და ვაშვი, წონი თხუთმეტისა დრამისა. შეჭკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ძუელისა ღუინისა ძმრითა შეზილნე, კუერად დაქმნა და ჩრ || დილსა გააკმო. შესმა, მისგანი წონი კუერი ერთი სიქანქუბინითა ანუ ძმრითა მჟავითა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

მისთვისვე

ნიშანი კუერისა, ერგების ფაქალასა გასივებულსა, რომელსა მუცელი აევსოს და ყოველთა ტკივილთა შემთხუელთა მისგან, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ქაბრისა ძირისა ქერქი, დაალობ ძმრითა და გააკმო, წონი რვისა დრამისა და ფაკდისა თესლი რომელ არს ფანჯა ქუშტისა მარცხული და ზრევანდი გრძელი, ამათვანი წონი ორ-ორისა დრამისა და წამალსა, რომელსა ჰრქუიან კარის ენა, წონი ექუსისა დრამისა და ასარონი და სუმბული, წონი ორისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ძმრითა შეზილო და კუერად დაქმნე და შესუმა, კუერი ერთი სიქანქუბინითა, სარგებელსა არს ნებითა ღმრთისათა.

ვის სტომაჰი სტაიოდეს და ცხურისა სცემდეს (I)

ნიშანი კუერისა, ერგების კცოლასა ფიცხელსა და ტკივილსა სტომაჰისასა და ვის გაუმრავლდენ ქარნი სტომაჰსა შიგან, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ქუშტი მწარე და საბრის კუტრი და ათხლისა ძირი და სისანმზარი კმელი და ტენცო წყლისა პიტნა და ტეგნა კმელი და ნიახურისა თესლი და გუნდრუკი. ამათვანი წონი ორისა დრამისა, აფიონი და ვარდი კმელი, წონი ორისა დანგისა. შეჭკრიბენ



ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ძუელითა ღუინითა შეზილნე და კუერად დაჰქნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა, მისგან კუერი ერთი 115r თი პიტნასა || წყლითა ანუ სიქანჭუბინითა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

5 ცხროსა და ღუიძლისათვის

10 ნიშანი კუერისა, რომელ არს ათისა წამლისა. ერგების ყოველთა ცხროთა მეოთხესათა და ცხროსა თელგმისასა, რომელ ყოველთა დღეთა მოჟვა სიცივითა და ტკივილსა ღუიძლისასა და დაყოფილობასა შექმნილსა მას შინა და ყოველთა ტკივილთა ფა-
15 ვალისათა და ქართა, რომელნი გაეზაგებიან მისგან ტანსა ყოველ-
გან და ერგების რგებითა საჩინოთა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: აფსინდისა გამოწურვილი ბერძელისა და ასარონი და მასტაქი და სუმბული და ზაფრანი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და ღაფთისა გამოწურვილი და ქუშტი მწარე და მური არაბი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და რევანდისინი და ნიახურისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა ორისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კამასა წყლითა შეზილნე და კუერად დაჰქნა და ჩრდილსა გააკმო. შესუმა, კუერი ერთი სიქანჭუბინითა, კეკელქია არს, თუ ღმერთსა უნდეს.

20 თავის ჭაივილისა და ძილისათვის

ნიშანი კუერისა რომელი ეცხების საფეთქელთა, და[ა]ყუდებს ტკივილსა თავისასა, ძუელსა, ფიცხელსა დააყუდებს და დააძინებს, თუ ღმერთსა უნდეს,

აიღე: მური არაბი და აფიონი და ლადანი და ქაფური, ამათ-
განი წონი დრამისა ორ-ორისა და ნახევრისა და ან ხაროთი და

v მამლასა გამოწურვილი და თიჯა ბერძელი, ამათგანი || წონი ხუთ-
ხუთისა დრამისა, დანაყენ, დაცრენ და ძმრითა შეზილნე და კუე-
25 რად დაჰქნა და ჩრდილსა გააკმო და ყოველი კუერი მითკლისა წონ-
ნიმცა არის და როდეს გინდეს, რომლისათვის გუიკსენებია. კუერი
ერთი დანაყო და ძმრითა შესუარო და საფეთქელით საფეთქელამდე
სცხო, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

გაცხნილობისა გუამისა და პირისა ჭაივილისათვის

ნიშანი კუერისა ერგების ზაირასა, რომელ არს ჰირვება, და
30 ტკივილსა დასაჯდომელისასა და ვის გაცხნიდეს მეტად და ვის გა-



აკრთეს ძილი ღამით. ტკივილისათვის, კეკელ[ია] და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი დ ე: დოკოს თესლი და ნიახურისა თესლი ასურულისა და ნანხუა და მჟავისა მროწეულისა ქერქი ყუთიელი, ამათგანი წონი სამ-სამისა დრამისა და თიჯა ბერძული, ამათგან წონი ორისა დრამისა და აფიონი და გომიზი არაბი, ამათგანი წონი თუითო დრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყნე, დაცრნე და ბაესა წყლითა შეზილნე და კუერად დაჰქმნე და ჩრდილსა გააქმო. შე ს-მა: მისგან[ნი] წონი ორისა დანგისა ბაესა რუბითა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა, ამის ყოველისათვის, რომელი გუიქსენებია და გამოცდილი არს ესე წამალი.

5

10

დასრულდა შეწევნითა ღმრთისათა თქუმა აკრასთა, რომელ არიან შესაქმარნი კუერნი, რომელ ერგებიან ამას ყოველსა, რომელ გუიქსენებიან საღმობანი და ტკივილნი, დიდება ღმერთსა.

15

[კარი ლიდიმედთასა, რომელ არიან გარე შესაცხმებლნი წამალნი]

დავიწყით თქუმად სახელითა ღმრთისათა ნიშნითა ლიდიმედ-თასა, || რომელ არიან გარე შესაცხებელნი წამალნი, რომელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა და საღმობ[ა]თა წაკიდებულთა სტო-მაქსა შიგან და გარეგან.

116r

20

წყლით გაყოფისათვის

ნიშანი ლიდიმედისა, რომელსა ჰრქუიან ფოლომქიონ და ერგების, რომელთა ელმოდეს და სჭირს წყლით მაკეობა და მუცელნი მათნი გასივებულიყუნენ, შეიდვას ესე მუცელსა ყოველგან და რომლისა გარყუნილიყოს შეზავებულობა ღუიძლისა სიცივისაგან და ერგების ტკივილსა სტომაქისასა გრილისასა, რომელი საჭამადსა ვერა იდნობდეს, ნებითა ღმრთისათა.

25

ა ი დ ე: ცვილი და გომიზი ფიჭუისა და მუკლი აზრაკი და ვა-შაკი და კორღმანა, რომელ არს ქარვა ველური და ჯავზა სარო, ამათგან წონი დრამისა ორმოც-ორმოცისა და ჰამამა, წონი დრამისა თორმეტისა და სუმბული ტიბი და ზაფრანი და მური და გუნდრუჯი, ამათგანი წონი დრამისა ექუს-ექუსისა და რომელი დასანაყელია დანაყე და რომელი გასადნობელია, გადნევე ლიტრისა ნახევრითა საროსა თაფლითა და ზედა შეიდვა, ვითა ნიშანი მიგუიცივია, ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

30

35

ნიშანი ლიდიმედისა, რომელი მითივე სახითა იცნობების, რომელ ზემო დაგუიწერია მათვე საღმობათა. ერგების, რომელთა ნი-



შანი ზემო დაგუიწერია, მუცელსა შიგან რაცარა საღმრთო ტკივილი იყოს და რომელთა წყლით მაცეობა და ოდენ წყებულნი ყოფიან და გააძლიერებს ლუიძლსა კეკელად და ერგების სტომაქსა, ამით წამლებითა შეიქმნას, თუ ღმერთსა უნდეს.

5 V აიღე: ამამა და კორდმანა და || დარ[ა]ფილფილი და ქუშტი მწარე და აკარკარა და მუკლი აზრაკი და აბალბალასანი და ვაშკი და მური არაბი და საბრი და კუჭუმბრა და სასლეოსი, რომელ არს ზოვფრა და ზრევანდი გრძელი და ზრევანდი მრგვალი და სუდი აქლილამელიქი და შროშანისა ლურჯი ძირი და კარამფული 10 და მასტაქი, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ათ-ათისა და ზაფრანი, დრამისა ორისა და ნახევრისა და ღერღელისა ცმელი, წონი დრამისა ათისა და ლადანი, წონი დრამისა ათისა და ცვილი, დრამისა ოცდაათისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, რომელნი კმელნი არიან, დანაყენ და რომელნი გასადნობელნი, გააღვენ ესე წამალნი 15 ყოველნი ნარდისა ზეთითა, რომელ არს სუმბულისა ზეთი, შეზილენ და ეგრევე შეიღვას; კეკელ[ი]სა და გამოცდილი, ნებითა ღმერთისათა.

სტომაქისა მოფოლხუებისა

20 ნიშანი ლიდიმედისა, რომელი საცნაურა არს ამითვე სახითა და საკრამატონი, რომელი ერგების სტომაქისა მოფოლხუებასა და სიუსუსურესა სტომაქისა მუცლისა და ასოთა ტკივილისათუის, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ნიახურისა თესლი და კორდმანა და სუდი და მარზანგოში და ნახხუა და ბავრუკი წითელი და ვაშკი და ანისონი და 25 ულაბა, ამათგანი წონი დრამისა თორმეტ-თორმეტისა და ცვილი, წონ[ი] დრამისა სამოცდაათისა და ამურთისა თესლი, წონი დრამისა შუდიისა და გომიზი ფიჭუისა, წონი დრამისა თორმეტისა და ზროხისა ცმელი გამდნარი, წონი დრამისა ოცდაათისა. დანაყენ ესე წამალნი და გაცრენ და გააღნო ცვილი და ცმელი და მარზანგოში. ეგრე ჩაურთო და ალატროსა ზეთი რაზომ კმა იყოს 30 117r || და ეგრევე იწამლო, სარგებელ ეყოს, ნებითა ღმერთისათა. ||

ლუიძლისა სიმსივნისა.

ნიშანი ლიდიმედისა, რომელსა ჰრქუიან ბაღნდაროს ერგების ტკივილსა ლუიძლისასა, სიმსივნესა და სიმაგრესა მისსა და ღუბელსა 35 და სიუსუსურესა სტომაქისასა და მისსივე სიმსივნესა და საშოთა ტკივილსა, როდეს იცხოს გარეგნით და მატყლითა ქუედიდამართ შეიღვას. საჩინოთა რგებითა ერგების, ნებითა ღმერთისათა.



ა ი ღ ე: ზაფრანი, წონი დრამისა ათისა და მუკლი და მასტაქი და ვაშვი და საბრი არაბი და კუჭუმბრა ნედლი, ამათგანი წონი დრამისა შუიდ-შუიდისა და ცვილი, წონი დრამისა ოცდაათისა და ცრემლი ღერღედისა, წონი დრამისა თორმეტისა და ზოფვა, წონი დრამისა ათისა. დანაყენ ესე წამალნი და ცმელი და ცუილი გაადნევი. ესე წამლები ყველაი ძუელისა ღუნისა თანა ჩაურთო და ერთგან შეარივნე, ნარდისა ზეთთანა ჩაურთო, რაზომი ეყოფოდეს და ეგრე იკურნოს ზედა შედებით, ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

5

მისთვისვე

ნიშანი ლიდიმედისა ისტიმტიკონისა. ერგების სიმსივნესა ღუიძლისისა, წაკიდებულსა და მოსუსტრებულსა სტომაქსა და ღუიძლსა, ნებითა ღმრთისათა.

10

ა ი ღ ე: ზაფრანი და საბრი, ორისაგანვე წონი თუითო დრამისა მასტაქი, წონი დრამისა სამისა და აფსინდი, წონი დრამისა ორისა და სუმბული, წონი დრამისა და ნახევრისა და ცუილი, წონი დრამისა შუიდისა. დანაყენ ესე წამალნი, რომელნი კმელნი არიან და გაცრნე და გაადნო ცუილი ნარდისა ზეთითა || და მით შეზილო და ეგრე შეჰქმნა და იკურნოს ნებითა ღმრთისათა.

15

v

ღუიძლისა სიმსივნისა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, რომელი შეჰქმნების აქლილამე-ლიქითა ერგების სიმსივნესა მუცლისასა და რომლისადა ღუიძლისა, შეზავებულობა გარყუნილიყოს, ერგოს შეწვევითა ღმრთისათა.

20

ა ი ღ ე: სუმბული ბერძული და სუმბული ტიბი, ამათგანი წონი დრამისა ექუს-ექუხისა და სუდი და კორდმანა და მური და ქუშტი, ამათგანი წონი დრამისა შუიდ-შუიდისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრნე და ნარდისა ზეთითა შეზილნე და იკურნოს და სარგებელ იყოს, თუ ღმერთსა უნდეს.

25

სტომაქსათვის

ნიშანი ლიდიმედისა აფსინდისა ერგების სტომაქსისა ტკივილსა და სიმსივნესა მისსა, ნებითა ღმრთისათა.

30

ა ი ღ ე: აფსინდი და მასტაქი და საბრი და ლადანი და შაშპრამი; ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და ცუილი, წონი ათისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დასცრნე და გაადგინო ცუილი ნარდისა ზეთითა, რაზომი ეყოფოდეს. ესე წამალნი ჩაურთნე, იწამლო, თუ ღმერთსა [უნდეს].

35

201



სტომაქისა და მუცლისა

ნიშანი ლიმფედისა დანასკუდისა, რომელი სტომაქისა და მუცელსა და რომელი წელთა შიგან მგრწინვალობა იყოს და საჭამადსა ვერა დაიჭირვიდეს და უღნობელსა გავიდოდეს, ნებითა ღმრთისათა.

5 აიღე: პაქსიმადი კმელი, ძმრითა დამბალი, წონი დრამისა ოცდაათისა და აფსინდი წონი ხუთისა დრამისა და მასტაქი და მური, წონი[ი] დრამისა ოთხისა, კაკია და ულდულდი და ვარდი 10 კმელი და ზაფრანა, ამათგანი დრამისა ხუთ-ხუთისა და საბრი 118r II და ლადანი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და ცუილი თეთრი, წონი დრამისა ოცდაათისა და ლერწამი ძირასა, წონი დრამისა ოთხისა დანასკუდი შავი თუალვით ოცი მარცული და ესე წამალნი, რომელნი კმელნია, დანაყნე და დასცრნე და იგი პური დანასკუდი დანაყნე და შროშანისა სასუმელითა გაადგინო. ცუილი 15 ნარდისა ზეთითა გაადგინო და სხუანი ესე წამალნი შეპრიენე და იწამლო, თუ ღმერთსა უნდეს.

ფარკთა სიმინვისათუის და მუკლთა ტანისა. შენადგამთა ტანისა, და ნიკრისისა

20 ნიშანი ლიმფედისა სხუისა, რომელი სკორითა ზროხათათა შეიქმნების და ერგების ტკივილსა შენადგამთასა და ტეხასა მუკლთასა გასივებულთასა და წყლითაცა მაკეთა ერგების, მუცელსა შეიდვან, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: წუნწუბა, წონი დრამისა ათისა და ჰულაბი, წონი დრამისა ოცისა და ზროხათა სკორე კმელი, წონი დრამისა ასისა. 25 ესე ყოველი კიდეს კიდე დანაყო, დასცრა და ძმრითა გაადგინო და შესდვა მუცელსა და ვითა შეჭკმებოდეს, ძმრითა დაასოვლებდეთ და ზედა შეუმატებდეთ. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

მისთუისვე

30 ნიშანი ლიმფედისა, რომელი ნიკრისიანთა ერგების საჩინოდ, ნებითა ღმრთისათა.

ესე შეჭკმენ. ლეკუი ძალისა მრთელი და კუ დიდი ესე ქოთანსა ჩასდგნე და ბერძულითა ზეთითა აავსნე. რომელ ზედა მოექცეს და ზედა დააბურო ქოთანი და ადულო, ვირემ დაჩულებს და მერმე დასწურო და ჭურჭელსა ჩასხა და მერმე, როდეს გიკმდეს, მატყლი დაასოვლო და მტკივანსა ფერკსა ზედა დასდვა და შეუხუთო, კეკელი[ა] არს და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.



- ნიშანი ლ[ი]დიმედისა || ერგების ნიკრისა, ტკივილსა მუტლ-
 თასა მკურვალსა, დააყუდებს ტკივილსა, თუ ღმერთსა უნდეს.
 ა ი ლ ე: ბაზარკატონა, წონი დრამისა ოცისა, დაალბო წყლითა
 ღამესა ერთსა და ხატმი თეთრი, წონი დრამისა ათისა და ია 5
 კმელი, წონი დრამისა ხუთისა და ქერისა ფქული დაცრილი, წო-
 ნი დრამისა ათისა. ესე კმელნი წამალნი დანაყნე, დაცრნე და
 წყლითა შეზილნე და ჩაურთე თანა ბაზარკატონა და ჩასხა ზედა
 ათისა დრამისა წონი ვარდისა ზეთი და შეურთო კეკელად და შესდვა
 გარე კელთა და ფერკთა და ესე ერგების და გამოცდილი არს, ნე- 10
 ბითა ღმრთისათა.

მისთვის

- ნიშანი ლ[ი]დიმედისა სხუისა, ერგების მუტლისა ნიკრისისა
 უფალთა, თუ ღმერთსა უნდეს.
 ა ი ლ ე: მალათისა და ხატმისა თეთრისა ძირი და ბაზარკატონა
 და ქერისა ფქული და სურინჯანი, ამათგანი სწორი წონით. და- 15
 ნაყნე ესე წამალნი, დასცრნე და კუერცხისა გულითა შეზილნე და
 ვარდისა ზეთითა მოურთივო კეკელად და გარე შესდვა კელსა და
 ფერკსა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

მისთვის

- ნიშანი ლ[ი]დიმედისა სხუისა. ერგების ტკივილსა ნიკრისი- 20
 სსა, შემაპირვებელსა, რომელ ტკივილი არა დასცხრებოდეს ღლით
 და ღამით და მისი უფალი დატანჯულიყოს, ბრძანებითა ღმრთი-
 სათა.
 ა ი ლ ე: მალათისა ძირი და ბაზარკატონა და ყრდელისა თესლი
 და ხატმი თეთრი და ქერისა ფქული და სურინჯანი, ამათგანი || 119 r
 სწორი წონი და აფიონი, წონი დრამისა. შეკრიბენ ყოველნი ესე, 25
 დანაყნე, დაცრენ და ყრდელისა წყლითა შეზილო და შესვა. გარე
 კელსა და ანუ ფერკსა, დაუყუდებს ტკივილსა მესტქუესევე.

მისთვის

- ნიშანი ლიდიმედისა სხუისა ნიკრისისათვის. ერგების და გა- 25
 მოცდილი არს ტკივილისათვის და სარგებლისა არს, ვინ გამოცა-
 დოს, მადრიელ იყოს, თუ ღმერთსა უნდეს.
 ა ი ლ ე: კუფთი, რომელ არს წითლისა სანდლისა მარცხული და



მაღათისა და ყრდელისა თესლი და მამლაისა გამაწურებელი და
 თიჯა ბერძული და კაკია და აფიონი, ამათგანი სწინა წინა და
 ნაყენ ესე ყოველნი, დასცრნე და ქინძისა წყლითა შეზილნე, რომელ
 თხელისა თაფრისა ზომად შექმნას და მოურთო კეკელად და ფრთი-
 5 თა სცხო ფერკსა და კელსა, გადებულად იპყრას, რომელი ჰქაერი
 ეცემოდეს და ვითა გაკმებოდეს, ურთვიდე წამვლსა, კეკელაა და
 გამოცდილი, და დაუყუდებს ნებითა ღმრთისათა.

მისთვისვე

10 **ნიშანი ლქიდამედისა სხუისა.** ერგების ტკივილსა ნიკრისისა-
 სა და შენადგამათსა და ერგების ტკივილსა ერკანასესასა და ფიც-
 ხელსა ტკივილსა მისსა და ყოველთა ადგილთა, რომელთა შინა
 იყოს ტკივილი და ტეხა ფიცხელი ოდეს დასდვა ამის წამლისაგანი,
 მისა ათისა. შეკრიბნე ყოველნი წამალნი, დანაყენ ჰქავანთა კეკე-
 15 დაუყუდებს ტკივილსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: პაქსიმადი, წონი ათისა დრამისა. თუ პაქსიმადი არა
 V იყოს, დაყოფს მისსა ორადგილსა პური ჩრდილსა გამკმარი. დანა-
 ყო კეკელად და მერმე დაასხა ზედა სძე, წონი დრამისა ოცისა და
 ჩაურთო, ვირემ ჯერეთ ავანთა შიგან იყოს, დრამისა წონი ზაფრანი
 და დრამისა წონი აფიონი და დანჯისა წონი ქაფური. დანაყენ ყო-
 ველნი კეკელად და ვარდისა წყლითა შეზილნე და სცხო კელსა და
 20 ფერკსა, დაუყუდებს ტკივილს მუსთქუესვე, ნებითა ღმრთისათა.

მისთვისვე

ნიშანი ლიდამედისა ერგების ყუერთა გასივებულთა და კუერ-
 ცხთა, რომელი იყოს შიგან სიმსივნე და სიწითლე და გააფიცხე-
 ბოდეს ტკივილი და ტეხა, ნებითა ღმრთისათა.

25 აიღე ზიბბი მსუქანი კეკელა, წითელი გურკისაგან გამორჩე-
 ული, წონი დრამისა ოცისა და ცმელი ვაცისა თირკუმელთა; წონი
 ოცისა დრამისა და კანდური გაქურცნილი, შემბალი, წონი დრა-
 მისა ათისა. შეკრიბნე ყოველნი წამალნი, დანაყენ ჰქავანთა კეკე-
 ლად, რომელ შეიქმნას ვითა მარამი და ჩაურთო ზედა სამისა კუერ-
 30 ცხისა გული. ათისა დრამისა წონი. დანაყო ჰქავანთა შიგან და
 გაურთო კეკელად და მერმე შესდვა ყუერთა გარე და შეუხუიო და
 ერგოს, ნებითა ღმრთისათა.

ყუართა ტკივილისათვის

ნიშანი ლქიდამედისა ერგების ტკივილსა ყუერთასა და სიმ-
 სივნეს მისსა და ტეხასა ფიცხელსა შემთხუეულსა მას შინა და იწ-
 35 მარო ესე ლქიდამედი, როდესცა კმდეს სიმსივნისათვის ყუერთასა,
 თუ ღმერთსა უნდეს.



აიღე: ქანდლური გაქურცნილი და შეაგბო, || ვირემ დაჩუ-
 ლეს და მერმე გამოიღო წყლისაგან და ავანთა ჩასდვა და ათისა
 დრამისა წონი ზეთი. ზედა ჩაურთო იისა დანაყო კეკელად, რო-
 მელ შეიქმნას მარამისა მსგავსად და შესდვა ზედა მტკივანსა ად-
 გილსა, კეკელ[ი]ა და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

120
5

მისთვისავე

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, რომელსა ჰრქუიან ფატამირონი. ერგების
 ტკივილსა ყუერთასა და სიმსივნესა ყუერთასათა და ბუშტისასა და
 სისწითლესა შემთხუეულსა ასოთა გასივებულთასა, ნებითა ღმრთი-
 სათა.

აიღე: მასტაქი, წონი ოცისა დრამისა დააგალო და გადგინო
 ათისა დრამისა წონითა ვარდისა ზეთითა და მერმე აიღე ღორისა
 ცმელი, წონი ოცისა დრამისა და ამათ ყოველთა წონი ცვილი
 ჰყო და გაადგინე და მას მასტაქსა თანა შეურთნე გამდნარისა
 ყოველნი ვარდისა ზეთითა და შეჰრივნე კეკელად და იჰმარო, ვითა
 ნიშანი მიგუიცივია და ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

10
15

გუარდითა სიმსივნისათვის

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების ყოველთა სიმსივნეთა შემთხუ-
 ეულთა გუერდთასა და შეკლბობს ღუბელასა და ჰრქუიან მათათინი,
 ნებითა ღმრთისათა.

აიღე: შამბალითი და ქანდლური გაქურცნილი და ბაბუნაჯი და
 ქალბანა და აბალღარი, ამათგანი წონი ათ-ათისა დრამისა და
 სუმბული, წონი ოთხისა დრამისა და სალიხა წონი ექუსისა დრამი-
 სა და ცვილი, წონი ოცისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, რო-
 მელ ჯმელნი არიან, ძმრითა შეზილნე || და იჰმარო სიმსივნე-
 თათუის, რომელ გუიქსენებთან, ერგების ნებითა [ღმრთისათა].

20
v

ნიშანი ლ[ი]დიმედისა. ერგების ღუბელთა დედათასა შემთხუე-
 ულთა, ნებითა ღმრთისათა.

25

აიღე: სელისა თესლი და შამბალითი, წონი დრამისა ათ-ათისა
 და ფისი, რომელ არს გომიზი ფიჭუისა და ძივითი, ამათგანი წონი
 დრამისა რვა-რვისა აქლალმელიქი, წონი ოთხისა დრამისა და ხენ-
 დროსი თეთრი, წონი ექუსისა დრამისა და მუკლიეჰუდი, წონი
 ოთხისა დრამისა და ვაშვი, წონი თხუთმეტისა დრამისა და ცვი-
 ლი, წონი ორმოცისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი, რომელნი
 ჯმელნი არიან და გაადგინო ცუისი ნარდისა ზეთითა და შეჰრივ-
 ნე და გარე შესდვა ზურგსა და უპესა და ახლაით დაიჭიროს სარ-
 ცხუენელსა ამის ლიდიმედისაგანი ფრთილისა მსგავსად, კეკელ[ი]ა
 და გამოცდილი, და ერგოს ნებითა ღმრთისათა.

30
35



ნიშანი ლ[ი]დომედისა ქუნჯითისა, რომელ არს შემალბორებელი სიმსივნეთა დიადთა და სტომაქსა გასივებულსა, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

5 აიღე: კუჭუმბრა, წონი ათისა ღრამისა და ქუნჯითისა ზეთი, წონი ოცისა ღრამისა და მცირედი წყალი და აღულო ცეცხლთა ზედა და ჩააყარო ზედა ათისა ღრამისა წონი სელისა თესლი და შამბალითი, ორივე დანაყილი და შეპრ[ი]ვენე კეკელად და იხმარნე. კეკელ[ი]ა არს, ნებითა ღმრთისათა.

10 მჯდომის განათებისა

ნიშანი ლ[ი]დომედისა. დაამწიფებს სიმსივნეთა დიადთა და გაა-
121r ხუმს || და დაყოფს რკინისა ადგილთა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: მარილი და ბავრუკი და სკინტლი ტრედისა და ქათ-
მისა მამლისა და ბამბასა გურკისა გული. ესე წამლები შეპკრიბო,
15 დანაყო და ბერძულითა ზეთითა პურისა ცომსა შეპზილო და მას მსივანსა ზედა დასდვა, გინა მჯდომსა, რომელსა გახეთქასა ჰლა-
მობდღე და გამოიღოს მანკი და ერგოს[ს], თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი ლ[ი]დომედისა, გახეთქს სიმსივნესა და მჯდომსა მწიფე-
სა, რომლისა პირისა გაღება გინდეს, ნებითა ღმრთისათა.

20 აიღე: ჯარჯი ნედლი და კალნაბი და შეაგბო ორივე და ვითა დაჩუღეს ჰ[ა]ევანთა, ჩასდვა და დანაყო და ბავრუკი ჩაუტოო მცირე და ამოიღე და ერბოთა ხავიწად შეპქმნა და ცხელი დასდვა მას მსივანსა ეგრე, ვითა რკინა გახეთქს და გამოიღებს მანკსა, თუ ღმერთსა უნდეს.

25 ნიშანი ლ[ი]დომედისა, რომელი ღუბელსა გახეთქს და რომელი გუერდსა შინა იყოს და სიმსივნესა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ლელუი თეთრი, კეკელ[ი]ა, რაზომი გინდეს და შეაგბო წყლითა კეკელად და ზედა ჩაუტოო კალნაბისა ფურცლისა წყალი და აღულო და მერმე ავანთა ჩასდვა. დანაყო ესე ზომად, რომელ
30 ვითა მარამი შეპქნა და სამისა ღრამისა წონი ვაჟი და ორისა ღრამისა წონი ბავრუკი და სამისა ღრამისა წონი ტრედისა სკინტ-
ლი. ესე ყოველი დანაყო და მას ლელუსა თანა ჩაუტოო და ოცისა ღრამისა წონი ფურთა ერბო ჩაუტოო და მას ადგილსა ზედა შეს-
35 დვა, სად სტკიოდეს და უსივდეს, პირი მისი გააღოს. ერგების,
v თუ [ღმერთსა უნდეს]. ||

შაღლისა და ღორთაღლისათვის.

ნიშანი ლიდომედისა ერგების ნასურსა, რომელი შეიქმნების ტანსა შიგან და ღორთელთა, რომელნი შეიქმნებიან ყელსა, გა-
რე ჩნდენ, ნებითა ღმრთისათა.



აიღე: კალნაბისა ძირი და დასწუა ეგზომად, რომელ დანაყ[ვს] ერგებოდეს და ძივთი რკინისა და ცეცხლითა გააღწე და იგი და-
ნაყოი კალნაბი ჩაურთე ეგზომი, რომელ მარამისა ზომი შეიქმნას
და მცირედი ღორისა ცმელი ჩაურთე და ნასურსა ზედა დასდვა
და ღორთელსა და გამოიღებს მანკსა და გასწმედს და გაამრთე-
ლებს, თუ ღმერთსა უნდეს.

5

მადისათვის

ნიშანი ლიდიმედისა, რომელი შეიქმნების კაცისა ქედსა ზედა
და გააღწობს სიმსივნეს მისსა და გაამრთელებს, თუ ღმერთსა უნ-
დეს.

10

აიღე: სელისა თესლი და ჰულბასა თესლი და თეთრი, ხატმი
ესე ყოველი კიდეს კიდე დანაყო და მერმე ერთგან შეჰკრიბნე და
ღერღედისა ცმელი და ჯარისა წუივისა ტუინი და ღორისა ცმელი
და ცუილი, ამათგანი წონი დრამისა ხუთ-ხუთისა, ერთგან გააღვი-
ნო და იგი დანაყოი წამალი კუერცხისა გულითა შესუარო და
ცმელი თანა ჩაურთო და ღორთელთა ზედა დასდვა, სიმსივნე მისი
დააღწოს და ტკივილი წაუღოს თუ ღმერთსა უნდეს.

15

ძარღვთა შეღრეკილათათვის

ნიშანი ლიდიმედისა რომელი ერგების კმელთა და შეღრეკილ-
თა და ერგების, ვის კმელი ჭეულა იყოს და სიმქისესა მკერდისა
შიგნით და ყოველსა სიმსივნესა გასრულებულსა, თუ ღმერთსა
უნებს.

20

აიღე: ცუილი ერთი ნაწილი და ჯარის ცმელი ორი ნაწილი
და ჯარისა წუივისა ტუინი ერთი ნაწილი და ფურთა ერბო ძუელი
სამი ნაწ || ილი[ი] და ვ[ა]ლი ქალბუტობი ერთი ნაწილი. ესე ყოველი
შეჰკრიბენ და გააღწო ერთგან და, რომელნი ადგილნი ზემო დაგუიწე-
რიან, მათ ზედა დასდვა, ერგების ამათ საღმობათა, კეკელ[ია] და
სარგებლისა ნებითა ღმრთისათა.

122r

25

მუცლისა და ჰუბრთა ტკივილისათვის

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების მუცლისა წყლულებასა და ყუ-
ერთასა, რომელ წელნი გამოვიდოდიან ფუშად, ნებითა ღმრთი-
სათა.

30

აიღე: გუნდრუკი და ანზაროთი, წონი დრამისა შუიდ-შუი-
დისა და თევზისა წებო, წონი დრამისა თხუთმეტისა და გააღწო
წებო წყლითა და ადულო კეკელად და მერმე იგი წამალნი თანა

35



შეპერთნე და კაცი, რომელი ფუშსხმული იყოს, პირადმართალი და აწვინე და წელნი შედმართ შეუკრფნე და ესე წამალი ზედა სცნო და ბანბა ზედა დააკრა და მუნამდე წვეს, ვირემ წამალი ზედა შეკმეს და ესე წამალი მუნამდე არა აკადო, ვირემ თუით არა აეხადოს, კეკელ[ია] და გამოცდილი და ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

უშართა სიმსივნისათვის

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების სიმსივნესა ყუერთასა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: ქაქნაჩისა ფურცელი, რომელ არს გუელისა ყურძენი, კენაჭთა შიგან ამოვა და ქერისა ფქუილი, ამათ ორთავე სწორი წონით და ძმრითა დანაყო და კუერცხითა შეზილო და მცირედ ვარდისა ზეთი ურთო და ზედა დასდვა, თუ ღმერთსა უნდა.

სტომაქისათვის

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, რომელ შეიქნების ისრ[ი]მითა, შეიქმნების, ვითა ყურძენი გამოჩნდეს წურბილი. ერგების გაქსნასა სტომაქისასა უსუსურისასა, ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: კაკია და ლადანი და || გუნდრუკი და მასტაქ[ი] და ზაფრანი და თუთუბა, ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ორ-ორისა და პაქსიმანდი ბერძული, წონი დრამისა ათისა და მურტისა ფურცელი ხიასამფარი და მურტისა თესლი და შაშპრამი და ვარდი კმელი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა პისრიმისაგანი, რომელ გუითქუამს, წონი დრამისა ოცისა. ესე ყოველი შეპკრიბო და შეკრებული დანაყო და ძმრითა შეზილო და შეზელისა უკანასკნაევანთა დანაყო კშირად და ქაფური ჩაურთე, წონი დანგისა ერთისა და ვარდისა ზეთი, წონი დრამისა ათისა, კეკელ[ია] და გამოცდილი და ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

მუცლისა შეპკრისა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, რომელი ერგების გაქსნასა, შეკმუხავს სტომაქსა და შეპკრავს მუცელსა, რომელ მნტად ავლებდეს ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: ვარდი კმელი და შაბიამენი და გუნდა მწუანე და კაკია და ლადანი, ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა და თუთუბა, წონი დრამისა ოცდაათისა, კუქუმბრა და ჯულანარი, რომელ არს ბროწეულისა ყუავილი და აფსინდისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა ოთხ-ოთხისა და ძვითი და ცუილი, წონი დრამისა რვა-რვისა.



მურტისა ზეთი, წონი დრამისა ოცდაათისა. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და ძუელითა ერბოთა შეზილნე და მერმე ძივთი და ცუილი მით ზეთითა გაადნვენ და ერთგან შეზილო და მოურთიო კშირად და სტომაქსა ზედა დასდვა და მუცელსა და ერგოს, თუ 123r
 ღმერთსა უნდეს. || 5

სომამისა და მუცლისა კსნილობისა

ნიშანი ლიდიმედისა ლადანისა, რომელი ერგების სტომაქისა ტკივილსა და მუცლისა კსნილობასა და როდეს ჭიპსა ქუეშე იცხოს, მუსთაქუესვე კსნილობასა დაუშუებს, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ლადანი, წონი დრამისა ათისა და კაკი, წონი დრამისა და ცუილი, წონი დრამისა ოცისა. ესე ყოველი დანაყო და ლადანი ძუელითა ღუინითა გაადგინო და ცუილი დაადნო ოცისა დრამისა მურტისა ზეთითა. ესე წამალნი ჩაურთენ და მოურთიო კშირად, მუცელსა და სტომაქსა დაიდვას და ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი ლიდიმედისა ერგების თხევასა ფიცხელსა, რომელ საჭამადი და სასუამადი არა დაადგრებოდეს სტომაქსა მისსა შიგან. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: დანასკუდი შავი გურკისაგან გამორჩეული, წონი დრამისა ორმოცდაათისა და აფსინდი და ვარდი და საბრი, ამთგანი წონი დრამისა ხუთ-ხუთისა. ესე წამალნი კმელნი დანაყენ და დანასკუდსა შეურთნე და ავანთა შიგან ჩასდვა და ზედა მცირედი ღუინო აპკურო და მანამდეს ნაყე, რომელ ვითა მარამი შეიქმნას და დასდვა სტომაქსა და მუცელსა და მჩურთითა შეუხუივე, ერგოს ნებითა ღმერთისათა.

მაშისა მოვნებისა

ნიშანი ლიდიმედისა ერგების დედათა, რომელთა ეშინოდეს ყრმისა ვნებისაგან და ამას წამალსა პრქუიან სამჭირავი ყრმათა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ჯულანარი და აფსინდი და რამაქსუქი ურღვთ და გუნდა და საბრი არაბი და შაბიქამენი || და მურტი კმელი ამის ყოვლისაგანი წონი დრამისა ხუთ-ხუთისა. დანაყენ, დასცრენ და დანასკუდი შავი გურკისაგან გარჩეული, წონი დრამისა ოცდაათისა და ავანთა ჩასდვა და გუნდისა წყალი აპკურე ზედა და ესე წამალნი თანა ჩაურთენ, დანაყენ კშირად და ნარდისა ზეთი თანა ჩაურთე, წონი დრამისა ათისა და მუცელსა ზედა დასდვა, კეკელისა და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

14. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი.



შეპყრობისა და ფაწალისა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ლედუსისა, რომელი ერგებს სკანდინავიისა და ფაწალასა, შეწენითა ღმრთისათა.

- 5 ა ი ღ ე : მუკლი და ვაში და კადურისა ფქუილი და ჭუიშნასა ფქუილი და აქილაღმელაქი და სელისა თესლი და ბაბუნაჯი და ცერეცო კმელი და თურმიზისა ფქუილი, ამათგანი წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა და ლედუი თუალვითა იცი, კეკელ[ი]ა. ესე კმელები წამლები დანაყო და დასცრა და მერმე იგი ლედუიები დანაყო და ზედა ძმარი აპკურო და ესე წამალნი თანა ჩაურთნე და თუ ძმარი აკლდეს, უმატე და მოურთივე და გაათბე და ტფილტფილი ფაწალ-სა ზედა დასდვა, ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

ფაწალისა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, რომელ ერგების ფაწალასა გასივებულ-სა და მუცელსა, ნებითა ღმრთისათა.

- 15 ა ი ღ ე : მუკლი და ვაში და გუნდრუკი, ამათგანი წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა. დააღბნე ესე ძმრითა ცხარითა, ვირე გათხელდეს და ფაწალასა ზედა სცხე და ზედა ბამბა დააკარი, კეკელია და გა-
124r მოცილილი, ნებითა ღმრთისათა. ||

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, მისთუისვე, თუ ღმერთსა უნდეს.

- 20 ა ი ღ ე : მდოგუ[ი], წონი ღრამისა ხუთისა, დანაყო, დასცრა და ვაში, წონი ღრამისა რვისა. ვაში გაადგინო ჰ[ა]ვანთა შიგან ძმრითა და იგი დანაყოი მდოგუ[ი] თანა ჩაურთო და მოურთივო კეკელად და ფაწალასა ზედა სცხო ორსა ჟამსა ანუ სამსა დღესასა ზედა უტეგო და მერმე აჯადო. დიდად ფიცხელია და გააღნობს
25 სიმსივნესა ფაწალისასა, ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი ლ[ი]დიმედისა, მისთუისვე, ნებითა ღმრთისათა.

- 30 ა ი ღ ე : ვაში და მასტაქი და გუნდრუკი და მარილი, ამათგანი სწორი წონი დანაყო და კალნაზისა წყლითა შეზილო და ფაწალ-სა ზედა დასდვა და ბამბა დააკრა ზედა, ერგოს ნებითა ღმრთი-სათა.

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების სიმსივნესა მკურვალსა ლუიძ-ლისათა და ვის თანა ცხრო იყოს და კუელა და ერგების ესე წა-მალი ჭაბუკთა და ვის შავსა იყოს სისხლისაგან ანუ კუერცხისა გულისა ნავდელისაგან, თუ ღმერთსა უნდეს.

- 35 ა ი ღ ე : ვარდი წითელი, წონი ღრამისა ექუსისა და ზაფრანი, წონი ღრამისა ერთისა და სანდალი წითელი, წონი ღრამისა ოთხ-ოთხისა და ხატმი თეთრი და ქერისა ფქუილი, წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა და ქაფური, წონი ნახევარ ღრამისა, შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და კამასა წყლითა შეზილნე ნედლისათა.



თუ კამა არ იყოს, ვარდისა წყლითა და მერმე ცვილი დაადნო, წონი დრამისა ათისა და ვარდისა ზეთითა, წონითა დრამისა ოცისათა || და ესე სხუანი წამალნი თანა შეჰკრივენ, გაატფო და ქარტასა ზედა გააბრტყელო და ლუიძლსა ზედა დასდვა, კეკელია და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

v
5

ღუიძლის სიმკურვალისა.

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების ღუიძლისა მტკივანსა სიმკურვალისაგან და შავასასა, რომელი სიმკურვალისაგან წაეკიდების და, რომელთა როდეს იტუელდენ და ეყენდენ ნესუტნი და სული შეუმოკლდეს, ნებითა ღმრთისათა.

10

ა იღე: ია კმელი და ვარდი კმელი, წითელი და სანდალი თეთრი და სანდალი წითელი და კუფლი და ხატმი თეთრი და ბაბუნაჯი, ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ზაფრანი, წონი დრამისა ერთისა და ქაფური, წონი დანგისა ერთისა. ესე თანა ჩაურთე და ცუილი თეთრი, წონი დრამისა ათისა. ვარდისა ზეთითა, ოცისა დრამისა წონითა, დაადნო, ანუ იისა ზეთითა, და ესე წამალნი თანა შეურთნე და ღუიძლზედა დასდვა და შეუხუივე. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

15

ცხროსა და თავის აკივილისათვის.

20

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების სიმკურვალისა და მწველსა და რომლისა თავისა ტკივილი არა დასცხრებოდეს და არა დაეძინებოდეს ბრძანებითა ღმრთისათა.

ა იღე: ბოსტნისა ყრდელისა თესლი და ნეძბისა თესლი, ამათგანი წონი დრამისა ათ-ათისა და ხატმა თეთრი, დრამისა რვისა წონი და ია კმელი და ბაბუნაჯი წონი დრამისა ხუთ ხუთისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ, დაცრენ და ძმრითა შეზილნე და იისა ზეთითა გაადგინო ანუ || ვარდისათა და ქარტასა ზედა გააბრტყელო და შუბლსა ყოველგან შესდვა და შეუხუიო. კეკელად ერგო, თუ ღმერთსა [უნდეს].

25

125r

30

თავის აკივილისათვის და ვერ აკივიწვაღს

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების თავისა ტკივილსა ფიცხელსა და რომელი ვერა დაიძინებდეს ლაშითვე. კეკელია და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: ბოსტნისა ყრდელი ნეღლი, ძმრითა შეჰკებო. მერმე ყრდელისა თესლი და ლემისა თესლი თეთრი და სანდალი თეთრი, ამათგანი წონი დრამისა ორ-ორისა და ზატმი თეთრი, წონი დრა-

35



მისა ხუთისა და ქერისა ფქუილი, წონი ღრამისა ათისა: დანაყენ
 ესე წამალნი, დაცრენ და მერმე იგი ყრდელი შემგზარს დანაყრ
 კიდეს და ესე წამალნი დაცრილნი თანა შეჰრიენე და ათისა ღრამისა
 5 წონი იისა ზეთი ჩაურთო ანუ ვარდისა და მერმე ქარტასა
 ზედა გააფინო და თავსა შესდვა ყოველგან და თხელთა მჩურითა
 შეუხვიო ლბილად. კეკელ[ია] და გამოცდილი, ერგების ნებითა
 10 ღმრთისათა. და ესე წამალი კეკელ[ია] და გამოცდილ კმარებულ-
 თა ამა საღმობათა ზედა, ნებითა ღმრთისათა.

თავისა და წარმონისა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების ყოველთა ტკივილთა თავისა-
 გან და რომელ თელგმისაგან იყოს და რომელი ცნობასა მისრუ-
 ლიყოს და წარეგდეს და ვის ბრუესხმოდეს და ცნობასა მიჰვიდო-
 15 დეს და ყოველთა თავისა ტკივილთა ძუელთა, რომელ საფეთქელთა
 ტკივილი არა დაელოდეს, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: შაქარი, წონი ღრამისა ოცდაათისა ანუ თაფლი, წონი
 5 ღრამისა ორმოცდაათისა. || წყალი ზედა გარდაასხას, თანგირავთა ანუ
 ქოთანსა ჩაასხა და ნელთა ცეცხლთა ზედა დასდვა და პური, სი-
 20 მიდი ანუ ფქუილი, წონი ღრამისა ოცდაათისა და ესე წამალნი,
 რომელ დამიწერიან, ჩაურთო: ბაბუნაჯი, წონი ღრამისა ათისა
 და აქილაღმელიქი, წონი ღრამისა ხუთისა და მარხანჯოში, წონი
 ღრამისა სამისა. ესე წამალნი ყოველნი დანაყილნი, დაცრილნი
 მაშინ ჩაურთნე, როდეს ქოთანი ცეცხლთა ზედა დგეს და ოცდა-
 25 ათისა ღრამისა წონი ხრისაქუფისა ზეთი ჩაურთე თუ ჰპოვო და
 თუ არა, ნუშისა ტკბილისა ზეთი ანუ ფურთა ერბო და მოურივე
 კეკელად და გააბრტყელე ქარტასა ზედა ანუ ყრდელისა ფურცელსა
 და თავსა ზედა დაასდვა ტფილი და ამას უწინა ამა თივათა შემ-
 30 გბართა წყალი გაესხას თავსა ზედა ბაბუნაჯისა კანისმისა და და-
 ჯადაისა და როდეს ამა თივათა წყალი გაესხას, მას უკანის ესე
 წამალი დასდვა თავსა. მარგებელია და გამოცდილი ამათ საღმო-
 ბათა, რომელ ზემო დაგუიწერიან, ერგოს თუ ღმერთსა [უნდეს].

ძარღუთსთის შემაუთილთა და შემკმართა

ნიშანი ლ[ი]დიმედისა ერგების წაკუთეილთა ძარღუთა მახუ-
 35 ილითა, რომელნი შეგმარ[ი]ყუნენ წყლულობითა და სიმსივნესა
 მაგარსა, რომლისა გაქარგება გინდეს და ესე წამალი მალმობელ
 არს საკუირველად ძარღუთა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: ნიშასტაკი დიკისა, წონი ღრამისა ოცდაათისა. დანაყო
 40 და დასცრა და კიდე დასდვა და მერმე ღორისა ცმელი გამდნარი
 126r და || კარისა წუივისა ტუინი და ღუმა გამდნარი, ამათვანი წონი
 ღრამისა ორმოც-ორმოცისა და სძე ღრამისა ორმოცდაათისა წონი.



ესე ყოველი მას ნიშანსტაკსა ჩაუტოო და ცეცხლსა ზედა დასდეს და აღულო მუნამდეს, ვირემ შესქედდეს და მას ადგილსა, რომელსა ჰქურნებდეს, ტფილი წყალი მუნამდეს ასხა, ვირემ გაუჭურდეს და ესე ეგრე სცხო მრავალჯერ, დაუღბობს შეწეწენითა ღმრთისათა.

5

მაღლით ჩამოჭრილისა

ნიშანი ლქიდიმედისა ერგების მაღლისა ადგილისაგან ჩამოჭრილსა და ღუიძლსა და ფაწალასა იტკივნებდეს, სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ჰაბალარი და შაშპრამი და სეღისა თესლი და მარვი-სა თესლი, ამათგანი წონი ღრამისა სამ-სამისა, ქერისა ფქვილი და ხატმი თეთრი, ამათგანი წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა და ვარდი დანაყილი და სანდალ თეთრი, ამათგანი წონი ღრამისა ორ-ორისა. დანაყენ ესე წამალნი და დაცრნე და ნელტფილითა წყლითა შე-ზილნე და მერმე ათისა ღრამისა წონი ცუილი ოცდაათისა ქუნჯი-თითა. გაადნო ესე წამალნი და იგი შეჰრიგნე და მოურიო და მტკივანსა ადგილსა დასდვა. ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს.

10

15

ამოვარდნილისა და გატეხილისა

ნიშანი ლქიდიმედისა ამორდომილისათა და გატეხილთა გუერ-დთა და გატეხილთა თითთა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: საბრი და მური და კაკია, ამათგანი წონი ღრამისა ათ-ათისა და მალათი, წონი ღრამისა რვისა და გუნდრუქისა ქერ-ქი და ანძაროთი და შაბი, ამათგანი წონი ღრამისა ხუთ-ხუთისა. დანაყენ და დაცრენ მტკიცითა || საცრითა. დამარხო ესე წამალი და როდეს გიქმდეს კუერცხისა თეთრითა შეზილო და მტკივანსა ადგილსა ზედა დასდვა. ერგოს, თუ ღმერთსა უნდეს, ცხუერთაცა გატეხილთა ერგებისვე ნებითა ღმრთისათა.

20

v

25

ნიშანი ლქიდიმედისა ერგების, ვის თუალნი დანაყილ ესხნენ და ფრჩხილისა ძირნი გარყუნოდინ და მჯდომსა ერგების, რომელსა ჰრქუიან ყურძენი და ვის ზამასტი იყოს და თაგუის კბილი და ყოველსა წყლულსა, რომელი მახუილითა იყოს ანუ ფიცხლისა სალმობისაგან და სტკიოდეს. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

30

აიღე: მარვისა თესლი და ბაზარკატონა, ამათგანი წონი ღრამისა სამ-სამისა. ესე კიდეს კიდე დანაყენ და დასცრა და ხატმი თეთრი, წონისა ღრამისა ორისა. ესე ყოველი შეჰკრიბო და კუერ-ცხისა გულითა გაადგინო და ამას წამალსა ზედა იისა ზეთი ურთო, რაზომსა შესმიდეს და მერმე მისგან აიღე და ძუელსა ბამბასა ზე-და დასდვა და მტკივანსა ადგილსა ზედა დასდვა, თუ ღმერთსა უნდეს დასრულდეს ლქიდიმედნი შეწეწენითა ღმრთისათა.

35

ტღე, გრილი არგებს მჭურვალსა ვარამსა, რომე კაცსა კელისა



სწუევნ. დაიჭირე ფუში დრაბანდი, ფილეფიალი ~~ენციკლოპედია~~ თეთრი, წითელი ვარდი, ხათიმი, გილი არმანი, თითოსაგან სამსამი დრამი, ქაფური ნახევარ დანგი. ესე ყუელა ჭუმლად დანაყეთ და ტირიფისა წყლითა შიგან გაურთე და მისი ტლე შექენით, კარგია ტლე ხატმისა, სიციხე რომელი იყოს გულსა და ლუიძლთა ზე-
 5 127r და, კარგად არგებს და გული რომე სტკიოდეს და || და ლუიძ-
 ლისა სიმჭურვალისაგან მას უშუელოს! წამლები მისი: ხატმა ერთი პევშუი და ერთი პევშუი, ქერისა ფჭული ორი პევ-
 შუი: სამივე ერთმანერთშიგან გაურ[ი]ვე და ტირიფისა ფურცელი
 10 დანაყე და ცოტა წყალი გაურთე და კაქბისა საყუნეტელი და ძალ-
 ლისა ყურძენა სამოსელზე და გასცხეთ და გულზედა გარდააქარ.

[კარნი შესაქმართა ზეთითა]²

დავიწყით სახელითა ღმრთისათა შესაქმართა ზეთთა და სარ-
 გებელთა მათთა სნებათათუის, შემთხუეულთა და ვთქუათ, ვითა
 15 შეერევიან წამალთა შესაქმართა, რომელ უწინა გუფისენებიან წიგ-
 ნსა ამას ჩუენსა შიგან, რათა გაუადვილდეს გამოცდილობა ამის
 მკითხველთა და მკურნალსა.

ნიშანი ნარდისა ზეთისა შესაქმრისა. ერგების ქართა სხულითა,
 რომელნი შეიქმნებიან ასუოთა უმადგარესთა, რომელ არიან სიღ-
 20 რმეთა შინა ტანისათა და ერგებიან სიგრილესა საშოსა შინა დედა-
 თასა და ყოველსა სიგრილესა, შემთხუეულსა ასოთა შიგან და ტკი-
 ვილსა ყურთასა და როდეს უწითო ყურთა შიგა, ანუ დასლდა ზედა
 ბამბათა და ერგების დედათა რომელთა ვულსა აღებდენ საშოთა
 ტკივილთა, როდეს საშოსა შიგან ჩაუსხა ამისგანი და ჩაერთვის
 25 ჰოკნთა შიგან, რომელ გიქსენებიან უწინა და ისმის მისგან სუმასა
 v ზედა. ერგების სმათა ზედა სნებათა შემთხუეულთა სტომაქსა შიგან||
 და გაქსნის მუცელსა და შეისმის ამის ზეთისაგანი, წონი ორისა
 დრამისა, ხეარა შამბარისა ტაბიხითა, რომელ არს ნაგბოლი და
 დაუყუდებს ტკივილსა კოლინჯისასა და გაქსნის მუცელსა და შეის-
 30 მის ამისგანი აბანოსა შინა, ვის მუცელსა შინა გურგმა იყოს და
 ქარნი მსხუილნი, დაუყუდებს ტკივილსა და სინოტიესა შეკრებუ-
 ლსა თავსა შინა და თუ ჩაუწითოს ამისგან ცხვირთა სამსა დღესა და
 ყოველსა დღესა სამ-სამი წთობა. დაუყუდებს ტკივილსა და დაუშუ-
 ენებს ფერსა და ჰოკნადოლო ამითა სირისა ფურცელსა შიგან (!),
 35 ვის სიგრილე იყოს ბუშტსა შინა და გაუძნელდებოდეს ფსმა, დაუ-
 ყუდებს ტკივილსა და შეისმის. ვის თირკმელთა და ბუშტსა შინა
 ქვა იყოს, დაფშუნის და გაიღებს და შეისმის მისგან, ვის ზურგსა
 შიგან ქვა იყოს და შეედრიკოს, ანუ მუტკლითა შიგან, ვითა ნიშანი
 მიგუიციეშია, ერგების და იცხოს მუცელსა, ვის გაუძნელდებოდეს



შობა, გაუადვილებს და ერთვის წამალთა თანა მრავალთა და არს ესე ზეთი სარგებისა და საჩინო მართისთანათა თანა და ყოველთა მკურნალთა თანა, კეკელია გამოცდილია.

ნიშანი წამალთა ამისთა, რომელნი შეერთვიან და ნიშანი უწინათისა შეგებობისა მისისა.

5

ა ი დ ე: კასაბა და ძირა, რომელ არს ლერწამი ძირასა და სუდი ქუფი და ღარისა ფურცელი, რომელ არს დაჰმოსთი და უდალბალსანი და ჭილნდი და || შროშნისა ძირი, მქისა და ალაღბირი და მისი ფუკა ჰიდაგიაი და მურტისა ფურცელი და კურდმანა და მარდაგუში, ამათგანი თუითო ორი უკია. დანაყენ ესე წამალნი მოხორცილად და ახალსა ქოთანსა ჩასხნე და ჩასხა ზედა ძუელი ღუინო გაზავებული, რაზომმან დაფაროს და მტკაველი ერთი ზედა მოექცეს მეტად და მერმე ჩაასხას ზედა ზეთი გარცხილი ტკბილი სამი კისტი ვირე ხუთამდე და შეუგზნას ქუეშე ცეცხლი ლბილი. მცირე მცირედ უგზებდე და მოურევდე ჟამითი ჟამად და ქნა ესე ცხრა ჟამსა და მერმე უკმოილო ცეცხლთაგან. გაგრილდეს და წასწურო ზეთისა მისგან და კიდე გაილო. ესე არს შეგებობა მისი უწინათი.

128r

10

15

ნიშანი შეგებობისა ამის ნარდისა მეორისა ზეთისა.

ა ი დ ე: ვარდისა წითლისა ფურცელი კმელი და ნედლისა მურტის გამოწურვილი და მური არაბი, ამათგანი სამ-სამი უმკია და ჰამამა ორი უმკია. დანაყენ ესე მოხორცილად და ქოთანსა ჩასდვა მას, რომელსა ესე უწინასი შეეგბოს და რაშიგან ყოფილიყოს და გეყაროს და გაგერცხას ქოთანი და ესე წამალნი შიგან ჩასხნე და ჩასხა ზედა ღუინო გაზავებული, ვითა გექმნას პირველ და ჩასხა, რომელ შეეგებოს პირველ და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ლბილი სამ ჟამსა და მოურევდე ყოველსა ჟამსა და უკმოილე ცეცხლთაგან. გაგრილდეს და წასწურო ზეთისა მისგან და კიდე გაილო.

20

25

ნიშანი შეგებობისა ამის ზეთისა მესამედ, ვითა ნიშანი მოგუიციეშია.

ა ი დ ე: სუმბული და კარამფული და კოჭომბრა, ამათგანი სამ-სამი უმკია და ბალასნისა ზეთი, ხუთი უმკია, დანაყენ სუმბული და კარამფული და ჯავზა ბოვა მოხორცილად და ქოთანსა ჩასხნე და ჩასხა ზედა ზეთი და აგბო, ვირემ გაცხელდეს და ჩაუროთო კოჭომბრა და ბალასანისა ზეთი და იგი ზეთი, რომელი შეეგებოს პირველ და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ლბილი ორსა ჟამსა და უროი და უკმოილო ცეცხლისაგან და გასწყდე, რომელ გაგრილდეს და წასწურო ზეთი და კიქისა ქურტელსა ჩასხა და იკმარო რასათუის ნიშანი მიგუიციეშია, სარგო არს დიდად.

30

35

ნიშანი მურტისა, ერგების თმასა, რომელ დასცუიოდეს თავისაგან და წუერთაგან და ერგების დედათა, რომელთა თმისა გავრძელება უნდოდეს, ერგების ესე.

40



- ა ი ლ ე: ნედლი მურტი ორი კისტი და მურტისა კმელი, ათი ლიტრა და დაასხა ზედა ღუინო, რაზომმან დაფაროს და გასწყდე მას ღღესა და მერმე ქოთანსა ჩასდვა და დაასხა ზედა ღუინო გაზავებული და ჩასხა ზედა სამი კისტი ზეთი, გარცხილი,
- 5 ტკბილი და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ღბილი სამსა ყამსა და მოურევდე, ვირემ სცნა, თუ წასრულა უფროსი წყალი და დარჩეს ზეთი და მერმე უკმოიღე ცეცხლისაგან და გასწყდე, ვირემ გაგრილდეს, წასწურე ზეთი და ჭურჭელსა ჩასხა და იკმარო თმათათუის
- 129r და წუერთა და ქარ || ტლი, რომელ შეექმნების თავსა, ერგების ესე.
- 10 ნიშანი შექმნისა კოჭომბრისა ზეთისა. ერგების ტკივილსა შენადგამთასა მსივანთა, რომელთა შიგან ჩასრულიყოს თელგმა ზუჯეჯი, რომელ არს ჭიქისა მსგავსი და გააჭურვებს ასოთა და დიქსნის სიმსივნესა მეტსა და ერგების ტკივილსა თირკმელთასა და ბუშტისასა და მას, ვის დაეყენებოდეს ფსმა.
- 15 ა ი ლ ე: ზეთი ტკბილი, კუსტი ერთი და კოჭომბრა ხუთი უმკია და ჩასდვა ორივე ქოთანსა შიგან ანუ თანგირაგთა. დააგზო ცეცხლთა ღბილთა, ვირემ დაიქსნას კოჭომბრა და ვააზაოს ზეთსა კეკელად და ჭურჭელსა ჩაასხა და იკმარო.
- 20 ნიშანი ბაბუნაჯისა ზეთისა, ერგების ესე, ვინ იცხოს ცხროთა ძუელთა და შეუღბობს და ერთვის ლ[ი]დმიდელთა მეტისა სიმსივნისათუის.
- ა ი ლ ე: ზეთი გარცხილი ტკბილი, კისტი ერთი და ბაბუნაჯისა ყუთავილი, გაწმედილი მისისა ღერისაგან, გამჭმარი ჩრდილსა ხუთი უმკია და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასდვა და მზესა დასდვა ორმოცსა ღღესა და იკმარო.
- 25 ნიშანი აფსინდისა ზეთისა. ერგების სიმსივნესა ზურგისასა შექმნულსა სტომაქსა შიგნით, და ვის არა გაუტფებოდინ ძუალნი და ცხროთა ძუელთა, როდეს გაეზაოს და გააჭურვებს ტანსა, ოდეს
- 30 სუას ამისგანი და კოლინჯსაცა ერგების.
- v ა ი ლ ე: ზეთი ტკბილი ორი კისტი და მწუანესა კოკასა ჩასხა|| ანუ ჭიქისა ჭურჭელსა და აილო აფსინდისა ყუთავილი ლიტრა ერთი და ჩასდვა მას შინა და ზედა მოაჯრა და მზესა დასდვა ორმოცსა ღღესა და იკმარო. რასათუის გიკმდეს, მარგო არს დიდად.
- ნიშანი ცერეცოსა ზეთისა. ერგების ქართა სხუილთა.
- 35 ა ი ლ ე: ზეთი ტკბილი, ორი კისტი და ცერეცოსა თესლი გამჭმარი, ლიტრისა ნახევარი. ჩაურთო მას თანა და მზესა დასდვა ორმოცსა ღღესა და მერმე იკმარო.
- ნიშანი ღარიკონისა ზეთისა. ერგების ღრიაკალცემულთა და მორიალცემულთა, როდეს შესუას ამისგანი და იცხოს, სადა
- 40 ეცეს და დააფუშნის ქვასა შექმნულსა თირკმელთა შინა და ბუშტ-



სა, როდეს შესუას ამისგანი ყოველსა დღესა ორ-ორისა დრამისა
წონი ერევანდისა წყლითა.

შეიპყრა: მრთელები ღრიაკლები მარწუხითა, რაზომი გინ-
დეს და შიგზაგა შინა ჩაყარო. დაასხა ზედა ზეთი, რაზომმან და-
ფაროს და მზესა დასდგა ორსა თუესა და იკმარო. რასათუის ნიშ-
ანი მიგუიციემა, თუით მოინახო.

5

ნიშანი შროშანისა ზეთისა. ერგების ტკივილსა სტომაქისა და
სიგრილესა შემთხუეულსა ტანსა შიგან.

აიღე: სალიხა და ქუშტი და მასტაქი და აბალბალასანი,
ამათგანი თუითო უმკია და კარამფული და უდალბალასანი, ამათ-
განი უმკიისა ნახევარ-ნახევარი და ზაფრანი, წონი || ოთხისა დრა-
მისა. დანაყნე და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასდვა და ჩაურთო თანა შრო-
შანი თეთრი გამორჩეული ძირისაგან და თესლისა თუალვით ორ-
მოცდაათი და ჩასხა ზედა ზეთი ერთი კისტი და ზედა მოაკრა და
სავალსა ადგილსა დასდგა მზისასა და ჩრდილისასა.

10
130r

15

ნიშანი ტეგანისა ზეთისა. ერგების, ვის გაგრილებოდინ თირკ-
მელნი და ვის ფსლისა დაყენება სჭირდეს და ვის უწოოდეს ფსე-
ლი. ესე ჩაერთვის ლიდმედთა შინა, რომელ გუიგსენებიან უწინა
და ერგების, თუ იცხოს, ვინ ფელინჯი სცემოდეს და ლაკუა და
მოფოლხუებულობა ძარღუთა და ერგების ნოტიათა.

20

აიღე: ზეთი გარცხილი ტკბილი, სამი კისტი და ჩასხა ქოთა-
ნსა და აილო ტეგნისა ფურცელი ნედლი, ლიტრისა ნახევარი და
ჩაურთო მას ზეთსა თანა ქოთანსა და ჩასხა ზედა ათი ლიტრა წყალი
და მერმე აგზო ცეცხლითა ლბილითა, ვირემ წავიდეს წყალი და
ოდეს სცნა, თუ ტეგანისა ფურცელი დაიწუებისო, მერმე დასწურო
და ჭურჭელსა ჩასხა და ახლად ჩაურთე თანა ნედლისა ტეგნისა
ფურცელი და ზედა მოაკრა და შემდგომად ორისა თუისა იკმარო.

25

ნიშანი შავთა გუელთა ზეთისა. ერგების, ვის ქარტლი იყოს,
სადაბაჰი თეთრი მსგავსი კეთრისა და სრსუილქისა, კეკელქისა
არს და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს. ||

v

შეიპყრა ურწყოდ შავი გუელები, რაზომი გინდეს და წაგ-
რაგზო კეკელად და შეჰკრა საბლითა მაგრად და მერმე ქოთანსა ჩას-
დვა მრთელები და მერმე ზედაასხა ზეთი, რაზომმან დაფაროს და
მეტადცა მოკდეს და ზედა დააბურო ქოთანი სარქულითა მოვლი-
ნებულითა და მოჰგოზო ცომითა და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი, ვი-
რემ დაჩულებს მათი კორცი და არა ჩნდეს მისგანი და მერმე თავი
გაუღოს ქოთანსა და ეკრძალოს, რომელ სული არა ეცეს და გას-
წყდეს თავ გაღებულად ჟამ ერთ, რომელ გამოვიდეს მისი სული
და ჟამსა წასწუროს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხა და როდეს ვიკმდეს,
იკმარე და ფრთითა სცხე მას ადგილსა, რომლისათუის ვიკმდეს,
სარგებლისა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

30

35

40



ქსნილოზისა მშობლისა ზინა

ნიშანი დარაშაშთანისა ზეთისა. ერგების, ვის სტომაქი მოუსუსსუ-
რებულაიყოს და ქსნილობა იყოს დიდი წელთა დაგლესილობისაგან,
ნებითა ღმრთისათა.

5 ა იღე: დარაშაშთანი ხუთი უმკია და სალიხა სამი უმკია და
ქუშუტი ოთხი უმკია და უდალბალასანი ორი უმკია და ზეთი სამი
კისტი. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ და ზედა ხუთი კისტი წყა-
ლი ჩასხა და ჩაურთო ზედა ზეთი და აგბო ცეცხლითა ლბილითა,
131r ვირემ წავიდეს წყალი, და დარჩეს ზეთი და წასწურო || და ჭურ-
10 ჭელსა ჩასდვა და სმასა შიგან იკმარო და იცხებისცა, ვითა ნიშა-
ნი მიგუიციემა უწინა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი შესაქმარისა ზეთისა, რომელსა პრქუიან ფილიფადი.
ერგების ხაშმთა ქუე მიერდომილთა, რომელნი ვერა შეუძლებდენ
სულასა და ვის გამკმარი ესხნენ ასონი და ძარლუნი და არს ესე
15 წამალი ჰინდი და საკუთრველთ მოქმედი საჩინო და არა უჩინარი,
თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: შალი და ფალი და ბალი და ვაჯი და შიტრაჯი ჰინდი
და კულმუხი და ხალილაგი და დარქაფილფილი და ჯოვხალკი და
20 სონიჯი და კამას თესლი და ზუმბადი და დრონაჯი, ამათგანი წო-
ნი ათ-ათისა დრამისა. დანაყენ ესე წამალნი და ქოთანსა ჩასხნენ
და ოთხი კისტი სძე ფურთა ჩასხა ზედა და ორი კისტი წყალი
და კისტი ერთი ქუნჯუთისა ზეთი და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი
ლბილი და წავიდეს წყალი და სძე და დარჩეს ზეთი და დასწურო
კეკელად და ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გიკმდეს, სნეულთათუის
25 იკმარე ესრე, რომელ ნიშანი მიგუიციემა. ვინ ქუემჯდომიარედ
გასრულიყოს, შესუას ორისა დრამისა წონი შამბალითისა წყლი-
V თა შემგბრითა აბანოს || შესრულიყოს ტფილსა წყალსა, ჩაჯდომი-
ლიყოს, შესუას ესე ზეთი და იცხოს მისგანი და ეგრე სხუათა
სნეულთათუის შემთხუეულთა ასოთა შიგან. დამინახვან მრავალნი
30 ქუე მიერდომილნი ადრით უამითგანნი, რომელთა იკურნეს ამით
ზეთითა და გამრთელდეს მუსთქუესევე. ნებითა ღმრთისათა.

ჟოვლისა სენისა წამალი

ნიშანი ზეთისა, რომელი იკმარების მარისთანათა შიგან, რომე-
ლი იცნობების კოლინჯისა! ზეთობით. ერგების ყოველსა სნებასა
35 შემთხუეულსა თელგმისაგან და ქარსა შექმნილსა მუცელსა შიგან
და სუკთა და თირკმელთა და ყოველსა ტკივილსა შენადგამათასა
და ყოველსა ტეხასა ფიცხელსა შემთხუელთა ტანსა შიგან და დაყე-
ნებასა ფსლისასა, და დედათა, რომელნი არაუძლებ იქმნებიან.
სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

40 ა იღე: ხალილაგი ქაბული და ბალილაჯი, ამათგანი წონი ათი-



სა დრამისა და დარ[ა]ფილფილი და პილპილი შავი და ზანჯაბი-
ლისინი, ამათგანი წონი ექუს-ექუსისა დრამისა და ქალბანა და ავა-
შავი და საქბინაჯი სპარსული და თაქუსისა ყუერი, ამათგანი
წონი ექუს-ექუსისა დრამისა, თურბითი ოთხი უმკია და კიტ-
რიმი ჰინდი და აბანილი და კიტრიმი არაბი, || რომელ არს 132r
ქურჭუინჩოფი და კალნაბი და ტევანა ნედლი, ამათგანი თუი- 5
თო კონა. დანაყენ ესე წამალნი კმელნი მოხომრვილად და
დასჯეკენე ნედლნი და ქოთანსა ჩასხნე და ჩასხა ზედა ათი
ლიტრა წყალი და აგბო, ვირემ ნახევარი წავიდეს და მერმე წას-
წურო წყალი და გამოსწურნე წამალნი, რომელ არა დარჩეს წყა- 10
ლი და ახლიათ აგბნე იგი წამალნი მეორედ და დასწყურო წყალი
მასვე უწინათსა წყალსა ზედა ესე ორივე წყალი მასვე უწინათი
და უკანა ქოთანსა ჩასხა და ჩასხა მას ზედა ხირვასა ზეთი ოთ-
ხი ლიტრა და აგბო ცეცხლ[ი]თა ლბილითა, ვირემ წავიდეს წყალი
ყოველი და დარჩეს ზეთი და წასწურო და ჭურჭელსა ჩასხა და რო- 15
დეს გინდეს, იკმარო მისგანი ხუთისა დრამისა წონი და ჭიქასა
ერთსა ზედა ჩაუროთო ერვინდისა წყალისა და უწინა კრძალურ იყოს
და შესუას და ეკრძალოს მისსა უკანის, სარგებლისა არს, ნებითა
ღმრთისათა.

ნიშანი ნიგუზის ზეთისა, ერგების ნიკრისისასა ტკივილსა და 20
შენადგამათასა და ქართა შექმნილთა მას შინა და ამორდომილთა
ასოთა და დაჯეკვილსა შინა და ამორდომილთა ასოთა და დაჯე-
ჯვილსა და ტკივენებულსა, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.


|| ა ი დ ე: ზეთი ორი ლიტრა და ნიგუზისა შტოსა, რომე კოკობი v
გამოსხდების ფურცლისა გამოსულასა უწინა, მისგანი ორო ლიტრა 25
და კუჭუმბრა თეთრი ლიტრა ერთი. შეჰკრიბენ ესე წამალნი და ჭიქისა
ჭურჭელსა ჩასდვა და მზესა დასდვა ორსა თუესა და მერმე იკმარო
ლ[ი]დიმელდთა შიგან და საცხებელა და კეკელ[ი]ა არს და სარგებ-
ლისა, ნებითა ღმრთისათა.

ფილეჯინათუის

30

ნიშანი ჰინდაკოკისა ზეთისა ერგების, ვის ეცეს ლაკუა, რო-
დეს ცხურისა უწითოს მისგანი ნახევარ დრამისა წონა და შესუას
მისგანი წონი ორისა დრამისა და ფელიჯინათა სცხო ტანსა აბა-
ნოსა შესულსა და ტფილისა წყლისა შესულ[ა]სა უწინა: კეკელ[ი]ა
არს და სარგებლისა და გამოცდილი, თუ ღმერთსა უნდეს. 35

ა ი დ ე: ზეთი ლიტრა ერთი და ჰინდი კოკენე¹ ნედლი მეოთხე-
დი ლიტრისა და ჩასხა ორივე ჭიქისა ქოთანსა ანუ ქურაზისასა და
მზესა დასდვა და გამოუცვალებდე ჰინდ და კოკესა ყოველსა მესა-
მე დღესა. შენა ჰქმნა ესე შუიღჯერ და მერმე წასწურო ზეთი



და ჭურჭელსა ჩასხა და იკმარო. ვითა ნიშანი მიგუიციემა, იკმარეს არს და სარგებლისა, თუ ღმერთსა უნდეს.

თმათა გათეთრებაჲსა ზღირსათჳს

- ნიშანი ზეთისა, რომელთა უქამოდ თმანი გაუთეთრდენ, და
- 5 მოავლენს თმასა მალე და უფრო, ხოლო რომელი ჰლამოდეს წუერთა გამოსულასა მალე და დააყენებს თმასა ფშუნისაგან და გაუ-
- 133r მაგრებს ძირთა და ერგების დედათა, რომელთა შეფშუნებოდიან თმანი და არა გაეზარდებოდიან. ესე ზეთი ერგების ნებითა ღმრთისათა.
- 10 აიღე: ზეთი ტკბილი ოცი უმკია და კოჭუმბრა და მური არაბი და ლადანი, ამათგანი თუითო უმკია და სადაჯი ჰინდი და ლუია და მურტი, ამათგანი წონი ექუს-ექუსისა დრამისა და ზაფრანი და შროშანისა ძირი მკისა შეჰკრიბენ ესე წამალნი და დანაყენ მოხობრვილად და ქოთანსა ჩასხნე და ჩასხა ზედა ზეთი წამალთა და ჩას-
- 15 ხა ზედა ხუთი ლიტრა წყალი და აგბო ცეცხლითა ლბილითა, ვირემ წავიდეს წყალი და დარჩეს ზეთი და წასწურო და ჭურჭელსა ჩასდვა და იკმარო, ვითა ნიშანი მიგუიციემა თავისა დაბანისა შემდგომად, თუ ღმერთსა უნდეს.
- ნიშანი საბანელისა, რომლითა დაიბანების თმა ამის ზეთისა
- 20 ცხებისა უწინა, რომელ გუიკსენია ნებითა ღმრთისათა.
- აიღე: შამბალითისა ფქული წონი ათისა დრამისა და სამთკურცხთა თეთრი და ბავრუკი; წონი დრამისა და თაფლი, წონია ათისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე ყოველნი და ჩაურთო თანა ორისა
- v 25 დრამისა წონი ხატმი და დაიბანო მითა თავი კეკლად || და დაიწუროს თავი წყალისაგან და მერმე იცხოს ამათ ზეთთაგანი, რომე ნიშანი მიგუიციემა და ცან, ვითა რად გუიკსენებიან ზეთნი თუინიერ, რომელთა ღონე არა არის, რომელ საკურნებელთა შეერთვიან, როდენ უფროსნი ზეთნი იბოებიან ატართათანა და მით არა ვინებეთ გაგრძელება ნიშანთა და მათთა მიცემისა. როდეს ესე იბოებიან
- 30 ყოველთა ადვილთა და ამას ზედა იცოდე და ნუ შემოკლებისა გზად დასდებ, თუ ღმერთსა უნდეს.

ჰიზას სანახელი ბასკსნელი

ნიშანი ზეთის, რომელი ეცხების ჰიზასა და ვაცსნის კსნილობითა შენელებულითა, თუ ღმერთსა უნდეს.

- 35 აიღე: კელიეჰლმისა გამოწურვილი და ნედლისა ლადანისა გამოწურვილი, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა დრამისა და აილო კარისა ნავლეი, წონი ოცისა დრამისა და ბავრუკი და მარბილი



მწარე, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და საკამუნია, წონი ორისა დრამისა დაგალნე კმელნი და წყალსა შიგან ჩაყარნე და თანგირაგთა შიგა და ჩასხა შიგან ქუნჯითისა ზეთი ტკბილისა, წონი ორმოცდაათისა დრამისა. დააგზო ცეცხლთა ლბილთა, ვირემ წავიდეს წყალი ყოველი და დარჩეს ზეთი და დასწურო და ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გინდეს, გაჯსნა || მუცლისა, აილო ბამბა და შეჭმნა ფრთილად პატრუკისა მსგავსად და ამას ზეთსა შიგან ამოაწო და დასაჯდომელსა შეუბყრა და ესე გაჯსნის მუცელსა ძლიერად და სარგებლისა არს ნებიითა ღმრთისათა.

5
134r

ბასანგნელი ყრმათა წურილთათვის

10

ნიშანი შაიფისა დაიჭიროს ქუემოთა და გაჯსნის მუცელსა მუს-თქუესე და ესე გაჯსნის, თუ ჰქმნა საღმობათა ფიცხელთათუის და ვინ ვერა სუმიდეს წამალსა და სარგებლისა ყრმათა წურილთათუის, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ბავრუკი ერთი ნაწილი და მარილი. ცომისა ერთი ნაწილი, დაპნაყე და დაცრნე საცრითა მტკიცითა და მერმე აილო კარისა ნავდელი და ჩაურთო თანა მისივე ზომი თაფლი და რკინისა ციცხუსა ჩასდვა და ცეცხლთა ზედა შეასქელო. ნატიფისა მსგავსად შეჭმნას და მარილი და ბავრუკი თანა ჩაურთნე და უკმოილო ცეცხლთაგან და გაარინე კეკელად და შეჭმნა შიაფად, ვითა თითი და გასწყდე, ვირემ გაჯმეს და როდეს გაჯმეს, აილო მისგანი დაპოხილი, სცხო და დასაჯდომელსა შეუბყრა და ესე კეკელა არს და გამოცდილი და თუ გინდეს, რომელ უძლიერეს იყოს ამისსა, ჩაურთე თანა ნაწილი ერთი და შამალა ჰანდალი და თუ უძლიერეს გინდეს, ჩაურთე საკამუნია და ესე ერგების ნებიითა ღმრთისათა, ვითა ნიშანი მიგუიციემა. ||

15
20
25
v

დასრულდა თქუმა ზეთთა ნიშანთა სრულებით, შეწევნითა ღმრთისათა.

[კარი სიჰანგუზინთა და შიავთა]¹

დავიწყოთ შეწევნითა ღმრთისათა თქუმად ნიშანთა სასუმელთასა² შესაქმართასა, რომელნი ერგებიან მრთელთა და სნეულთა და გამოსაზრდელთა შესაქმართა და ვაქსენნეთ ნიშანნი წინა პირველთა მკურნალთა და უკანათანი, რაი ოდენ პირველთა მკურნალთა ვთქუა შეჭმნა ყოველთა სასუმელთა ღუინითა და ყვეს თაფლისა და ყამისა ამის ჩუენისათა, აკრიბეს ღუინო და ყვეს თაფლისა ადვილსა შაქარი და ამისთუის ქნეს ესე, რაოდენ ერაკისა ჰა[ერ]ნი³ ცხელნია და რან ესე და გამოიძიე ქმნა, რომელთა გინებს.

30
35



ნიშანი სიქანგუბინისა შექმნისა თაფლითა. ერგების მორჩილთა და სნეულთა, ნებითა ღმრთისათა.

- ა ი ღ ე : ქერქი ამისა ძირისა ნედლისა და ნიახურისა ძირი, ამათგანი თუითო ლიტრა და კამასა თესლი და ანისონისა თესლი
- 5 და ნიახურისა თესლი, ამათგანი ოთხ-ოთხი უმკია. შეჰკრიბენ ყოველნი და დაასხა ზედა ათი ლიტრა ძმარი თეთრისა ღვინისა უკეთესი, ხოლო რომელი იყოს და გასწყდე დღესა და ღამესა და მერმე ქვისა ქოთანსა ჩასხა, ეგეთადვე ცეცხლთა ზედა დასდგა
- 135r დააგბო, ვირემ წავიდეს მესამედი II უფროცა და მერმე დასწურო
- 10 ძმარი მათი ძირთა და თესლთაგან და გასწყდე. ვირემ დაწმდეს და მერმე აიღე თაფლი პერულმოკდილი რვა ლიტრა და ესე შეძგბარი ძმარი მას ზედა ჩასხა ქვისა ქოთანსა წმიდასა და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ლბილი და პერულსა მოკდიდე ყამითი ყამად და აგბო ვირემ შესქელდეს და შეიქმნას, ვითა გინდეს და უკმოიღო
- 15 ცეცხლთაგან და ჩაურთო მცირედი ზაფრანი, რომელ ფერი დაუშუენდეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გინდეს, იკმარო. კეკელა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი სიქანგუბინისა, შექმნისა შაქრითა, ერგების მკურვალთა, ნებითა ღმრთისათა.

- 20 ა ი ღ ე : თესლები ესევე და ძირები და აგბო, ვითა ნიშანი მიგუიციემია პირველსა ნიშანსა შიგან და თაფლისა ადგილსა შაქარი ჰყო. დააგბო, ვირემ შესქელდეს, რაზომცა გინდეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხა და იკმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

სიქანგუბინი შავისა ნავღელისათვის

- 25 ნიშანი გასაკნელისა სიქანგუბინისა ერგების შავისა ნავღელსა უფალთა და ვის გულის ძგერა სჭირდეს და ვის გულსა შეაღებდეს ზოგჯერ და ვის გაუმრავლდეს საურავნი, რომელ არა იცოდის მიზეზი საჩინო, ბრძანებითა ღმრთისათა.
- 30 ა ი ღ ე : თავუის ხახუი შემწუარი ქუიშნასა ფქვილითა, წონი
- v ორმოცისა დრამისა და II და ფუჟკალდახირი, წონი ოცდაათისა დრამისა და აფსინდი ბერძული, წონი ოცისა დრამისა და კამასა ძირი და ნიახურისა ძირი, ამათგანი თუითო ლიტრა და კამასა თესლი და ნიახურისა თესლი და ანისონისა თესლი, ამათგანი ოთხ-ოთხი უმკია და ძირასა ლერწამი, წონი ოცდაათისა დრამისა. შეჰკრიბენ ესე ყოველნი და ჭურჭელსა ჩასდგა და ჩასხა ზედა ცხარი ძმარი, რომე ნიშანი მიგუიციემია ათი ლიტრა და დაალბნე ესე წამალნი დღესა და ღამესა და მერმე ჩასხა ქვისა ქოთანსა ანუ თიჯოსასა, დააგბო ცეცხლთა ლბილთა, ვირემ წავიდეს მისგანი მეოთხედი და დასწურო და კიდე გაიღო. მერმე აიღო თაფლი პერულ-



მოკდილი რვა ლიტრა და დაასხა ზედაესე ძმარი და აგბო ცეცხლი-
თა ლბილითა და მოკდიდე პერულსა ყამითი ყამად, ვირემ შეგბეს
რაზომ გინდეს და უკმოილო ცეცხლთაგან და ურთო შიგა დრამის
წონი ზაფრანი და ჩასხა ჭურჭელსა და როდეს გინდეს, იგმარო
საღმობათათუის, რომე ნიშანი მიგუიცივია, სარგებლისა არს და
კეკელა, ნებითა ღმრთისათა.

საქონელო
გინელო

5

სიქანჭუბინი სადა და ღუიძლისა სისუსტესა არგებს და კაცსა
რომე არა ემშეოდეს, საჭმელსა მოანდომებს.

მოიღე: ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა კარგი ძმარი,
თაფლი ერთი ლიტრა და ადუღე და პერული მოჭადე შესქელება-
დის. მისგან || შესმას უზმასა ცივითა წყალითა ექუსი მუტყალი
გააყენოს და შესუას და თუ კაპარისა წუენი დაასხას, იგი ეჯობი-
ნების.

10
136r

სიქანგუბინი იესიულ, არგებს ფერად ფერადსა ცხროსა, უშუე-
ლის, შავი წყალი რომე თულაშიგან ჩამოვა, მისი ნიშანი გამოჩე-
ნილ იყოს, მას უშუელის. იარაყანსა და ზაფიყანსა ორსავე უშუე-
ლის. ქშინვებასა, უშუელის სტომაქისას სენსა.

15

წამლები მისი: კამისა ძირისა ქერქი, ნიახურისა ძირისა
ქერქი, თუითოსაგან თითო უმკია. გააქმე და დანაყე ესე ყუელაი,
სამსა ლიტრასა ძუელსა ძმარშიგა დაალბე ერთსა დღესა და ღამესა,
მერმე ერთი ჰელი კარგად ადუღე, მერმე გამოწურე, ერთითა ლიტ-
რითა შაქრითა ადუღე და ქაფი მოჭადე. ერთი უმკია ვარდისა
წყალისადა ჩაურთე და შესქელებადის ადუღე, მერმე წმიდასა
ჭურჭელსა ჩასხი, თითო ჭამა მისგანი ოცდაათი დრამი ნახევარ
დრამით რევანდისა ყურსითა შესუით.

20

25

სხუა სიქანჭუბინისა ხასიათი ღუიძლისათუის კარგი და ტყირ-
ბისათუის კარგი ზაფრისა და ბალღამისათუის კარგი.

მოიღე: ნახევარი ლიტრა ძმარი და ორი ლიტრა წყალი და
ერთმანერთშიგან გაურთე, მოიღე ნიახურისა ძირისა ქერქი, და
კამისძირისა ქერქი, თუითოსაგან ათი მუტყალი და თესლი ორ-ორი
მუტყალი, კაპარის ძირისა ქერქი ხუთი მუტყალი, არდისა კაჭაჭისა
ძირისა ქერქი სამი მუტყალი. || ესე წამლები იმა ძმარსა და წყალ-
შიგა გაურთოს და ერთსა დღესა და ღამესა დაალბოს და დილასა
ადუღოს, რომე სამი წილი დარჩეს და ერთი დაიდუღოს. მას უკანის
წამლები ამოჰყლიტოს და გაწურე და ერთი ლიტრა თაფლი გაურ-
თე და ადუღე, სადამდის შესქელდეს და პერული მოჭადე და
ყოველთა დღეთა თუითოსა კოვზსა შესმოდეს უწყალოდ.

30

v

35

სხუა სიქანგუბინისა ხასიათი სიკმისაგან, რომე სჭირდეს ტყირ-
ბისა ტყივილისა და ქარსა უშუელის და სტომაქისა ტყივილსა
უშუელის და საჭამადსა მოანდომებს და გულზედან რომე დამეჯე-
ბულიყოს, მას უშუელოს.

40

მოიღე: ხახუი ოცდაათი თავი და ნახევარ ლიტრასა ძმარ-
 შიგან მოადულე და მერმე გაწურე და მოიღე ძირი კამისა თესლი
 ანისურისა აყირყარა და მინდორისა ქონდარი, თითოსაგან ხუთ-
 ხუთი მუტყალი, პილბილი და ნიახურისა თესლი და ძირა ქირმენი.
 5 თუთოსაგან რვა-რვა მუტყალი, სტაფილოსა თესლი, ცერეცოსა თეს-
 ლი, სუმბული, თუთოსაგან სამ-სამი მუტყალი, ტყუური ერთი მუტ-
 ყალი, სადაბი ორი მუტყალი. ესე ყუელა დანაყო და დასცრა და ნა-
 ხევარ ლიტრასა ძმარი სხუა დაასხა და სამი ლიტრა თაფლი ჩაურ-
 თე და ადუღე, სადამდის ძმარი და თაფლი ნახევრად მოიყრებოდეს
 10 და პერული მოკადე. მერმე ესე დანაყოილი და გაცირილი წამლები
 შიგან გაურივე და ადუღე, სადამდის შესქელდებოდეს. მერმე შუიღ-
 137r სა || დღესა ქერშიგა ჩიიღვი და მერმე ამოიღე და თუ უზმა შეს-
 მიდეს, ხუთისა მუტყალსა შესმიდეს და თუ ჭმული შესმიდეს, საჭ-
 მელსა მოიქარვებს და სტომაქსა ძალსა მისცემს. ამას სიქანგუბინსა
 15 უწყლოდ უნდა შესმა.

სხუა სიქანგუბინისა ხასიათი! ლუიძლისა სისუსტესა არგებს და
 კაცსა რომე არა ემშეოდეს საჭამადსა მოანდომებს.

მოიღე: ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა ძმარი, ერთი
 ლიტრა თაფლი, ადუღე და პერული მოკადე, ვირემ შესქელდეს.
 20 მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყლითა ექუსი მუტყალი გააქყენეთ
 და შესოს, თუ კაპრისა წუენი დაასხა, იგი ეჯობინების.

სიქანჭუბინი ბუზურ არგებს ლუიძლსა, რომე ზაფრისაგან გა-
 თხელებულოყოს და ცხლად ედგას. გული რომე ცხლად ედგას, ნა-
 მეტნავად სტკიოდეს. ზაფრა რომე სჭარბობდეს და სისხლსა დააწყ-
 25 ნარებს, ბალღამსა დასჭრის და წყურვილსა დააწყნარებს, პირი
 რომე უშრებოდეს. მას უშუელის.

აიღე: ქასინისა ძირი ხუთი ღრამი და კაპრისა ძირისა ქერქი
 სამი ღრამი, კამისა² ძირისა ქერქი ხუთი ღრამი, ქასანისა თესლი
 ხუთი ღრამი, ნიახურისა ძირისა ქერქი ხუთი ღრამი, კაპრისა თეს-
 30 ლი ორი ღრამი, ჩინური რევანდი სამი ღრამი, საყამუნია ღრამნა-
 v ხევარი, ამბარბარი კმელი || სამი ღრამი. მოიღონ ორი ლიტრა წყა-
 ლი და ერთი ლიტრა ძმარი, გაურთე და მერმე ამა წყალშიგან ესე
 წამლები დაალბე ერთსა დღესა და ღამესა. მერმე საყამუნია და
 რევანდი დანაყო. ესე წამლები და ისი წყალი და ისი ძმარი მუნამ-
 35 დის აადუღონ, სადამდის ორი წილი წაქდეს და მესამედი დარჩეს.
 მერმე წასწურო და ისი წამლები ამოიღე და მერმე ნახევარ ლიტ-
 რა შაქარი გაურთე და ადუღე, სადამდის, შესქელდებოდეს და მერმე
 რევანდი და ისი საყამუნია დანაყოილი ქათნისა ჩაქუსა შიგა ჩასდვა
 და ხანდახან კელითა შესტყლეჭდეთ, რომე ძალშიგა გავიდეს. ერთ-
 40 სა პირსა ადუღებდი და მერმე კელითა შესტყლეჭდი. თუ ბალღამი
 სჭარბობდეს. შაქრისა ოდენი ერთი თაფლი გაურთე, გუნებასა გა-



ამჭურვლებს და საჭამადსა მოანდომებს. ათი დრამი ჭამოს ფარე-
ზი, ამის მეტი არა უნდა, რომე უზმამა ჭამოს, თუ საღამოსა ჭამ-
სა დასთმობს, დია სჯობს და კარგია. ესე სიქანგუბინი ოთხსა ხუთ-
სა კელსა გაიყვანს.

სხუა სიქანჭუბინისა ხასიათი; შეიქმნების თაფლითა. ერგების 5
მრთელსა და სნეულთა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ე: ქერქი კამის ძირისა ნედლი და ნედლისა ნიახურის ძი- 138r
რი, ამათგანი თუითო ლიტრა და კამას თესლი და ანის || ონისა
თესლი და ნიახურისა თესლი, ამათგანი ოთხ-ოთხი უმკია. შეჰკ- 10
რიბნე და დაასხა ზედა ათი ლიტრა ძმარი თეთრისა ღუინისა კარ-

გი და დაეხსნა ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ქვის ქოთანსა
ჩასხა და ცეცხლთა ზედა დასდგა, დააგბო, ვირემ წავიდეს მესამედი
და უფროცა და მერმე დასწურო ძმარი მათ ძირთა და თესლთაგა- 15
ნი და დაეხსენ, რომე დაწმდეს და მერმე აიღე თაფლი პერულმო-

კდილი რვა ლიტრა და ეს შემგბარი ძმარი მასზედა ჩასხა ქვისა¹
ქოთანსა წმიდასა და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი წყნარად და პერულ-
მოჯადო და აგბე, ვირე შესქელდეს და შეიქმნას, ვითა გინდეს და
უქმოიღე ცეცხლთაგან და ჩაურთო მცირედი ზაფრანი, რომე ფერი
დაუშუენდეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გინდეს² იგმა- 20
რე. კარგი და გამოცდილია, თუ ღმერთსა უნდეს.

სხუა ხასიათი სიქანგუბინისა, შესაქმისა შაქრითა. ერგების
ამჭურვალთა, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ე: თესლები ესევე და ძირები დააგბო, ვითა ნიშანი მიგუი-
ცემია პირველ ნიშანსა შიგან და თაფლისა ადგილსა, შაქარი ჰყო
და აგბო, ვირემ შესქელდეს. რაზომ გინდეს და ჭიქისა ჭურჭელსა 25
ჩასხა და იგმარე, სარგებლისა არს. || v

კარი შარბათიგისა

იისა შარბათისა ხასიათი, არგებს ვარამი, რომე ღუიძლზედან
იყოს, მას არგებს და აჭუელებდეს და აქშინვებდეს, ყუელასა უშუე-
ლის — გულისა პირი სტკივოდეს, მასცა უშუელის და ღუიძლსა
სატკივრისაგან გამოიყვანს და მუცელსა შეუღობს წამლები მისი. 30

ა ი ღ ე: ნედლი ია ნახევარი ლიტრა, ბიისა გული ათი დრამი,
ქათირა ოცი დრამი, ხათიმისა თესლი ათი დრამი, სამყიი არაბი,
ათი დრამი. ესე ყუელაი წამლები ნახევარზედან დანაყე და სამსა
ლიტრასა წყალშიგან დააღბო ერთსა დღესა და ერთსა ღამესა. მერ- 35
მე მოადუღე ასრე, რომე ნახევარზედან მოიყაროს და შეწურე და

წამლები შეტყლიჰე და გაყარე. მაშინ ნახევარი ლიტრა შაქარი
გაურვიეთ და ადუღეთ წყნარად შესქელებამდის. მისგან შესუმა,
თხუთმეტი დრამი ქერისა წყლითა შესუთ.

15. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი



სხუავე იისა-შარბათი უწამლოდ შესაქმნელი¹. ამეფე ქვემოთ

შარბათისა ხასიათი ამა შარბათისა აქუს, როგორცა ვინაჲს ქვემოთ

- აიღე: ერთი ლიტრა ია დარჩეული, მისისა ლერისაგან ჩადეგ
- 5 139r ჰურჭელსა და დაასხი წყალი მდუღარი, რაზომცა დაფაროს და და-
 აბურო სარქველი და იყოს დღესა და ლამესა || უძრავად და მერმე
 აიღო ხუთი ლიტრა ბაღდადურითა, თუ გინდოდეს ათი. რაზომცა
 უმცრო იყოს შაქარი, ეგდენცა უძლიერე არს თეთრი შაქარი, ვი-
 10 თა ნიშანი მიგუიციეშია² და ჩასდვა თანგირთა შიგან წმიდათა ანუ
 ქოთანსა ქვისასა. ჩასხა იგი წყალი, რომელსა შიგან იყოს ამა შ-
 ქარსა ზედან და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი და პერული მოკადე,
 ვითარ შესქელდეს და შეიქნას ვითა გინდეს და მერმე ჰიქისა ჰურ-
 15 ჰელსა ჩაქსნი და იკმარე ეამსა კმარებისასა და იქმოდე ბრძენნი
 და პირველნი მკურნალნი შაქრისა ადგილსა თაფლსა და წყლისა
 ადგილსა ლუინოსა თეთრსა და მზესა დასდგმიდე და ნიშანი
 20 პირველი უსრულე და უმჯობესი, თუ ღმერთსა უნდეს.

ვარდისა შარაბისა ხასიათი. არგებს სიმკურვალესა ლუიძლისასა
 სტომაქისასა და თავის ტკივილი ზაფრისა და სისხლისაგან იყოს,
 ორსავე უშუელის და ერგების ცხროთა დამწუართა და სტომაქსა
 მოუსუსურებულსა, ნებითა ღმრთისათა.

- 20 აიღე: ვარდი წითელი გამორჩეული მისისა გურკისაგან და
 თესლისაგან ოთხი ლიტრა და დაასხა ზედა მდუღარე წყალი, რა-
 V ზომიან დაფაროს და დაბუროს || ზედა და იყოს დღესა და ლამესა.
 მერმე წასწურო მის ვარდისაგან და აიღო შაქარი თეთრი ხუთი
 ლიტრა, ან ათი ლიტრა და თანგირაგთა ჩასდვა, რომელ ვარდი-
 25 საგან წაგეწუროს და შეუგზნათ ქუეშე ცეცხლი წყნარად და მოაქ-
 დიდეთ პერულსა და შესქელდეს და ჰურჭელსა ჩასხი და იკმარო.
 სარგებლისა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

სხუა ვარდისა შარაბისა ხასიათი გასაჯნელისა, და ერგების.
 ვის სტომაქსა შიგა კუერცხისა გული ნავლელი შეჰკრებდეს და ვის
 I || სჭირდეს, რომელ არს იერაყანი, ნებითა ღმრთისათა.

- აიღე: ვარდი ოთხი ლიტრა და დაასხა ზედა მდუღარი წყალი,
 ვითა ნიშანი მიგუიციეშია, ოცი ლიტრა და იყოს დღესა და ლამესა
 და მერმე წასწურო იგი წყალი და აღუღო და სხუასა ვარდსა
 35 ზედან დაასხა ოთხსა ლიტრასა და დაეკენ დღესა და ლამესა და
 მერმე წასწურო წყალი მის ვარდისაგან და კულა გააცხელო და
 მერმე წასწურო და აიღო ექუსი ლიტრა შაქარი ანუ ათი. ესე
 წყალი ზედა და აგბო ცეცხლთა და იყოს, ვირემ დაწმდეს და მერ-
 40 მე დასწურო და ჰურჭელსა ჩასხა და ესე არს ვარდისა სასმელი
 უკუქვეული, გასაჯნელი. ესრე იცოდე და ახლად იქმოდეს პირ-
 140r ველნი შაქრისა ადგილსა || თაფლითა, და ესრე გუარი იქმნების

ქუეყანასა გრილსა და ნოტიოსა და ერგების გუამთა ნოტიათა, თუ ღმერთსა უნდეს.

იმათისა ხასიათი შარაბისა, ზაფრისაგან რომე არწყევდეს, მას უშუელის, სტომაქსა ძალსა მისცემს, გულსა ძალსა მისცემს, ზაფრასა დააწყნარებს, სისხლსა დააწყნარებს და თავსა რომე ბრუი ესხმოდეს, მას უშუელის, გულისა სისუსტესა უშუელის.

აიღე: იმათი ფურცელი ნედლი დაწურილად დაჭარ და ნახევარზედან დანაყე და რაზომიცა იმათი იყოს, ორი წონი წყალი დაასხი და აღუღე, ასრე რომე ნახევრად მოიყაროს. მერმე გამოწურე და მერმე მისი წუენი შაქარ გარეული აღუღე და პერული მოკადე, სადამდის შესქელდებოდეს, ასრე რომე თხელი თაფლივითა იყოს. მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყლითა ათი მუტყალი.

ლელოფარისა შარბათისა ხასიათი, რომე კაცსა თავი სიცხისაგან სტკიოდეს, მას უშუელის, ღუინო რომე დასჭარბებოდეს, მას უშუელის და ჭუელისათუის კარგია და შიგნით რომე მკდომი იყოს, მას არგებს და ფირტუისა ტკივილსა არგებს და რაცა სტომაქშიგან მანკი არის, ყუალასა გამოიღებს ზაფრისა ჭურვებისათუის || კარგია და წყურვილსა დააწყნარებს.

აიღე: ლელოფარისა ფურცელი და შუაშიგან ყუთიელი გული არის, იგი არ ვარგა, ასი მუტყალი და ოთხასითა მუტყალითა წყალითა აღუღო, სადამდის ნახევრად მოიყრებოდეს და მერმე უკმოსდგა და დასწურო და იმა წუენსა წინათი შაქარი გაურთე და აღუღე, ვირემდის ასრე შესქელდეს, ვითა თხელი თაფლი ისრე. მერმე ანუ ქაშანურსა შიგან, ან ცვილიანსა კოლოფშიგან ჩადეგ, შესმა, უზმამან ცივითა წყალითა, თუ მარტოსა ლელოფარსა შესმიდე, შუიდი მუტყალი და თუ სხუას შარბათსა გაურევედე, ორი მუტყალი ლელოფარი ქენ და ხუთი მუტყალი სხუა შარბათი ქენ.

ლელოფარისა ხასიათი ესე არის, რომე როცა ტკბილი შარბათი არის, ყუელა ზაფრად შეიქმნების და ლელოფარი ზაფრასა არა გაუშუებს და არცა ზაფრად შეიქმნების ესე ლელოფარი.

ნიშანი ისრიმისა, სასმელისა შარბათისა ხასიათი. ერგების თხევას დიდსა, ვის არა დაადგრებოდეს საჭამადი სტომაქსა შიგან და არცა სასუმადი და ვის ქსნილობა იყოს დიდი კუერცნის გულისა ნაველისა გზითა და გარდასწყუეტს წყურვილსა ფიცხელსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ისრიმი არა დამწიფებულო და გამოწურე და დაეკსენ, ვირემდის დაწმდეს კარგად და აიღე მისგანი ათი ლიტრა || და ქვისა ქოთანსა ჩასხა ანუ თიჯისასა და ჩაურთო თანა ხუთი ლიტრა შაქარი თეთრი და ჩაურთო თანა მცირედი ტაფშირი და კარამფული და ზაფრანი. შეკარი თხელითა მჩუარითა და ავბო ცეცხლთა და მოკდიდე პერულსა ყამითი ყამად, ვირემ შესქელდეს და

5
10
15
v
20
25
30
35
141r
40
227



შეიქნას, ვითა ჭულაბი და ჭურჭელსა ჩასხი და იკმარებოდეს სისხლის
 თათუის, რომელ გუიკენებია აქა. სარგებელისა არს, თუ სარგებელისა
 სა უნდეს.

5 **ფშატისა შარბათისა ხასიათი.** ერგების სიმეტრვალესა ლუილი-
 სასა და ცბროსა, რომელი შეემთხუევის სისხლისაგან და თავქე-
 დიანთა და ვის გამოაჩნდეს ტანსა ვარდი (!) და ბუგრი და ვის
 შეექნას და პირსა სიწითლე და გაფიცხდეს წყურილი და ესე სას-
 მელი დაუყუდებს სისხლსა, შეწევიითა ღმრთისათა.

10 ა იღე: ფშატი ხუთი ლიტრა და დაასხა ზედა წყალი ოთხი
 ლიტრა და იყოს დღესა და ღამესა და მერმე აგბო, ვირემ ნახევა-
 რი დარჩეს და ან მესამედი და ჭურჭელსა ჩასხა, რომე დაწმდეს
 და მერმე აიღე შაქარი ხუთი ლიტრა და თეთრი თანგირავთა
 ჩასდვა ანუ ქვისა ქოთანსა და დაასხა ზედა, ესე ფშატისა წყალი
 15 დაწმდეს, აიღე და შეუგზენ ქუეშე ცეცხლი და პერული მოკადე,
 ვირემ შესქელდეს || და შეიქმნას, ვითა ჭულაბი და სიქანგუბინი და
 v ჭურჭელსა და ჩასხა და როდეს გინდეს იკმარო, ვითა სიქანგუბინი
 და ჭულაბი. სარგებლისა არს, ნებითა ღმრთისათა.

20 **ბროწეულისა შარბათისა ხასიათი** არგებს ცბროთა ფიცხელთა
 და თავის ტკივილსა ფიცხელსა შემთხუელსა კუერცხის გულისა
 ნაველისასა და სისხლისაგან და გარდაუწყუეტს წყურვილს და
 დაალბობს მუცელსა, თუ ღმერთსა უნდეს.

25 ა იღე: ბროწეული ტკბილი, გაქურცნილი ქერქისაგან და ცმე-
 ლისაგან და გამოსწურე მისი წყალი ხუთი ლიტრა და მჟავისა
 ბროწეულისა წყალი ორი ლიტრა და აიღე შაქარი ხუთი ლიტრა
 თეთრი და ქვისა ქოთანსა ჩასდვა ანუ თიჯისასა ახალსა და დაას-
 ხა ზედა ბროწეულისა წყალი, რომე ნიშანი მიგუიცივია და აგბო
 და პერული მოკადო, ვირემ შესქელდეს, ვითა ჭულაბი და უკმოი-
 ლო ცეცხლთაგან, ვირემ გაგრილდეს და ჭურჭელსა ჩასხა და იკმა-
 რებდე, ვითა ნიშანი მიგუიცივია. სარგებლისა არს, ნებითა ღმრთი-
 30 სათა.

შროშნისა შარბათისა ხასიათი. ერგების შავისა ნაველისა უფალ-
 თა და ვის გულსა ძგერა იყოს და ვის სტომაქი მოუსუსურებული-
 ყოს და ერგების დედათა უძლებთა, რომელთა ეშინოდეს ყრმისა
 142r ვნებისაგან და ვის გულს || შეაღებდეს და დაეცემოდეს და ცნობა
 35 წაუვიდოდეს. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: შროშანი თეთრი თოვლივითა ასი და გამოარჩიო მისი-
 სა გურკისა თესლისაგან და ძირისა და გასწმიდო მტუერისაგან,
 რომელ მას ზედა იყოს მჩუართა სელისათა და წმიდასა სამოსელ-
 სა ზედა გააფინო დღესა და ღამესა და მერმე აიღე ქუშტიბარი
 40 და დარირას ლერწამი და სადა ჯიჰინდი და კარამფული, ამათგა-
 ნი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა და სუმბული ტიბი და აჰმამა,



ამათგანი წონი ათ-ათისა ღრამისა და სალიხა, წონი რვისა ღრა-
 მისა და მარილი ანდარანი, წონი ხუთისა ღრამისა და ბალასან-
 საზეთი, წონი ათისა ღრამისა და კუჭუმბრა, წონი ოცისა ღრამი-
 სა. დანაყნე წამალნი კმელნი ხოშრად და გაადგინე კუჭუმბრა ბა-
 ლასნის ზეთითა და ჭიქისა ჭურჭელსა შიქაფად შეკქმნა, შროშანი
 და დაეკსენ დღესა და ღამესა, რათა გავიდეს წამალთა გემო შრო-
 შანთა შიგან და შემდგომად მისი აილო ღუინო ძუელისა ძუელი
 და იყოს ზეგნისა¹ და არ მუშამასი² ათი ლიტრა და ჩაურთო ში-
 გან ზაფრანი, წონი სამისა ღრამისა და მუშვი ხასი, წონი ორისა
 დანგისა და შერვიენე და ჩასხა || მას ჭურჭელსა ზედან, რომელსა
 შიგან იყოს შროშანი და პირსა ძოჰკრა და მოგოზო თივითა და ბზითა
 წურილითა და თმითა შეზელილთა, რომელ ქარი არა³ შეუვიდეს
 და დადგი ჩრდილსა ადგილსა საშუალსა ჰქაქრისას და დასცვა ექუსა
 თუესა და იქმარო, ვითა ნიშანი მიგუიციემია, შესმა ძალსა ზედა
 სამისა ღრამისა. წონი, ვირემ ხუთამდეს სარგებლისა არს და გა-
 მოცდილი, ნებითა ღმრთისათა.

5
v
10
15

თურინჯისა შარბათისა ხასიათი ერგების სიუსუსურესა სტომა-
 ქისასა და გულისა შალქასა და გულის სიუსუსურესა. კარგია და
 გამოცდილი ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ფურცელი თურინჯისა ორასი და გასწმიდო მტუერი-
 საგან და წმიდასა ჭურჭელსა ჩასდვა და დაასხა ძუელი ღუინო
 შუიდი ლიტრა და იყოს დღესა და ღამესა და მერმე დასწურო
 მის ფურცლისაგან და გაუახლოს სხუა ფურცელი და აიღე თაფლი
 ხუთი ლიტრა და ესე ღუინო ზედა გარდაასხა, რომლითა ფრუნ-
 ჯისა ფურცელი დაველბოს და აგბო ცეცხლითა წყნარად და პე-
 რული მოკადო, ვირე შესქელდეს და ჩაურთო შიგა მცირედი ზაფ-
 რანი და ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გინდეს, იქმარე, სარგებლისა
 არს ნებითა ღმრთისათა.


20
25

|| **ტუტისა შარბისა⁴ ხასიათი.** ერგების ტკივილსა ყიისასა და
 სიმსიენესა მისსა და ხუნაყსა მარჩობელისა, სარგებელისა არს ნე-
 ბითა ღმრთისათა.

143r
30

აიღე: ტუტა შავი მწიფე და გამოსწურე და წასწურო მისგან
 ათი ლიტრა წყალი და წმიდასა ქოთანსა ჩასხა და ჩაურთო თანა
 სამი ლიტრა თაფლი პერულმოცდილი და ჩაურთო თანა სამის
 ღრამის წონა ნიშადური და ოთხისა ღრამის წონა აკარკარა შამი
 და ათისა ღრამისა წონი ალატროი და ოთხისა ღრამისა წონი
 ტაბშირი. დანაყნე ესე ყოველნი და დაცრენ და შეურიენე და აგბო
 ცეცხლითა წყნარად, რომე შესქელდეს და ჭურჭელსა ჩაასხა და
 როდეს გინდეს, აილო მისგანი ხუთისა ღრამისა წონი და ღარღა-
 რა ჰყო მითა მრავალჯერ და იყოს ტკივილისათუის, სარგებელია
 ნებითა ღმრთისათა.

35
40



წიგუზისა შარაბისა ხასიათი. ერგების ტკივილსა, კვირსა და ხუნაყსა მარჩობელსა, რომელი შეიქმნების ყიასა შინა სინოტესა გზითა. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

5 ა ი ღ ე: ნედლი და შექურცნა ქერქი გარეგანი და დანაყო და წყალი მისი გამოსწურო და აილო მისგან ხუთი ლიტრა და თაფ-
 V ლი პერულმოკდილი მისივე ზომა და ჩაურთო შიგან || ძაღლისა-
 განავალი, რომე ნიშანი მიგულიცემია, წონი ათისა დრამისა და აკარ-
 კარა და ზაფრანა და ნიშადური, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა
 10 დრამისა, დანაყილი და გაცრილი და აგბო, რომე შეიქნას, ვითა
 თაფლი და ჭურჭელსა ჩასხა და როდეს გინდეს, აილო ხუთისა
 დრამისა წონი და თბილითა წყლითა გაადგინო, ღარღარა ჰყო
 მითა. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

მურტისა შარაბისა ხასიათი, ერგების სიუხუსურესა სტომაქი-
 15 სისა და კსნილობასა ძუელსა ნებითა ღმრთისათა.

15 ა ი ღ ე: ნედლისა მურტისა თესლი ანუ კმელი ათი ლიტრა და
 დანაყო კარგად და დაასხა ზედა გუნდასა სასმელი ათი ლიტრა და
 იყოს ერთსა კუროსა და მერმე გამოსწურო მისი წყალი და ჩაასხა
 თანა ორი ლიტრა შაქარი ანუ თაფლი პერულმოკდილი და ცეცხლ-
 20 თა ზედა დადვი და ჩაურთე შიგა ოცისა დრამის წონი სუდი და-
 ნაყილი და აგბო, ვიერე შესქელდეს და შეიქნას, ვითა ყურძნისა
 რუბი და ჩასდვა ჭურჭელსა შიგან და როდეს გინდეს, იკმარე. სარ-
 გებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

ვაშლისა შარაბისა სადავისა ხასიათი. ერგების მჭურვალესა
 144r და ვის მუცელსა შიგან ავზნებულობისა || გზითა იყოს და თხევასა
 25 დიდსა და დაამებეს სტომაქსა და ერგების ჩიჟილთა, რომელთა
 გარყუნოდეს სტომაქი და კსნილობა იყოს და წყურილი. სარგებ-
 ლისა არს ნებითა ღმრთისათა.

30 ა ი ღ ე: ვაშლი მყავე, მწიფე და ვაშლი ტკბილი. დააპო და გული
 გამოუყარო და დანაყო ქვისა საცეხუელითა შიგა და გამოსწურო
 და დასწმიდო და აილო მისი წყალი, რა ზომი გინდეს და აგბო
 ქვის ქოთნითა ანუ თიგისა ახლითა, რომე შესქელდეს, ვითა ყურძ-
 35 ნისა რუბი და ზოგნი ჩაურთვენ შაქარსა და ქიქისა ჭურჭელსა
 ჩასხათ და როდეს გინდეს, იკმარო. სარგებლისა არს ნებითა
 ღმრთისათა.

35 ვაშლისა შარაბისა ხასიათი ხაზავებლითა. ერგების სტომაქსა
 გარყუნილსა და ვის საჭამადი არა მოსდნებოდეს და არცა იამებო-
 დეს და თხევას და შემთხუელსა სინოტიესაგან და ერგების ჩიჟილ-
 40 თა სტომაქსა და ვის კუელა იყოს ფიცხელი. სარგებლისა არს, თუ
 ღმერთსა უნდეს.

40 ე ს ე ყ უ ე ლ ა ა ი ღ ე: ვაშლი ტკბილი და ვაშლი მყავე, დააპო
 და გული გამოარჩივე და ქვისა საცეხუელითა შიგან დანაყო და გამოს-

წურო მისი წყალი და დაწმინდო და აიღო მისგან, რაზომი გინ-
 დოდეს და ქვისა ქოთანსა ჩასხა ანუ || თივისასა და ჩაუტოო შიგან
 სუმბული და კარამფული და კაკულა და ჰელი და კილამონი და
 ზაფრანი, ამათგანი სწორი ნაწილი. დანაყენ ესე და ჩაყარენ წყალსა
 და აგბო, ვირემ შეიქმნას, ვითა ყურძნისა რუბი და ჭიქისა ჭურჭელ- 5
 სა ჩასხა და იქმარო. ვითა ნიშანი მიგუიციემა. სარგებლისა არს
 საღმობათათუს, რომელი გუიქსენებია ნებითა ღმრთისათა.

ბიისა შარბათისა ხასიათი. ერგების დაფოლხუებულობასა სტო-
 მაქისასა და ვინ ჭრტინვიდეს სტომაქსა შინა სიმჭურვალესა მამანი
 და ყრმანი და შეჰკრავს მუცელსა და დაჰმებს სტომაქსა. სარგებლისა 10
 არს, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ლ ე: ბია, რაზომიცა გინდოდეს. დააჲე და გული გამოარჩიევ,
 დაჰარ წურილად და ქვისა საცეხუელთა შიგან დანაყე და გამოწუ-
 რე და ქვისა ქოთანსა შიგან ჩასხი ანუ თივისასა ახალსა და აგბო,
 ვირემ შესქელდეს და შეიქმნას ვითა ყურძნისა რუბი და ჭურჭელსა 15
 ჩასხა და როდეს გინდეს, იქმარო. სარგებლისა არს და გამოცდილი,
 ნებითა ღმრთისათა.

სხუა ბიისა შარბათისა ხასიათი ძუელისა საზავებელითა. ერგე-
 ბის ყოველსა ტკივილსა სტომაქისა || კსნილობასა ძუელსა და გარ- 145r
 დასწყუეტს წყურვილსა; გამოცდილია და კარგი ნებითა ღმრთისათა. 20

ა ი ლ ე: ბია, რაზომიცა გინდოდეს, დააჲე და გული მისი გამო-
 არჩიევ და დანაყო და გამოსწურო და ქვისა ქოთანსა ჩასხა ანუ თი-
 ვისასა და ჩაყარენ ესე წამალნი კარამფული და სუმბული და ზაფ-
 რანი, ამათგანი სწორი ნაწილი დანაყილი და დაცრილი და აგბო
 ცეცხლთა, ვირემ შესქელდეს და შეიქმნას, ვითა თაფლი და რო- 25
 დეს გინდეს, იქმარო სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

მაშასა: შემკრველისა შარბისა ხასიათი ერგების სტომაქსა
 ყრმათასა და მამათასა და ერგების თხევასა ზამთრისასა და ზაფხუ-
 ლისასა და გარდასწყუეტს კსნილობასა ფიცხელსა და ერგების
 შავისა ნავდელისა უფალთა და ვის დაადგრებოდეს საჭამადი და 30
 არს ესე სასმელი დიადი და საჩინო.

ა ი ლ ე: ბია მჟავე და ტკბილი. დიაჰაო და გული გამოუყარო და
 ქვისა ქოთანსა ჩასხა ანუ თივისასა ახალსა, ჩაუტონე შიგან ესე წა-
 მალნი. აიღე კაკულა დიდროვანი და ჰელი, რომე არს კაკულა წუ-
 რილი და სუმბული ტიბი, ამათგანი სწორი ნაწილი და ზაფრანი 35
 ნახევარ ნაწილი და კარამფული ორი ნაწილი და მურტისა თესლი

დანაყილი სამი ნაწილი || და სუდი ნაწილი და ნახევარი. შეჰკრიბენ
 ესე წამალნი, დანაყენ, დასცრნე და ამას წყალსა თანა ჩაუტონე და
 აგბო ცეცხლთა წყნარად, ვირემ შესქელდეს და მერე უკმოიღე
 ცეცხლისაგან და წასწურო და ჩაუტოო მუშვი ხასი, რაზომიცა 40



გინდოდეს. ჭურჭელსა ჩასხა და ჭოდეს გინდეს, იკმარო, რაზოდეს დაძუელდეს, სჯობს და ერგების ნებითა ღმრთისათა.

5 მდინარი შარაბი კარგი და სუფის პირი (!) რომე ხორადა ანუ ჭურვება სჭირდეს, მას არგებს, სიცხისაგან, რომე ღუიძლი სტკიოდეს, მას არგებს.

მისი წამლები აინდაიბისა თესლი, ათი დრამი კოწახური გინდა კმელი და გინდა ნედლი, შუიდი დრამი თეთრი სანდალი, ერთი მუტყალი ლუქი, ერთი მუტყალი ატლასუსიას ძირისა ქერქ გაფხევილი, ოთხი დრამი ბაზარა ქაშუტი, სამი დრამი ვარდი წითელი ფურცელი და თუარა გული არა ვარგა სამი დრამი. ამა წამლებსა მწოვედ ნუ დაგალი, მოიღე ვარდისა კაჭკაჭისა ფურცელი და ღერი და მას ზედან ლიტრა ნახევარი წყალი დაასხი და ასთონიერთად აღუღე რომე ნახევარი ლიტრა წყალი დააკლდეს და ისი წამლები შეჭყლიტოს და გააგდოს. მერმე ამა წყალისა ზომი შაქარი ჩაუროთოს და აღუღე ნელად, ვირემ გასქელდეს. მერმე || უკმოდგას და გაუროთოს. გაუროთოს, რომე გასქელდეს სწორად. შესუმა მისგან უზმამან ცივითა წყალითა. თუ დიდსა კაცსა შეასმიდე, ოცი დრამი, პატარასა ათი, ყმაწუილსა სამი. ცივითა წყლითა გააყენეთ და შეასუით. თუ კაცი შეკრვით იყოს, მაშინ რევანდი დანაყოს და გაცრას და გაყენებულსა შარბათისა შიგან გაუროთოს და დიდსა კაცსა სამი დანგი და პატარასა ორი და ყმაწუილისა ერთი. გინდა სნეზიანი იყოს და გინდა კარგადმყოფი, სამუდამო არს და რევანდისა შეკრულობისათუის არს, რომე შიგნით მჯდომი აჯდეს, არა გავარა — რომე ასო მჭურვალსაცა უშუელის და გრილსაცა უკეთა უშუელის. ამა შარაბსა ოთხსა წელიწადსა უკანის ხასიათი არა აქუს, ესე შარაბი ღბილი არის.

თეთრისა სანდლისა შარაბისა¹ ხასიათი. გულსა ძალსა მისცემს და გულსა ძგერისათუის კარგია. ღუიძლი რომე ცხლად იყოს, მისთუის კარგია.

30 მოიღო: სამოცი მუტყალი სანდალი და დაჰქლიბო და დაფხიკო და დაალბო ძმრითა და წყლითა ასრე, რომე ერთი წილი ძმარი იყოს და ორი წყალი. საქნდალი ჩაჭუშიგან ჩაყარე და აგრე დაალბე ერთსა დღესა და ღამესა. მერმე აღუღე, რომე წყალი ნახევრად გაიყაროს. || მერმე ისი სანდალი შეტყლიტე და ამოიღე. 35 მერმე რაზომიცა წყალი იყოს, ეგზომი შაქარი გაუროთე და აღუღე, სადამდის შესქელდებოდეს, პერულსა მოჰჭიდიდე მერმე უკმოდგას და უროთოს, სადამდის გასწორდეს და მისგან შესმა უზმამან ცივითა წყლითა, დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი და ყმაწუირილსა სამი მუტყალი.

40 სხუა სანდლისა შარაბი² რაცა სენი მჭურვალი არის, ყუელათუის კარგია.



და ფხიკე თეთრი სანდალი სამოცი დრამი და სამსა ლიტრა-
სა წყალსა შიგა ჩაყარე, დაალბე ერთსა დღელამესა. სანდალი ჩაჭუსა
ჩაყარე. აგრე დაალბე და მერმე ადუღეთ ასრე, რომე ორი წილი
დიდუღოს და მესამედი დარჩეს. მერმე სანდალი შეტყლიჭე და
ამოიღე და იმა წუნისა წონა შაქარი გაურთე და ადუღე ნელად
შესქელებამდის. მერმე უკმოდგი და ურივე [უკეთ] გასწორდების
მისგან შესმა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი, ცოტასა — ხუთი,
ყმაწულისა — სამი უზმამან [ცივითა] წყლითა, ყოვლისა სენისა
მეტურგალისათუის კარგი არის.

ლიმონისა შარაბისა ხასიათი. ზაფრისათუის კარგია, და წყურ- 10
ვილსა დააწყნარებს და სტომაქი რომე სუსტად იყოს, მას უშუელის.

აიღე: ლიმონი და დაწურე ასრე. || რომე ათი ლიტრა წუენი 147r
იყოს და ასთონიერთი ადუღე, რომე ნახევარად მოიყაროს, ქაფი
მოჭადე და დაწმიდე და მერმე შაქარი შეაწონე, დაადუღე ასრე,
რომე შესქელდეს, მერმე უკმოდგი და დაურვივე, რომე გასწორდეს. 15
მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყალითა შუიდი მუტყალი და თუ
მჯდომი აბია შიგნით, არა მოუტდების.

აფხინდისა შარაბისა¹ ხასიათი. კაცი რომე სიარულშიგან,
ქორციშიგან და კუჭშიგან² და სტომაქსაშიგან იშლებოდეს, მას
უშუელის და ტყირბსა და ლუიძლსა უშუელის. 20

აიღე: თაფლი, ლუინო ხუთი ლიტრა და თაფლი ორი ლიტრა
და თაფლი ადუღე და ქაფი მოჭადე და ისი თაფლი და ისი ლუინო
ქიქასა შიგან და ანუ ქაშანურსა შიგან ჩაასხი.

მოიღე ყუსტი და მასტაქი და აფხინდი თუითოსავან ოთხ-
ოთხი დრამი, ათხარი სადაჯა ინდი და სუმბული წითლისა ვარდი- 25
სა ფურცელი საბრი და ყარყირონი, თითოსავან ორ-ორი დრამი
და ზაფრანი ერთი დრამი. ესე წამლები დანაყე ქათნისა ჩაჭუსა
ჩადევ და თაფლისა ლუინო ჩასდე ღრმად და პირსა ქალაღდი მოა-
კარ და შუიდასა დღესა მზესა გაუდგი და ღამით ნაბადსა დახუ- 30
რევიდი. მისგან შესუმა, ათი მუტყალი უზმამან და ცოტა ნელთბი-
ლი წყალი დაასხი და აგრე შეასუი, როცა კაცი ქორციჩიგა დაშ-
ლით იქნების, || მისთუის კარგი არის შიგნით და გარეთ, ყუალასა v
უშუელის.

თაფლისა ხასმელისა შექნილისა ზავებულისა ხასიათი. ეს
[უშუელის.....], ვინ ჭრტინვიდეს სინოტიესა სტომაქისასა და 35
იჭმარების ესე, ხოლო სიმრავლესა სარგებლისა არს, ნებითა
ღმრთისათა

აიღე: თაფლი პერულმოკდილი, ხუთი ლიტრა თანგირავთა
ჩასდე და მისივე ზომა ვარდის წყალი ჩაურთო ანუ წყალი წმიდა. 40
თუ ვარდისა წყალი არ იყოს, ესე საზავებელნი ჩაურთენ: ზანჯაბი-
ლი და კაქულა და არნავა და კილამონი³ და ზაფრანა და მასტა-



ქი. ამათგანი წონი ორისა დრამისა და ჯავზა ბოვა [და ბასბასა], ამათგანი წონი თუითო დრამისა. დანაყნე და დაცრენ და თუელს მჩუარსა გამოკარი და თანგირაგთა ჩასდვა და აგბო ცეცხლითა წყნარად ვირემ შეიქმნას ვითა ჯულაბი და დაეკსენ, რომე გაგრილდეს და ქურჭელსა ჩასხა და როდეს იქმარო, კარგია ნებითა ღმერთისათა.

ნიშანი [ხანდიკო]ნისა, რომელი არს თაფლუჭი, სტომაქთა გრილთა და ვის სტომაქი განოტიებულიყოს და ვის დაუშეყავდებოდეს საჭამადი სტომაქსა შიგან, დაშუენდების. ვის აკმაროს აბანოსა შესუსლისასა, უკანის გაათბობს ტანსა და გააჭურვებს და იკმარებინ პურისა უკანის, ვითა ლუინო, || თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ლუინო ძუელი ჰამო ათი ლიტრა და თაფლი წმიდა, პერუღმოჭდილი ხუთი ლიტრა და წყალი წმიდა ხუთი ლიტრა და კილამონი და სუმბული კარამფული [და ზანჯა]ბილი და ზაფრანი კეკელა და დარ[ა]ფილფილი, ამათგანი წონი სამისა დრამისა და ჯავზაბოვა და ბასბასა, ამათგანი წონი თუითო დრამისა. დანაყნე ესე წამალნი, დაცრენ და ლუინოსა და წყალსა და თაფლსა თანა ჩაურთნე და ქვისა ქოთანსა ჩასხათ და ცეცხლითა დასდგათ და აგბო, ვირემ წავიდეს ორისა ნაწილისა უფრო და წასწურო და კიქისა ქურჭელსა ჩასხა და თუ მზესა დასდგა, სჯობს, იკმარო პურისა უწინა და ვითაცა გინდეს კარგი და სარგებლისა არს თუ ღმერთსა უნდეს.

სხლისა შარაბისა ხასიათი. რომე ზაფრისაგან გული ეშლებოდეს, მას უშუელის [......] რომე ურევდეს, მას უშუელის და წყურილისაცა გარდა[უგდებს].

შექნა სხლის წუენი და ვაშლისა წუენი და ბროწეულისა წუენი და მყავისა ისრიმისა წუენი და წითლისა ლიცუისა წუენი—ყუელა სწორ-სწორი ქენ, მიიღე თუთუბა და მოადლდე. ამა ყუელასა წუენისა ნახევარისა ოდენი გაურივე ბროწეულის წუენისა ოდენი კოწახურისა ჩუენი და ერთსა დღესა და ღამესა || დაადგე რომე დაწმდეს. მეორესა დღესა გაწურე, ამა ყოველსა წუენისა ოდენი შაქარი გაურივე და ადლდე ნელად და ქაფსა მოჭდიდი, საღამდის შესქელდებოდეს. მერმე ურივე, რა უკმოსდგა, რომე გასქელდეს, გასწორდეს, მისგან შესმა, უზამან წონი შუიდი მუტყალი დიდსა კაცსა, ცოტას — ხუთი, ყმაწურილსა — სამი. თივისა ქუაბსა შიგან უნდა შექნ[ა] სპილენძი გაამწარებს ამა შარაბთსა ოთხსა წელიწადსა უკანეს ხასიათი არა აქუს.

ნიშანი ყურძნისა რუბისა შესაქმრისა მაჯუნთა ყიისა ტკივილისათვის! თუ ღმერთსა უნდეს, კარგია.

აიღე: ყურძნისა გამოწურვილისა ტკბილი, რაზომი გინდეს და ქოთანსა ჩასხა თივისასა ახალსა და ჩაურთო სუმბული და კარამ-

ფული და ზანჯაბილი, და კილამონი და ზაფრანი, ამათგანი სწორი, ნაწილი დანაყილი და დაცრილი და აგბო, ვირემ შეიქმნას ვითა თაფლი და ჭურჭელსა ჩასხა და იკმარო მაჯუნთა მისგან, რომე გუიქენებია და აილო მისგანი და შეურივნე წამალნი, რომელნი ერგებიან ყიასა, და ღარღარა იყოს მითა და ამით სადაგითაცა იღარღარების და ერგების ტკივილსა ყიისასა, მრთელთათუის თაფლი [ტკბილ]ისა ალაგსა და შეისმის მისგანი ღიბითა ცხროთა || და თელგ- 149r მისა უფალთა. როდეს შეიქნას წყურვილი, კარგია და სარგებლისა ყოვლისათუის, რომე ნიშანი! მიგუიციე მია ნებითა ღმრთისათა.

5

პიტნისა შარბათისა ხასიათი. სტომაქსა ძალსა მისცემს, გულისა რევასა და რომე არწყევდეს, ორსავე არგებს. გრილი არის და სნებიანსა ერგებს.

10

აიღე: ბროწეული ტკბილი და მჟავე, დამარცულე და დანაყე შეშისა აენთა შინა და დაწურე და დადგი ერთსა. დღესა, რომე დაწმდეს. მერმე პიტნა მოადუღეთ და ბროწეულისა წუენი ნახევარი ქენ შიგა გაურივე, მოადუღე და დადგი და მერმე პიტნისა წუენისა² ოდენი შაქარი გაურივე და ადუღე ნელად, სადამდის შესქელდებოდეს და პერუელი მოჯადე და უქმოდგი და ურივე, რომე გასქელდეს და გასწორდეს. მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყლითა შუიდი მუტყალი, პატარასა — ხუთი მუტყალი, ყმაწურილსა—სამი. ამა შარბათსა³ ოთხსა წელიწადსა უკანით ხასიათი არა აქუს, ამას ჯალიანოს იტყუის.

15

20

უნაპისა შარბათისა ხასიათი. ფირტუს ტკივილსა და კუელასა არგებს და სისხლი რომე სჭარბობდეს, მას უშუელის, გუერდისა ტკივილსაცა უშუელის.

25

აიღე: უნაპი სამოცი მუტყალი, გურკა გამორჩეული, ჩამიჩი || გურკა გამორჩეული წითელი ოცი და თხუმეტი მუტყალი, იისა ძირი ნახევარზედა დანაყე, ოცი მუტყალი ხიარა შამბარი. ესე ყუელაი სამსა ლიტრასა წყალსა შიგან მოადუღე ასრე, რომე ნახევარზედა მოიყაროს, ამა წუენისა წონი შაქარი გაურივე და ადუღე, რომე შესქელდეს. მერმე უქმოდგი და ურივე, რომე გასქელდეს და გასწორდეს. მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყლითა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი, უმცროსა—ხუთი მუტყალი, ყმაწურილსა—სამი მუტყალი, ამა შარბათსა ხუთსა წელიწადსა უკანით ხასიათი არა აქუს.

v

30

35

სხუა პიტნისა შარბათისა ხასიათი. სტომაქსა დააწყნარებს და ძალსა მისცემს და რწყევასა დააწყნარებს და წვა რომე სჭირდეს, ორსავე არგებს. სტომაქსა გაამჭურვალებს, საჭამადსა მოაქარებს და მჟავე ბოყინი რომე სჭირდეს, მას უშუელის.

40

აიღე: ათისა ბროწეულისა ტკბილისა წუენი, ასრე დაწურე, რომე შიგნითი აფსკა აკრავს, იგიცა თანა დაატანე და გაწურე.



მოიღე ნახევარ ლიტრა პიტნა და ერთი ლიტრა წყალი. ზედა და-
 ასხი და ადუღე ასრე, რომე ნახევრად მოიყაროს. მას უკანით
 ბროწეულისა წუენი გაურივე. ამ წუენის პირისპირი შაქარი გაუ-
 რივე და ადუღე, ასე რომე გასქელდეს და ქაფი მოაყადე. მერმე
 5 ურივე რომე გასწორდეს და თუ || ბროწეული არა გქონდეს, მის
 150r ოდენი ალარდენისა წუენი გაურივეთ. ესუმა მისგან, უზმამან
 ცივითა წყლითა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი, ცოტასა — ხუთი;
 ყმაწურილსა — სამი. ამა შარბათსა ოთხსა წელიწადსა უკანის ხა-
 სიათი არა აქუს, ასრე იცოდო.

10 **სხუა უნაპისა შარაბისა ხასიათი.** არგებს კუელასა და ტყირ-
 ბისა ტკივილსა, სევდასა გაიღებს და ტყირბისა ტკივილსა არგებს
 და სისხლსა დააწყნარებს.

ა იღე: უნაპი, გული გამორჩეული, ასი დრამი, ჩამიჩი, გურკა
 გამოღებული, ორმოცდაათი დრამი, იისა ძირი ნახევარზედან და-
 ნაყილი ოცი დრამი, ხიარა შამბრისა გული, ორმოცი დრამი. ამა
 15 წამლებსა ზედა სამი ლიტრა წყალი დაასხი და ადუღე, ვირემ ნა-
 ხევრად მოიყაროს და მერმე დაწურე და დაჭყლიტე და ამა წუენი-
 სა პირისა პირი შაქარი გაურივე და ადუღე, ვირემ შესქელდეს და
 პერული მოკადეთ შესქელებამდის და რაჟამცა გინდოდეს, შუიღსა

20 მუტყალსა შეასმიდი უზმასა ცივითა წყლითა. დიდსა კაცსა შუიდი.
 ცოტასა — ხუთი, ყმაწურილსა — სამი. ამა შარბათსა ოთხს წელიწადს
 უკანით ხასიათი არა აქუს.

[სხუა] უნაპისა შარაბისა ხასიათი. არგებს ტყირბისა ტკივილსა
 და ტყირბზედან რომე მკდომი აჯდეს, მასვე დღესა გაიღებს და
 25 კუელასაცა არგებს.

v ა იღე: უნაპი, გული || გამოღებული, ოცდაცამეტი მუტყალი
 და ჩამიჩი, გურკა გამოღებული, ჩუიდიმეტი მუტყალი, იისა ძირი
 ექუსი მუტყალი და ნახევარი. იისა ძირი ნახევარზედან დანაყე და
 ცამეტი მუტყალი ხეარა შამბარისა გული გაურივეთ. ესე ყუალი
 30 ერთმანეთსა გაურივეთ და ლიტრა ნახევარი წყალი ზედა დაასხით
 და ასთონიერთი ადუღე, რომე ნახევრად მოიყაროს. მერმე გატყ-
 ლიჭე და გაწურე. ამა გაწურვილისა წუენშიგა ნახევარ ლიტრა
 შაქარი ჩააგდე და ადუღე, წყნარად, სადამდის შესქელდებოდეს და
 პერული მოკადე. მისგან შესმა: ცივითა წყლითა დიდსა

35 კაცსა შუიდი მუტყალი, ცოტასა — ხუთი, ყმაწურილსა — სამი
 (ნახევარ ლიტრა შაქარი ასოცი მუტყალი)¹.

სუმბულისა შარაბის ხასიათი. ძარღუებსა ძალსა მისცემს, სტო-
 მაქისა ტკივილსა არგებს და ლუიძლის და ტყირბისა ტკივილსა
 არგებს და მისა ქარსა არგებს და ძუელი ცხრო, ვისცა სჭირდეს,
 40 მას არგებს.



ა ი დ ე: სუმბული ხუთი მუტყალი და ერთი ლიტრა წყალი ზედა დაასხი და ადუღე ასრე, რომე ნახევრად მოიყაროს და მერმე გამოჰყლიტე და გამოწურე და წუნენისა წონა შაქარი გაუტრივე და ადუღე წუნარად შესქელებამდის, ქაფი მოკადე და მერმე¹ უკმოდგი და II უტრივე, რომე შესქელდეს და გასწორდეს. მისგან შესმა, უზმამან ცივითა წყლითა დიდსა კაცსა შუიდი მუტყალი, ცოტასა—ხუთი, ყმაწუილსა—სამი მუტყალი.

151r
5

მუშისა შარაბისა ხასიათი არგებს სტომაქისა ტკივილსა და რაცა ასო სტკიოდეს, გარდა სახსარი და ძარღუებისა ტკივილსა არგებს.

10

ა ი დ ე: ერთი ლიტრა შაქარი და ორი ლიტრა წყალი ზედა დაასხი და ადუღე, სადამდის შესქელდებოდეს და პერული მოკადე. რაჟამცა შესქელდეს, უკმოდგი: ერთი დანგი მუშკი და ერთი დანგი და ნახევარი ამბარი და ორი დანგი ზაფრანი და ერთი დანგი უდი. ყუელა დანაყილი წმიდად ამა შესქელებულსა შარბათსა შიგან გაუტრივე და უტრივე, რომე გასწორდეს. ორისა მუტყალსა ცივითა წყლითა გალესევდით და უზმა შესუემდით ამა შარაბსა.

15

ხაშხაშისა შარაბისა ხასიათი. არგებს, რომე კაცსა აჭუელებდეს, ნაზოსა და სურდოსა უშუელის თავისასა, რომე თავიდალმა ფირტუშიგან ჩამოვიდოდეს და გულის პირშიგან ჩამოვიდეს და აჭუელებდეს და სისხლსა ამოილებდეს.

20

წამალი მისი დაიჭირე: ასი თავი ხაშხაში, რომე ზესა ზედანვე ესხას და ნახევარზედან გამჟმარიყოს, ისი მოკრიფე და ნახევარზედან დანაყე. მერმე ისი ორსა დღესა და დამესა შუიღსა ლიტრასა II ანუ წუმიისა წყალსა ანუ წყაროსა წყალშიგან დაალბე და თუ არა დალბეს, ერთსა დღელამესა კიდევ დაალბე. მერმე ადუღე ასრე, რომე ნახევრად მოიყაროს და გაწურე და მერმე ორისა ლიტრისა წყალსა თავზედა ოცდაათი უმკია თავლი და ოცდაათი უმკია ბადაგი გაუტრივე და ადუღე ასრე, რომე შესქელდეს, მაშინ დაიჭირე აყაყია ზაფრანასა ლაისათუღისა ფაფარსა ჰქუიან, თუითოსაგან თუითო დრამი ამისა წუენშიგან გაუტრივე, ამისგან უზმამან თხუთმეტი დრამი შესუსა თბილითა წყლითა ბადაგი. ასრე უნდა, რომე სამი ლიტრა ერთ ლიტრად მოიყაროს. ამა შარბათებსა ყუელასა მათი თარგმანი გუერცა უწერია. გაჩენით თავის თავისად გუნება მახუილთა და გონიერთა და ბრძენთა კაცთაგან ადვილად მისახლომია, თუ ღმერთსა უნდეს.

v
25

30

35

კოწახურისა შარბათისა სასმელისა ხასიათი. რომელი უშუელის ლუიძლისა, რომელი სიმჟურვალისაგან იყოს და სტკიოდეს და ქუელასა. რომე ლუიძლისაგან იყოს და ყოველსა ფერსა ლუიძლისა ტკივილისა, რომე ცხელებისაგან იყოს და სტომაქსა რომე და წყურვილსაცა უშუელის.

40



ა ი ღ ე : კოწახური და კელითა შეწურენ და სამოსლითა გაწურენ
 152r დადევ, რომე დაწმდეს || და მერმე აიღე მაგა კოწახურისა წმიდისა
 წყალისაგან ორი ღრამი და გაურივე კარგი ძმარი ოცდაათი
 ღრამი და ერთი ლიტრა შაქარი და წმიდასა ქუაბსა შიგან ჩასხი,
 5 ცეცხლზედა დადგი და ნელთბილად ადულე და ქაფი აიღე და ცო-
 ტა ვარდის წყალი დაასხი ექუსი ღრამი და მუნამდის ადულე, რო-
 მე ჭულაბივითა გასქელდეს და მერმე ჭიქასა შიგა ჩაასხი და რა
 მოგინდეს, იკმარე ათი ღრამი და თუ შეეძლოს ოცი ღრამი და
 ორი წილი წყალი გაურივე და შესუი.

10 ქლიავისა შარბათისა ხასიათი, რომელი უშუელის ერთობ ცრე-
 ლებასა და ზუნებასა შეარბილებს და წყურვილსა დააწყნარებს.

ა ი ღ ე : კარგი გავალო და კურკისაგან გამოღებული და წმიდა-
 სა ქოთანსა შიგა ჩაყარე და წყალი დაასხი ასრე, რომე ქლიავი
 აღარა ჩნდეს და ცეცხლზედ დადგი, რომე ერთჯერ ადულდეს და
 15 მერმე ცეცხლით აიღე და კარგად სამოსლითა გაწურე და ეგე
 წყალი კიდევე წმიდასა ჭურჭელსა შიგან ჩასხი და ადულე მუნამ-
 დის, რომე ოთხის წილისაგან ერთი დარჩეს და მერმე გაწურე და
 ჭურჭელშიგა ჩასხი და რა მოგინდეს, აკმარე სნეულსა მისითა
 წესითა. ||

v
 20 სხუა შარაბი ნუმაისა, ხასიათი მისი, რომელი უშუელის სიმჭურ-
 ვალესა და გული გაკნას და თუ გული ერეოდეს, დააწყნაროს.

ა ი ღ ე : ნუმაისა წყალი ათი ლიტრა და წმიდასა ჭურჭელსა ში-
 25 გა ჩასხი და ცეცხლზედა დადგი და ნელად ადულე, რომე ნახევა-
 რი დარჩეს და მერმე სხუთი ლიტრა შაქარი გაურივე და ადულე
 და ქაფი მოჭადე, ვირემდის შარბათისა წესითა გასქელდეს და მერ-
 მე ჭურჭელსა შიგა ჩასხი და რა მოგინდეს, იკმარე და მიეც მისითა
 წესითა.

პანდრისა შარაბისა ხასიათი, რომელი უშუელის ლუიძლისა სიმ-
 30 ჭურვალესა და სიკმელესა ბალღამსა ყუითელსა და ტანისა სიმაგ-
 რესა შეარბილებს, ამა შარბათისა აღება გაზაფხულ უნდა.

ა ი ღ ე : წითლისა თხისა რძე, ორი ლიტრა და წმიდასა ქოთანსა
 ჩასხი. გაწურე და ცეცხლზედა ნელად ადულე და ლელუისა შეშითა,
 ქერქი რომე დათლილი იყოს, მითა გაურივე და თავზედა რომე
 35 ერბო დადგეს, კოვზითა აიღე და რა ადულდება პირისაკენ მოვი-
 დეს. ჩაწუთე შიგა ორი უმკია სიქანჯაბინი და სამი ღრამი ძმა-
 რი, რომე რძე გაწყუიტოს და რა შეიტყო, რომე ყველი და წყალი

153r ერთმანეთსა გაეყარნენ, ქოთანი || ცეცხლით აიღე და რა დუღილი
 დაჯდეს, სამოსლითა წმიდად გაწურე, რომე წმიდა წყალი ჩაირიოს.

და ეგე წყალი ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხი და ცივსა ადგილსა დადევ
 40 და მაგას შიგა გაურივე გახსნისა წამლები დანაყილი და გაცრილი



და რაჟამ კაცისა ბუნებასა უნდოდეს, მაშინ უნდა გარევა, და ესე შარბათი ორმოცსა დღესა შეინახვის.

დემოკრატეს შარბათი, ვირემდის ცოცხალიყო თავი შეინახა ყოვლისა ფერისა სნებისა და ტკივილისაგან, რომე უშუელის ღუიძლსა და ტყირბსა და რომე სტომაქი სტკიოდეს და ხამასტა რომე სიგრილისაგან იყოს.

აიღე: წინოფარი კარგი, ერთი დრამი და ერთი დანგი და ნახევარი და რაზიანისა თესლი, პილპილი, დარ[ა]პილპილი, წყლისა ჭაკუნტლისა თესლი, თუითოსაგან ერთი დრამი და სალიხა ოთხი დრამი, მური და ომინდრის ყუავილი ორ-ორი დრამი. ყუელა ერთგან შეყარე და ჭიქისა ჭურჭელსა შიგა ჩაყარე და დაასხი ზედა წმიდა კარგი და გემრიელი ღუინო ათასი დრამი წონით და ჭიქისა პირი მაგრად მოგლისე და ორმოცსა დღესა შეინახე და რა მოუნდეს, მიეც რაცა მოუნდეს და შეეძლოს და უშუელოს ღმრთითა. ||

5
10
15
V

[კარი შესაქმართა მწნილთა, ანუ გამოზრდილთა]

დავიწყით შეწვენითა ღმრთისათა თქუმად ნიშანთა შესაქმართა მწნილთასა, რომელნი გამოიზარდებიან თავლითა და იკმარებიან სნებათა შინა და სიმრთელესა ყოველთა საღმობათათუის შემთხუ- ეულთა ტანსა შინა კაცისათა და გამოვაცხადოთ ნიშანი შექმნისა ამათისა ნებითა ღმრთისათა ახლოთა და ვაქსენნეთ რგებანი მათნი თავად, თუ ღმერთსა უნდეს.

154r
20

ნიშანი ჭულან ჯაბინისა გამოსაზრდელითა თავლითა და არს ესე ვარდის მწნილი. ერგების ტკივილსა სტომაქისასა და სინოტი- ესა შეკრებულსა და ერგების ცხროთა ძუელთა ძლივ გასამრთე- ლებელთა და გაახუმს ნესტუთა დაყოფრლთა ღუიძლისათა და ერგე- ბის სისივნესა ფაწალისასა და შეერფვიან ამას თანა კუერნი შექმ- ნილნი საღმობათათუის, თუ ღმერთსა უნდეს.

25

აიღე: ვარდი გამორჩეული შისისა გურჯისა და თესლისაგან, რაზომი გინდეს და გააფინო წმიდასა სამოსელსა ზედა ჩრდილსა შიგან ერთსა დღესა და მერმე აიღე ყოვლისა ლიტრისა ვარდისა- თუის ლიტრა და ნახევარი თავლი პერულმოქდილი || და თუ³ თავ- ლი ცხელი იყოს და შექმნას ვარდისა ფურცელი, ვითარცა ტყავი და შეპრივნეს ქურაზასა შინა ანუ ულოდასა კეკელად, მერმე ყლლი- მო კელითა და ქუევერსა ჩასდვა ჯა მზესა დასდვა ცხელსა და თხე- ლითა მიტრითა მოჰკრა ზედა და მოურვივე ყოველსა დღესა, რო- მელ არა დამყავდეს. იქმოდე ამას ორ თუე და მზისაგან შინა შე- მოღებისა ყამსა აიღე ყოვლისა ლიტრისათუის ორისა დრამისა წონი მასტაქი და ნახევარ დრამისა წონი ზაფრანი. ორივე დანა-

30
154r
35



ყილი ჩაუტოო შიგან და შეპრიო კეკელად და ზედა-
დამარხო და როდეს გინდეს იჲმარო, თუ ღმერთსა უნდეს

5 ნიშანი ჯულან ჯაბინისა შესაქმრისა შაქრითა. ერგების რასა-
თუის ნიშანი მიგუიცივია და აშუნს მკურვალთა და შეირთვის
კუერთა თანა ცბროთათუის მკურვალთა, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: ვარდი გამორჩეული, ვითა ნიშანი მიგუიცივია და აიღე
ყოვლისა ლიტრისა ვარდისათუის ლიტრა შაქარი დანაყილი და
10 წმიდასა ლოდსა ჩასდვა და კელითა ჰელლიმო კეკელად, რომელ
წყალი მოფოლხუდეს და ქუევრსა ჩასდვა და მზესა დასდვა და ჰქმნა
v ესე, ვითა წინა პირველი || და მოურევდე ყოველსა დღესა და
შემოილო მზისაგან და იჲმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

15 ნიშანი იის გამოზრდილისა. ერგების სიმქისესა მკერდისასა და
ნაზლათა, რომელ ჩაელენან მკერდად და ქუელასა და შეალობს
მუცელსა მკურვალისა ცბროსა უფალთა და გარდაუწყევტს წყურ-
ვილსა ნებითა ღმრთისათა.

ა იღე: ია ნედლი, ლიტრა ერთი და შაქარი თეთრი და ჰელლი-
მო ქურაზასა შინა კეკელად, რომელი წყალი გამოაჩნდეს და ქუევ-
რსა ჩასდვა და მზესა დასდვა, ვითა ვარდივე. კეკელა, თუ ღმერთსა
უნდეს.

20 ნიშანი აშკაკულისა! გამოზრდილისა, რომელ არს სუინტრის
ძირი. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს.

ა იღე: სუინტრის ძირი ნედლი, გაქურცნილი ორი ლიტრა და
დასახუეპო ნემსითა სხულითა და წყალსა ჩასდვა და მცირედი მ-
რილი ჩაუტოო და გასწყდე ერთსა კუირესა და მერმე გამოუცვა-
25 ლო მარილწყალი კუირესა ერთსა სხუასა და გამოილო და მისურ-
სა ზედა გაჰფინო დღესა და ღამესა, ვირე დაწრდეს წყალი მისი.
მერმე თაფლსა შიგან ჩასდვა კუირესა ერთსა სხუასა და როდეს

155r გათხელდეს თაფ || ლი და შეიქმნას ვითა წყალი, ჩასდვა სხუათაფ-
ლი ორსა კუირესა და მერმე გამოილო და ჩასდვა სხუა თაფლი
30 მესამედ და მერმე აიღო სხუა თაფლი, რაზომი დაფარვიდეს და
თანგირაგთა ჩასხა და ჩაუტოო ორისა დრამისა წონი ზაფრანი და
ორისა დრამისა წონი კარამფული და სამისა დრამისა წონი კილა-
მონი და ხუთისა დრამისა წონი ზანჯაბილისინი. დანაყენ ყოველნი
და დაცრენ და ჩაუტონე ამას თაფლსა და ადულო კეკელად, ვი-
რემ შესქელდეს და უქმოილო ცეცხლთაგან და გასწყდე, ვირემ

35 გაგრილდეს და მერმე ესე სუინტრისა ძირი შიგან ჩაყარო მას
თაფლსა, რომელ ესე წამალნი ჩაგეყარნენ და ჰქიისა ჰურტელსა
ჩასხა და დამარხო და როდეს გინდეს იჲმარე, სარგებლისა არს
ნებითა ღმრთისათა. ერგების სიუსუსურესა თირკმელთასა და შეს-

40 წევს დიაცსა თანა მისულსა და შეუმატებს ფერსა და გაუძლიე-



რებს შავასა და ესე ერგების ნოტიათა ამას ზედა, იცოდე, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი ნიგუზისა გამოზრდილისა ერგების ტკივილსა სტომაქისასა და ვის გულსა ძგერა იყოს და იჭმების პურისა უწინა და უკანას. სარგებლისა არს ნებითა ღმერთისათა.

5
v

აიღე: ნიგოზი ნედლი, რაზომი || გინდეს, რომე ჯერეთ არა გამაგრებულყოს და დასჩხუბდი ნემსითა კეკელად და ჩასდვა მარილწყალსა და გამოუცვალე მარილწყალსა ყოველსა დღესა და ჰქმნა ესე ყოველთა დღეთა ათსა დღესა და მერმე გამოიღო მარილი წყალისაგან და მისურასა შიგან გააფინო ჩრდილსა და მერმე თხელსა თაფლსა შიგა ჩასდვა უგბილსა და გასწყდე შიგან კუირასა ერთსა და გამოუცვალე თაფლსა სამსა კუირასა და მერმე აიღე თაფლი კეკელა პერულმოკდილი და ჩაურთო კილამონი და ზანჯაბილი და დარქაფილფილი და კარამფული, ამათგანი სწორი ნაწილი და ზაფრანი ნახევარ ნაწილი. ესე წამალნი დანაყენ და დაცრენ და ჩაურთენ და დასდვა ცეცხლთა ზედა, რომელ შესქელდეს და უკმოიღე ცეცხლთაგან და გასწყდე, ვირემ გაგრილდეს და მერმე ნიგოზი ამას თაფლსა ჩასდვა და როდეს გიკმდეს, ივმარო. სარგებლისა არს ნებითა ღმერთისათა.

10
15

ნიშანი ხალილაგისა გამოზრდილისა ქაბულისა, ერგების ტკივილსა სტომაქისასა და სინოტიესა შეკრებულსა მას შინა და ქარსა ბავასირისასა და ვის შეუკრბენ სინოტიენი მკრდად და უკსენებიან პინდო || თა; ვითა რად ვინ ივმაროს ამას სიმრთელესა მისსა. ყოველთა დღეთა ამისგანსა თუთოსა ხალილაგისა არა ეწიფოს მას სიბერე და არცა შეედვას სალმობა, თუნიერ ბადებულისა ნებითა ღმერთისათა.

20
156r
25

აიღე: ხალილაგი ქაბული და დაალბო წყალითა ცხელითა ოთხსა დღესა და მერმე გამოიღო და შჩხუებო მახუილითა კეკელად თანასთანა და მერმე კულა დაალბე წყლითა სხუითა ექუსა დღესა და მერმე დასწრიდო ხავედითა წყალისაგან და დაალბო თაფლწყალისა შიგან ოთხსა დღესა და მერმე გამოიღო და ჩასდვა თხელსა თაფლსა შიგან და გასწყდე ერთსა კუირესა, რომელ შეიქმნას თაფლივითა წყალი და გამოუცვალო თაფლი სამჯერ გამოუცვალო. მერმე აიღე თაფლი კეკელა წმიდა და პერული მოჯადო და ჩაურთო ორისა დრამისა წონი კარამფული და დრამისა წონი ჯავზა ბოვა ესე დანაყილნი და ჩასდვა ხალილაგი ქუევრსა ჰქისასა და ასხა ესე თაფლი ხალილაგსა ზედან, რაზომმან დაფარო[ს] და ზედა მოჰკრა და დამარხო და რაზომცა მოაკლდებოდეს თაფლი, ურთვიდი სხუასა თაფლსა და რაზომცა დაძუელდეს, სჯობს, თუ ღმერთსა უნდეს.

30
35
40

ნიშანი ბალილაჯისა გამოზრდილისა,¹ ერგების სინოტიესა ||

v

16. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი.



ლაზიკსა, რომელ არს მიკრული და არიან სტომაქსა შიგან და დააყენებს მკცესა და დაჯსნის სინოტიესა, თუ ღმერთსა უნდეს.

5 აიღე: ბალილაჯი, რაზომი გინდეს და დააღბო, ვითა დაგელბოს ხალილაგი და გამოუცვალებდე წყალსა, ვითა მას, ეგრევე თაფლსა გამოუცვალებდე და ჩაუროთნე იგივე საზავებელნი, რომელ ხალილაგისა და ჩაგერთნენ და ჩასხა ზედა თაფლი და ქუევერსა ჩასდვა და იქმარო, ვითა ნიშანი მიგუიციეშია. კეკელა, თუ ღმერთსა უნდეს.

10 ნიშანი ზანჯაბულისა გამოზრდილისა თაფლითა, ერგების ნობითა და ვის გაგრილებოდეს თირკმელნი და ბუშტი და მოანებებს საჭამადსა და წაიღებს თუხმასა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ზანჯაბილისინი, რაზომი გინდეს და დახუეტო და ნალასა შეაჯადო ქერქსა ზედან და კურკუმსა ჩასდვა მცირესა და ჩასხა ზედა წყალი, რაზომმან დაფაროს და ზედა მოკრა და მოგო-

15 ზო და თორნესა ჩასდვა, რომე პური შემცხუარიყოს და ცეცხლი დარჩომილიყოს. მისსა საშუალ ჩასდვა და ზედა შეპზურო მით

157r ცეცხლითა და წყალი ესზომი || იყოს, რომელ არა დაიწუებოდეს და დილეულა გამოიღო და გასწყდე, რომელ გაგრილდეს და მერმე გამოიღო მის კურკუმისაგან და მისურსა ჩასდვა, რომელ დაწრდეს

20 წყალი და თუ ქერქი დარჩომილიყოს, კულა გაქურცნა და თუ დარჩომილიყოს კმელად და არა შემბალიყოს, კულა თორნესავე უკუნაქციოს და დააბო ყოველი დანიითა თხელ-თხელად და დასჭრა დუქარდითა წურილად, ვითა იკუეცებოდეს ფრჩხილი და თხელსა თაფლსა ჩასდვა, რომელ ცეცხლსა არა მიახლებულიყოს, რომელ

25 შეიქმნას თაფლი მსგავსი წყალისა და გამოუცვალო თაფლი სამჯერ და მერმე აიღე თაფლი კეკელა პერულმოჯდილი და ჩაუროთო მცირედი ზაფრანი და კარამფული და ჩასხა ზედა თაფლი, რაზომმან დაფაროს ზანჯაბილი და დამარხო და იქმარო, როდეს გინდეს. სარგებლისა არს, თუ ღმერთსა უნდეს.

30 ნიშანი აყიროსა გამოზრდილისა. ერგების დამწურობასა სტომაქსისასა და სიქმელესა და გაასწორებს შეზავებულობასა მისსა და იკმების, ვითა სხუა თაფლი, საჭამადი პურისა უკანას. კეკელა არს და გამოცდილი ნებითა ღმერთისათა. ||

v აიღე: აყირო ნედლი, რაზომი გინდეს და გაქურცნა გარეგ-
35 ნისა ქერქისაგან და გული და რაცა შიგან იყოს, გამოყარო, რომელ მაგარი ოდენ დარჩეს და მერმე დააბო რაზომი გინდეს და დააღბო მარილწყალითა თხუთმეტსა დღესა და მერმე გამოიღო წყალისაგან და თხელსა თაფლსა ჩასდვა და გამოუცვალებდე, თაფლსა ყოველსა მეთესა დღესა შინა და იქმოდე ამას, ვირემ

40 ნახო, რომელ თაფლი არღარა! გათხელდებოდეს და მერმე აიღე თაფლი პერულმოჯდილი, რაზომი დაფარვიდეს და ჩაუროთო სუმ-



ბული და ზაფრანი და კილამონი. ამათგანი სწორი ნაწილი შეკრიბენ თავლსა და ჩაასხა ზედა რაზომმან დაფაროს აყირო და ჭურჭელსა ჩასდვა და იკმარე, როდესცა გინდეს, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი გუნდისა გამოზრდილისა. ერგების სტომაქსა, რომელ გარყუნილიყოს და გათხელებულ და კსნილობასა დიდსა და ძუელსა ჟამ გარდასრულსა და ვის კსნილობა იყოს მსგავსი პურის ცომისა და მოჩმნილი მოიქმს სტომაქსა, სარგებლისა არს და გამოცდილი, ნებითა ღმერთისათა.

|| ა ი დ ე: გუნდა ნეღლი, რომელ არა შემავარებულ იყოს, კეკელად დააკურითო და დაალბო მარილწყლითა შეიღსა დღესა და მერმე გამოუცვალედე მარილ წყალსა სამსა კუირესა და მერმე გამოიღე და დაალბე შავისა დანაის კუდისა წყლითა შემგბრითა და გამოუცვლო დანაის კუდი სამჯერ და მერმე გამოიღო და თავლსა ჩასდვა შეიღსა დღესა და გამოუცვალედე თავლსა, ვირემ არღარა გათხელდებოდეს და სქელად იყოს და მერმე აიღე თავლი პერულმოკდილი წმიდა და გუნდა მას შინა ჩაყარო, რომელ დაფაროს და ჩაურთო სუმბული და კარამფული და კილამონი და ზაფრანი ამათგანი, სწორი ნაწილიესე თავლსა ჩაურთნე და ნუმცა არს თავლი ცხელი და ჭურჭელსა ჩასდვა და შეშჳამდეს ორსა დღესა შიგან მისგან, ერთსა გუნდასა და როდეს უკმდეს და შესმიდეს ზედა ღუინოსა ურწყოსა და თუ სალმობასა უფრო კმდეს, მაშა, ორი შეჭამოს, ანუ სამი, ანუ უმცრო, ანუ უფრო, ნებითა ღმერთისათა.

ნიშანი სტაფილოვანისა გამოზრდილისა თავლითა. ერგების სიგრილესა თირკმელთა და ბუშტისასა და გააძღბერებს ფსელსა და იქმების ვითა სხუა თავლი || საჭამადი თუ ღმერთსა უნდეს!

|| ა ი დ ე: სტაფილოვანი გასრულებული, კეკელად დაჭარ, ვითა გინდეს და დაალბო მარილწყალსა შიგან სამსა დღესა და მერმე გამოიღე მის მარილისაგან და სხუასა მარილსა ჩასდვა, ვირემ ოც დღემდე იქმოდე ამას და მერმე გამოიღე და გასწყდე, რომელ დაწმდეს და თუ იყოს რამე შიგა, რომელ დამჩულალიყოს კიდე გააყარო და მერმე აიღო თავლი უგბილი და ჩაალბო მას შიგან შუიდდღე და ჰქმნა ესე სამჯერ ანუ ოთხჯერ, ვირემ თავლი არღარა გათხელდებოდეს და მერმე აიღო თავლი პერულმოკდილი წმიდა და ჩაურთო ხოლინჯან და კილამონი და ჯოვზა ბოვა და ბასბასა და ზაფრანი, ამათგანი სწორი ნაწილი. დანაყნე, დაცრნე და ეგრევე ამას თავლსა ჩაურთნე და მას სტაფილოვანსა ზედა ჩაასხა, რაზომმან დაფარო და ზედა მოაკრა და დამარხო და როდეს გინდეს, იკმარო სარგებლისა არს ნებითა ღმერთისათა.

ნიშანი თუნუქისა გამოზრდილისა. ერგების ტკივილსა სტომაქსასა და გულისა ძგერასა, რომელ შეემთხუევის შავისა ნავლელი-

5
158r
10
15
20
25
V
30
35
40

159r საგან და ერგების || ...ქულსა შავასა და თუ ივმარონ. დედათა უძლებთა დასცავს ყრმისა მუცელსა შინა ვნებად, არა გასწყვიტვის, თუ ღმერთსა უნდეს.

ა ი ღ ე: თურუნჯი გასრულებული, ვითა ჯერ არს და დასჭრა, რაზომად გინდეს და შეჰჭურცნა ქერქი მისი, მჟაფე წაყარო და ეგრევე
5 რაი შიგნით იყოს ლბილი და დალბო წყალსა შინა ათსა დღესა და მერმე გამოუცვალე მარულ წყალსა ყოველსა მესხუთესა დღესა, ვირემ ოცდღემდის. ოცი დღე რაი გასრულდეს, მერმე თაფლსა ჩასდვა და გასწყდე ხუთსა დღესა, ვირემ თაფლი გათხელდეს და მერმე გამოუცვალო: სხუა თაფლი და ჰქმნა ესე მრავალჯერ, ვირემ სცნა, თუ
10 თაფლი აღარა გათხელდებოდეს. და მერმე აიღე თაფლი პერულმოჭდილი და ჩაურთო ზაფრანი და კარამფული და მცირედი მუშკი და თურუნჯსა ზედა ჩაასხა, რაზომმან დაფაროს და ივმარე, ვითა ნიშანი მიგუიციე მია და რაზომცა დაძუელდეს, სჯობს, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა.

15 ნიშანი ვაშლისა გამოზრდილისა ერგების სტომაქსა და გულისა შალვასა და აშუნს დედათა უძლებთა || რომელთა ყრმისა ვნებასაგან ეშინოდეს, ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ე: ვაშლი ტკბილი, მაგარი დიად უმაგრესი. ხოლო რომელ
20 იყოს ვაშლთა შიგან და დასხუებო ნემსითა თანასთანას და მარულწყალსა შინა და დალბო სამსა დღესა და მერმე გამოუცვალე მარულწყალსა ყოველსა დღესა ერთჯერ, ვირემ გასრულდეს ათი დღე, და მერმე დააღბო უმარლოსა წყალსა შიგან, რომელ წაგიდეს მარულვანობა მის და მერმე თაფლსა ჩასდვა და გამოუცვალე
25 დე თაფლსა, ვითა ნიშანი მიგუიციე მია, ვირემ გასქელდეს და მერმე აიღო თაფლი, რაზომი დაფარვიდეს და ჩაურთო ზაფრან და კარამფული. ამითგანი სწორი წონი და შეჰრიო ვაშლსათან და ჰქიქნა ქოთანსა ჩასდვა და როდეს გინდეს, ივმარო, თუ ღმერთსა უნდეს.

ნიშანი ზიისა გამოზრდილისა. ერგების სიუსუსურესა სტომაქსისა
30 სასა და გაქსნის შავასა და შეკრავს მუცელსა, ნებითა ღმრთისათა

ა ი ღ ე: ზიია, რაზომი გინდეს და დასჭრა და გასწმიდო გულისა
160r და გურკისაგან და ჰქმნა ეგრე || ვითა ვაშლი გექნას და ჰურტელსა ჩასდვა და ივმარო. რასათუის ნიშანი მიგუიციე მია. კეკელა არს და სარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

35 ნიშანი ბოლოკისა გამოზრდილისა ერგების ბერვასა სტომაქსისა და ჰყუიროლსა მისსა და აშუნს, ვის უნდეს თხევისა ნებითა ღმრთისათა.

ა ი ღ ე: ბოლოკი და გაჭურცნა და დასჭრა და ჰქმნა ეგრე, ვითა ნიშანი მიგუიციე მია სტაფილოვანისა და ჩაურთნე შიგა იგივე
40 წამალნი. რა მისგან ჩაგერთნენ და ქუევრსა ჩასდვა და როდეს გინდეს, ივმარე ნებითა ღმრთისათა.

ნიშანი ბადინჯარისა გამოზრდილისა. იქმების თაფლითა სხუთთა
 თაფლიანთა თანა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ბადინჯანი, ჰქმნა ეგრე, ვითა ნიგუზისა, კეკელა არს,
 თუ ღმერთსა უნდეს.

დასრულდეს ნიშანი გამოსაზრდელთანი თაფლითა ძალითა 5
 ღმრთისათა, და ჯერ[რ]არს, რათა სცნა, ვითარად ყოველნი,
 რომელნი გამოიზრდებიან თაფლითა, კმანან. დალობა მარილ-
 წყალითა, რომელ შემწიფდენ და მერმე ეგრე, როდეს გამოიღო
 მარილწყალსაგან || და ჩასხნე წყალსა წმიდასა, რომელ არა იყოს v
 მარილი მას შინა და მერმე ჩასდვა თაფლსა და სცნა, ვითარად 10
 ერაკის მარილწყალისა გამოღებისასა უკანას ამით გამოსაზრდელ-
 თასა უწინა ჩასხნე და შაბსა შინა, რომელ არს დანასკუდიისა.
 დააამებენ მითა და მერმე ჩასდებენ თაფლსა შვიგან: ამის ყოვლი-
 სსა უკანას, განა ესე ნიშანი, რომელ ჩუენ მიგუიციეშია უკეთა და
 უსარგებელს ტანისათუის და უკეთუ გინდეს, რათა თაფლი მასხად 15
 არა გაგიკდეს. აიღე იგი თაფლი, რომლისაგან ესე გამოზრდილნი
 გამოგეკურნენ და ქოთანსავე უკუნაქციო და აგბო, ვირემ შესქელ-
 დეს, ვითა პირველივე თაფლი და საქმედვე შეაგდო და არა გაგიკ-
 დეს, მისგანი არარა მასხად. დასრულდა თქუმა მწნილთა და რო-
 მელთა ჯერ არს გამოზრდა სრულებით, შეწევნითა ღმრთისათა. 20

[პარი მოწამლულთა საკურნებელთა წამალთა]²

დავიწყით შეწევნითა ღმრთისათა მოწამლულთა საკურნებელ-
 თა წამალთა თქუმაღ.

კაცმან რომე ზომისაგან ნამეტნავი წამალი ჰამოს || და აწყინოს 161r
 და ანუ მოწამლული იყოს კაცი ამა [ი]მნ[ი]თა, შეიტყუების. 25
 მაჰმად და ზაქქარია აქიმი ამას იტყუის, ვითა ორმოცდა სამი წა-
 მალი არის, რომე შხამი აქუს და კაცსა აწყენს ამა ორმოცდა სამი-
 სა წამლისაგან, რომელსაცა ცალკე-ცალკე ჰამს, შხამად შეიქმნების
 კაცსა. აწ მე, ზაქქარია აქიმი ამას წამლებსა სახელსა მოგახსენებ,
 რომელსაცა შხამი აქუს პირველად ბუში პილპილ არაყი ასპან, ზარა- 30
 რიხ, აფუნ, ჯაუზიბასილ, ქინძისა წყალი, ბაზარყატუნ დანაყილი,
 რძე, რომელ დაობებულიყოს და სული უდიოდეს და რომე ბატკა-
 ნი თორნეშიგა შემწუარიყოს თავდახურვით და შიგავე გაცივდეს
 და ამავე რიგითა შემწუარი თევზი, დამყავებული და მყრალი ტუ- 35
 ინი, და ჯუნდი ბედასტარ, და ბელაიდარ, და ხარზარა, და ქუნდაუ-
 სა, უნსულ, და ანჯურა, რუხამ, სიმბი, ყუმბა, შანგარა, სიფიდაფ,
 ჰაქ, აბისბენ, ზაქა, ვარამა, რიმიპინა, არტიანისა, ჯაბლაჰნგი,
 ხარბაყა, მაზრონი, საყამუნია, შირბამი, სუმბულ, ფარფიუნნი სამ-
 ყი სადაფი აქიან, შუქრონ, ბირუჩი, ბანგი, ჰსირა, მაზგა — ესე ორ-



- v მოცდასამი წამალი თუ ცალკე-ცალკე || ჭამოს, კაცსა **მოჭკლევს** და ოთხი-ხუთი წამალი [ს]ხუა არის, რომე არა მითქუენს და იწ მას მოგაქსენებ, ვისცა ამა წამლისაგან ეჭამოს, მისი წამალი რა არის ანუ რასა სატივიარსა გამოუჩენს.
- 5 **1 იუბსი ჰილშილ რომე კაცსა კაცისათუის ეჭმევინოს.** მისი ნიშანი ესე არის, რომე კაცი დაეცეს და პირსა წყალი მისდიოდეს და პირშიგა ენა გაუსივდეს და ბევრი იტიროს და თუალები წამოუსივდეს, მერმე უძლებად შეიქნას.
 ა მ ის ი წ ა მ ა ლ ი ესე იყოს: თალგმისა თესლი ერბოთა
- 10 კარგად მოადუღე და ისი ასუით ორჯელ-სამჯერ, რომე არწყიოს და ორჯელ-სამჯერ თბილითა წყლითა ტანი დაბანე და დიდი თრიაქი მიეცე, რომე ჭამოს. მასრედიტერ¹ ესეცა კარგი არის დუალმიშკიცა კარგი არის აჯირლბათინ ჯულაბითა ჩადებული, ესეცა კარგი არის და ცხურის რძეცა კარგი არის, თრიაქი არაბცა კარგი არის.
- 15 **კაცსა რომე კაცისათუის არაყი ასპან მიეცეს.** მისი ნიშანი ესე არს, რომე პირი გაუსივდეს და პირშიგა წყალი უშრებოდეს და
- 162r **ჭაჭასა მოუჭირო || და წყალსა და საჭამადსა ვერა ჩარონივებდეს და კმასა ვერა ამოიღებდეს და ოფლი მყრალი სდიოდეს და მწოვედ ნავლულიანად იყოს² და სნებასა ზედა მივარდეს.**
- 20 **მისი წამალი ესე არს, რომე ბორა თაფლწყალშიგა ჩადვას და ისი შესუას და სამჯერ პირსა წაიგდებინოს და ტანი თბილითა წყალითა დაიბანოს და თრიაყი ფარუყი აჭამოს.** იგი კარგია და თრიაყი ყულთისაცა კარგია და თუ ესე წამალი ვერა იშოვოს, ერთი დრამი ზარეგანდი დანაყოს და ერთითა მუტყალითა შაქრითა
- 25 **ჭამოს.**
კაცსა რომე კაცისათუის ზარარი ეჭმევინოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ბუშტი გაუსივდეს და რაცა წყალი დალუაროს, ყუელა სისხლი იყოს და მწოვედ ნალულიანად იყოს და ყოველი ასო სტკიოდეს და სიკუდილსა მოელოდეს, ძნელად დარჩეს.
- 30 **ამისა წამალი ესე არის, რომე კარგად წყალითა ლელუი ადულო და მერმე გაწუროს და ისი³ წყალი ერბოთა და თაფლითა თბილი ასუას, რომე პირსა წავარდეს და რომე პირსა წავარდნოდეს, მერე ჯულაბითა რძე ასუას და რძე თეთრი ჯულაბითა**
- v **თუ კმაქანის წუენი ასუას და გულაბის || წყლითა შუბლსა და**
- 35 **მკერდსა და მუცელსა იზელდეს და მერმე კელი გაუქსნას. მერმე ჯულანჯაბინითა ბაზარყატუნისა პერუღლი შესუას და მისი საჭმელი თხის ქონითა და რძითა იყოს.**
კაცსა რომე აფიონი ეჭამოს. თუ ორი მუტყალი ჭამოს, არა დარჩებოს, თუ ორისა მუტყალისგან უმცრო ჭამოს, მისი წამალი
- 40 **ესე არის და ნიშანი ესე იყოს, რომე მწოვედ ეძინებოდენ და მრავალი მღიერი გამოეხსნას და ერთობ დამჭლდეს და კელისა ფრჩხი-**



ლები გაუშავდეს და ცნობა წაუვიდეს და პირსა აფიონისა სული ამოსდიოდეს.

მისი წამალი ინდოური მარილი იყოს და ვაშლისა ფურცელი. ორივე ერთად დანაყოს და თავლითა სუას, რომე პირსა წავარდეს. მასუკანით ერთი ღრამი დანაყილი დარიჩინი თავლითა სუას და ხაზამოსნასა ცხვირშიგან ისუნებდეს და ნიადაგ თავზედა თბილსა წყალსა ისხემდეს. მერმე ყუსტიბარი დანაყოს და ისი დანაყილი ზეთის ხილს ზეთითა და ერბოთა და ზროხისა რძითა გაუტრიოს და ასუას და თუ ქავილი არა გაეყაროს, თბილსა წყალშიგა ჩაჯდეს და ერბო ჭამოს ამა წყალშიგა და თეთრისა ხახუსა წყალი და ძუელი II ერბო ერთმანერთსა გაუტრიოს და ტერფსა სცხოს.

5
10
163r

კაცისათვის, რომე კაცსა ჭავაში მასილი ეჭმევინოს. თუ ნახევარ ღრამისა აკლდეს ჭკუიდაღმა გამოსულიყოს და ნახევარ ღრამსა სჭარბობდეს, მისი დარჩომა ძნელი იყოს. მისი ნიშანი ესე არს, რომე საუბარი არა შეეძლოს. და თუ უბნობდეს რეგუნულად უბნობდეს და თუ თუალები წითლად იყოს, მისი საქმე რომე კაცი შეძცდარიყოს, მას ჰგვანდეს.

15

მისი წამალი ესე არის: თავლი და ბოლოკი მისცენ პირველად, რომე პირსა წავარდეს და ახლად შედღობილი დო პირშიგა იღარღაროს და მერმე გამოასხას და მერმე კიდევცა სუას და ფიცხლა-ფიცხლა თბილითა წყლითა იბანდეს. თუ ზამთარი იყოს, მიუფარესა მაჯუნი აჭამოს და დაულმიშკი; თუ ზაფხული იყოს, [მი]უფარე გრილი აჭამოს.

20

კაცსა რომე ქინძი შრავალი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ენა ჩაუვარდეს, ასრე რომე ვეღარა უბნობდეს და თავსა ტარაბუა ესხმოდეს.

25

მისი წამალი ესე არის, რომე თავლშიგა წყალი ჩაასხას და შიგა მარილი და პილპილა და კუ II ერცხისა გული გაუტრიოს და შეასუას, რომე პირსა წავარდეს და მისი საქმელი ხარშო იყოს და შიგა ნიგუზისა ზეთი და დარიჩინი ჩაურთონ.

v
30

კაცსა რომე კაცისათვის ბაზარყატუნი დანაყილი ეჭმევინოს. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სული უგუბდებოდეს და ძარღუები უნასკუდებოდეს და ტანი გაუშემდეს და სუსტად იყოს და დაღონებულყოს, საგონებელშიგა ჩავარდეს.

35

მისი წამალი ესე არის, რომე ასლისუსი და ცერეცო აღუღლოს და მისი წუენი თავლწყალითა კიდევე აღუღო და შიგა ბორა ჩაურთოთ და ასუას და ნაკრტენი ჩაიყოს და არწყიყოს და მერმე თხელისა საჭამადისა წუენითა, რაგინდრა იყოს, კიდევე ასუათ და კიდევე წ[ა]ივღებინოს, ვირემ კარგად შეიქნას და თბილითა წყალითა იბანდეს და მერმე პილპილა დანაყილი და ინდო-

40



ური მარილი და კურცხის გული ერთმანეთსა გაურიონ და ეჭამოს არგებს.

კაცსა თუ ბევრი რძე ეჭამოს და სტომაქშიგა შედედებულიყოს:

5 მისი ნიშანი ესე არს, რომ ნიადაგ ცივი ოფლი სდიოდეს და ტა-164r ნი უთრთოდეს და სტომაქი სტკიოდეს || და ერთობ ინალუღი-დეს.

მისი წამალი ესე არს, რაცა ამა ზემოთსა შიგა დაგუიწერია და პიტნა და ოლითას ჯულაბითა შეასუას რაჟამცა რწყევისაგან
10 მუხუდოსა წუენი იყოს და შიგა ნუშის გული გაურიოს და ჯულა-ბითა და პურითა აჭამოს.

კაცსა რაგინდრა საჭმელი თავდაბურვილი¹ ეჭამოს, ბევრი შემ-
წუარი ანუ კორცი და ანუ თევზი. რაგინდარა იყოს ასე შემწუარი,
რომე სული არა გამოსულიყო და შიგავე გაცივებულიყოს, ისი
15 შხამად შეერგების. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე კაცი მრთლად იყოს და ანასდად ტანი ასტკივდეს და ნავლულიანად იყოს. მერმე ჰკითხეთ იმა კაცსა, ისი კორცი უჭამია და თუ არა.

მისი წამალი ესე არის, რომე ყუითელი თურბუთი თაფლ-
წყალითა ასუას და პირსა წაიგდებინოს. მერმე გასაქსნელი წამალი
20 მიეც. რომე გაიღოს და რაჟამ ამა წამლიდაღმა გამოვიდეს, ქაქშ-ლისა შარბათი თაფლწყალითა სუას, და თუ ესე წამლები არ ერ-გოს და ავად გავდეს, მერმე ყურსი ჰიაზა ჭამოს.

V თუ კაცსა ასეთი ტუინი ეჭამოს, რომე როგო || რაცა ნიგოზი

დამძადებულიყოს, ისრევე დამძადებულიყოს. მისი ნიშანი ესე
25 იყოს, რომე შიგნით ყოისა შიგა მღიერი გამოესხას და ხმა სხუაფე-რად ექცეს და მარჯუნა გუერდი სტკიოდეს და ტანშიგა ქსავილი შეექმნას.

მისი წამალი ესე არს, რომე რუბი სუას თაფლწყალითა და ცერცოსა წუნითა შესუას და პირსა წაიგდებინოს და შარბათი
30 რუბისა და ტუტისა შარბათი თეთრითა შაქრითა სუას. მისი საჭ-მელ[ი] გავალოთა და ბროწეულისათა ოსპისა შეჭამადი იყოს.

კაცსა რომე კაცისათუის ძუელი ჯუნდი ბედასტარი ეჭმევინოს. თუ ბევრი ეჭმევინოს, სიკუდილისა კარსა მიიყვანს. მისი ნიშანი
35 ესე არის, რომე თავქედი შეექმნას და თავსა ცეცხლივით რამე ედებოდეს.

მისი წამალი ესე არის, რომე პირველად პირსა წაიგდებინოს და მერმე მყაუნას წუენითა სიქანჭუბინი შესუას და თუ მყავანა არა იყოს, რუბის შარბათითა შესუას და ტუტა დამარი და იისა ზეთითა და ვარდის წყალი. ესე ყოველი ერთმანერთსა გაურიოს და
40 ტანსა შეიცხოს და დაიზილოს და მისი საჭმელი ანუ სუმყითა 165r ანუ კოწახურითა ოსპი || იყოს და ტკბილსა ბროწეულსა ჭამდეს



და ცივსა დოსა სმიდეს და მჟავე ყულა კარგად მოხდების.

კაცსა კაცისათუის რომე ბევრი ბულდარი ეჭმევისოს, თუ კაცი მსუქანი იყოს, გააშმაგოს და ბევრი საუბნარი დაიწყოს და აჩქარდეს. თუ მკლე იყოს, მაშინცა შეაცთუნოს და რასაცა იქმოდეს, ვეღარა შეიტყოს რა და თუალები წამოუსივდეს.

5

მისი წამალი ესე არს, რომე ტანი სრულად ნიგუზისა ზეთითა დააზელინოს და ქერისა და ნუშისა წუენითა შეასუას და ქლიავისა შარბათი ასუას, რომე მუცელი დაულბოს და იის ზეთიცა შარბათსა შიგა გაუროს და ბაზარყატუნისა პერული ჯულაბშიგა გაუროს და შეასუას და მისი საჭმელი დო და ერბო ერთად გარეული იყოს.

10

კაცსა თუ ხარზარა ბევრი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე მუცელი აუსივდეს და ნავლულიანად იყოს და ერთობ კუნესოდეს, მისთუის ხარზარა შხამი არის და თუ ისი ანუ კაცმან და ანუ პირუტყუმან სუას, ძნელად დარჩეს.

15

მისი წამალი ესე იყოს, რომე ნესუსისა ქერქი ჭამოს და არწყოს და ბორადისა ვანთი || აჭამეთ რომე მუცელი დაწმიდოს და სელის ქაფი და ბაზარყატუნას ქაფი და ხათუმის თესლის ქაფი. ესე ყუელაი ჯულაბითა¹ შეასუით და ფანჯაგუშტისა თესლი ერბოთა და თაფლითა და პურითა ჭამოს და თუ ზამთარი იყოს ხურმას რძე აჭამოს და ტკბილსა საჭამადსა ჭამდეს.

v

20

კაცსა რომე ბევრი ქუნდუსა ეჭამოს. სიკუდილისაგან საშიში არა იყოს და მწოვედ ავად გაქდეს კაცი, ამისი წამალი და ამას ზეთისა ერთი არის.

კაცსა რომე ბევრი უნუსული ეჭამოს. მისი ნიშანი ესე არს, რომე შიგნით მღიერი გამოესხას და ღუილი წაუტდეს და ჭიპსა გარეშემო ჰგურემდეს და კაცი ერთობ ფორთხალეზდეს.

25

მისი წამალი ესე არის, რომე ნესუსისა და კიტრისა და მჟავანას თესლი და თუქმანქანასა თესლი დანაყოს ოთხივე და მისითა წუენითა კუერცხისა გული გაარიოს და პურითა აჭამოს.

30

კაცსა რომე ბევრი ანჭურა ეჭამოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სიკუდილისაგან ეშინოდეს და ასო ყუელაი სტკიოდეს და თავიცა სტკიოდეს და ტანი გაუცხელდეს.

მისი წამალი ესე არის, რომე პირსა ბევრჯერ წააგდებინოს და ტანი თბილითა წყალითა დაბანო || და ვარდისა ზეთი და ვარდისა წყალი და ძმარი ტანსა იცხო და ქერისა წუენი თბილითა ჯულაბითა და ნუშისა რძითა ასუას და მჟავესა ნურასა ჭამს და თუ ჯუელა და სლოკინი სჭირდეს, მაშინ ტკბილი საჭამადი შეიწყოს.

35

166r

კაცსა რომე რუხამი დანაყილი ეჭამოს. მისი წამალი ესე იყოს პირსა წაგდებინებდეს, თუ ღუინოსა სუმოდეს ღუინითა და თუ ღუინოსა არა სმიდეს, ყუითელი თურბუთი და ინდოური მა-

40



რილი — ორივე ერთგან გაურიოს და ასუას, რომე პირსა წავარდეს მისი საჭამელი ხურბლისა ფქუილითა და ჟულაბითა და ნუშისა გულითა იყოს და საყამუნია ჟულაბშიგა გარეული ასოთ.

5 **კაცსა რომე მურდასანგი ეჭამოს**, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ენა გაუსივდეს და ყია და პირი უშრებოდეს ასრე, რომე სისუელე აღარა დია ჰქონდეს და ბუშტი სტკიოდეს და ფსელი შეეკრას და ბუშტშიგა მლიერი გამოესხას.

10 **მისი წამალი** ესე არს, რომე ლედლი და ცერეცო და ბორა ადუღოს და მის წუენი სუას და ნაკოტნითა კიდევ წამოარწყყიოს. მერმე ტანი თბილითა წყლითა დაიბანოს და საყამუნია და ჟულაბი ვაშლისა შარბათითა შეასუით. თუ ესე წამლები კარგად არა || მოუჯდეს, ბუშტისა ტკივილსა წამალი სუას და მისი საჭმელი მჭურვალი და რბილი იყოს და ტანი თბილითა წყლითა და ისა ზეთითა დაიბანოს.

15 **კაცსა რომე შანგრაფი და ვერცხლის წყალი მკუდარი ეჭამოს**, მისი წამალი ესე იყოს და ნიშანი რომე მუცელსა ჰგურემდეს და თავი დაუმიძიდეს და საჯი მოემატოს.

20 **მისი წამალი** ესე არის, რომე თაფლითა ბორა ჰამოს და პირსა წაიგდებინოს და თბილითა წყლითა ტანსა დაიბანდეს და ნაბანები ჟულაბითა თხისა რძესა სმიდეს. მისი საჭმელი ცხურისა რძე, ნუშისა გულითა და წმიდითა ფქუილითა იყოს.

25 **კაცსა რომე უმარული ეჭამოს**, მისი ნიშანი ესე იყო, რომე სიტყუასა ვერა გამოაგდებდეს და ენასა ნაზლა მოეკიდოს და მერმე ენა გაუთეთრდეს და ასლოკინებდეს და აჭუელებდეს და კელფერკი გაუსუსტდეს და ნავდულიანად შეიქნას.

30 **მისი წამალი** ესე არის, ადუღებული ლედლისა წყალი და ბორა თაფლწყალშიგა გაურიოს და შესუას და პირსა წაიგდებინოს და თუ იყოს ამა წამლებსა შიგა, ზეთის ხილისა ზეთიცა გაურიონ და დანგნახეგარი საყამუნია თაფლწყალითა შეასუან. თუ ამა 167r წამლებმან მუცელშიგა გაცხნას, ერთი || დრამი აფსანთი თაფლწყალითა შესუას და თუ ფსელი შეეკრას, წამალი დაგუიწერია. ისი უყავით მისი საჭმელი წითლითა შაქრითა და ნესუსი თესლითა იყოს.

35 **კაცსა კაცისათუის ბორა და ზარნახი ეჭმევინოს**. მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ტანი სრულად ასტკიოდეს და წელებშიგა მლიერი შექნას და საჯა გამოუჩნდეს.

40 **მისი წამალი** ესე არს, რომე პირსა წავარდეს. ამის ზემოთი ნახე და მერმე ველურისა ქერისა კორკოტი ქერქშემძქურალი და ბრინჯი იმავე ქერის წყლითა და ბაზარყატუნი შიგა გაურივთ და შეასუით, რომე პირსა წავარდეს. წყალსა ნუ სუამს და



კაცსა რომე კაცისათუის ზაკი და რიმიზინი, ვარამა ეჭმევინოს. ამის და ორისა ამას ზემოთისა ხასიათი ესე არის და ერთი არის და ვინცა ესე წამლები ჭამოს, პირსა წავარდებოდეს და ცნობა წაუვიდოდეს და აჭუელებდეს და ღუიძლისაგან სიგრილე გამოვიდოდეს და კაცი დაეცემოდეს და პირსა წყალი წავარდებოდეს და საქდა მოემატოს.

5

მისი წამალი ესე არის, რომე ზროხისა რძე და ერბო ერთმანეთშიგა გაურევთ და იმით || ტანი დაიზილოს ყელამდისი და თუ ქელი და ფერკი გაუმრუდდეს, თბილსა წყალშიგა იბანდეს და რძესა თბილსა სმიდეს და წითელ[ი] შაქარი და რძე ჭულაბითა შესუას და ტერფსა ერბოთა იზელდეს¹.

v
10

კაცსა რომე კაცისათუის არტყანისა ეჭმევინოს და ჯაბლაჰანგ და ხარბაყა, მისი ნიშანი ესა არს, რომე კაცი ცნობისაგან გამოვიდეს და პირსა წავარდებოდეს და კუნეშა და სლოკინი ერთობ სჭირდეს და ფიცხლ-ფიცხლა ფერი ექცეოდეს და გონება ეცულებრდეს და კელ ფერკი უმრუდდებოდეს.

15

მისი წამალი ესე არს, შამიანთხ[ა]ლი და ბორა ერთმანეთსა და შიგა გაურიოს და კარშიგა შედუვას, მუცელსა გაუტსნის და ახალი რძე და ერბო და დო ჭულაბითა შეასუას და თუ კელ-ფერხსა იმრუდებდეს, არა უშუელოს, თბილსა წყალშიგა ერბო ჩააგდოს და შიგა იბანოს და დაიზილოს და ძუელსა ღუინოსა სმიდეს და რაჟამ გამრთელდეს, კელი გაიქსნას.

20

კაცსა რომე მაზროინი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე იყო, რომე პირსა წავარდებოდეს და ფერად-ფერადსა ნარწყევზედა იარებოდეს და ტანი დაუსუსტდეს და მწოვედ სწყურდებოდეს.

25

მისი წამალი ესეა || ზროხისა რძე და ერბო ჭულაბითა ასუით და პირსა წააგდებინოს და თუ მოსწყურდეს, ცივი წყალი და ძმარი გარეული ასუით და თუ მუცელშიგა შეკრას, სიქანჭუბინი და ვარდისწყალი და ქასინის წყალი ერთმანერთსა გაურთეთ და ასუით.

168r

30

თუ საყამუნია შიბრიმი ბევრი ესმევინოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე მუცელშიგან ჭყუირილი და დაუწყოს და ხშირად იყვანდეს და მერმე უძლებლად გაცდეს და მუკლნი გაუსუსტდეს. თუ ამა კაცსა ფიცხლად არა უწამლებთ, მოჰკლავს.

35

მისი წამალი ესე არს, ზროხის რძესა თბილს ერბო გაურევთ და შეასუით და ბიისა შარბათი ასუით და პურითა თანგრუზი აჭამეთ და თუ მოსწყურდეს, ესევე თანგრუზი ასუით.

40

კაცსა რომე სუმბული და აფიონი მეტი ეჭამოს, მისი ნიშანი

251



ესე იყოს, რომ სრულად ტანი აუღუღდეს და ენა გაუშავდეს და პირისა ფერიცა გაუშავდეს და ბარასომი გამოუჩნდეს

5 მისი წამალი ესე არს, რომე პირსა წავარდეს ბორათაფლ-
 V წყლითა, ასლასუსი გაურიოს და ასუას, რომე პირს წავადებინოს
 ნაკრტნითა, რომე სტომაქი გაწმიდოს და ერთი დრამი ქაფური
 ვარდისა წყალშივა და[ა]ლბოს || და იმით ტანი დაიზილოს. მისი
 საჭამადი ქერის წუენი ვარდისა წყალითა იყოს და მეორესა დღე-
 სა ქერისა აბუსალაბის წუენითა და ხილითა მჟავითა კიტრითა ჭ-
 მოს და მისი საჭმელი მჟავითა ბროწეულისათა იყოს.

10 სამყი და სადაფო რომე კაცსა კაცისათუის ეჭმევინოს, მისი
 ნიშანი ესე არის, რომე ყელსა მოუჭიროს და საჭმელსა ვეღარა ჩა-
 უშუებდეს და სტომაქი ასტკივდეს და სუსტად და ავად გაჭ-
 დეს და თუალები დაუწითლდეს და დაუღმრდეს და პირისა სახე
 გაუწითლდეს და ასო ყოველი დაუსუსურდეს.

15 მისი წამალი ესე არს დო და რძე ერთმანერთშივა გაურ-
 თეთდა ასუით და მისი საჭმელი ქერისა საჭამადი და რძე იყოს
 და რაჟამს უკეთე იყოს, ვარდისა ზეთითა რძე იღარღაროს და
 მერმე დაასხას მას უკანით, საჭმელი ყუალა რძითა შეუწყვეით.

20 კაცსა რომე ფარაფუინი ბევრი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე არის,
 რომ ტანსა ცეცხლივითა ეგზებოდეს და კიდეცა გამოჰყაროს და
 მუცელშივა ასრე გაცხნით იყოს, რომე ვერა იჭირეოდეს და კარი
 ეწვოდეს მეტითა ყვანითა და კარსა მღიერიცა გამოესხას და ტან-
 ზედა მტკივნეულად იყოს და სუსტად.

169r მისი წამალი ესე არის ზროხის ერბო და ვარდისა || ზეთი
 25 და დო. სამივე გარიონ და სუას ფიცხლა-ფიცხლა ცივსა წყალშივა
 ჩაჯდებოდეს და თუ შემოდგომა იყოს, წყალსა ან თოვლითა და
 ან ყინულითა გააცივებდეს და შივა იბანებოდეს და ცივსა ვარდისა
 წყალსა თავსა ისხემდეს და დაიკრევდეს და იმა წყალითა გულსა
 იზელდეს და ვაშლისა შარბათსა სმიდეს. მერმე მისი საჭმელი ან
 30 იყოს კოწახური, ან მჟავითა ბროწეულითა, ანუ სამყითა.

კაცსა რომე შუქრანი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ანას
 დად დაბნდეს და სასოება წაუვიდეს და კბილები ერთმანერთსა და-
 ეკრას და თუალთა სინათლე აკლდეს და ვერა შეიტყოს სინათლისა
 წასულა და ტანი ყინულივითა შეექნას.

35 მისი წამალი შამიანთიხალი და ბორა და თავუისა კურკლი
 და ზროხისა ნ[ა]ვლედი ერთგან შეზილეთ და დააგორგალეთ და
 უკანასა კარშივა შეუღევით და ერთი დრამი ფილფილი წმიდად
 დანაყოს და ლუინითა შესუას და თუ ლუინისა მსმელი არა იყოს,
 თარიაცი ფარფიონი შესუას და მისი საჭმელი მჭურვალი და რბილი
 40 იყოს.

კაცსა რომე ბირუნჩი ეჭამოს, მისი ნიშანი ესე არს, რომე



ძარღვი აღარცა ერთი არა სცემდეს და || თუაღნი გაუწითლდეს და თავსა ტარაბუა ესხმოდეს და მრავალი სენი გამოუჩნდეს.

მისი წამალი ესე არს სათირაი აფსანთინი და ძმარი—ესე სამივე წყალითა აღუღონ და იმა წყალშიგა ჩასუთ, დაბანეთ და რაჟამ წყალი დაღმა ამოვადეს, ძმარი და ვარდისა ზეთი გარეული უშბლსა და კეფასა შესცხონ და რაჟამ წყურვილი აღარასჭირდეს, თუაღები ვარდისა წყალითა გამოიბანოს და თუ თავშიგა რეტად იყოს, თარიაჟ აფიუნი ჭამოს.

5

კაცსა რომე კაცისათუის ბანგი ესმევინოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ყოლინჯი გამოუჩნდეს და კაქა გაუშრეს და ბაგე კმე-ლად გაუთეთრდეს.

10

მისი წამალი ესე არს, რომე ბიისა გული და ბაზარყატუნი და სელი ესე სამივე თბილსა წყალსა შიგა ჩაყარეთ და ქაფი მოჭადეთ და ისი ქაფი თბილითა ჯულაბითა ასუთ. თუ ამან არა უშუელოს, ოთხი დანგი საყამუნია ოცდაათითა დრამითა ჯულაბი გაურივეთ და შეასუთ და თუ საჯი გამოჩნდეს, ყურსი ჰიზა ჭამოს ცოტა-ცოტა მისი საჭმელი წითლითა შაქრითა და ტკბილისა ბროწეულისა წუნითა შეუწყვიეთ.

15

კაცსა რომე უაგარა ეჭამოს, მისი ნიშანი ესე || არის, რომე ხშირად იყვანდეს და წელისა ნახუეწი გაყვებოდეს და მწოვედ წელ-წული სტკიოდეს და დასუსტდეს და ჭკუა წაუვიდოდეს.

170r
20

მისი წამალი ესე არს, რომ ცივსა წყალშიგა იბანებოდეს და თავსაცა დაისხემდეს, რომე ყვანისაგან შეკრას და ხილი რაგინდარა იყოს, მისი წუნენი სიქანჭუბინითა შესუსას და მისი საჭმელი ბროწეულისა გულითა ოსპი იყოს და ჩაღანდრისა ფურცელი და ქინძისა ფურცელი შიგა ჩაურთონ და თუ ხილი უნდოდეს, ბროწე-ული ჭამოს.

25

აქა დათავდა ყოველთა სენთა ნიშნება, რაცა კაცისა ასოთა და სტომამქსა და გულსა და ღუიძლსა შეეჭნების.

თარგმანი წამლებიისა

30

ა ფ თ ი მ ო ნ ი — კარეატაულა უნდა [იყოს]. ქონდრისა ხესა ჰგავს.

ა ფ ი ო ნ ი — შავ[ი]სა ხაშხ[ა]შის რძე არის.

ა ლ ე ვ ა ე ს — საბრსა ჰქუიან.

ა ვ ს ი ნ დ ი — ოშინდარსა ჰქუიან.

ა კ ა რ კ ა რ ა — გაბაონის ძირია და ქართულად ქარქუეტა ჰქუიან.

35

ა ლ ი ს ი ნ თ ი — მანანოსსა ჰქუიან, ქართულად ბარაბო.

აბაკი კასტიტის — თათრულად ყოსრა ჰქუიან, სოსნის
ძირი არის.

აირსა არის — ქართულად იის ძირსა უზახიან¹.

v || ალიჟავ-ხუარასანია.

5 აღმუმი — თეთრი ცუილა.

ალაქალბუთ — ბელეკონისა გომიზსა ჰქუიან.

ასტფან — ყურძენია, სომხურად გერამოტი.

ასკილი აკრას — თავუისა ხახუია.

ალაფუილ — ცხრთინის ხილსა ჰქუიან.

10 ალბუბ — თხილია.

ასტოლია — საღვინგნის ძირია².

ატრიგოლე — ხაში წამალსა ჰქუიან.

აფრტანუნი — ბარცუნუკია, ყაისუმი, ქართულად მყ[უ]-
ავისკუდა არის³.

15 აღფარა — ტონუნია და ქართულად ენდრო.

ანიმონი — ბატიკაბანჯ არის.

ამუა — კოკაროჩისა ძირია და შუშან ყუავეილია.

ალკინა — სომხურად ჯარაოტ ჰქუიან და მახთი, ქართულად
ქალბანა.

20 ასტახოტოსი — ეზანახორია.

აჰლაჰ — ჭმინდაუაკსა ჰქუიან.

ათხარი — ვაღმუარუკსა ჰქუიან.

აფრიკონ — ფარფიონია.

არაბულად ზიბიბ ჯაბილი — სპარსულად მოიზიზჯ,

25 ქართულად მთის ჩამიჩსა ჰქუიან.

ანანუხი — პიტნასა.

აკლიმი — ოქროს წიდასა ჰქუიან.

ადხარი — თივა მკუდარსა ჰქუიან.

171r || ახლახონძორი — ყუითელსა ფურისულსა ჰქუიან.

30 აბატრაფა — ძეწსა ჰქუიან.

აბეკმაქი — კამის თესლს ჰქუიან.

ამარტონი და ამრიკონი — ბაბუნჯასა ჰქუიან.

აფასალანტოს — ჰაზრანული ეკლის ხილი არის.

35 არფარიკონი — გოჭამორენ ჰქუიან.

აიკვ — სომხითით მოვა, ქართულად თივა ჰქუიან.

აცციწარი — იის ხილია.

ბერძული — თივა აგურის ნატეხსა ჰქუიან.

ბრინჯასა — რუზ ჰქუიან.

40 ბოქურდანი — მაყუალსა ჰქუიან⁴.



ბალსა — მურტი ჰქუიან, ბერძულად კასომადოსი, ქართულად ქაქნაჯი.

ბალბაქ — სამითია, ქართულად ცერეცოა.

ბალასონი — ბროწეულისა ყუავილია, და ჯულინარიცა ჰქუიან.

ბარბუზან — კლიტონია, რომე ძუიმელია.

ბარგუატ — ქანფანია, ქალბანა, ჯარაოტიცა ჰქუიან.

ბაბუნაჯი — ირიცუკია, ხნძურხუტი, ქართულად გუიროლაი.

ბალიშტკი — კაირნსა ჰქუიან.

გრნალეზუა — ჯღახოტია, ქართულად კრავისენა.

გერერი — ქიმენია.

გაზამაზუა — გრძელსა გუნდასა ჰქუიან.

გაიოსი — ბიასა და მისსა ხილსა ჰქუიან.

ღდარიჩინსა — დარისინი ჰქუიან.

ღ[ა]რკუშტი — კოსტსა ჰქუიან.

ღუკო — ველურისა სტაფილოს ძირია.

ღუაეჭ — ლეაქსა ჰქუიან.

ღებვარღებს — მუშუქუა ჰქუიან.

ღარარიე — კოლნ ჰქუიან.

ღაშმიუშტა — ხრიატიეს ჰქუიან და კასლიუიცა ჰქუიან.

ელევანი — შიათურქი არის და ხუარასანიცა ჰქუიან.

ელეგოაუნდ, ჰინდაპენიუნდ — ანტოვიო ჰქუიან, ლერწამის თესლია.

ელფუირეეგს — ოთნსა ჰქუიან, ჯარისძირა თეთრი და შავი.

ერუხა — ქაფურის ძირია.

ერნჯაკი — მგლის კორჯასა ჰქუიან.

ელირგანი — ვარდის კაჭკაქსა ჰქუიან.

ზუფა — ბალახია კავალალი.

ზმაურ — მურია.

ზუსჰ — უნჰია.

ზარევანდა — ურთაქია, მრგულიც არის და გრძელიცა.

ზანჯაბილი — ძირასა სნენჩელსა ჰქუიან.

ზირისკი — ზირინისსა ჰქუიან.

თაბირინდი — ინდოეთით მოვა¹.

თრანგუბინი — მანანა არის.

|| თუსექირიყოს — მწუანეს გუნდასა ჰქუიან.

თემურასყოს — მისი სანაცულო ყუსტი ჰქუიან.

ფუფალი — ჯავზივას გომიზია.

ფაენტ — წითელი შაქარია.

ფექენა — კულიავია.

5

10

15

v

20

25

30

35

172v

40

255

- ფ ა ნ გ ა მ უ შ კ — წაგაზოტია.
ფ რ ა ს ი ო ნ ი — აფრასიონია.
ფ ა რ ფ ა რ ა ნ მ ე ა რ ე — კასა ჰქუიან და დანდურ[ი]ცა ამას
ჰქუიან და თუხმაჯანია.
- 5 ფ ა ღ ა ნ ი ა — ხაჩაფატ ჰქუიან ძირია შუა ჯუარის სახე.
ფ ა რ ი ს ი ა — ოშნია, სვეზომ.
ღ ა ი თ ა ლ ი ს — მთის ბუღანა არს და ღერთინ თლიცია
ჰქუიან.
ღ ა რ ი კ ო ნ ი — თანობის სოკოა.
- 10 ღ ა ვ თ ი — ერესუნჯი ჰქუიან და ყუხარა, ბერძულად პეტე-
რონი. ბლახია ერთი მტკაველი სიგარძე აქუს თავზედა იის ფერი
ყუავილი მოეზმის და უარფა ქალაქით მოვა, იმას გასწურვენ.
ხ ლ ე ჰ — წურილსა ეღევართყასა ჰქუიან.
ხ ა რ ტ მ ა — ქრვაენია.
- 15 ხ ა მ ი რ ე — ხორწუნისა ძირია.
ხ ა ი რ ა შ ა მ ბ ა რ ი — ინდოეთით მოვა.
ხ რ ტ ი შ — კაზმარე ჰქუიან, ბერძული სუმფულა, რომე
იქნების.
- v ა ს ა რ ო ნ ი || ხველურსა დაღნცსა ჰქუიან.
წ ნ ე ა ფ ე -სატაკურსა და ულონიცა ჰქუიან.
- 20 წ ა ხ ა ნ ე ლ ი ქ ი — კალის თესლი არის.
წ ი რ ა ნ ი — მაშმაში, ქართულად ჰერამი.
კ უ ნ დ რ უ კ ი — საკმელია.
კ ა ხ ბ უ ძ უ — თაჭუს ყუერსა ჰქუიან.
- 25 კ ა ნ ე ფ ე ტ ი — კანაფსა ჰქუიან.
კ ა პ ა რ — ქაფარცახსა ჰქუიან.
კ ი ღ ა მ ო ნ ი — დარისინია.
კ ა რ ო ს ი და ქ რ ე ა ვ ს ი — წყალის ჰაქუნტელია.
კ ა ნ ა ფ ა ნ ა კ ი რ ი — წყალის წიწმატია, სომხურად ჯრკოტი.
- 30 კ ა ნ ჯ ი თ ი — შუშმაა, ქუნჯითიცა ჰქუიან.
კ ო ნ ო ნ ი — ხინგმოლია, ფარიფაცია ჰქუიან.
კ რ დ ა მ კ ი ტ ი მ ა — წიწმატია.
კ ო რ თ ე ნ წ ა თ რ ი ნ — ქონდარია.
კ ა კ ი ა — ახჩურის ხის გომიზია.
- 35 უ ლ ბ ა ე ლ ი — ბოგრა და აცამემცა ჰქუიან.
უ ჰ კ ა ტ ა ს — რომე მუსტაჭლე ჰქუიან, ხოლინჯანი ჰქუიან.
უ მ ტ ი — თარტკიჭსა ჰქუიან.
ჰ ლ პ რ ა — ქარაცანცა ჰქუიან.
- 40 ჰ შ ა — ზამბურსა ჰქუიან.
ჰ ბ ა ნ ი ლ ლ ე დ კ ი უ ნ ტ — ლილის თესლია.
173r || ჰ ა რ შ ი ა ო ნ შ ს — ჯარახოტია ფარისიაოშინი არის.



პ არ ს ი ა ნ დ ა რ უ — მ ა ტ ი ტ ე ლ ს ა ჰ ქ ე ი ა ნ .

ჰ ა ტ ა ტ უ ლ — ლ ა პ ლ ა ს ა ჰ ქ ე ი ა ნ , ხ ე ზ ე დ ა ა ე ხ უ ე ვ ე ს .

ჰ ი ლ ა ნ ა — თ ა ვ ა ს ი ა და ს ა დ ა ფ ი ჰ ქ ე ი ა ნ .

ჰ ე ტ რ ო ნ — ა ფ ს ი ნ თ ი ა და ო მ ი ნ დ [ა რ] ი .

ჰ ე ზ ე რ მ რ ე — ა ლ ო რ ი კ ი ს თ ე ს ლ ი ა . ი ე რ პ ე რ ი ს წ უ ე რ ი ა , 5
კ ო წ ა ხ უ რ ი ა .

ჰ ტ რ ს ა ლ ო ნ ი — ქ ე ა რ ე ა კ ს ი ა .

ჰ რ ნ პ ო ე — თ რ ე ნ ჯ ხ ო ტ ი ა და ც ა ვ ა ხ ო ტ ი ა .

ჰ ზ ა რ ჭ ა ჭ ე რ — პ რ ო ტ უ ნ ც ი ა .

ჰ ო ს ო ნ — ქ ე უ ა რ ა თ ი ა . 10

ჰ რ ი ნ გ ა ნ — შ ა ხ უ ა რ ნ ი ა , ვ ე ლ უ რ ი ხ ა მ შ ა მ ი ა .

ჰ ი ს ი თ — მ ა ნ ჭ ა ნ ი ს ძ ი რ ი ა , ბ ი ს ა თ ი ც ე ს ა რ ს ႁ .

ჰ ა პ უ ნ ე ჭ — ხ ნ ძ ო რ ხ ო ტ ი ა .

ჰ რ ტ ე ზ ქ ა რ ი — ლ ა ყ ვ ა რ დ ი ს ქ ე ა ა რ ს .

ჰ ზ ლ ი ნ ჭ ა რ — ე ღ ჭ ი ნ უ ნ დ ა ბ ა ს ვ ი ჭ ი ს ძ ი რ ი ა . 15

ჰ ზ ა რ ა ყ ა ტ უ ნ — თ ე ს ლ ი თ ე თ რ ი და შ ა ვ ი .

ყ უ ნ ტ ლ ს ა ლ ი ჰ — კ ა რ ე თ ი ნ ტ ა კ ა და ფ ა ნ ა ც ა ჰ ქ ე ი ა ნ ႁ .

ყ ა ყ უ ი ლ ა — დ ი დ ი და წ უ რ ი ლ ი ი ნ დ ო ე თ ი თ მ ო ვ ა .

ძ ე რ ნ ტ ა ლ უ ნ ტ ა ნ გ — წ რ ო ნ ႁ ს გ უ ლ ი ა , კ ო წ ა ხ უ რ ი ს ა
ძ ი რ ა . 20

ჯ ა ვ ზ ი ბ უ ა — ი ნ დ ო ე თ ი თ მ ო ვ ა .

ჯ ა ნ ჭ ი ღ ი ლ ი ზ — ჩ ი ტ ი ს ე ნ ა ს ა ჰ ქ ე ი ა ნ , ი ფ ნ ი ს ხ ი ლ ა ႁ .

|| მ ა ღ ხ ე ა ი ე ლ ე - ზ უ ე კ ი ს ზ ე თ ი ა . V

მ ა მ ი თ ა — შ ა ბ ი მ ა მ ი ს ა და გ უ ე ლ ს ა ვ ი თ ა ჭ რ ე ლ ი ა .

მ უ ყ ლ ი ა ზ რ ა ყ ა — ქ ა რ ა ხ უ ნ ს ჰ ქ ე ი ა ნ ლ უ რ ჭ ს ა .

მ ა რ ზ ა ნ გ უ ლ შ ი — მ ი რ ტ ა კ ი შ ი ა [მ ა რ ს ა ნ ა ც ლ ო ქ ო ნ დ ა რ ი ა] ႁ . 25

მ რ უ ა რ — ა ლ ო რ ი კ ი ა .

მ ზ ა რ ႁ ნ — ტ უ ა რ ე ვ ი ც ი ა და რ ძ ი ა ნ ა ა რ ს .

მ ო ლ ႁ ხ ი ა — ა ღ ჭ ა ტ ა კ ი ა , ხ ა ბ ა ზ ა ი ა კ ო რ კ ႁ ტ ა ჰ ქ ე ი ა ნ , მ ა ლ ႁ -
ქ ი ა რ ს .

მ ა რ ჭ ა ნ ა რ — ბ ა ს ა თ ი ჰ ქ ე ი ა ნ . 30

მ ა რ ა თ ႁ ნ — ბ ე რ ძ უ ლ ს ა ა მ ი თ ა ს ა ჰ ქ ე ი ა ნ .

გ ა მ ი რ ႁ ნ — ႁ ლ მ ა ფ ა ი ხ ს ა ჰ ქ ე ი ა ნ .

მ ზ ა დ ა ქ ე — შ ႁ ნ ი თ მ ო ვ ა .

მ უ რ ა ტ — მ ა რ ტ ე ნ ი ს ა მ ი ს ი თ ე ს ლ ი ა პ ლ ა ხ ი ა .

მ ა მ ე დ ა — ს ა ყ ა მ უ ნ ი ა . 35

მ ა ლ თ — ჭ ა რ ႁ ႁ ტ ქ ა ლ ბ ა ნ ა .

მ ა რ მ ი ზ ი — ს პ ა რ ს უ ლ ი ქ ႁ ნ დ ა რ ი ა .

ნ ა მ მ — მ ე შ ი ა .

ნ ა ნ ხ უ ა — ა ღ ს რ ნ ი ა ქ ႁ ნ დ რ ი ს თ ე ს ლ ა ა ვ ა გ ს .

ნ უ ი ჭ — ნ უ ვ ი კ ი ა . 40

- ნ ვ თ ი ა ლ — მარილია.
 ნ რ თ ნ ი — კაჭუმორეა.
 შ ი რ ი ხ ი შ ტ ი — მანანა.
 შ ა მ ი ა ნ დ ა ლ ი — კიპროსული უნდა.
- 174r || შ ა ხ რ ე უ ნ — შაყაყულია, სუინტრის ძირია.
 5 შ ა ს დ ა ნ ჯ — ნუარტკია.
 შ ი ნ გ ლ — კუიდას ჰქუიან და შანგარაცა გრძელ კიტრა.
 შ ი ბ ა რ ა მ — კალჩანის ძირასა ჰქუიან.
 შ ი ა ნ გ — წოქიხარჯ, ქართულად ზღუის ქაფია.
- 10 შ ა ვ ქ რ ა ნ — დაელუბარდალნის თესლია.
 ო უ ჰ ა ნ — ანგუმატია.
 ჩ უ ქ ლ ა ნ — გზიმფატსა ჰქუიან.
 რ ე ვ ა ნ დ ი — სომხურად ჰქუიან და ხავრაწინის ძირა.
 რ წ ყ ს ი ა ნ — ანდუზია.
- 15 რ ა ს უ ს ტ — ონიცქარია დამწუარი სპილენძია, ლახუსტავი
 არის.
 ს ე ტ ი ჯ ო ნ დ ი — კასლის ფურცელსა ჰქუიან.
 ს უ ქ ი — თუ ისი არ იყოს მწუანე გუნდა ქენ.
 ს ა ნ ი მ ა ქ — ბალახია, მაქით მოვა.
- 20 ს ა ს ა ლ ო ს ი — ველურისა ნიახურისა თესლია.
 ს ა ლ ი ხ ა — ბერძულად სირინგა ჰქუიან.
 ს ა რ კ ა უ რ ა — ღუიძლის ბალახია.
 ს პ ი ტ ა კ უ ი მ ა — ბერძული საკმელია.
 ს ო თ — კიპერისია თათრულად თოფალახა.
- 25 ს ა მ ყ ი ა რ ა ბ ს ა — ტაჭიკრეს ჰქუიან.
 ს კ ო რ დ ი ო ნ ი — გარეული ნიორია.
 ს ქ ბ ი ნ ჯ ი — გომიზია და ქალბანასა უძალანეა.
- v || ს ა თ ა რ ე ქ — ანცხოტია.
 ს ა კ ა მ უ ნ ი ა ბ ღ ე ღ ა ნ ი ს — უკეთესი ანადაქით მოვა.
- 30 ს უ მ ფ უ ლ ა — ინდოურია და ბეწუსა აგავს.
 ს ე პ ი ს ტ ო ნ ი — ხის ხილია.
 ს ო ლ ი ნ ჯ — ძონწალიკა.
 ს ა ნ გ რ ვ ე ე ღ — ზანჯაფილა.
 ს კ ი ლ ი ა — თავუის ხახუია.
- 35 ს კ უ ტ რ ი ნ — ველური ნიორია.
 ტ უ ნ ე ჯ — ძირია ზანჯაფილისა აგავს.
 ტ ა ფ ნ ი — კასლაა.
 ტ ი კ ნ ა კ ი — ღხილუნია ჰქუიან ფიჭუისა გომიზია.
 ლ ი ფ თ ი ს ა — ბერძენნი პენტორონსა უძახიან.
- 40 ტ ე გ ნ ა — ქარბსა ჰქუიან.
 ქ ე რ ქ უ მ — ზაფრანია.

ქუზპარა — ქინძია.

ქამდ — ასფარის თესლია.

ქრთეს — ცმანია, აბუტარატი არის!

ქშუთრის თესლი — ბაღელსა აგავს შტო წითელია.

ქარბა — ქარვაა.

ქთირა — გაზიხეაშია.

ქოშმურუა — გოჭმრია.


5

ამათი საწონი ბერძული ლიტრაა, დრამი ასდარვა ნუკია, ცხრა დრამი ოთხი დანგია, მუტყალი დრამი და ნახევარია და დრამი ოთხი დანგია, რუბი მუტყალის მეოთხედია, ბერძენთა მეფის ლიტრა ასოცდაშუილია დრამი და უფრო ცოტა სამოცდაცხრამეტი დრამი


10




ზ. ფანასკერტელი — ციციშვილის კარის ეკლესიის ნანგრევები (სამხრეთ — აღმოსავლეთი ხედი)



ცოცხვილის საგვარეულო ღერბი



ა



ბ

გველის გამოსახულებანი სტილიზებული თავით ბრინჯაოს უძველეს საგნებზე:
 ა. ბრინჯაოს ცული ცაგერის მუზეუმიდან; ბ. საკულტო დანიშნულების საგანი (ყელ-
 საკიდი) ეშერის არქეოლოგიური გათხრებიდან (შეადარეთ ციციშვილთა საგვარე-
 ულო გერბზე გამოსახულ გველის თავს)



ს ა რ ა მ ბ ი

ზაზა ფანასკერტელი — ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი“	5
ხელნაწერის აღწერილობა	7
ხელნაწერის თარიღისათვის	11
ხელნაწერის გადაშენი	13
ავტორი ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი	13
„სამკურნალო წიგნი“	26
ტექსტისათვის	64
ტექსტი	69



Заза Панаскертели-Цицишвили
ЛЕЧЕБНАЯ КНИГА КАРАБАДИНИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია

გადაეცა წარმოებას 20.12.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.1985;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი ოფსეტ.; ბეჭდვა ოფსეტ.;

პირობითი საბეჭდი თაბახი 16,5;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,6; პირ. საღ.-გატ. 16,5;


ტირაჟი 50000;

შეკვეთა № 2388

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



87-958



ქართული
ენციკლოპედია
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა